ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

10

1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესრულდა 155 წელი სამცხე-საათაბაგოს მიწების
დაბრუნებიდან

მესხი ვარ!

მესხი ვარ! ვანთე მე სხივი,
მეახმა შესხმა ვათქვი ახალი,
მტერი დამესხა, დავძლიე,
ვიყავი სახელმაღალი.

მესხმა დავასხი ვენახი,
კლდეებში ვკვეთე ტაძარი,
წიგნი დავწერე ვეფხვისა,
შიგ აიყვარული დავძარი!

ხელში ეტრატი მეჭირა
და გულში მეჯდა ბულბული,
ნესხი ვარ. ვანთე მე სხივი,
ცაშუქე გადაღრუბლული.

ოავს გადავივლე აამას წლის
ქარიშხალთ-ლეწა-მტვრევანი
და ჩემგან დარჩა სახსოვრად
ხეზე გასული მტევანი.

ნანგრევთა შორის ჩუქურთმა,
დამშრალი საწნახელები...

ტანზე ამესხა ჭრილობა,
გულზე დამიწყეს ხელები...

და თუ დატრამლდა სახლ-კარი,
თვალს დამეფარა უკუნი,
დათხრილი სძირკველიდან
ისევ გაისმა გუგუნი!

ისევ აღვსდექი, მესხი ვარ,
მზე ახლად გადმომესხივა,
იაევ დავბრუნდი მამულში
ორტანჯული, თმოგველი.
ჩამქრალი თონე ავანთე
ახალო რთველო, მოგელი!

ღარზე დაიძრას მაჭარი
დამსხვილდეს ჰურია თაველი,
დადგით მესხეთში აკვნები,
გამოჩნდეს კვლავ რუსთაველი!

რომ ახალ დიდებისათვის
მესხმა შეახმა ვსთქვა ახალი,
თქვენ დამილოცეთ მე ფუძე,
ძველთაგან სახელმაღალი!

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

316

გამოცემის ოცდაშვიდეკეტლი წელი

10

ოქტომბერი

1983

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს სსრ-ის ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ალბაზიშვილი
თედო გაჩეჩილაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გიორგი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაბერიძე
მერაბ ელიოზოშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველაძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნოდარ შატბერაძე
ალექსანდრე ჩხეიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გიორგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შინაარსი

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

3. მეგობრობის ზეიმი
7. ალექსანდრ კუშაევი, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრ გლო

მეგობრობის გზიდი

დღეს ისეთ თარიღს ვზეიმობთ, როცა ჩვენი გონება უმთავრეს საფიქრალს დასტრიალებს თავს!

დღეს ერის ბედიღბალზე დაფიქრების ჟამი დასდგომია საქართველოს — მარტო ორასი წლის ამბავს კი არა, ფიქრი უშორეს თარიღებს გადასწვდება და ჩვენი ერის მთელს გამოვლილ გზას ვისიგრძეგანებთ.

მძიმე და ძნელი იყო ეს გზა!

სისხლითა და ბრძოლით,

შრომითა და ოფლით,

ერთგულებითა და თავგანწირვით,

გონიერებითა და გამჭრიახობით,

აუვავებითა და დაჭცევით,

ზოგჯერ კი ცოდვითა და დალატით სავსე!

მაგრამ რომელი ერის გზა ყოფილა ოდენ ვარდყვავილებით მოფენილი? ვის გამოუღწევია ისტორიის ულრანებიდან თავგანწირული ბრძოლისა და შრომის გარეშე? თუმცა ბედიღბალიც არსებობს და უნდა ითქვას, ბედისწერისგან განებივრებულნი არასოდეს ვყოფილვართ!

არაბი და მონღოლი...

თურქი და სპარსი...

ძლიერი და უძლური, ყველა, ვინც კი ჩვენს მეზობლად გაჩენილა ღმერთმა, თავისი ხმლის ფლას ქართველის მკერდზე სცდიდა და მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული მცირერიცხოვანი ქართველი ერი სულ გადასარჩენად აუდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთს.

ამ გადარჩენის გზების ძიებამ ჩაიყვანა შორეულ ესპანეთსა, საფრანგეთსა თუ რომის პაპის კარზე ქართველთა ელჩები. მაჰმადიანური სამყაროსგან შევიწროებულთ ქრისტიანული ქვეყნებისაკენ გვქონდა გულისყური მიპყრობილი. დაღუპვისკარად მისული ქვეყნის მესვეურთა გონიერულმა განსჯამ გვაძებინა მოყვარე შორეულ მოსკოვს... შორეულს ვამბობთ, რადგან იმ დროს მანძილს სხვაგვარი მასშტაბები ჰქონდა და თუ დღეს ამ გზის დასაფარავად ორი საათი გვჭირდება, მაშინ ჩვენი ემისრები თვეობითა და წლობითაც გზებზე ათენ-ალამებდნენ, რომ შეკერილებული ქვეყნისთვის საშველი გამოენახათ.

გეორგიევსკის დადებულმა რუსეთ-საქართველოს ტრაქტატმა, მართლაც, რომ რადიკალურად შემოაბრუნა საქართველოს ბედის ბორბალი. როგორც ყველა რადიკალურ ცვლილებას პოლიტიკაში, ერეკლე მეორის ამ ნაბიჯსაც ჰქონდა თავისი წინააღმდეგობანი და სირთულეები. ეს ტრაქტატი არა მარტო ჩვენი, იმდროინდელი მეფის რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის მნიშვნე-

ლოვანი გამარჯვებაც იყო და რუსეთის იმპერიის საზღვრებისა და ეროვნული
ეროვნული ბიბლიოთეკა
გზების გაფართოების რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა.

ამ ტრაქტატის წყალობით იყო, რომ ომებისაგან ძალაგამოცლილმა საქართველომ სული მოითქვა და თურქეთისაგან მიტაცებული ტერიტორიებიც ნაწილობრივ დაიბრუნა!

ამ ტრაქტატის წყალობით იყო, რომ „სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ბოლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო ოლქალაქის მართავს აწ ხელი...“

ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიამ უველაზე მძაფრად იგრძნო ისტორიის აუცილებლობით გამოწვეული მდგომარეობა იმდროინდელი საქართველოსი და სწორედ ამიტომ მოიყარა მუხლი ერეკლე მეორის საფლავთან!

ეს იყო ბმა ერის ფხიზელი გონებისა. ეს იყო პასუხი იმ უხილავ ოპონენტებთან, ვინც უფუფუნოდ ნისტერროდდენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და, ემიგრაციაში ალილანენ, რეალურად ვერ აფასებდნენ საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მთელი სიცხადით დაინახა ის, რაც მაშინ მხოლოდ იწყებოდა და რაც მხოლოდ ინტუიციით შეიძლება ეგრძნო. დაინახა, რომ:

„უამთ ვითარებით გარდახვეწილთ შენ შვილთ მიდგომ
მოაქეთ მამულში განსთლება და ხმა ხაამო...“

ამიერიდან საქართველომ გაარღვია ეროვნული კარჩაკეტილობის ზღუდეები და რუსეთის მეშვეობით ევროპეიზმს კვლავ გაუღო კარი. თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაა იმის დასტური, თუ რა პორიზონტები გადაეშალა ქართულ გონებას, ქართულ კულტურასა და ცივილიზაციას. თანდათანობით ადდგა ის გაწყვეტილი ხაზი, რაც რუსთველიდან მოდიოდა და რასაც ალმოსავლეთმა დიდი ხნით გადაუჭრა კარი. ამიტომ ეხმიანება ბარათაშვილის მერანის ნალთა წკრიალი ავთანდილის ტაიჭის სრბოლას — ორივენი მოძმისა და მოყვრის სავალი გზების გასაადვილებლად მიჰქრიან და სულიერი ნათესაობის, გენის ერთიანობის სიმბოლოდ გვევლინებიან.

დღეს, როცა ამ გამოვლილ გზებზე ვფიქრობთ, არ შეიძლება თვალწინ არ გაგვიცოცხლდეს ძვირფასი სახეები სამოციანელებისა; სახეები ილიასი და აკაკისა; იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ნიკოლაძისა; არ შეიძლება, პატივი არ მივაგოთ მათს დიად გამოცდილებას. მათ პირველებმა იგრძნეს და დაინახეს რუსეთში მოქმედი დემოკრატიული ძალები და სწორედ ამ დემოკრატიულ ძალებთან სიახლოვით, ამ იდეური მრწამსით აღეურვილნი ჩადგნენ თავიანთ ქვეყნის სამსახურში. ილიამ მხოლოდ ოთხი წელი დაჰყო პეტერბურგს და ეს ოთხი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იმდროინდელი საკაცობრიო იდეალების სიმაღლეზე ასულიყო და ამ სიმაღლიდან შეეხედა თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამისათვის. სწორედ ამიტომ იგონებს იგი ასეთი სიყვარულითა და მოწიწებით თავისი ცხოვრების იმ ნაყოფიერ ოთხ წელიწადს, რომელიც შემდგომ მთელი მისი მოღვაწეობის ბალავარად იქცა და სწორედ იმ ოთხ წელზე, როგორც ოთხ მკვდრად ნაგებ სვეტზე — დაშენდა ის დიდი მემკვიდრეობა, რასაც ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა ჰქვია. ეს ცხოვრება კი მარადიული ნიშანსვეტია ჩვენი ხალხისა. განა საგულისხმო არაა, რომ ილია თავისი ბასრი და დაუნდობელი კალმით ძირითადად ჩვენს ეროვნულ ხასიათში და ყოფაში მოძალებულ მანკიერებებს ებრძოდა უმთავრესად. მან მშვენივრად უწყოდა, რომ ერის სულიერი სიჯანსაღე ერთ-ერთი მთავარი პირობაა მისი ხანგრძლივი სიცოცხლისა და მომავლისა. ამიტომ გადაეხადა მან ასე სახელოვნად ე. წ.

მამათა და შვილთა ომი, იმიტომ გამოვიდა ამ ომიდან გამარჯვებული, რომ ჩა-
ნსაღმა, ხამომავლო აზრმა და ტენდენციამ გაიმარჯვა. ილია რომ საქართველოს-
ლოში უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვდა, კარგად იცოდა, ჩვენი ... ...
მომავალს ხმალი ვეღარ გაათენებდა; კალამს, გონებას უნდა ემარჯვა და თვა-
თონაც ამ დროშით მიუძღვებოდა თავის ხალხს.

ეს ტრადიცია, ტრადიცია რუსეთის მოწინავე აზროვნებასთან კავშირისა, ილიამ მემკვიდრეობად დაუტოვა შემდგომ თაობებს და განა ნიშნეული არაა, რომ რეკოლუციონერთა დიდ არმიაში, რომელთაც სოციალიზმისკენ შემოა-ტრიალეს საბჭოთა ხალხების ბედის ბორბალი, ამდენი ქართული სახელი გვხვდება.

ასე კი, სწორედ იმის წყალობით მოხდა, რომ ქართული აზრი ეზიარა და გვერდში დაუდგა რუსეთის რევოლუციურ იდეებს, ჩადგა იმ საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი პარტიის ავანგარდში, რომელიც დიდი ლენინის ნათელი გონების ნაყოფი იყო.

ამიტომ მიესალმა რევოლუციის რელსებზე შემდგარ საქართველოს ასე ხმამაღლა და აღფრთოვანებით ამ საუკუნის უველაზე დიდი პოეტი გა-ლაკტიონ ტაბიძე: „რევოლუციურს ჯერ არნახულს! ჯერ არგაგონილს, ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“ ამ ახალი საქართველოს დასაბამი კი სწორედ ის სამოყვრო ტრაქტატია, რომლის 200 წლისთავსაც დღეს ასე ფარ-თოდ ზეიმობს საქართველო მოძმე რუსეთთან და ყველა მოკავშირე რესპუბ-ლიკასთან ერთად.

ორასი წელი ერის ცხოვრების საკმაოდ დიდი მონაკვეთია, მაგრამ თუ შევადარებთ პროგრესის იმ გრანდიოზულ მასშტაბებს, რასაც საქართველომ ამ ორასი წლის მანძილზე მიაღწია, მაშინ ეს წლები საკმაოდ მცირე მოგვეჩვე-ნება. შედარებისთვის მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ რიცხობრივად იმდროინ-დელი საქართველო ერთ მილიონსაც კი ვერ აღწევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ისტორიული დოკუმენტის რატიფიკაციამ მარტო საქართველოზე კი არა, მთელი ამიერკავკასიის ხალხებზე მოახდინა სასიკეთო ზეგავლენა.

ჩვენს ეპიროდულ პრესაში მრავალმხრივ წარმოჩინდა გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა და შედეგები. მასზე დაწერილებით წერა, ცხადია, ერთ წერილში შეუძლებელია. ცხადია, იგი აღემატება ერთი წერილისა და ერთი ადამიანის შესაძლებლობის საზღვრებს. ჩვენ მხოლოდ ზოგადი, მხოლოდ უმთავრესი მომენტების მონიშვნას თუ შეეძლებთ, მაგრამ ჩვენი სალიტერა-ტურო ჟურნალის ფურცლებიდან არ შეიძლება არ ვილაპარაკოთ იმ რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე, რომელიც სრულიად ახალი ფუ-რცელია ორივე ქვეყნის მწერლობის ისტორიაში. ახალს და მანამდის უც-ნობს. ცხადია, ვერც ამ სფეროში ვიტყვით რაიმეს, ერთხმად აღიარებული ფა-ქტია, რომ საქართველო, კავკასია იქცა რუსული პოეზიის პარნასად, პუშკი-ნისა და ლერმონტოვის გენიამ აქ სრულიად ახალი ძალით გაშალა ფრთები და მანამდის უცნობი პოეტური სამყარო აღმოუჩინა რუსეთს.

რუსულ-ქართული ლიტერატურული (და არა მარტო ლიტერატურული) ურთიერთობის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის რომანტიკული სიყვარულის ისტორია. ჭავჭავაძეთა სახე-ლოვანი სიძის ხსოვნას რუსეთთან ერთად სათუთად ინახავს ქართველი ერი, გრიბოედოვის საფლავზე მუდმივად აწყვია ცოცხალი ყვავილები.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ლევ ტოლსტოის სახელი, რომლის მწერ-ლური ბიოგრაფია მჭიდროდ უკავშირდება კავკასიას... რამდენს მეტყველებს

თუნდაც ის ფაქტი, რომ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულს მწერალს გულმა კავკასიისკენ გამოუწია და აქეთკენ მომსწრაფი ... ვდავებას და მარადისობას.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ სახელი პროლეტარული, საბჭოთა მწერლობის ფუძემდებლის მაქსიმ გორკისა, ვისი ბელეტრისტული დებიუტიც სწორედ საქართველოში შედგა და აქედან ეუწყა მსოფლიოს ახალი, დიდი ... ლის დაბადება!

ამ მეგობრობის გამორჩეულ ადგილას დგას მონუმენტური ფიგურა საბჭოთა პოეზიის მესაძირკვლის ვლადიმერ მაიაკოვსკისა, რომლის 90 წლის იუბილე ასე ფართოდ და მასშტაბურად გადაიხადა წელს ჩვენმა ქვეყანამ. სულიერი ნათესაობა, რომლითაც მაიაკოვსკი საქართველოსთან იყო დაკავშირებული, თავის მომავალ მკვლევარებს ელოდება. პოეტის განცხადება, რომ „მე ქართველი ვარ" — მარტო პოეტური მეტაფორა კი არაა, მას გაცილებით ღრმა შინაარსი გააჩნია. მაიაკოვსკი არ იყო ის პოეტი, ვინც დაუფიქრებლად, სხვათა საამებლად იტყოდა რამეს. ამ სიტყვებში იგულისხმება ქართული სულიერი კულტურის მიღება და პატივისცემა დიდი რუსი პოეტის მიერ. ცხადია, აქ ისიცაა ნათქვამი, რომ სამშობლო პოეტისა ბაღდადის ზეცა იყო; თუმცა მას ამ „ზეცის ვალი" არ გაჰყოლია, ჩვენ ამ სიტყვების მიღმა ვხედავთ პოეტის მადლიერ გულს, თავისი ბავშვობის საყვარელ ადგილებსა და ქვეყანას რომ ეხიყვარულება.

აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ბრწყინვალე რუსი პოეტის, სერგეი ესენინის სახელი, რომელსაც თავის დროზე დიდი სიყვარულით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა და ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებებზეა შექმნილი მისი შესანიშნავი, უშუალო, გულის სიღრმიდან წამოსული ლექსები.

საბჭოთა პერიოდში, 30-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ სხვა გასაქანი ეძლევა რუსი და ქართველი მწერლების მეგობრობას. იწყება დიდი ლიტერატურული პროცესი, რომელიც ორმხრივად ამდიდრებს ამ მწერლობებს. იწყება ინტენსიური თარგმნა ქართული პოეზიისა და ჩვენი პოეტური სიტყვა რუსული ენის მეშვეობით თამამად გადის საკავშირო და მსოფლიო არენაზე.

მეგობრობის ამ ამაღელვებელ მატიანეში პატიოსანი თვლებივით ბრწყინავენ სახელები ნიკოლოზ ტიხონოვისა და ნიკოლოზ ზაბოლოცკისა, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძისა, ბორის პასტერნაკისა, გიორგი ლეონიძისა, სიმონ ჩიქოვანისა...

ამ კულტურულ მემკვიდრეობას, წინაპართაგან ნაანდერძევ ძვირფას ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ თანამედროვე რუსი და ქართველი მწერლები: ალექსანდრე მეტიროვი და ირაკლი აბაშიძე, ევგენი ევტუშენკო და ჯანსუღ ჩარკვიანი, ბელა ახმადულინა და ოთარ ჭილაძე, იუნა მორიცი და გივი გეგეჭკორი, ვლადიმერ ლეონოვიჩი და თამაზ ჭილაძე და სხვანი და სხვანი....

მეგობრობის გზა უკვდავია, რადგან ახალ-ახალი თაობები გააგრძელებენ მას.

ეს გზა ორასი წლის წინათ დაიწყო!

გზა ორი ერის დამოყვრება-დამეგობრებისა!

ამ დიად თარიღს წელგამართული, ეროვნული სუვერენიტეტითა და საბელმწიფოებრივი ძლიერებით განმტკიცებული ზეიმობს ჩვენი ქვეყანა, ზეიმობს რუსეთთან ერთად, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, —უფრო დიდი და ბედნიერი მომავლის მომლოდინე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრ პუშკინი

პოეტს

ნუ მიენდობი ბრბოს სიყვარულს — უცბად გაგწირავს.
ბრბო დღეს თუ გაქებს, ხვალ გაძაგებს,
მეეთმოეთობს.
ბრიყვის ბრალდებას მოისმენ თუ ფლიდის დაცინვას
შენ შენთვის იდექ, მტკიცედ, მშვიდად იდექ, პოეტო.
მეფე ხარ! მარტო იყავ, მარტო! თავისუფალმა
გასწიე იქით, საითკენაც ისურვებ თვითონ.
სიტყვა და ლექსი გაჭირვებულს ფარად უფარე
და გმირობისთვის ნუ ითხოვ ჯილდოს.
იგი შენშია. შენ თვითონ ხარ შენი მსაჯული,
უზენაესი, ათას ცეცხლში გამოტანჯული.

კმაყოფილი ხარ შენი შრომით? მაშ, ბრბომ უგნურმა
რამდენიც უნდა გლანძღოს, აფურთხოს
იმ საკურთხეველს, სად გინთია ცეცხლი ნაკურთხი,
შენი მარადი, წმინდა ცეცხლი სადაც გუგუნებს.

●

შენ შემთხვევითო, ამაო ხვედრო,
სიცოცხლევ, შენს თავს რისთვის
მაჩვევდი,
თუ მაინც გელის იდუმალ ბედის
გარდაუვალი მკაცრი სასჯელი.

ვინღა აღმაგო მტრული ბრძანებით
არარაობის მტკვრიდან, ფერფლიდან.
სული და ხორცი მექცა წვალებად,
გონება ეჭვით გადამებინდა.

ვერ ვხედავ მიზანს, ვერც გზას
მომავლის
ჩვენთან, ცოცხლების ამ ჭრელ მხარეში...
და წუთისოფლის ერთფეროვანი
ფუჭი ხმაური მავსებს კაეშნით.

●

დრო არის, ჩემო მეგობარო, დროა წასვლისა.
ჩვენს სარკმელს ღამის შავი შუქი მოელაციცა.
დღეს დღე მიჰყვება, ჟამი მიდის ქვითინ-ქვითინით,
თან მიაქვს ჩვენი სიცოცხლე და მოჰყავს სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერება არ არსებობს,
მაგრამ ნათელი
თავისუფლება ხომ არსებობს ყოველისდამტევი.
ერთისღა ვოცნებობ, ერთი ფიქრი მკვრის აღტაცებას.
იმ ნათლით მოსილ, შორ მხარეში მინდა გაქცევა.

მონამ დაღლილმა სხვა რა გთხოვო,
სხვა რა ვინატრო,
იქ მინდა ვიყო, სად უკვდავი შუქი ბინადრობს.

●

შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ,
ცრემლით, ვედრებით გამოლოცვილი,
შენ მწუხარების დღეს ხარ მოძღვნილი,
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

როცა ჩაქრება შუქი დილისა
და ზღვა ჩემს ირგვლივ ზვირთებს
წამოშლის,
ცა გაეხვევა ელვის სამოსში,
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

მზე თუ მინელდა და მიინისლა,
გაძეგებული უცხო მხარეში,
ბრძოლის გრიგალში, ცეცხლის თარეშში
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

ტკბილი სიცრუე სიტყვის თბილისა,
ვით ჯადოქრული ლამპრის ნათება...
ღალატი... დევნა და ანათემა...
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

ჭრილობებს — ნიშანს შურის, ტყვიისა,
ნუ განმიახლებს კვლავ მოგონება.
ხალისი აღარ შერჩა ცხოვრებას,
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

თარგმნა ვახტანგ ხარჩილავამ

მიხეილ ლერმონტოვი

სამი პალმა

(აღმოსავლური თქმულება)

ო არაბეთის ქვიშნარ ველზე, ცამდე მაღალი
.... გოროზი პალმა იდგა ღვთიურ ღაღანით
და იმათ შორის, უნაყოფო ნიადაგიდან
მოჩქეფდა წყარო და მკვრივ ფესვებს სუნთქვას აღვრიდა...
წყაროს მტკრისგან და ხვატისაგან მათი ფოთლების
გრილი სამოსი იფარავდა თავგამოდებით...

მიჰკროდნენ წლები ასე ტკბილად და ღვთაებრივად...
მაგრამ ყარიბი, წამოსული უცხო ქვეყნიდან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიხრებოდა მწყურვალ მკერდით ვიდრე ბუჩქებქვეშ
და მიიტანდა დამსკდარ ტუჩებს ცივ სილურჯემდე —
წყაროომ დაიწყო ამოშრობა, ლაღმა პალმებმაც
ჩაჭკიდეს თავი... ხვატი არც ერთს არ იბრალებდა.

ჰოდა, პალმებმა ღმერთს შესჩივლეს: „აქ რომ ჩამოვხმეთ,
ნუთუ იმისთვის გაგვაჩინე? განა სამოთხეს
ვფლობდით... ვიდექით უსარგებლოდ ამ უდაბნოში,
მზე გვხრუკავდა და ქარს მიჰქონდა ჩვენი სამოსი,
მოწყალე თვალით არვის უთქვამს ჩვენთვის მადლობა,
და განაჩენი შენი, ღმერთო, უსამართლოა!“

პალმები როგორც კი გაყუჩდნენ — ლურჯ ჰორიზონტზე
ქარები ოქროს ქვიშის ფარჩებს ურჩად ისროდნენ, —
იდგა ბუქი.... და ზარის რეკვით მოაქანებდნენ
ჭრელ ხალიჩებით გამოტეხილ დიდ საპალნეებს...
ვით ზღვაში ნავი ნავს აფრების მსუბუქ დაქნევით —
უკან ფეხდაფეხ მოპყვებოდა აქლემს აქლემი.

მათ კუზებიდან მოუჩანდათ ფართქალ-ფართქალით
სამომთაბარედ მოხატული კარვის კალთანი...
ხელებიც ჩანდნენ, გარუჯულნი მზისგან ეგოდენ,
შავი თვალებიც სიშორიდან გამოკრთებოდნენ.
ტანს ნაქანდაკარს, თითქოს გაყრა სურდა ხელებთან —
შავი არაბი შავ მერანს რომ მოაჭენებდა.

ყალყზე დგებოდა ბედაური და მოფრინავდა,
ხტოდა და დაჭრილ ჯიქს მოჰგავდა ტკეთა ბინადარს,
ხოლო მის მხედარს, უდაბნოთა გზებზე გამოცდილს,
მხრებზე ეყარა მშვენიერი, თეთრი სამოსი, —
სტვენდა, ყვიროდა, მოანგრევდა ქვიშის ტალანებს,
შუბს გასტყორცნიდა და იჭერდა ძირს დავარდნამდე.

მოუახლოვდა ქარავანი პალმებს ნებივრად,
მოკარავენი მათ ჩრდილებქვეშ ბანაკდებიან...
წყარო არწყულებს თუნგებსა და დაღლილ აქლემებს,
პალმები თავებს ძენძ-ფოჩიანს გადაქნევენ
და მასპინძლობენ მოულოდნელ სტუმრებს გულუხვად,
ყველას არგუნეს ჩრდილისა და წყაროს ულუფა...

მაგრამ როგორც კი ვარსკვლავები ცით გამომზევდნენ,—
ბასრი ნაჯახი აკაკუნდა მათ მკვრივ კორძებზე...
დაეცნენ, სული განუტევეს ასწლოვანებმა,
ბავშვებმა ფარჩა დააფლითეს შეუბრალებლად,
დაჭრეს, დააპეს მათი ტანი და აისამდე
ხელ-ფეხს ითბობდნენ მათ ცეცხლზე და ღმერთს იფიცავდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გათენდა, როცა გაჭრა ღამე ნავლვივით —
ქარავანს უკვე თავისი გზა ჰქონდა გავლილი...
და უნაყოფო ნიადაგზე, მწუხარ ალაგას,
ჩამქრალი ცეცხლი დარდს და ვარამს ველარ მალავდა,
ქარი ფანტავდა და მზე წვავდა ფოთლებს დარჩენილს
და ყოველივეს დაჰყურებდა ციდან გამჩენი.

დღეს იქ ყუჩი და ველურობა სუფევს მარტოკა,
არ ფაჩუნობენ ფოთლები და წყარო არ ტოკავს, —
ამაოდ ითხოვს გამჩენისგან წყარო ჩრდილობებს, —
პირს ქვიშა უვსებს... მისი სულის დანთქმას ცდილობენ...
ყოველდღე მოდის ქოჩრიანი ძერა ამაყად
და მის მახლობლად ძიძგნის ნადავლს და ნაალაფარს.

თარგმნა ბათუ დანელიამ

ალექსანდრ ბლოკი

მ უ ზ ა ს

შენს სიმღერაში ისმის ფარული
საბედისწერო ჩქამი სიკვდილის,
წმინდა აღთქმათა წყევლა მზაკვრული
და უბედობა სასომიხდილის.

ო, სასურველო, გიმზერ როდესაც,
ვიცი, სიცოცხლე რომ შენი არის,
შენ აკნინებდი ანგელოსებსაც
და აცთუნებდი სიმშვენიერით.

რწმენას დასცინი ხმამოწამლული,
შენს ირგვლივ თითქოს შემობრუნდება
წრე ნაცრისფერი, მომეწამული,
მე რომ ვიხილე ერთხელ ბუნდოვნად.

რა ხარ — სიკეთე თუ ბოროტება,
საიდან, როგორ, რატომ მოხვედი,
ზოგისთვის ტკბილად რომ ბოლოვდები,
ჩემთვის ტანჯვა ხარ და ჯოჯოხეთი.

გამთენიისას, როცა მოძესმა
შენი ჩურჩული, — რატომ მშველოდი,
რატომ არ მოვკვდი, გნახე როდესაც
და შენგან ნუგეშს რისთვის ველოდი.

მე შენთან მტრობა მსურდა თავიდან,
მაგრამ არ ვიცი რისთვის მაჩუქე
ცა ვარსკვლავებით, მდელო ყვავილთა,
წყეულ სიტურფით რად გამაშუქე.

ცივ ღამეებზე უფრო მზაკვარო,
დამათრობელო, როგორ შემოდი?!
ხანმოკლე ტრფობის ცრუო გზა-კვალო,
ო, რა საშინლად მეფერებოდი.

საბედისწერო შვება, ვნებანი,
გამოტყუება მერე ამ გზიდან,
გულის უგონო სიტკბოებანი
და ვნება მწარე, როგორც აბზინდა.

ზ ე მ ო დ გ ო მ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ქარმა ფოთლოვან ტყეს არ უსმინა,
ვუმზერდი ცირცელს ტყეში შენიღბულს,
მალე ჯალათი ბოლო ლუსმნითაც
ჯვარს მიაჭედებს დაღლილ ხელის გულს.

მალე ტყვიისფერ მდინარის ციმციმს,—
მაღლა — ნესტიან, ცივ სირუხეში —
ჯვარზე გაკრული ვიხილავ, ვიცი.
მსხვერპლი სიმკაცრის და სიუხეშის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, მაშინ, მაშინ — სისხლდამდინარი —
ცრემლს უკანასკნელს სიმწრისგან
შევკრებ,
ვიხილავ ქრისტეს, ლურჯი მდინარით
ორჩხმელათი წამოსულს ჩემკენ.

თვალები მშვიდი, მშვიდი და წმინდა,
განა სიბრაზით შენისლულები,
გამომხედავენ ძველი ძაძიდან
ნალურსმევებით ხელისგულებ...

ღმერთო! სამშობლო მწუხრით მოცულა,
როგორღა უნდა გაუძლოს კაცმა. —
ნუთუ მაგ ნავით ჩემკენ მოცურავ,
რათა იხილო სიმაღლის ჯვარცმა.

●

იგი მოვიდა და მოიწდომა
მომშველებოდა ისე ვით წინათ,
გაექრო ჩემი უამინდობა
და გაყინული გაეთბო ბინა.

თავს წამომადგა უცებ ცასავით,
თვის სათქმელი უსიტყვოდ მითხრა,
ვერ შეეძელ თუნდაც ხელის სავსავით
მეთქვა, რომ მასზე ვდარდობდი
დიდხანს.

სევდით ჩამხედა ბინდიან თვალში,
თვალს მიბნელებდა მწუხრის საფენი,
მაგრამ ჩვენს შორის, მე მივხვდი მაშინ,
არ არსებობდა აღარაფერი.

მრავალი დღე და წელი მრავალი
მიწიერ ვნებით ვიყავ დაღლილი,
ბედნიერებამ, შორად მავალმა,
შორს ჩაიკროლა შლეგი მარხილით.

ავად ვარ, ვკვდები უარყოფილი,
თავისთან მიხმობს შუქი ციური,
ჩამავალი მზით ვარ კმაყოფილი,
არ მაკრთობს ღამე მარადიული.

მარადისობამ ცივი ციმციმით
ჩამხედა თვალში, გულში ჩამიკრა,
და ლურჯი ღამის მკაცრი სიცივით
ღელვის კოცონი მყისვე ჩამიკრა.

ანდრეი ბელი

მე

შორ გზაზე მიხვალ, როგორც მახვილი
გამოჩნდა მთვარე და გზას გაიგზებ,
ხედავ, ეს მე ვარ, გესმის ძახილი.
მოვალ. გიამბობ და შენ გაიგებ.

შრიალებს ჭვავი,
ლილას ადრიანს
ღამის ნაფლეთიც არ შერჩენია.
ის შენთანაა. იგი ლანდია,
შენი ლანდია და ის შენია.

იგი შენია, მაგრამ ეულებს
რა დაგრჩენიათ, დარდობთ მალულად...
მარტოდენ სწრაფვა აჩქარებული
და ერთფეროვან დღეთა მარული.

მოდი. კი, დიახ: წავალ ღამითაც.
ერთფეროვნება მარად თანმდევი...
ვერ გადავიტან, ვერ გადავიტან,
ღამევ. დამფარე შავი ლანდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახვალ, — უშენოდ კვლავ იციმციმებს
ამა ცხოვრების მღვრიე მორევი,
აქ ხომ გეძინა,
იქაც იძინე.
ანარეკლივით განმეორდები.

ძილშიც სიზმარი,
ცხადშიც ზმანება.

სიზმრიდან სიზმრად მიხეალ მავანი,
ისევ სიჩუმე და მდუმარეა [illegible]
და მკრთალი, მკრთალი [illegible]

იგივე დღე და ღამე გავიდა;
ერთფეროვნება მარად თანმდევი.
ვერ გადავიტან, ვერ გადავიტან, —
ღამევ, დამფარე შავი ლანდებით.

გზა

ბევრი ვიარე, ისევ იგივე
გაქცეულ სივრცის ნათება მკვეთრი,
ქვასავით მაგარ გზაზე ხრიგინით, —
ხრიგინ-ხრიგინით მიგორავს ეტლი.

ექვნის წკრიალი ისმის, არ კრება,
მე ვარ სნეული გზად დანაცემი...
ისევ მოჩანან ნათელ ლაქებად —
შორს მოლაქლაქე დედაკაცები.

ზვინებთან, სადაც ნარინჯისფერი
დგას ნეკერჩხალი უტყვი, ეული,

ჩამოიშალა ზეცა ცისფერი,
შავი ყორნებით დაფეთებული.

ვესტუმრებოდი ვინმეს სახლშიაც,
დაღლილი მყისვე დავიძინებდი.
მაგრამ სოფელი ისევ ძაშინებს
მზეამრეკლავი ბრწყინვით მინების.

სახლს გვერდს ავუქცევ, ძივდევ
დაისებს,
ვშიშობ არ შეეხვდნენ ლანძღვა-გინებით,
და ისევ, ისევ, ისევ და ისევ,
ამ მტვრიან გზაზე მივედინები.

განდევნილი

მე ვტოვებ ქალაქს სოფამოისს.
მაკრთობს ხმაურით, ხმებით
მგრგვინავით,
თუმცა შორიდან ისევ მოისმის
ხმა მოქირქილე და დამცინავი.

იქ მარადიულს წლები შევწირე,
არც გიფიქრიათ ჩემი დანდობა,
მყისვე ჩამქოლეთ, არ შემეწიეთ,
თქვენ ჩემი ტანჯვით გსურდათ
გართობა.

გტოვებთ, რამეთუ ვარ განდევნილი,
თავისუფლებას ვეღარ წამართმევთ.
გავრბივარ მწირი, ობლად შთენილი,
პურის ყანაში — მზე რომ ანათებს.

გავრბივარ ისევ და გზას ძილოცავს
ვრცელი ველები და მე არ გცხრები,
მე დავეცემი ლურჯ ღიღილოსთან,
მიწას ჭაღარით მივენარცხები.

ყვავილო, ნამით კვლავ დამასველე,
მაპკურე შენი ბროლის წვეთები,
მე მემამბოხე სულს მოვასვენებ —
სულს გატანჯულს და მოვითენთები.

მზე ჩადის. სხივი ჩუმად ძიცოცავს.
მზე ჩამავალი ზეცის ფერს შეცვლის.
გრილი ნიავი თმას ამიწეწავს.
თმას ამიწეწავს ადრე შევერცხლილს.

თარგმნა ბიჟი ალხაზიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ზოგადი მითითებანი დამწყებ მლიქვნელებს

ვინც სად მუშაობთ,
ყველანი იქვე
მრავლად შეხვდებით
ქლეასს და მლიქვნელს.
ზოგჯერ ჯველნი
მათ ბრმად ბაძავენ —
მღვრიე სდის წყალი
მღვრიე სათავეს.
მავანი ცდილობს
რომ უფროსის
მოიგოს გული,
ცდილობს რომ მიხვდეს
იმის ყველა
განზრახვას. სურვილს.
ეთქვათ, დაასწარით
უფროსს თქვენსას
გაღება კარის —
ფუუ! ძრომაა.
თქვენ ამჯერად იტეკლეთ მხარი.
ამ გულუბრყვილო
წადილს იგი არაფრად ჩაუგდის,
იფიქრებს:
თითქოს გეეალუბათ
ეს საქმე შტატით.
არსებობს კიდევ
მეთოდები
უფრო უხეშიც,
როცა პირდაპირ
ეუბარლებით
უფროსს მუხლებში.
მლიქვნელობასაც ნაჩი უნდა,
ალლო ჭირდება,
ნიჭის გარეშე
მლიქვნელებსაც გაუჭირდებათ.
დამწყებ მლიქვნელთა
საშველად და დასახმარებლად
გვსურს რამდენიმე
შეგონება.
არ გეეზარება!
ეთქვათ. კრიბაა და
უფროსს თქვენსას
აქვს მოხსენება.
ბრტყელ-ბრტყელებს ისვრის
ფრაზებს იგი
შეუსვენებლად;
ჭიქა მალიმალ
მიიქცეს ბაგესთან —
აღარ ჩერდება.
რაკი ერთხელ
ენის ალესავს...
ამ დროს
ვილაცა იყვირებს წყრომით:
— მომხსენებელო!
რეგლამენტი გავიდა მგონი!
თქვენ სწორედ მაშინ
ადგებით მყისვე
და მოიღერებთ
ტტიფრად კისერს:
იტყვით,
რომ სიტყვა მომხსენებლის
მზესავით ელავს.
და ამიტომაც
მოვთხოვთ
ბოლომდის ყველამ.
უფროსი იგი
ამის მერე აღარასოდეს
არ დაგივწყებთ.
შეგხვნავთ და დაგიმახსოვრებთ.
თუ ხელმძღვანელი
რაღაც სიტყვის თქმას ეპირება —
ხელში ჩაიგდეთ
ხელნაწერი აუცილებლად
და შეხვედრისას
ჩაუკარით დიმილით თვალი,
ხმა დაიშაქრეთ,
ძალიანაც
რომ იყოთ მწყრალი:
„სიტყვა კი არა.
რომანია.
ნაღდი შედევრი.
თქვენ პოეტი ხართ.
ო. ამდენი
როგორ შეძელით?

„ანტიდიუორინგს“
ამ თხზულებას
ვერც შევადარებ,
ეს ბრძნული აზრი,
ეტყობა, რომ დიდხანს ატარეთ...“
უფროსი იგი
ამის მერე
აღარასოდეს
არ დაგივიწყებთ,
შეგნიშნავთ და დაგიმახსოვრებთ.
თუკი შემთვრალი ხელმძღვანელი
შენიშნოთ გზაში
მანქანით მოდის
ლამაზმანთა თანხლებით,
მაშინ
კედლის გაზეთში
გამოაცხვეთ სტატია ხელად,
რომ დროა.
ჩვენთან
დროის ფასი ისწავლოს ყველამ,
რომ დროა უკვე
ჩაუკვირდეს
ამ ამბავს „კარგზე“,
ვინც სამსახურში
ფეხით დადის
და დროსა კარგავს...
შენ ამის მერე
თავი ქუდში
რომ გაქვს იცოდე,
უფროსი იგი
მოწყალე ხელს გამოგიწოდებს.
და თუკი არ გსურთ
პირფერად და მლიქვნელად ყოფნა,
პირს ნუ აიკრავთ,
ნუ ჩაუვლით
გულგრილად გვერდით
უმსგავსობას, სისაძაგლეს.
ნუ მოიკცევინ
იმგვარად, როგორც ცოტა ზევით
ამ ლექსში ვწერდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ესენინი

ჩამოშლილი თმებით,
მოტოციკლნი მკერდით,
არყისხეო, სევდით
ტბის ოად ჩაიკერდი?

ქარი რას გიმღერის
ან ეს ქვიშა ცხელი?..
გადავარცხნე თმები
მოვარის სავარცხელით!

შენს იდუმალ ზრახვებს
მიაქვს გულისყური...
რა სურვილებს ამხელ
რტოთა შარიშურით?

პასუხს მაძლევს არყი
დაოკებულ კვნესით:
„წუხელ აქ, ზემს თვალწინ
ცრემლს აფრქვევდა მწყემსი.

ირგვლივ მთვარის შუქზე
იწვა ჩრდილთა ზოლი,
ზემს ვათქვათა მუხლებს
ეხვეოდა თრთოლვით...

— მელოდოო უნდა. —
მითხრა სავსემ დარდით,
წეროების გუნდთა
ახალ მოფრენამდის!“

თარგმნა თედო ხეკიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრ მეჟიროვი

ანა, ჩემო მეგობარო...

(შვილიშვილისადმი)

ანა, ჩემო პაწაწინა საოცრებავ,
სიყვარული რამდენ სითბოს იტევს...
რა კარგია, რომ ექვსისა არ ხარ ჯერაც,
წინ დიდი გზა გიდევს!

ამ მიწაზე შენ მინთიხარ ლამპრად,
ამ მიწაზე, ახალ ომს რომ ელის,
შენ რა იცი, რომ მოხუცი შენი პაპა
არის მადლობელი,

იმისთვის, რომ შენ იმ მხარეს ჯერ არ წახვალ,
საიდანაც მე მოვედი უკვე.
ბოლოს მაინც ერთი გზა გვაქვს, ჩემო ანა,
ვიცი შენზე უკეთ...

მაგრამ დღეს კი ყველივლივით დაგატარებ
ამ გადაღლილ მხრებით —
თვითმფრინავში, თუ რელსებზე მატარებლის,
ვაკიან თუ აღმართიან გზებით.

ვერ ჩამოგსვამ, — იქნებ შევძლო, აგაცილო
მომავალი საშინელი ომი...
რომ არსებობ, ამიტომაც მერგო, შვილო,
ბედნიერი დამნაშავის როლი.

ევგენი ვინოკუროვი

●

ჩემო ლეკსებო, გთხოვთ, მაპატიოთ,
რომ მე ვარსებობ თქვენი წყალობით,
რომ სევდის ფასად მარილს ვყიდულობ,
ვყიდულობ ჩაის, სიგარეტს, ასანთს,
რომ პურს ვყიდულობ საფუნთუშეში...
გამომცემლობის ჩუმი მოლარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერც კი მამჩნევს, ფულს ისე მითვლის...
ო, მაპატიეთ — დღემდე თავს ვირჩენ
თქვენით, ლექსებო, თქვენით, რომლებიც
მოფრინავთ ჩემთან სხვა სამყაროდან,
ციდან ცვივიხართ ისე, უბრალოდ,
სულ უსასყიდლოდ, სულაც უფასოდ...
მე კი ფულს ვიღებ სწორედ იმიტომ
რომ თქვენ არსებობთ
და თავს ვინახავ ყოველდღიურად
თქვენის წყალობით.

თარგმნა მზია ხეთაგურმა

ევგენი ევტუშენკო

●

ბ. ახმადულინ ს

რა მემართება, რა მემართება:
ძველი ნაცნობი და მეგობარი აღარ მაკითხავს, — რას
მემართლება?..
მხოლოდ უსაქმო მრეველი მოიწევს,
მტვრის კორიანტელს სახლი მოიდებს
და უთავბოლო ორომტრიალში
ვეკრეტ ათასნაირ მიეთ-მოეთებს.
მასაც, ეტყობა,
ცუდი დღე ადგას,
სულ გარე-გარე ტრიალებს სადღაც,
ხან ნერვიულობს განუკითხავად,
ხან აპირქვავებს კითხაზე კითხას.
და დამშვიდებას ამაოდ ველი,
ორივეს გვზაფრავს ტკივილი ძველი,
და, როგორც ვატყობ —
ერთმანეთისთვის
აუხსნელია გათიშვა ჩვენი...
რა მემართება, რა მემართება! —
ან ბედისწერა რას მემართლება: ჩემსკენ სხვა ქალი
მოემართება
და გამოწვდილი ხელისგულებით
მხრებზე მაწვება, როგორც ბრალდება.
რა დამრჩენია, — ტკივილის გარდა:
და სიყვარულის ახალი მწყემსი
მაშორიშორებს საყვარელ ქალთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხოლოდ ფიტულს მატოვებს ხელში.
და რა ქნას ქალმა, ღმერთის წინაშე: გაუფასურდა მისი
სინაზე! —

ისიც, თავის მხრივ, ცხოვრებას მურდალს
ჩიხში იმწყვდევს და,
ბედის ჯინაზე,
სხვა ქალბატონის სიყვარულს ქურდავს.
ქურდავს, ჭოჭმანობს, ფიქრობს, თაკილობს...
თავდაოკებას როგორმე შეძლებს,
თუ სიყვარულის მთავარანგელოზს
თავს ჩამოაყრდნობს დაღალულ მხრებზე?..
მაგრამ თუ მხოლოდ წვალება შერჩა, თუ მაინც დარჩა
კენტად და ბერწად, —

მოძებნის ვინმეს —
თბილს და შორეულს, —
და ოცნებებში ძერწავს და ძერწავს.
სანერვიულო ბევრია მართლაც:
ეს მეგობრობა
უღვთო და სასტიკ,
ძალმომრეობას მაგონებს სადღაც
და გული მიგავს მძვინვარე ასპიტს.
ღმერთო მაღალო! ცდუნებას ულევს
და უღმერთობას
ვინ განასრულებს:
რად აახლოებ შორეულ ხმებს და
აშორიშორებ მახლობელ სულებს!..

სტენკა რაზინის სიკვდილით დასჯა

(ნაწყვეტი)

მოსკოვ-ქალაქის ეკლესიებში ისმის გალობის ხმა
მრავალჯერი,

მიარბენინებს ქურდი ფუნთუშებს —
კაცი არ არის მისი დამჭერი:
აღარც მსჯავრია ქურდობისთვის,
აღარც სასჯელი —
გულმოწყალეა, ჭეშმარიტად, ჩვენი გამჩენი!
დღეს სხვა დარია, სხვა ლიტანია, — სამრეკლოები რეკვენ
მალიად,

და ორიოდე ხაშხაშმოყრილი
ფუნთუშისათვის სადა სცალიათ!

დღეს —
დასასჯელად მოკყავთ რაზინი
და სასეირნად მიუჩქარიათ...

მეფე კი მიხაკ-დარიჩინით სასმელს ანელებს,
ბოთლს გამოწრუპავს, გამოიწოწყავს ფერიჭამელებს,
გულსა და ბოყვში მალვაზიის წვენს ჩაიგრეგებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოტიტა თითებს ჩაიზურმუტტ-
ჩაიოკროებს,
მივა სარკესთან, გაიჯგიმება,
გადაიპუდრავს ფუმფულა ლოყას
და მოედნისკენ:
რაზინი მოჰყავთ!

თავწაკრული და თმებგაკოკილი —
მიგორავს ქალი, — ვეება კასრი, გვერდებზე ფოჩი
თუ იალოჯი,
და დედის კვალზე —
ლოტოს კოშივით
მიკოკროშინობს პატარა გოჭი.
მე შენ გეტყვი და,
ჯავრიან ყელში
არ გადასვლია დილიდან ხემსი!
ცოტა არ იყოს, სიცხე ადუნებს,
შაქარყინულიც ადნება ხელში,
დავიღალეო! —
თავს იკატუნებს,
თან საკნატუნას მიაკნატუნებს,
თან უხარია:
ხელგაკოკილი
სტენკა ყაჩაღი მოჰყავთ ბატონებს!..

პირმოთნე ხალხი ალერსით ქრთამავს
ბოიარის ცოლს — აფრენილ გავაზს,
და მოწიწებით —
თავაზ და თავაზ —
ხელს აშველებენ თიმთიმა გაგას...

და გაბღვერილი ბოიარებიც
მოიარებით ამბობენ სალმელს,
სტენკას ჯალათებს უკმევენ საკმელს:
— გაჩარხულია რუსეთის საკმე!..

დგას ოინბაზი წითელი მამლით,
ქშენს სოვდაგარი — ფაშფაშა მამრი,
სტენკა მოჰყავთო! —
გაკონილ მუცელს
გაისიქსიქებს ძვირფასი ქამრით
და მოთიმთიმე
უკანალიდან
წყვილ-წყვილად გასდის მუხუდოს კვამლი...

ბერიკაცებიც —
მტკაველ და მტკაველ —
გაჩხინკულ ფეხებს ჯაყჯაყით დგამენ,
ცხრა იღუმენი შეყრილა ერთად,
სტენკა ყაჩაღზე ღუღუნებს ცხრავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თოკწაჭერილ საყელოებში
ასხმარტალებენ ქერქეტა თავებს.

ბოზანდარებმაც აიკრეს ბარგი,
აათიმთიმეს გავა და ბაყვი,
მიაპენინებენ,
მიდიან ჩორთით,
ბარკლებში გასდით უდაბნოს ალხი,
წკიპზე შემდგარა უსაქმო ხალხი:
სტენკა რაზინი
მოპყვება მარხილს!

ხორხოცი ბევრი,
მცირედი ცრემლი, —
შეზარავს მრეველი
და შეაძრწუნებს...
აწეულ მჯილებს,
შედეერილ ცულებს
და სტრელეცების მწივანა ცოლებს
ფიქრის ბურანში გადაპყავთ სადღაც,
აპირქვავებენ ლოთები კათხას
და აშტერდება უსახო მრევლი
ნაზარეული სამოსლის ქათქათს...

თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

ვიქტორ პოჟიდაევი

მეგობარს

არა, შარას ნუ თვლი განვლილს,
ჩავლილად,
და ახალში ძველიც იცან,
ჩემო...
არ განსაჯო გაზაფხულზე ბაღ-ვენახის
აღი და
უმწიფარი ნაყოფის სუსხიანი გემო.
თავის დრო აქვს ყველაფერს,
დამწიფ-დამწვერვალებას!
როგორც სიტყვას თავისი საბოლოო
ძეგლი...
აბა, ნახე, ბუნებას სადმე თუ
ეჩქარება,
თუ შესცვალოს შუადღეთი შუაღამის
ეტლი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნურც შენ ჩქაროობ დასაჯო ცდები
წარუმატელი,
არ იცრუო თავთან და არ იცრუებ
სხვასთან,
მაშინ მართლა მოესწრები დღესასწაულს
ნათელის,
საკუთარი სიკვდილის იქითაც კი
გასტან.

●

ვხედავ. ვხედავ: სულაც არ გიხარია,
შენს ფანჯრებთან აიშენეს სახლი.
აღარც ცა ჩანს, აღარც მთები არიან,
ვერც მდინარე გაგაგონებს ძახილს.

საწიერი განახევრდა სარკმელის,
დაბალი და მძიმე გახდა ჰერი,
მინდვრებიდან აწი ხშირად არ გელის
საოცარი სურნელი და ფერი.

რაღას იზამ? გაგღობ-გამოგარიღეს,
ველებს შექმნილს უსაზღვრობის
ყალმებით,
გზის გასწვრივ კი ვიწროდ ჩამოარიგეს
მოჭრაჭუნე ყინვიანში ალვები...

რაღას იზამ? შენდება და მისწვდება
ცას ქალაქი სანსკრიტივით რთული...
ხალხს კი მარად მართებს არდავიწყება—
რა ნათელი უნდა ჰქონდეს ადამიანს
სული...

თარგმნა ზურაბ ნარმანიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონ ჩეხოვი

ვალოდია

ზაფხულის ერთ კვირა დღეს, საღამოს ხუთ საათზე, ჩვიდმეტი წლის ვალოდია. — უშნო, ავადმყოფური შეხედულებიანი მორცხვი ყმაწვილი, შუმიხინების აგარაკის ფანჩატურში იჯდა მოწყენილი. მისი ფიქრები სამ ნაკადად მიედინებოდა: პირველ რიგში, ხვალ, ორშაბათს, გამოცდა უნდა ჩაბარებინა ძათემატიკაში; მან იცოდა, რომ ხვალ თუ ვერ ამოხსნიდა წერით ამოცანას, გარიცხავდნენ, რადგან ერთხელ უკვე დაჩენილი იყო მეექვსე კლასში და აღგებრაში 2,3/4 ნიშანი ჰქონდა. მეორე, მდიდარ და არისტოკრატობაზე პრეტენზიის მქონე შუმიხინებთან ყოფნა მის თავმოყვარეობას შუდმივ ტკივილს აყენებდა — ეჩვენებოდა, რომ ქ-ნი შუმიხინა და მისი დისწულები მას და დედამისს როგორც ღარიბ ნათესავებს და სამადლოდ სარჩენებს, ისე უყურებდნენ. ბიჭი გრძნობდა, აბუჩად იგდებდნენ, პატივს არ სცემდნენ დედამისს ერთხელ უცაბედად მოჰკრა ყური, როგორ ეუბნებოდა ქ-ნი შუმიხინა ტერასაზე თავის დეიდაშვილს, ანა ფეოდოროვნას, — მარია ლეონტიევნა ძვალებერად კოპწიაობს და კოხტობს. წაგებულს არასოდეს არ იხდის და სხვისი ფეხსაცმლებისა და თამბაკოსადმი მიდრეკილება აქვსო. ვალოდია ყოველდღე ემუდარებოდა დედას, ოღონ არ წასულიყვნენ შუმიხინებთან. ეუბნებოდა, რა დამაძცირებელ როლს თამაშობს ქალი ამ ბატონებთან, არწმუნებდა, თავხედურად ელაპარაკებოდა. მაგრამ ის განებივრებული, ქარაფშუტა. საკუთარი და ქმრის ქონების გამნიავებელი ქალი იყო, მუდამ მაღალი საზოგადოებისკენ მიილტვოდა. არ ესმოდა შვილის და ვალოდიაც ძალულებული გახლდათ ეკირაში ორჯელ გაეცილებინნა დედა მისთვის საძულველ აგარაკზე.

მესამე: ყმაწვილი ერთი წუთითაც ვერ იშორებდა უცნაურ, უსიამოვნო გრძნობას, რომელიც მისთვის სრულიად ახალი იყო... ეჩვენებოდა, რომ შუმიხინების სტუმარი ანა ფეოდოროვნა შეუყვარდა. ეს იყო მოძრავი, მაღალმიანი, მცინარა, ოცდაათიოდე წლის ჯან-ღონით სავსე ქალბატონი, ჩამოსხმული მხრებით, მრგვალი ნიკაპით და თხელ ბაგეზე მუდმივი ღიმილით. ქალი შეუხედავი და არც ისე ახალგაზრდა იყო, რაც ვალოდიამ კარგად იცოდა. მაგრამ რატომღაც არ შესწვედა ძალა. არ ეფიქრა მასზე. არ ეცქინა კროკეტის თამაშისას როგორ წევდა ქალი მხრებს და როგორ ამოძრავებდა გადატკეცილ ზურგს ან. ბევრი საცილისა და კიბეზე სირბილს მერე, როგორ ეცემოდა სავარძელში და თვალებმილულები მძიმედ სუნთქავდა. თვალთმაქცობდა — ვითომ სული მეხუთებაო. ქალი გათხოვილი იყო: მისი ქმაო, სოლიდური არქიტექტორი, ეკირაში ერთხელ ჩამოდიოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგარაკზე, კარგად გამოიძინებდა და ქალაქში ბრუნდებოდა. უცნაური გაწცდა ვალოდიას მაშინ დაეწყო. არქიტექტორი რატომღაც უმიზეზოდ რომ შეიძულა. ამის შემდეგ ყოველთვის სიხარულს ანიჭებდა ანა ფეოდოროვნას ქმრის ქალაქში დაბრუნება.

ახლა, ფანჩატურში მჯდარს, ხვალინდელ გამოცდასა და დედაზე ფიქრისას, რომელსაც აბუზად იგდებენ, ნიუტას ნახვის საოცარი სურვილი დაუფლებოდა (ასე ეძახდნენ შუმიხინები ანა ფეოდოროვნას), მისი სიცილისა და კაბის შრიალის... ეს სურვილი აო ჰგავდა იმ წმინდა, პოეტურ სიყვარულს, რომელიც რომანებში ჰქონდა წაკითხული და რომელზეც ყოველ საღამოს ოცნებობდა დაძინების წინ, სურვილი უცნაური, გაუგებარი იყო, რცხვენოდა და ეშინოდა მისი, როგორც რაღაც ძალიან ცუდის და უწმინდურის, რაშიც თავის თავსაც კი ვერ უტყდებოდა.

— ეს არ არის სიყვარული, — თავის თავს ეუბნებოდა იგი. — ოცდაათი წლის გათხოვილი ქალები არ უყვარდებათ... ეს, უბრალოდ, ჰატარა ინტრიგაა... ჰო, ჰატარა ინტრიგა...

ინტრიგაზე ფიქრისას გაახსენდა თავისი დაუძლეველი გაუბედაობა, უუვერულობა. ჯორფლი, წვრილი თვალები, თავისი თავი ნიუტას გვერდით... მაგრამ არაფრით არ გამოსდიოდა, მაშინ ჩქარობდა საკუთარი თავი წარმოედგინა ლამაზ, თამამ, გონებამახვილ, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმულ ახალგაზრდად...

მიწას დაშტერებული, მხრებში მოხრილი, ფანჩატუოის ბნელ კუთხეში იჯდა და შუა ოცნებაში იყო, რომ მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოესმა. ვიღაც აუჩქარებლად მოუყვებოდა ხეივანს. მალე ნაბიჯის ხმა შეწყდა და ფანჩატურის შესასვლელთან რაღაც თეთრმა გაიელვა.

— არის აქ ვინმე? — იკითხა ქალის ხმამ.

ვალოდიამ იცნო ეს ხმა ... ულმა აწია თავი.

— ვინ არის? — იკითხა ნიუტამ ფანჩატურში შესვლისას. — აჰ, ეს თქვენ ხართ, ვალოდია? აქ რას აკეთებთ? ფიქრობთ? როგორ შეიძლება ამდენი ფიქრი, ფიქრი, ფიქრი... ასე შეიძლება გაგიჟდეთ!

ვალოდია წამოდგა და დაბნეულად შეხედა ნიუტას. ქალი ახალი მოსული იყო საბანაოდან. მხრებზე ზეწარი და ხალიანი პირსახოცი ეფინა და თეთრი აბრეშუმის თავსაფრიდან შუბლზე მიწებებული სველი თმა მოეჩანდა. იგი გრილი წყლის და ნუშის საპნის სურნელს აფრქვევდა. ჩქარი სიარულისგან ქოშინებდა, ბლუზის ზედა ღილი შეხსნილი ჰქონდა და ყმაწვილი კარგად ხედავდა ქალის ყელსა და მკერდს.

— რას გაჩუმებულხართ? — ჰკითხა ნიუტამ ვალოდიას, თან ათვალიერებდა. — როდესაც მანდილოსანი გელაპარაკებათ, ლუმელი უზრდელობაა. მაინც როგორი მოუქნელი ხართ, ვალოდია! სულ ზიხართ და სდუმხართ, დიდი ფილოსოფოსივით ფიქრობთ. თქვენში არ იგრძნობა სიცოცხლე და ცეცხლი! რა საზიზღარი ხართ, მართალი გითხრათ... თქვენს ასაკში უნდა იცხოვროთ, ირბინოთ, გაუჩერებლად უნდა ლაპარაკობდეთ, ქალებს ეარშიყებოდეთ, უნდა გიყვარდეთ.

ვალოდია ეცქერი თეთრსა და ფუმფულა ხელს ზეწარი რომ ეჭირა და ფიქრობდა....

— სდუმს, — უკვირდა ნიუტას — ეს უცნაურიც კია... მისმინეთ, იყავით მამაკაცი! გაიღიმეთ მაინც! ფუჭ, საზიზღარი ფილოსოფოსი! — გაიცინა ქალ. — ვალოდია, თქვენ იცით, რატომ ხართ ასეთი მოუქნელი? იმიტომ რომ ქალებს არ ეარშიყებით. რატომ არ ეარშიყებით? მართალია, აქ არ არიან ქალიშვილები, მაგრამ ეს ზომ ხელს არ გიშლით, რომ ქალბატონებს ეარშიყოთ! აი, მაგალითად, მე რატომ არ მეარშიყებით?

ვალოდია უსმენდა და მძიმედ, დაძაბულად ჩაფიქრებული საფეთქელს ისრესდა.

დუმილი და განმარტოება მხოლოდ ძალზე ამაყ ადამიანებს უყვართ, —გაგიჩერდა ნიუტამ და ვალოდიას ხელი მოაშორებინა საფეთქლიდან. — თქვენ ამპარტავანი ხართ, ვალოდია. მალულად რატომ მიცქერით? კეთილ ინებეთ, პირდაპირ მიცქერეთ სახეში! თამამად, თამამად!

ვალოდიამ სიტყვის თქმა დაიპირა. გალიმებაც უნდოდა, მაგრამ ქვედა ტუჩი შეუტოკდა, თვალები დაეხამხამა და კვლავ საფეთქლისკენ წაიღო ხელი.

— მე... მე თქვენ მიყვარხართ! — ჩაილაპარაკა მან.

ნიუტამ გაკვიცვების ნიშნად წარბები ასწია და გაიცინა.

— ეს რა მესმის?! — ისე წაიმღერა, როგორც ოპერის მომღერლები მღერიან ხოლმე, როცა რაღაც საშინელი რამ ესმით. — როგორ? რა თქვით? გიმეორეთ, გიმეორეთ...

— მე... მე თქვენ მიყვარხართ! — გაიმეორა ვალოდიამ.

და უკვე ყოველგვარი კონტროლი დაკარგა. აღარაფერი აღარ გაუგებდა. ნახევარი ნაბიჯი გადადგა ნიუტასკენ და იდაყვზემოთ მოჰკიდა ხელი. თვალები აუკრეფდა, ცრემლი მოადგა თვალებზე და მთელი სამყარო ერთ დიდ ხაოიან პირსახოცად იქცა.

— ბრავო, ბრავო! — მოესმა მხიარული სიცილი — რაღას სდუმხართ? მე მინდა, რომ თქვენ ილაპარაკოთ! აბა?

ვალოდიამ დაინახა, ხელების დაუჭერას რომ არ უშლიდნენ, ნიუტას მცინარ სახეს შეხედა, მოუქნელად, უხერხულად მოხვია წელზე ხელები და ხელის მტევნები ქალის ხურგს უკან შეაერთა. მკლავებში მოემწყვდია მისი წელი, ქალს კი კეფასთან შეეერთებინა ხელები, იდაყვებზე პატარა ორმოები მოეჩანდა, თავსაფრის ქვეშ ვარცხნილობას ისწორებდა და მშვიდი ხმით ამბობდა:

— ვალოდია, თქვენ მარჯვე უნდა იყოთ, თავაზიანი, საყვარელი... კი, მხოლოდ ქალთა საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად შეიძლება გახდეთ. მაინც როგორი ცუდი... ბრაზიანი სახე გაქვთ. უნდა ილაპარაკოთ, იცინოთ... დიახ, ვალოდია, ნუ იქნებით უქმური, თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ და მოასწრებთ ფილოსოფოსობას. აბა, გამიშვით, წავალ, გამიშვით, რაღა!

ქალმა ძალდატანებულად გაითავისუფლა წელი და ფიფინით გავიდა ფანჩატურიდან. ვალოდია მარტო დარჩა. თმაზე ხელი გადაისვა, გაეღიმა და სამჯერ გაიარ-გამოიარა ფანჩატურის კუთხიდან კუთხეში, მერე სკამზე დაჯდა და კვლავ გაეღიმა. მას რცხვენოდა, რცხვენოდა იმდენად გაუძღისად, რომ თვითონაც კი უკვირდა, ადამიანურ სირცხვილს, ასეთ სიმძაფრეს და სიძლიერეს რომ შეუძლია მიაღწიოსო. სირცხვილისგან იღიმებოდა, რაღაც ამდაუბდას ჩურჩულებდა და ხელებს იქნევდა.

მას რცხვენოდა პატარა ბიჭივით რომ მოექცნენ, რცხვენოდა თავისი გაუბედაობის, ხოლო, რაც მთავარია, იმისა, წესიერ, გათხოვილ ქალს წელზე ხელების მოხვევა რომ გაუბედა, თუმცა არც ასაკით, არც გარეგნული მონაცემებით და არც საზოგადოებრივი მდგომარეობით, როგორც მას ეჩვენებოდა, ამის არავითარი უფლება არ ჰქონდა.

იგი წამოიჭრა, ფანჩატურიდან გავიდა და სახლისგან მოშორებით, ბაღის სიღრმისკენ უკან მოუხედავად გაემართა.

„ოჰ, ნეტა მალე წავიდეთ აქედან! — ფიქრობდა თავზე ხელებწვლებული, — ღმერთო, მალე, მალე!“

მატარებელი, რომლითაც ვალოდია დედასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო, რვა საათსა და ორმოც წუთზე

ანტონ ჩეხოვი
ვალოდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა. სადგურში წასვლამდე სამიოდე საათი რჩებოდა, მაგრამ იგი სიამოვნებით წავიდოდა ახლავე და დედის გარეშე.

რვა საათისთვის ვალოდია სახლს უახლოვდებოდა. მთელი მისი სხეული სიმტკიცეს გამოხატავდა: რაც იქნება, იქნება! მან გადაწყვიტა, ყველაფრის მიუხედავად, თამამად შესულიყო ოთახში, პირდაპირ ეცქირა და ხმამაღლა ელაპარაკა.

გიიარა ტერასა, დიდი დარბაზი, სასტუმრო ოთახი და აქ გაჩერდა სულის მოსათქმელად. სასადილო ოთახიდან ისმოდა როგორ სვამდნენ ჩაის. ქალბატონი შუმიხინა, დედა და ნიუტა რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ.

ვალოდიამ ყური მიუგდო.

— მერწმუნეთ! — ამბობდა ნიუტა, — საკუთარ თვალებს არ დაეუჯერე სიყვარულში როცა გამომიტყდა და, წარმოიდგინეთ, წელზეც კი მომხვია ხელები, ვერ ვიცანი. იცით, მას აქვს რაღაც თავისებური მანერა! მიყვარხართო რომ მითხრა, ჩერქეზივით მხეცური გამომეტყველება ჰქონდა.

— ნუთუ მართლა? — წამოიძახა დედამ და გაბმულად გადაიკისკისა.

— ნუთუ მართლა! როგორ მაგონებს მამამისს!

ვალოდია უკან გაიქცა და სუფთა ჰაერზე გავარდა.

„როგორ შეუძლიათ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი! — იტანჯებოდა, ხელებს ასავსავებდა და შეძრწუნებული ცას შეჰყურებდა. — ხმამაღლა, გულგრილად ლაპარაკობენ... და დედაც იცინოდა... დედაც! ღმერთო, რატომ მომეცი ასეთი დედა? რატომ?“

მაგრამ სახლში შესვლა გარდაუვალი იყო. რამდენჯერმე ხეივანში გაიარ-გამოიარა, ოდნავ დაწყნარდა და სახლში შებრუნდა.

— დროზე რატომ არ მოდიხართ ჩაის დასალევად? — მკაცრად ჰკითხა ქალბატონმა შუმიხინამ.

— დამნაშავე ვარ, ჩემი... ჩემი წასვლის დროა, — თვალებდახრილმა ჩაიბურტყუნა. — დედა, უკვე, ალბათ, დაგვიანია!

— მარტო წადი, გენაცვალე, — მინაზებული ხმით უპასუხა დედამ. — ლილისთან გავათევ ღამეს. მშვიდობით, ძვირფასო... მოდი, პირჯვარს გადაგწერ...

მან პირჯვარი გადასწერა ვაჟიშვილს, და ფრანგულად უთხრა ნიუტას:

— ოდნავ ლერმონტოვს წაგავს... არა?

ვალოდია დაუდევრად დაემშვიდობა ყველას, არავისთვის შეუხედავს სახეში, ისე გავიდა სასადილო ოთახიდან. ათი წუთის შემდეგ, უკვე სადგურისკენ მიმავალ გზაზე მიაბიჯებდა და უხაროდა, რომ წამოვიდა, ახლა აღარც ეშინოდა, აღარც რცხვენოდა, — მსუბუქად და ლაღად სუნთქავდა.

სადგურამდე ნახევარი ვერსის დაშორებით, გზის პირას, ქვაზე ჩამოჯდა და მზეს დაუწყო ცქერა, რომელიც სანახევროდ რკინიგზის ყრილის იქით ჩამალულიყო. სადგურზე აქაოქ უკვე სინათლეები აინთო, ერთმა მქრქალმა, მწვანე ნათურამ გაიელვა, მაგრამ მატარებელი ჯერ არ ჩანდა. ვალოდიას სიამოვნებდა გაუწძრევლად ჯდომა, ფანჩატურის ბინდი, საბანაოს სუნი, სიცილი და ქალის წელი, — ეს ყველაფერი განსაკუთრებული სიცხადით წარმოუდგა თვალწინ და უკვე აღარ ეჩვენებოდა ისე საშინლად და მნიშვნელოვნად, როგორც ადრე....

„სისულელეა... მან არ მოიშორა ჩემი ხელები, როცა წელზე მოვხვიე, მხოლოდ იცინოდა, — ფიქრობდა იგი, — მაშასადამე, ეს მოსწონდა, რომ არ მოსწონებოდა, მაშინ გაბრაზდებოდა.

და ახლა ვალოდიას დაენანა, რომ იქ, ფანჩატურში გამბედაობა არ ეყო, გული დაწყდა, რომ ისე სულელურად მიდიოდა, და უკვე დარწმუნებული იყო ის შემთხვევა რომ განმეორებულიყო, საგნებს უფრო თამამად და მარტივად შეხედავდა.

ხოლო შემთხვევის განმეორება არც ისე ძნელი იყო. ვახშმობის შემდეგ

შუმიხინებთან დიდხანს სეირნობენ. თუკი ვალოდია ნიუტასთან ერთად წავა ბნელ ბაღში სასეირნოდ, შემთხვევაც განმეორდება!

—„დავბრუნდები, — გაიფიქრა მან, — ხვალ კი დილის მატარებელს გავყვები... ვიტყვი, რომ მატარებელზე დამაგვიანდა“.

და დაბრუნდა... ქ-ნი შუმიხინა, დედა, ნიუტა და შუმიხინის ერთ-ერთი დისწული ტერასაზე ისხდნენ და ვინტს თამაშობდნენ. როდესაც ვალოდიამ იცრუა, მატარებელზე დამაგვიანდაო, ისინი შეწუხდნენ, გამოცდაზე ხვალეც არ დაიგვიანოო და ადრე დაწოლა ურჩიეს. მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ისინი ბანქოს თამაშობდნენ, ვალოდია განზე იჯდა, ხარბად ათვალიერებდა ნიუტას და იცდიდა... მას უკვე მომზადებული ჰქონდა გეგმა: სიბნელეში მიუახლოვდება ნიუტას, მის ხელს აიღებს, მერე მოეხვევა; არაფრის თქმა არ იქნება საჭირო, — ყველაფერი ისედაც გასაგები იქნება.

მაგრამ ნავაბშვილს ქალები არ წავიდნენ ბაღში სასეირნოდ და ბანქოს თამაში გააგრძელეს. ღამის პირველ საათამდე ითამაშეს და მერე დასაძინებლად დაიშალნენ.

„რა სისულელეა ეს ყველაფერი!— ჯავრობდა ვალოდია დაწოლისას, — მაგრამ არა უშავს, ხვალამდე დავიცდი... ხვალ ისევ ფანჩატურში... არაფერია...“

იგი არ ცდილობდა დაძინებას; ლოგინში წამომჯდარიყო, მუხლებზე ხელები მოეხვია და ფიქრობდა. არა, გამოცდაზე ფიქრი ზიზღს ჰგვრიდა. უკვე გრძნობდა, რომ გარიცხავდნენ, თუმცა ასეც ფიქრობდა: რომ არაფერი საშინელი ამაში არ არის, — პირიქით, ყველაფერი კარგადაა, ძალიან კარგად, ხვალ ჩიტივით თავისუფალი იქნება, სამოქალაქო კოსტიუმს ჩაიცვამს, დაუფარავად მოსწევს, აქ ჩამოვა, ნიუტას გაეარშიყება, როცა მოესურვება და უკვე გიმნაზიელი კი არა, „ახალგაზრდა კაცი“ იქნება, ხოლო დანარჩენი, რასაც კარიერა და მომავალი ჰქვია, ძალზე ნათელია: ნებიოგამუსიკალი გახდება და ტელეგრაფისტად ინიშნება, ბოლოს აფთიაქში, პროვიზორად... განა ცოტა თანამდებობაა? გახდა პირველი საათი, ის კი კვლავ იჯდა და ფიქრობდა...

მესამე საათისთვის, გათენებისას, კარმა ფრთხილად გაიჭრიალა და ოთახში დედა შემოვიდა.

— არ გძინავს? — ჰკითხა მთქნარებით — დაიძინე, დაიძინე, ერთი წუთით შემოვედი... წვეთებს ავიღებ მხოლოდ...

— რად გინდათ?

— საბრალო ლილის ისევ სპაზმები აქვს, დაიძინე, შვილო, ხვალ გამოცდა გაქვს...

პატარა კარადიდან რაღაც ფლაკონი გამოიღო, ფანჯარასთან მივიდა, სიგნატურა წაიკითხა და გავიდა.

— მარია ლეონტიევნა, ეს სხვა წვეთებია! — მოესმა წუთის შემდეგ ვალოდიას ქალის ხმა. — ეს შრომანისაა, ლილია კი მორფინს თხოულობს. თქვენს ვაქს სძინავს? თხოვეთ მან მოძებნოს...

ეს ნიუტას ხმა იყო. ვალოდიას ციცმა ერუანტელმა დაუარა. სწრაფად ჩაიცვა შარვალი, მხრებზე შინელი მოისხა და კარისკენ წავიდა.

— მიხვდით? მორფინი! — ჩურჩულით უსსნიდა ნიუტა დედას. — ლათინურად უნდა ეწეროს. — ვალოდია გაღვიძეთ, ის მოძებნის...

დედამ კარი გააღო და ვალოდიამ ნიუტა დაინახა. ნიუტას იგივე ბლუზა ეცვა. საბანაოდან რომ ბრუნდებოდა. დაუვარცხნელი თმა მხრებზე უწესრიგოთ ეყარა. ნამძინარევი სახე ბინდბუნდისგან ჩამუქებოდა...

— აი, ვალოდიას არ სძინავს... — თქვა მან, — ვალოდია, მოძებნეთ, გეთაყვა, მორფინი! სასჯელია ეს ლილი... მუდამ რაღაც სტკივა.

ანდრიეს ჩეხოვი
ვალოდია

დედამ რაღაც წაიბუტბუტა, დაამთქნარა და გავიდა.

— მოძებნეთ, — თქვა ნიუტამ. — რაღას უდგებართ?

ვალოდია კარადისკენ გაემართა, ჩაიმუხლა და ფლაკონებს და წამლიან ყუთებს ათვალიერებდა. ხელები უცახცახებდა, ხოლო გულ-ღვიძლში ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ცივი ტალღები უვლიდნენ. ეთერის, კარბოლმჟავისა და სხვადასხვა ბალახისაგან, რომელთაც საჭიროების გარეშე ავლებდა აცახცახებულ ხელებს, სული ეხუთებოდა და თავბრუ ესხმოდა.

„მგონი დედა წავიდა, — გაიფიქრა მან. — ეს კარგია... კარგია...“

— ნახეთ? — ჰკითხა ნიუტამ

— ახლავე... აი, მგონი მორფინია... თქვა ვალოდიამ. — ინებეთ!

ნიუტა ისე იდგა კარებში, რომ ერთი ფეხი დერეფანში ჰქონდა, ხოლო მეორე მის ოთახში. თმას ისწორებდა — საოცრად ხშირი და გრძელი თმას! დაფანტულად უცქერდა ვალოდიას. ფართო ბლუზაში ნამძინარევი სახით, გაშლილი თმით, იმ მწირ სინათლეზე, რომელიც ოდნავ გაბაცებული ციცან შემოდიოდა, ვალოდიას ქალი მომზიდველი, ლამაზი მოეჩვენა... მოხიბლულმა, მთელი სხეულით ათრთოლებულმა, ნეტარებით გაიხსენა, როგორ ეხვეოდა ფანჩატურში ამ მშვენიერ სხეულს, წვეთები მიაწოდა ქალს და თქვა:

— როგორი...

— რა?

ქალი ოთახში შევიდა.

— რა? — ჰკითხა გაღიმებულმა.

ვალოდია სდუმდა და ქალს უცქერდა, მერე, როგორც მაშინ, ფანჩატურში, მისი ხელი აიღო... ის კი უყურებდა, იღიმებოდა და იცინოდა: ენა-ბოთ, მერე რა მოხდებაო?

— მე თქვენ მიყვარხართ... — ჩურჩულით თქვა ვაჟმა.

ნიუტა ალარ იღიმებოდა, დაფიქრდა და თქვა:

— მოიცათ, მგონი ვიღაც მოდის, ოჰ, ეს გიმნაზიელები! — ხმადაბლა, ჩაილაპარაკა, კარისკენ წავიდა და დერეფანში გაიხედა. — არა, არავინ არ არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქალი დაბრუნდა...

მერე ვალოდიას მოეჩვენა, რომ ოთახი, ნიუტა, განთიადი და თვითონ, ყოველივე შეერთდა ბედნიერების ერთ მძაფრ, არაჩვეულებრივ, წარმოუდგენელ შეგრძნებაში, რომლისთვისაც მთელ სიცოცხლეს დათმობდა და მზად იყო სამუდამოდ ეტანჯა. მაგრამ ნახევარ წუთსაც არ გაევლო, რომ ეს ყველაფერი გაქრა, — ვალოდია მხოლოდ ქალის სავსე, ზიზღნარევი გრძნობისგან დამახინჯებულ ულამაზო სახეს ხედავდა და თვითონაც უეცრად იგრძნო ზიზღი მომზდარისადმი.

— უნდა წავიდე, — წარმოთქვა ნიუტამ, ზიზღით ჩაათვალიერა რა ვალოდია, — როგორი უშნო, საცოდავი ხართ.... ფუჭ, საძაგელი იხვის ჭუკი!

ვალოდიას ახლა უგვანო მოეჩვენა ქალის გრძელი თმა, ფართო ბლუზა, მისი სიარული, ხმა!..

„საძაგელი იხვის ჭუკი... — ფიქრობდა ქალის წასვლის შემდეგ. — მართლაც საძაგელია ვარ... ყველაფერი საძაგელია“.

ეზოში უკვე მზე ამოდიოდა, ჩიტები ხმამაღლა ჭიკჭიკებდნენ, ბაღიდან მებაღის ფეხის ხმა და ურიკის ჭრიალი მოისმოდა... ხოლო მცირე ხნის მერე ძროხების ბღავილი და მწყემსის სალამურის ხმაც გაისმა. მზის ნათელი და ხმები ვალოდიას ეუბნებოდნენ, რომ სადღაც ამქვეყნად სპეტაკი, მომხიბვლელი და ჰოეტური ცხოვრება არსებობს. მაგრამ სად? ამაზე არასდროს არ უთქვამთ არც დედას და არც მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს.

როდესაც მსახური დილის მატარებლის გასვლის წინ აღვიძებდა, თავი მოიმძინარა...

„ეშმაკთანაც წასულხართ!“ — გაიფიქრა მან.

თერთმეტი საათისთვის წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმის ვარცხნისას, სარკეში, თავის უშნო, უძილო ღამისგან გაფერმკრთალებული სახე რომ დაინახა, გაიფიქრა:

„სავსებით სწორია... სძაგელი იხვის ჭუკი ვარ“.

ძის დანახვისას დედას ელდა ეცა. ვალოდიამ თქვა:

— დამეძინა, დედა... მაგრამ ნუ იღელვებთ, გიმნაზიაში სამედიცინო მოწმობას წარვადგენ.

შუმიხინამ და ნიუტამ პირველის დასაწყისისთვის გაიღვიძეს. ვალოდიას ესმოდა, ახლად გამოღვიძებულმა შუმიხინამ როგორი ზრიალით გამოაღო ფანჯარა თავის ოთახში, როგორი მშეცარე სიცილით უპასუხა ნიუტამ შუმიხინას უხეშ ლაპარაკს. ვალოდია ხედავდა, როგორ გაიღო კარი და სასტუმრო ოთახიდან სასაუზმოდ ჩამწკრივებული ნათესავებისა და სამადლოდ საოჩენთა წყება გამოვიდა (უკანასკნელთა რიგში იყო დედა), ხედავდა როგორ გაიელვა ნიუტას ახალდაბანილმა მცინარმა სახემ, მისი სახის გვერდით კი, ცოტა ხნის წინ ჩამოსული არქიტექტორის შავმა წარბებმა და.ზვერა.

ნიუტას უკრაინული კოსტიუმი ეცვა, რომელიც სრულებით არ უხდებოდა და ტლანქს აჩენდა. არქიტექტორი უხამსად და უფიზოდ მახვილსიტყვაობდა. კატლეტებში, საუზმისას რომ მოიტანეს, ბევრი ხახვი იყო. — ასე მოეჩვენა ვალოდიას. აგრეთვე ეჩვენებოდა, რომ ნიუტა განზრახ ხარხარებდა ხმამაღლა და მის მხარეს იცქერებოდა, რათა ეგრძნობინებინა, რომ ღამის მოგონება სულაც არ აწუხებდა და ვერ აშჩნევდა მაგიდასთან სძაგელ იხვის ჭუკს.

მეოთხე საათისთვის ვალოდია დედასთან ერთად გაეგზავნა სადგურზე. ბინძური მოგონებები, უძილო ღამე, გიმნაზიიდან მოსალოდნელი გაოიცხვა, სინდისის ქენჯნა.—ეს ყველაფერი მასში ახლა მძიმე, დაუოკებელ ბრაზს იწვევდა, იგი უცქერდა დედის გამხდარ პროფილს პატარა ცხვირით, ნიუტას ნაჩუქარ ვატერფრუტს და ეჩუტჩუტებდა:

— რატომ იპუდრავთ სახეს? ეს არ შეეფერება თქვენს ასაკს! იპრანჭებით, წაგებულს არ იხდით, სხვის თამბაქოს ეწევით... საზიზღრობაა! არ მიყვარხართ... არ მიყვარხართ!

ის შეურაცხყოფდა დედას, ქალი კი შეშინებული აეცვებდა თვალებს, პატარა ხელებს ასაფარებდა და თავზარდაცემული ჩურჩულებდა:

— რა მოგდის, ძვირფასო? ღმერთო ჩემო, მეეტლე გაიგებს! გაჩუმდი, თორემ მეეტლე გაიგებს! ყველაფერი ესმის!

— არ მიყვარხართ... არა! — აგრძელებდა ვალოდია სუნთქვაშეკრული.— თქვენ უზნეო ხართ, უგულო. არ გაბედოთ ამ ვატერფრუტის ტარება! გესმით? თორემ სულ ნაკუწებად ვაქცევ...

— გონს მოდი, შვილო! — ატირდა დედა. — მეეტლე გაიგებს!

— სად არის მამაჩემის ქონება? სად არის თქვენი ფული? ყველაფერი გაფლანგეთ! მე ჩემი სიღარიბის კი არ მრცხვენია, არამედ იმ.სა, რომ ასეთი დედა მყავს... როცა ამხანაგები თქვენს შესახებ მეკითხებიან, ყოველთვის ვწითლდები.

ორი პლატფორმის გავლა მოუხდათ სადგურამდე. ვალოდია ტამბურში იდგა და მთელი სხეულით კანკალებდა. მას არ უნდოდა ვაგონში შესვლა, რადგან იქ იყო დედა, რომელიც სძულდა, სძულდა საკუთარი თავიც, კონდუქტორები, ორთქლმავლის კვამლი, სიცივე, რისგანაც ასე კანკალებდა... და რაც უფრო ეძალებოდა დარდი, მით უფრო ძლიერად გრძნობდა, რომ სადღაც ამქვეყნად ადამიანებს აქვთ წმინდა, კეთილშობილური, თბილი, მომხიბლავი, სიყვარულით, ალერსით, მხიარულებით სავსე ცხოვრება... იგი გრძნობდა ამას და იმდენად ძლიერად განიცდიდა, რომ ერთმა მგზავრმა, სა-

---

ანტონ ჩეხოვი
ვალოდია

ხეში დაკიხებით რომ მისჩერებოდა, ჰკითხა:

— კბილი გტკივათ?

ქალაქში დედა და ვალოდია აზნაურ მანდილოსან მარია პეტროვნასთან ცხოვრობდნენ, რომელსაც დაქირავებული ჰქონდა დიდი ბინა და თავის მხრივ ქირად აძლევდა მდგმურებს. ვალოდიას დედას ორი ოთახი ჰქონდა დაქირავებული: ერთში, სარკმელებიანში, სადაც საწოლი იდგა და კედლებზე ორი ოქროსჩარჩოიანი სურათი ეკიდა, თვითონ ცხოვრობდა, ხოლო მეორეში, მომიჯნავე, პატარასა და ბნელ ოთახში, ვალოდია. აქ იდგა დივანი, რომელზეც მას ეძინა. დივანს გარდა, ოთახში სხვა ავეჯი არ იდგა; მთელი ოთახი დაკავებული იყო კაბების დაწნული კალათებით, შლაპის კარტონის ყუთებით და ყოველგვარი ხარახურით, რომელსაც რატომდაც ინახავდა დედა. გაკვეთილებს ვალოდია ამზადებდა დედის ოთახში, ანუ „საერთოში“ — ასე ერქვა დიდ ოთახს. სადილობისას და საღამოობით იქ იკრიბებოდნენ მდგმურები.

შინ დაბრუნებისას ვალოდია დივანზე წამოწვა და შინელი დაიხურა, რათა კანკალი დაეცხრო. ყუთებმა, კალათებმა და ხარახურამ გაახსენა, რომ მას არა აქვს საკუთარი ოთახი, არა აქვს თავშესაფარი, სადაც შეძლებდა დამალვას დედის, მისი სტუმრებისა და მათი ხმაურისაგან, რომელიც „საერთოდან“ შემოდიოდა. ოთახის კუთხეებში მიგდებულმა ჩანთამ და მოყრილ-მოყრილმა წიგნებმა გაახსენეს გამოცდა, რომელზეც არ გავიდა... რატომღაც სრულიად უაზროლოდ გაახსენდა მენტონა, სადაც განსვენებულ მამასთან ერთად ცხოვრობდა, გაახსენდა ბიარიცი და ორი ინგლისელი გოგონა მასთან ერთად რომ დარბოდნენ სილაში... მოუნდა ცისა და ოკეანის ფერთა, ტალღათა სიმაღლისა და მაშინდელი განწყობილების აღდგენა. მაგრამ ვერ შეძლო; მხოლოდ ინგლისელმა გოგოხებმა გაიელვეს ცხოვლად. დანარჩენი კი უწესრიგოდ აირია ერთმანეთში...

„არა, აქ ცივა“ — გაიფიქრა ვალოდიამ, — წამოდგა, შინელი ეცვა და „საერთოში“ გავიდა.

„საერთოში“ ჩაის სვამდნენ. სამოვარს სამნი უსხდნენ: დედა, მოხუცებული მუსიკის მასწავლებელი ქალი კუს pince-ner-თი და ხანშიშესული, ძალზე ჩასუქებული ფრანგი, პარფიუმერიის ფაბრიკაში მომსახურე ავგუსტინ მიხაილიჩი.

— მე დღეს არ მიცადილია, — ამბობდა დედა, — მოახლე უნდა გაიგზავნოს.

— დუნიამ! — დაიძახა ფრანგმა.

აღმოჩნდა, რომ მოახლე დიასახლისს გაეგზავნა სადღაც.

— ო, ეს არაფერს ნიშნავს, — თქვა ფრანგმა გულღია ღიმილით. — მე თვითონ წავალ პურზე. ო, არა უშავს!

თავისი მაგარი სიგარა თვალსაჩინო ადგილზე დადო, შლაპა დაიხურა და ოთახიდან გავიდა. მისი წასვლის შემდეგ დედა მუსიკის მასწავლებელს უყვებოდა, როგორ სტუმრობდა შუმიხინებთან და რა კარგად შეხვდნენ იქ.

— ლილი შუმიხინა ხომ ჩემი ნათესავია... — ამბობდა დედა. — მისი ცხონებული მეუღლე, გენერალი შუმიხინი, ჩემს ქმარს მამიდაშვილად ერგებოდა, ხოლო თვით ლილი ბარონესა კოლბია...

—დედა ეს ტყუილია! — თქვა ვალოდიამ გაღიზიანებით. — რატომ ცრუობთ?

მან ჩინებულად იცოდა, რომ დედა სიმართლეს ამბობდა. დედის მონათხრობში გენერალ შუმიხინსა და ბარონესა კოლბეზე, არც ერთი სიტყვა არ ყოფილა ტყუილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გრძნობდა რომ ქალი ცრუობდა. ტყუილი იგრძნობოდა ლაპარაკის მანერაში, სახის გამომეტყველებაში, მზერაში, ყველაფერში.

— რატომ ცრუობთ! — გაიმეორა ვალოდიამ და ისეთი ძალით დაჭერა მუშტი მაგიდას, რომ მთელი ჯურჭელი აზრიალდა და დედას ჩაი დაექცა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ჰყვებით გენერალსა და ბარონესაზე? ეს ყველაფერი ტყუილია!

მუსიკის მასწავლებელი დაიბნა და ცხვირსახოცში ჩაახვევა, ვითომ სასულელში გადაცდა რაღაც, ხოლო დედა ატირდა.

„სად წავიდე?" — გაიფიქრა ვალოდიამ.

ქუჩაში უკვე იყო; ამხანაგებთან მისვლა რცხვენოდა. კვლავ უადგილოდ გაახსენდა ინგლისელი გოგონები... „საერთოში" გაიარ-გამოიარა და ავგუსტინ მიხაილიჩის ოთახში შევიდა, აქ ეთეროვანი ზეთისა და გლიცერინის სანის მძაფრი სუნი იდგა, მაგიდაზე, ფანჯრის რაფებსა და სკამებზეც კი, ფლაკონები, ჭიქები და სირჩები ეწყო სხვადასხვა ფერის სითხით. ვალოდიამ მაგიდიდან გაზეთი აიღო, გაშალა და წაიკითხა დასახელება: „Figaro". — გაზეთს მძაფრი და სასიამოვნო სუნი ჰქონდა. მერე მაგიდიდან რევოლვერი აიღო...

— კმარა, ნუ მიაქცევთ ყურადღებას! — მეზობელ ოთახში მუსიკის მასწავლებელი ამშვიდებდა დედას. — იგი ჯერ ისეთი ახალგაზრდაა! მის ასაკში ყმაწვილები მუდამ ბევრის უფლებას აძლევენ თავს. უნდა შეურიგდეთ ამას.

— არა, ევგენია ანდრეევნა, ეს ძალიან ზე გარყვნილია! — ამბობდა დედა ტირილნარევი ხმით. — თავზე არავინ ადგას, მე კი უმწეო ვარ და ვერაფერს ვუხერხებ. არა, მე უბედური ვარ!

ვალოდიამ რევოლვერის ლულა პირში ჩაიდო, ჩახმახი მოსინჯა და თითი გამოჰკრა... მერე კიდევ რაღაც გამოწეული ნაწილი მოსინჯა და კვლავ გამოჰკრა თითი, გამოიღო პირიდან ლულა, შინელზე გაწმინდა და საკეტი დათვალიერა; ადრე არასოდეს სპერია ხელში იარაღი...

— მგონი ეს უნდა ავწიო... — მოიფიქრა მან. — ჰო, მგონი...

„საერთოში" ავგუსტინ მიხაილიჩი შევიდა და ხარხარით ყვებოდა რაღაცას. ვალოდიამ ისევ ჩაიდო პირში ლულა, კბილები მოუჭირა და თითი გამოჰკრა. გასროლა გაისმა... საშინელი ძალით ეძგერა ვალოდიას კეფაში რაღაც. მაგიდაზე დაეცა და პირდაპირ სახით ჩაემხო სირჩებსა და ფლაკონებში. ვალოდიამ განსვენებული მამა დაინახა შავლენტიან ცილინდრში, ვიღაც ქალის გარდაცვალების გამო რომ ატარებდა მენტონაში გლოვის ნიშნად. მამამ უეცრად ხელები მოხვია და ორთავენი რომელიღაც ძალზე ბნელ და ღრმა უფსკრულისკენ გაფრინდნენ.

მერე ყველაფერი აირია და გაქრა.

თარგმნა ქეთი ნიქარაძემ

ჯემალ ქარჩხაძე

ქარავანი

რომანი

აბელმა ორპოფობა გაითამაშა და მცირე პაუზის შემდეგ ყოყმანით მიუგო:

— მე არა, მაგრამ თეიმურაზ კილაძე რომ დაგახმაროთ?

მერიმ იმედგაცრუებული სახე მიიღო და უთხრა:

— ეგ პასუხი ისედაც ცხადი იყო შენგან. შეგეძლო არც გეთქვა.

— ასე დავიშტამპე? — მოგონილი გაკვირვებით თქვა აბელმა, თუმცა მერის სიტყვები მართლა მოხვდა გულში.

მერის აღარაფერი უთქვამს. ერთხანს ორივენი ჩუმად ისხდნენ. ბოლოს ისევ აბელმა დაარღვია დუმილი:

— წუხელ სამსონი იყო ჩემთან.

— რაო? — უინტერესოდ იკითხა მერიმ.

— წავიდა.

— გზაც იქით ჰქონია.

— იცოდი?

— რა?

— რომ წავიდა.

— ბრმას ცოლი მოუკვდაო...

— თუ მაინდამაინც — ქმარი. — შეაწყვეტინა აბელმა. — ისიც იცი, სად წავიდა?

მერიმ შეხედა და ერთხანს დაკინებით უყურა.

— რა გინდა, აბელ?

— არაფერი, — მიუგო აბელმა და თავი ოდნავ გადასწია გვერდზე, რათა ღია კარში გაეხედა და შეემოწმებინა, ვისი ფეხის ხმა მოისმა დერეფნიდან და იმ დროს, როცა ზღურბლზე თეიმურაზ კილაძე გამოჩნდა, პატარა, ლამაზი, თმახუჭუჭა, დაუმატა: — ადგერ, მაშველი ძალაც მოვიდა.

— რა მაშველი ძალა? — მწყრალად იკითხა თეიმურაზმა.

— რომეო, — უთხრა აბელმა. — მახსოვს, ერთ დროს შენ მერი ბარბაძის სიყვარული შამფურივით გკონდა გაყრილი გვამში.

— შენი საქმე არაა, ვისი სიყვარული მქონდა და ვისი არა, — ლამაზი პირი მოიღრიცა თეიმურაზმა. ზუზგი შეაქცია აბელს და დემონსტრაციულად გავიდა ოთახიდან. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკანვე შემობრუნდა და ნახევრად შემრიგებლური კილოთი, ისე რომ თავმოყვარეობა ნამეტანი არ შელახოდა, ჰკითხა: — სიგარეტი არა გაქვს?

— როგორ არა, — მიუგო აბელმა. — შენისთანა ლამაზი და წინდახედული ბიჭისთვის ყველაფერი მაქვს. — ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და გაუწოდა.

თეიმურაზმა ერთი ღერი სიგარეტი ამოაძრო კოლოფიდან, გაშლილ ხელებს შუა მოიქცია, დაატრიალა, მოსრისა და პირში გაირჭო. მერე უთხრა:

— ასანთიც გექნება.

აბელმა მოუკიდა. თეიმურაზმა ფანჯარა ოდნავ გამოაღო, კოხტა ცხვირ-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 5, 7, 8, 9.

პირი გარეთ გაჰყო და ასე მოსწია სიგარეტი.

რეპეტიციაზე აბელი გონებადაფანტული იჯდა. ორჯერ პარტნიორებმა გამოაფიზეზლეს, როცა მისი ჯერი მოვიდა. მესამედ რომ დასჭირდა შეჭხესენება, რომან ადეიშვილმა თქვა:

— მოდი, თუ ძმა ხარ, ერთხელ და სამუდამოდ შეკვანხმდეთ: ღამე ვიძინოთ და დღე ვიმუშაოთ.

აბელმა შეხედა, თვალი გაუსწორა, გაუღიმა.

— დიდებული აფორიზმია! — და ტექნიკურ რეფისორს მიუბრუნდა: — რას უცდი? ჩაწერე, სანამ დაგავიწყდებოდეს.

ოთახში მოლოდინის დუმილი ჩამოვარდა.

რომან ადეიშვილმა პირით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სიბრძნის კბილიდან რაღაც ამოიწოვაო. მერე მშვიდად თქვა:

— კარგი. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. აბა, განვაგრძოთ.

გედეონ რევიას დაღუპვამ და სამსონის წასვლამ აბელის მარტოობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ეს მარტოობა გზადაბნეული იყო და ღობე-ყორეს ედებოდა. არიისტო ხოფერიასთან დარბაზობამ პათეტიკურ თავგანწირულებასა და ფუჭ რომანტიკულობას ხელოვნური საბურველი ახადა, გააშიშვლა და კომედიად აქცია. მერისთან ირონიულმა და ცოტა გესლიანმა საუბარმა, რომელიც მაშინ ურცხვად ტკბებოდა საკუთარი ირონიულობითა და გესლიანობით, მერე გუნება გაუფუჭა და უხერხულობის ტკივილი გაუჩინა. ამ ტკივილისთვის რომ სადინარი მიეცა, რეპეტიციაზე რომან ადეიშვილთან კონფლიქტის წამოწყება სცადა, მაგრამ მთავარმა რეჟისორმა გულგრილად დაუბრუნა უკან ნასროლი ხელთათმანი და დუელზე უარი უთხრა, რამაც ტკივილს ტკივილი მოუმატა...

მაშინ აბელმა ცხოვრებას სადავეები მიუშვა და დინებას მიჰყვა.

ამ გზაზე არა ერთი და ორი საინტერესო მოსახვევი იყო. კერძოდ, კიდევ მრავალჯერ იჩხუბა უაზროდ ფიზიკურად, კიდევ მრავალჯერ [illegible] უაზროდ და სულელურად. ერთხელ ცხოვრების დანშნულება ამოიცნო და ერთხელაც ვანო როსტიაშვილს დაბადების დღე გადაუხადა.

ჩხუბი და დათრობა იმდენად ჩვეულებრივ ეპიზოდებად იქცა, რომ მათზე შეჩერება დროის უქმად დაკარგვა იქნება, ცხოვრების დანიშნულება კი ასე ამოიცნო:

ერთ საღამოს, შინ მიმავალი, ის იყო მოედანს გასცდა და ვიწრო ქუჩას დაუყვა, რომ უეცრად საკვირველ სურათს წააწყდა: ერთ-ერთი სახლის წინ, ზედ ტროტუარზე, დიდი ჭადრის ძირას კაცები დომინოს თამაშობდნენ. პატარა მაგიდას ოთხივე მხრიდან უჯდა ოთხი კაცი და გატაცებით უპახუნებდნენ დომინოს ქვებს.

საკვირველ სურათს წააწყდა-მეთქი. სინამდვილეში ეს სურათი არც საკვირველი ყოფილა და არც იშვიათი. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მთელ ქალაქში ისმოდა დომინოს ჭახაჭუხი. ასეთ რამეს მრავალ ქუჩაში და მრავალ ეზოში გადაეყრებოდით. და ეს კაცები, მოთამაშეებიც და თავიანთი რიგის მომლოდინეებიც, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, თუ საგანგებოდ არ დაკვირდებოდით, შეიძლება მოგჩვენებოდათ, ვითომ ეს ურიცხვ ეგზემპლარად გამრავლებული ერთი და იგივე სურათი იყო.

ადრე, ასეთი სანახაობისათვის რომ გვერდით ჩაუვლია, აბელს არაერთხელ ასდევნებია ბუნდოვანი გრძნობა, თითქოს ის, რასაც თვითონ მთელი ცხოვრების მანძილზე ზღვარზე გამავალი დაძაბულობით ეძებდა, ვიღაცას რა ხანია ეპოვნა. მაგრამ ამ გრძნობას, როგორც საკუთარი თავის უარყოფა, [illegible]ან ახლდა ასეთივე ბუნდოვანი ზიზღი. და ეს ორი პოლუსი მანამ ამბათილებდა

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ერთიმეორეს, სანამ გონებაში ფეხს მოიკიდებდნენ და განსჯის საგნად იქცეოდნენ.

აბელი შეჩერდა. მან არ იცოდა, რომ აქ საკვირველი თავად სურათი კი არ იყო, არამედ თვალთახედვის ის უცნაური აკმამდე უცნობი კუთხე, რომელშიაც ახლა ეს სურათი მოექცა. ჯადრის ძირას გამართულმა სპორტულმა პაექრობამ წამით საკუთარი ასპარეზი უსასრულოდ გააფართოვა და ისეთი რამ დაიტია, რაც არაფერში არ ეტეოდა. აბელი წამით გაშეშდა, მერე მონუსხულივით მიუახლოვდა მოთამაშეებს, თავგზე დაადგა და, როცა წაგებული წყვილი წამოდგა და მის ადგილას ახლა სხვა წყვილი მოეშზადა დასაჯდომად, მოულოდნელად თქვა:

— მთამაშეთ ერთი ხელი.

მებრძოლებმა, ბრძოლის მომლოდინეებმა და მაყურებლებმა, ყველამ ერთად მოიხედეს. პაუზა რამდენიმე წამს გაგრძელდა. ბოლოს ახალი წყვილის ერთ-ერთმა მეწყვილემ ხელი გაუშვა სკამს, რომელზედაც ის-ის იყო უნდა დამჯდარიყო, და უთხრა:

— ითამაშე.

პირველი ხელი აბელმა და მისმა პარტნიორმა, რომელსაც ამირანი ერქვა, მოიგეს. წაგებულები ადგნენ და სხვა წყვილს დაუთმეს ადგილი. მეორე ხელი აბელმა და ამირანმა წააგეს და ახლა თვითონ ადგნენ. აბელმა წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ წავიდა. სანამ წრიალებდა და ყოყმანობდა, ისევ მოუწია რიგმა.

შინ გვიან დაბრუნდა და თან ისეთი განცდა მოჰყვა, თითქოს სხეულის მაგიერ სიცარიელე მოეტანოს, ვეება, შემაშფოთებელი და მაჯლაჯუნასავით მძიმე. მეორე დღეს წუხანდელი თავგადასავლიდან ზიზღისა და სირცხვილის გრძნობა ჰქონდა შემორჩენილი, რაც, წესით, იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ ყველაფერი მალე დავიწყებას მიეცემოდა, მაგრამ დღე რომ მიიწურა, გულის კოჭზთან ღიტინი იგრძნო, მოუსვენრად აწრიალდა, იწრიალა, იწრიალა, ბოლოს თავისი ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი გადაწყვეტილება იღლიაში ამოიჩარა და მოქმედების ადგილისაკენ გაემართა.

კაცებს უკვე გამოეზიდათ ინვენტარი და ჯადრის ძირას მორიგი საღამო გაეჩაღებინათ. აბელი რომ დაინახეს, ხმამაღალი, მხიარული, შინაურული შეძახილებით მიეგებნენ, როგორც ძველ ძმაკაცსა და თანამოაზრეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა აბელი თავად აღმოჩნდა იმ მრავალ ეგზემპლარად გამრავლებულ და მთელ ქალაქში მოფენილ სურათზე, მისთვის ბევრი რამ გახდა გასაგები. სანამ ამ ხალხს შორიდან უყურებ, შეიძლება მოგეჩვენოს, თითქოს ისინი უსაქმურები არიან. სინამდვილეში ეს მწარე შეცდომაა. სოციალური თვალსაზრისით ისინი სრულფასოვანი მოქალაქეები არიან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შეუცნობლად, საგანგებო შესწავლის გარეშე, ინსტინქტურად მისდევენ აღმოსავლეთის სიბრძნეს, რომელიც გვასწავლის, რომ შრომისაგან კულტი არ უნდა შეექმნათ. ეს ხალხი კარიერისთვის არ იკლავს თავს, მცირეოდენით კმაყოფილდება და სულს არ სდებს ეკონომიკაში, რადგან სული სხვა რამისთვის სჭირდება. ეს ხალხი სულს დომინოში სდებს. მოიხდის თუ არა მოვალეობას საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე, მთელი არსებით ჩაეშვება დომინოში. დომინოში იხსნება მისი სული. ეს არის არა უბრალო თამაში, არამედ რაღაც ისეთი, რაც რელიგიური აქტის განხორციელებას ჰგავს. არაფერი არ არსებობს დომინოს გარეშე, დომინოში იყრის თავს ქვეყნის მრავალსახეობა. ეს არის განდეგილობა, ეს არის, თუ გნებავთ, მედიტაცია, ეს არის გზა საკუთარი თავის შეცნობისაკენ, უსასრულობაში გაჭრილი ბილიკი.

აბელი აღმოჩნდა ისეთ წერტილში, რომელზედაც აკამდე მხოლოდ თეორიული წარმოდგენა ჰქონდა და ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი რეალური არსებობა გულის სიღრმეში არც სჯეროდა. ეს ის წერტილი იყო, ის კუთხე, საიდანაც პლატონს, შექსპირს, გალაკტიონს უაზრო კოშმაური შესახედაობა ჰქონდათ და იმ ახირებულ კაცებს ჰგავდნენ, რომლებიც ფეხზშეელები, შარვალდაკაბიწებულები, მკლავებდაკარწახებულები გაუგებარი სიჯიუტით მიაბიჯებენ ეკალ-ბარდებით დაფარულ ტყეში, მაშინ, როცა იქვე, გვერდით, მშვენიერი ფართო გზატკეცილი მიემართება.

როცა მაჯიდას უჯდა და დომინოს თამაშობდა, ერთადერთი სურვილი ის ჰქონდა, რომ ეს პროცესი მარადისობად ქცეულიყო, და გულში რაღაც ტკივილით წყდებოდა. ნაშუალამევს რომელიმე მოთამაშე რომ იტყოდა, ვვეყოფა აწი. დავიძინოთო, ხოლო შინ რომ ბრუნდებოდა, საკუთარი თავი ეზიზღებოდა. იმდენად ეზიზღებოდა. სახლში მისვლისთანავე საბაბაზანში შევარდებოდა და შხაპს იღებდა. თითქოს ამით ჭუჭყს ჩამოირეცხავდა. ღამე დომინო ესიზმრებოდა, დილით კი გუნებაში ფიცს სდებდა. საღამოს სათამაშოდ არ წავალო. მაგრამ დილით ფიცის დადება ადვილია, რადგან საღამო ჯერ არ დაჰდგარა. საღამო რომ მოახლოვდებოდა, თრთოლა აიტანდა. ცახცახებდა, გონებაზე ლიბრი ეკვროდა, ყველაფერი უაზრობად ეჩვენებოდა და ვერ გაეგო. ამ უაზრობის გამო რატომ უნდა ეთქვა უარი ისეთ გატაცებაზე. რომლისკენაც მთელი მისი არსება დაუოკებლად მიიტყვოდა.

საკუთარ თავთან ბრძოლა ამაო იყო. აბელი ჭაფიოდ გრძნობდა, რომ სხეულზე მჭიდროდ შემოკრული ეკვის არტახები თანდათან, ფენა-ფენა ჰკრებოდა. წელზე გამობმული ჯაჭვი, რომელიც უკან ეწეოდა, დღითიდღე ცვდებოდა, ბოლოს გაწყდა კიდეც და აბელი, ლაღი და თავისუფალი, ნებიერად გადაეშვა მის წინ გაშლილ თბილ, საამო ზღვაში. ცხოვრებამ დასრულებული სახე შეიძინა, ყველაფერი ნთელი და ცხადი შეიქნა, რადგან ყველაფერი, რაც ნთელი და ცხადი იყო, ბედნიერებულ საამო ნისლის მიღმა დარჩა.

დაბინდული ნეტარება დიდხანს გრძელდებოდა და აბელს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ უსასრულოდ გაგრძელდებოდა. სულ იქნებოდა საამო ორთოლვა მოწმინაალმდეგის სვლის მოლოდინში, მერე ჯაბანით გაკეთებული საკუთარი სვლა, ხოლო ხვალ, რამდენიმე საათის შრომა, რათა ეს ნეტარება, ეს თავისუფლება იყოს აუმღვრეველი და საამედოდ დაცული ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. და ასე იქნებოდა მუდამ, ასე იქნებოდა მრავალი წლის განმავლობაში. სანამ უკანასკნელი ზარი არ ჩამოკრავდა.

მაგრამ ერთ დღეს ბროლის კოშკი მაინც დაინგრა.

აბელი სახეაბურებული, გულაჩქროლებული, ბედნიერი იჯდა ჯადრის ძირას და, ის იყო, მორიგი სვლა გაეკეთა, რომ უცებ ქუჩის მეორე მხრიდან მანქანის გაბმული სიგნალი მოისმა. გულმა რეჩხი უყო და დაინახა კიდეც ასლანი.

ასლანი მანქანიდან გადმოვიდა და იქვე შეჩერდა. სახეზე მოლოდინი და ღიმილი ეწერა. ღიმილი ოდნავ დამცინავი იყო. მაგრამ ირგვლივ სიყვარულის ისეთი ვარაყი ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც ამ დაცინვისათვის ზედმეტი ნავარდის საშუალება არ უნდა მიეცა.

„რა უნდა?“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა აბელმა და ზანტად წამოდგა. მერე გაიფიქრა: „რა ანგარიშია?“ — და საანგარიშოს დახედა. ისა და ამირანი წინ იყვნენ მთელი ორმოცდაათი ქულით. ამან გუნება ცოტა გამოუკეთა და შედარებით ხალისიანად გაიფიქრა: „ვეტყვი, არ მცალია-მეთქი“.

გადაწყვეტილება ურყევი იყო, მაგრამ ამ დროს მანქანის სარკმელს ანგელოზის ფრესკა მოადგა და პატარა ცხვირი ზედ მოაკულიტა. ანგელოზს მშვიდი, სათნო სახე ჰქონდა და დიდ-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ თვალებში, სადღაც ძალიან შორს, იქ, სადაც იქნებ თვალები აღარც კია, ნაზი და მსუბუქი სევდა ედგა.

აბელი შეკრთა და შორეულ სივრცეს თვალი აარიდა.

ასლანმა გაუცინა და მხარზე დაჰკრა ხელი.

— შენთან ვიყავით ახლა. ეს ჭინკა ამიტყდა, რა ხანია ძია აბელი არ გამოჩენილა, წავიდეთ, ვინახულოთო. მაგრამ ძია აბელს შენ იპოვი სახლში?

აბელმა მანქანის კარი გამოაღო, ჭინკას ღიმილით აკოცა საფეთქელზე, მერე გვერდით მიუჯდა და თქვა:

— წავედით.

ასლანმა მანქანა დაძრა. მცირე ხანს სიჩუმე იყო, მერე ნინიკომ აბელს შეხედა და ჰკითხა:

— გიყვართ, ძია აბელ, დომინოს თამაში?

ასლანმა წყნარად გაიცინა.

— არა, — თქვა აბელმა — მძულს.

— აბა რაღად თამაშობთ? — გოგონას გაკვირვებულ სახეზე ცოტა შეშფოთება გამოეხატა, ეტყობა, იმის გამო, რომ ძია აბელს ვიღაც აიძულებდა ისეთი რამ ეკეთებია, რისი კეთებაც არ უნდოდა.

— იმიტომ რომ მძულს, — თქვა აბელმა და თავისი ხმა უსიამოდ ეუცხოვა. მერე გოგონას დაფიქრებულ, ცოტა დაბნეულ სახეს დააკვირდა და თვალების შორეული სიღრმიდან წამოსული მსუბუქი, ნაზი სევდა გულში თბილი, მლაშე ცრემლივით ჩაეწვეთა.

ამის შემდეგ აბელი იმ ქუჩით აღარ დადიოდა.

სამაგიეროდ მოგვიანებით, როცა მიმოზა შარტავამ მოეგზისტენციალურო მონოლოგი წარმოთქვა და ამის გამო აბელს სულში ისევ აუწრიალდა რაღაც, ვანო როსტიაშვილს ლუდხანაში დაბადების დღე გადაუხადა.

მიმოზა შარტავა, ჩოქვირებული და შარვალში გამოკვართული, მარტო იჯდა სარეპეტიციო ოთახში, როცა აბელი იქ უმიზნოდ შეეხეტა.

— აა! ქალბატონო მიმოზა, ... და უბერებელო!

მიმოზა შარტავამ კმაყოფილებით ჩაიცინა.

— რაღა უბერებელი დავბერდი და ესაა ტანზე მართლა ნაკლებად მეტყობა მასაკვბს ვიკითხე დღეს ლამარას დაბადების დღეა არ ვიცი რა ვუყიდო არაფერი აღარ იშოვება ქალმა თავის მოვლა უნდა იცოდეს სარეცხის ქვაბი რომ სარეცხის ქვაბია იმასაც ვერ იშოვი ხომ მარტო ვარ მაგრამ მაინც ქვეყნის სარეცხი მიგროვდება აბაზანაც გამოსაცვლელი მაქვს ხელოსნები უნამუსო და მატყუარა ხალხი გახდა ნეტა მალე მომიწევდეს პენსიის დრო ზღვაზე დავსახლდები სამმე მიყვარს ზღვა უნდა გავთხოვდე საყვარელი როგორც კი სიბერეს შეგატყობს მაშინვე მიგატოვებს ქალი რომ სიბერისკენ წავა უნდა გათხოვდეს რა მივუტანო ლამარას დაბადების დღეზე რომ არ მივიდე არ ივარგებს სარეცხის მანქანა სულ ღრჭიალებს და როდის გაფუჭდება არ ვიცი გუშინ ერთი კაცი ამეკიდა სპეკტაკლიდან რომ მივდიოდი ეს ბეჭედი ჩუმად მოვიხსენი და მარჯვენა ხელზე გავიკეთე კათხოვილი ვეგონები-მეთქი სახლამდე მომყვა ამოვალო მეხვეწებოდა პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა ძლიავს მოვიშორე ბავშვი უნდა გამეჩინა თავის დროზე და კარგს ვიზამდი გუშინდელი ტოლმა მაქვს სადილად მიყვარს წინა დღის ტოლმას რომ ტაფაზე შეგბრაწვა ერთი კაცი მყავდა მურაბებს მპარავდა და ჩუმად ჭამდა ღამე დგებოდა თურმე და ჭამდა ისე ეჭამა დალოცვილს ვინ უშლიდა ქალმა ყოველ საღამოს უნდა იბანაოს კაცს სისუფთავის სუნი უყვარს იქნება უნიერმაღში ვიშოვო რამე ლამარასთვის სარეცხის ფხვნილსაც ვიყიდი ბარემ.

მეორე დღეს აბელმა ვანო როსტიაშვილს დაბადების დღე გადაუხადა.

იმ ხანებში ვანო ნაირნაირი ეროვნების მაწანწალებთან მეგობრობდა, ისეთი ჯურის ხალხთან, რომელთაც საეკ-

ვოს ეძახიან, თუმცა მათ საეკვო არაფერი აქვთ. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ესენი მათხოვრები არიან, მაგრამ მათხოვრობას თაკილობენ, ქურდები არიან, მაგრამ ქურდობის შნო არა აქვთ, მკვლელები არიან, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნით. ამიტომ დასათრობ ფულს იმით შოულობენ, რომ წვრილმან, შემთხვევით სამუშაოს ასრულებენ, ბარგს წაგიღებენ, შეშას დაგიჩეხავენ, რიგს დაგიკავებენ...

რეპეტიციიდან მომავალი აბელი, ისეთ დროს გადააწყდა ვანოს, როცა იგი იმ თავის მაწანწალების გუნდში იდგა ავეჯის მაღაზიის წინ და ბრძნული, ცოტა ამპარტავნული სახითა და თეატრალური ჟესტიკულაციით რაღაცას უამბობდა მათ. მაწანწალები გასუსულები, ყურადღებადგცეულები უსმენდნენ და მოწიწებით შესცქეროდნენ. მათ სავსებით ჰქონდათ შეგნებული ვანოს დიდი უპირატესობა და უსიტყვოდ აღიარებდნენ თავიანთ ლიდერად ინტელექტის სფეროში.

აბელს ძარღვებში სიმხურვალემ დაუარა.

— ვანო!

ვანოს აბელის დანახვაზე ოდნავ გადაჰკრა ფერმა, ერთი უმწეოდ მიმოხედა, ლექცია შეწყვიტა და მისკენ წამოვიდა.

— მომილოცავს, ვანო! — ხმამაღლა, ომახიანად შესძახა აბელმა, ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე კი მაგრად ჩაიკრა გულში და გადაკოცნა.

ვანომ დარცხვენილი გაკვირვებით შეხედა.

— რას მილოცავ, კაცო?

— დაბადების დღეს. დღეს ხომ შენი დაბადების დღეა?!

— დაბა... ჩემი... რა დაბედების დღე?

— რა თავმდაბალი კაცი ხარ, ვანო! ეგ თავმდაბლობაა, რომ ვღუპავს. მე რას მიმალავ! დღეს შენი დაბადების დღეა და ჩვენ ამას ლუდხანაში აღვნიშნავთ.

— უჰ! — შუბლში იტკიცა ვანომ ხელი, — სულ დამავიწყდა, ხომ იცი! — მაგრამ მისდა სასახელოდ უნებლიეთ ვის, რომ გაწითლდა და შერცხვა.

— ასე არა სჯობს! — გაამხნევა აბელმა, — უთხარი შენს მეგობრებს და წავიდეთ.

ვანომ ხმას დაუწია.

— ამათი წაყვანა რა საჭიროა!..

— ვანო! — თავი გადაიქნია აბელმა, — მეგობრების ღალატი არ ვარგა — და მაწანწალებს გასძახა: — წავედით, ძმებო!

აბელი დროსასავით გაუძღვა წინ ამ უცნაურ პროცესიას და მალე ლუდხანაში შევიდნენ. რესტორანში ხალხი კანტიკუნტად იყო. აბელმა დარბაზის ცენტრში აირჩია ადგილი, საკუთარი ხელით მიადგა ორი მაგიდა ერთიმეორეს, სკამები შემოუწყო და სტუმრები თავაზიანად მიიპატიჟა.

მებუფეტესა და მიმტანებს მაინცდამაინც არ გაკვირვებიათ ეს უცნაური სერობა. ისინი მიჩვეული იყვნენ აბელის მოულოდნელ გამოხდომებს. სხვები კი ერთხანს გაკვირვებით თვალიერებდნენ სუფრას. მერე ისინიც შეეგუენ და ყველამ საკუთარ თეფშში ჩარგო თავი.

აბელმა სანაკებო სუფრა გაშალა. ვანოს სადღეგრძელო ფეხზე ადგომით წარმოთქვა. დიდხანს ილაპარაკა ვანოს მაღალ სულსა და ნათელ გონებაზე, თავდადებასა და მეგობრობაზე, ოჯახის სიყვარულსა და მოქალაქეობრივ შეგნებაზე. იმდენი და ისე ბრტყლად ილაპარაკა, რომ ვანო გაამაყდა, გაიფუყა, წელში გაიმართა და თანამეინახეებს ქედმაღლურად და, ცოტა არ იყოს, ზიზღით დაუწყო ცქერა. თუმცა თანამეინახეებს ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. თავიც კი არ აუღიათ. ისხდნენ და ჭამდნენ. და აბელის ომახიან, პათეტიკურ ლაპარაკს ფონად მისდევდა თქლაფუნი, წკლაპუნი, ხრამუნი, კრაკუნი, წრუპუნი და კი-

---

ჯემალ ძარჩხაძე
ძარებანი

დეე მრავალი, ნაირნაირი შეფერილობის ხმა.

ხანი რომ გამოხდა, აბელმა მომტანი მოიხმო და კიდევ შეუკვეთა საჭმელი, რადგან შენიშნა, რომ სტუმრები რასაც ჭამდნენ, ხომ ჭამდნენ, და დანარჩენს მალულად ჯიბეებში იტენიდნენ. ზოგს ამისთვის საგანგებო ჩანთაც ჰქონდა.

რესტორანს ხალხი თანდათან ემატებოდა და ყოველი ახალი შემოსული თავის მოვალეობად თვლიდა, სანამ მაგიდას მიუჯდებოდა, ჯერ ინტერესით და ყურადღებით შეეთვალიერებია აბელის სუფრა.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. აბელის სტუმრები დათვრნენ, დასკდნენ და ახლა, საჭმელს რომ უყურებდნენ, სევდიანად ოხრავდნენ.

ბოლოს აბელმა კიდევ ერთხელ წარმოთქვა ვანო როსტოაშვილის სადღეგრძელო, სერობა დაამთავრა და მომტანს დანახარჯი ანგარიშებინა. მერე თანამესუფრეებს მიუბრუნდა:

— აბა, წავედით, ბიჭებო!

ბიჭები წამოიშალნენ.

— მოიცათ! ეგრე არა. ორ მწკრივად მოეწყეთ!

ბიჭები ცოტა დაიბნენ, მაგრამ სწრაფადვე მოეგენ გონს და სიმაღლეზე დაეწყვნენ.

— შენ არა, — უთხრა აბელმა ვანოს. — შენ მეთაური ხარ და გვერდით გაჰყევი, — მერე შემდგომი განკარგულება გასცა: — ნაბიჯით იარ!

მთვრალი ბიჭები მთლად მწყობრად ვერ მდგიოდნენ, მაგრამ ძალიან ცდილობდნენ და ამიტომ საბოლოოდ მაინც ღირსეულად გავიდნენ ლუდხანიდან.

ქუჩაში აბელმა ვანოს მეგობრები სათითოდ დაჰკოცნა და თავ-თავიანთი გზით გაუშვა. მერე ვანოს ხელი გადახვია.

— ჩვენ ერთად წავალთ. მე შენ გაგაცილებ.

— არა, მე გაგაცილებ! — გაჭირვეულდა უცებ ვანო.

— ციც! — დატუქსა აბელმა და, თითქოს სანთელს სული შეუბერესო, ვანოს ჭირვეულობა უცებ ჩაქრა.

ხელიხელგადახვეულნენ — ჩაუყვნენ გზას.

აბელმა სიმღერა წამოიწყო:

— ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ...

მაგრამ, როცა ვანოც აპყვა, წამსვე გაჩუმდა და ვანოსაც მხარზე გადახვეული ხელი პირზე ააფარა, რადგან მიხვდა, რომ ეს საქმე განწირული საქმე იყო, სიმღერა არ გამოვიდოდა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი სიმღერა არ გამოვიდოდა, რომლის შესახებ მილიციელი, რომელიც მათ დაიჭერდა და განყოფილებაში მილალავდა, უფროსს არ მოახსენებდა, ღამე ქუჩაში გამვლელებს აშინებდნენო.

სამაგიეროდ საუბარი ჩინებულად აეწყო, თუმცა ენა არც ერთს არ ემორჩილებოდა ისე, როგორც საჭიროება მოითხოვდა. ვანო აღგზნებული იყო, გულაჩუყებული, ბედნიერი, და გატაცებით ლაპარაკობდა თავის თავზე. დახასიათებისათვის ლექსიკური წყაროდ იყენებდა აბელის მიერ ორგზის წარმოთქმულ მის სადღეგრძელოს, ოღონდ, სიმთვრალისა და ცუდი მეხსიერების გამოისობით, აბელის ნატიფსა და ჩამოქნილ გამონათქვამებს ზედმეტად თავისუფალ რედაქციას უკეთებდა, კერძოდ, ლაპარაკობდა „ნათელ თავდადებაზე“, „ამაყ მეგობრობაზე“, „ერუდირებულ პატიოსნებაზე“ და სხვ შემდეგ. აბელმა ერთი კი სცადა შესწორება შეეტანა და ამღერეული წყალი დაეწმინდა, მაგრამ, რა შეატყო, ენა ცუდად ემორჩილებოდა, ხელი ჩაქნია და თავი მიანება.

ასე გაიარეს დიდი გზა.

სახლს რომ მიუახლოვდა, ვანოს ნელ-ნელა გუნება წაუხდა. თანდათან დაუწია ხმას და ბოლოს სულ გაჩუმდა. ფეხს ითრევდა, ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, თუმცა ალბათ თვითონაც იცოდა, რომ ხელმოსაჭიდი ხავსის ძებნა უიმედო საქმე იყო და რამდენიმე წუთით თუ გადასწევდა ბედისწერის გარდაუვალ

ჩანფიჭრს, თორემ შეცვლით ვერ შეცვლიდა.

აბელმა, თანამესუფრის ჩამჭრალი ენთუზიაზმი რომ შეამჩნია, მისი გამხნევება გადაწყვიტა:

— ნუ შედრკები, ვანო! ხიფათს თვალი უნდა გავუსწოროთ, ძმაო! სიკვდილს ამაყად უნდა შევეგებოთ!

— ნამდვილად! — თქვა ვანომ და მინავლული ცეცხლი წამით აბრიალდა, მაგრამ იქვე ისევ ჩაიბუნტა. — ეეჰ! — ამოიოხრა და გულ-ღვიძლი ამოატანა. — ვისაც სიდედრი არა ჰყავს, მისთვის ადვილია ლაპარაკი.

— რომ გეშინია, იმიტომ ვჩაგრავს ასე იოლად, — სიბრძნის ყულაბა გახსნა აბელმა. — აბა, ერთი მაგრად დაუდექი!

— დავუდგები კიდეც. მე მაგის დედა!.. — ვანომ სცადა გინებით გაეგმაგრებია გული, მაგრამ ეს გინებაც გაუბედავი და ფშუტე გამოუვიდა.

სადარბაზოში რომ შევიდნენ და კარს მიადგნენ, აბელმა საზეიმო, გაუთავებელი ზარი მისცა. თან ცდილობდა ზარის ხმაზე საცეკვაო მუსიკის მელოდია გამოეყვანა. აბელს ჩინებული მუსიკალური სმენა ჰქონდა და, ეჭვი არაა, გამოიყვანდა კიდეც საცეკვაო მელოდიას, ვარჯიშისთვის რომ ცოტა მეტი დრო დარჩენოდა. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მელოდია უნდა გამოკვეთილიყო, კარი გაიღო და ზღურბლზე ვეება, დევივით ქალი გამოჩნდა. ეს ვანოს სიდედრი იყო.

სიდედრმა მხვეული, მყარი ფეხები განზე გაეგდო, დოინჯი შემოიყარა და მბეჭედავი მზერა შანთივით დაარტო სიძესა და მის თანმხლებ პირს. სიდედრის მარცხენა მხარს ზემოდან ვანოს ცოლი იყურებოდა. მასაც დედამისივით ავი მომასწავებელი, პირგუში სახე ჰქონდა, მაგრამ ამ სიავეში, როგორც გაყინული გულის გამაღლობელი მზერავდე სხივი, ვიწრო ზოლად მოჩანდა რომანტიკული სევდა, რომელიც არასოდეს არა აქვს სიდედრს, მაგრამ ყოველთვისა აქვს ცოლს.

მცირე პაუზის შემდეგ აბელმა ... ბელსაც ხელი ისევ ისე ... ჰქონდა ვანოს მხარზე, გადაწყვიტა სიტყვით მიემართა დამხდურთათვის.

— მოწყალეო ქალბატონებო! — დაიწყო მან. თანაც სანაკვეთო მონდომებით ცდილობდა გამართულად ელაპარაკა. — ქართველი კაცი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფი კედელია. მისთვის თანაბრად მახლობელია ერთიცა და მეორეც. გული აღმოსავლური სიყვარულით გვაკავშ სავსეა, გონება კი დასავლეთის რაციონალიზმით. ჩვენ გვინდა სიყვარულად დავიღვაროთ, მაგრამ გულის გახსნას ხელს უშლის გონების სიფხიზლე. ამიტომ გვჭირდება ჩვენ ღვინო. ღვინო, ქალბატონებო, ათავისუფლებს გონების ლაგამს და გულიდან თავისუფლად იღვრება სიყვარული...

სიდედრმა შეიწყვეტინა. არც შერხეულა, არც თვალი მოუშორებია, არც ძარღვი შეტოკებია. მხრლოდ ერთი, ერთადერთი სიტყვა თქვა.

— მოიტა.

აბელი წამით დაიბნა, ვერაც იმას მიხვდა. რას ნიშნავდა ეს სიტყვა, და ვერც იმას, ვისი მისამართით იყო ნათქვამი. მხოლოდ მაშინ, როცა სიდედრის მარცხენა მხარზემოთ ცოლის სახე შებრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ მხედველობის არედანაც გაქრა, აბელმა შეძლო საუბრის დაკარგული ძაფი ეპოვა:

— ჩვენში, მოწყალეო ქალბატონო, ოჯეფის დარბაზში სუფრაზე წყვეტდა ქვეყნის ბედ-ილბალს.

ვანოს ცოლი ისევ გამოჩნდა. სიდედრს არ მიუხედავს, მხოლოდ მარჯვენა ხელი მოიხსნა წელიდან და უკან გაიწოდა, როგორც კი ფეხის ხმა მოესმა. მერე ეს ხელი რომ ისევ დაბრუნდა, აბელმა იატაკის ჯოხი დაინახა.

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ჯოხი თეთრი იყო და ჯანსაღი შესახედაობა ჰქონდა.

— შე უკეთურო. — თქვა სიდედრმა.

აბელმა ოდნავ უბიძგა ხელი ვანოს და სახიფათო ზონიდან გააგდო. თვითონ თავი უკან გადასწია და, იატაკის ჯოხმა რომ ცხვირწინ ჩამოუქროლა, ბოლოებში სწრაფად ჩააგლო ორივე ხელი. როგორც მოტოციკლის საჭეს, როგორც ბურღს, როგორც ხარის რქებს. სიდედრმა მძლავრად დაქაჩა თავისკენ ჯოხი. აბელმა მიუშვა, სანამ მკლავის სიგრძე ეყოფოდა, როგორც მეთევზე მიუშვებს თევზს, რათა ამით ლარი გაწყვეტას გადაარჩინოს, მერე ისევ თავისკენ მოსწია. სიდედრმა კიდევ რამდენჯერმე სცადა ჯოხი გამოეგლიჯა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მაშინ მცირე ხნით შეისვენა. ახლა ისა და აბელი თვალებში შეჰყურებდნენ ერთმანეთს და იატაკის ჯოხით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული.

აბელმა შესვენებით ისარგებლა და სცადა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა:

— მოწყალეო ქალბატონო...

მაგრამ ბრძოლებში გამობრძმედილმა სიდედრმა, რომელსაც, ეტყობა, მდიდარი ტაქტიკური არსენალი და ვითარების სწორი შეფასების შესაშური უნარი ჰქონდა, ერთბაშად შეცვალა ბრძოლის გეზი. იმ დროს, როცა აბელი მოელოდა, რომ თევზი ხელახლა დაჭრავდა და ლარის გაწყვეტას კიდევ ერთხელ შეეცდებოდა, სიდედრი შეტევაზე წამოვიდა და იატაკის ჯოხი უეცრად შუბად იქცა. აბელი ასეთ სიმუტხლეს არ მოელოდა და მოუმზადებელი შეხვდა. ჯოხის ბოლო მუცელში ისე დაეტაკა, რომ მუცელმა სიმწრისაგან ხმამაღლა დაიბუტბუტა. აბელმა წაიფორხილა და, ცოდად რომ არ დაცემულიყო, იძულებული შეიქნა, ჯიბისთვის ხელები გაეშვა. ცალ მუხლზე წამოიჩოქა, წამსვე ისევ წამოხტა და აღმართული ჯოხის დანახვაზე უკან დაიხია. სიდედრს ოდნავ ხელით ეჭიხა იატაკის ჯოხი და როგორც მრისხანე სამური მოწინააღმდეგისაკენ მოიწევდა. სანამ შუტრიალდებოდა და [illegible] აბელმა იმის შემჩნევაც [illegible] ვანომ, როგორც კი სიდედრის მიერ ამოქროლილი კარის ზღურბლი გაიხსნა, წამსვე დერთა თავი და უკან მოუხედავად შეეგარდა სახლში. სწორედ ამ დროს აბელმაც, საცა არა სჯობს, გაცალა სჯობსო, და მტერს ზურგი უჩვენა. ვიდრე სადარბაზოდან გაალწევედა, ბრგანული გაისმა და ეს მტრისთვის ნაჩვენები ზურგი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ იატაკის ჯოხი მართალ ჯანსაღი და მაგარი ყოფილა.

აბელი ეზეჩაში გამოვარდა. ერთი პირობა კი დააპირა, სირბილით დაშვებულიყო ქვემოთ, მაგრამ, თვალწინ რომ საშინელი და კომიკური სურათი წარმოუდგა, თუ როგორ მირბის თავგზაშემოგლეჯილი ქალაქის ცენტრში და როგორ მისდევს უკან ყიჟინით ვანო როსტაშვილის პირგამეხებული სიდედრი, ამ განზრახვაზე ხელი აიღო და იქვე, სახლის კუთხეს ამოეფარა. ბედად, სწორედ აქ, ზედ კუთხესთან, კედელს საწვიმარი მილი ჩამოსდევედა. მოწინააღმდეგის მანევრები რომ არ გამოპარიოდა, აბელი კედელსა და საწვიმარ მილს შორის დარჩენილ ჭუჭრუტანას აეკრო და აქედან დაუწყო თვალთვალი ბრძოლის ველს. იატაკის ჯოხით შეიარაღებული სიდედრი სადარბაზოდან გამოვარდა და ინერციით წამოვიდა ქვემოთ, მაგრამ აბელი რომ ვერსად დაინახა, მკვეთრად დაამუხრუჭა და ახლა ზემოთ გავარდა. რაკი იქაც ვერ აღმოაჩინა მსხვეპრელი, ისევ მობრუნდა, სადარბაზოსთან შეჩერდა, იატაკის ჯოხი შუბივით დააყრდნო მიწას და მარცხენა ხელით დაიჭირა. ერთხანს ასე იდგა გაჭიმული, როგორც სანეფო კარის მცველი, მერე მარჯვენა ხელი მოიჩრდილა, ელნათურებით სუსტად განათებულ ეზეჩას ყოველ მხარეს მოავლო ირიგის მზერა, ბოლოს ხმადაბალი თქვა რაღაც (აბელის ვარაუდით, უწმაწურად შეიგინა) და სახლში შევიდა.

აბელი სამალავიდან გამოვიდა და სასაფლაოსაკენ გაუდგა გზას.

სასაფლაოზე გრიალოდა და სიჩუმე იყო. აბელი გედეონ რევიას საფლავის გვერდით გულაღმა დაწვა. მკლავები აქეთ-იქით გადაყარა და მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავებს დაუწყო ცქერა. რაკი ასტრონომიის დარგში მისი ცოდნა დიდი და პატარა დათვით ამოიწურებოდა, ეს საქმიანობა მალე უაზრო შეიქნა და თვალი გაუშტერდა. ხოლო იმ დროს, როცა გადაწყვეტა, ხვალვე წოგნს ვიშოვი და დასაწყისისთვის იმდენ ცოდნას მაინც შევიძენ, რომ ვარსკვლავები პლანეტებისაგან გავარჩიოო, ჩასთვლიმა კიდეც. ის იყო, ღრმა ძილში უნდა წასულიყო, უეცრად ტეხში ელვასავით დაკვეცა რაღაცამ და ერთბაშად გამოფხიზლდა. „ეს თავდაცვის ინსტინქტია“, გაიცლო გულში და წამოჯდა. ერთი დაპირება დააპირა გედეონს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ გადაიფიქრა. სულ ერთია, მაინც არაფერი გამოვიდოდა: ერთადერთი კაცი, ვინც ამ ქალაქში სულებთან ურთიერთობას ახერხებდა, სამსონი იყო.

ბოლოს ადგა და წამოვიდა. თუმცა რამდენიმე ნაბიჯი რომ გამოიარა, შეტრიალდა და გედეონს ხელი დაუქნია. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ იფიქრა, ჩვენ ხომ გარდაცვლილზე არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს და ვინაცობისაა გედეონის სული ყველაფერს ხედავდეს, ასე უბრად წასვლა უზრდელობაში არ ჩამომართვასო.

ქალაქში რომ ჩამოვიდა, შეჩერდა და დიდხანს იფიქრა იმაზე, თუ სად წასულიყო. ბოლოს ერთ-ერთ მოსაზრებას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ღამის თერთმეტ საათზე გორდაძეებს მიადგა.

გორდაძეებთან იდილია სუფევდა. ბავშვებს უკვე ეძინათ და იდილიაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ნანო, ასლანი და მერი. ისინი აიგანზე ისხდნენ, ჩაის მიირთმევდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ. აბელმა იდილია შორიდან შეამჩნია. მერის დანახვა გიუკვირდა, მაგრამ გაკვირვება დიდხანს არ გაჩერებულა გონებაში, რადგან იქ ალკოჰოლი მეფობდა, რომელიც [illegible] ლიგიდ არავითარ აზრსა და [illegible] გრძნობას არ აჩერებდა.

აბელმა ფრთხილად შეაღო ჭიშკარი და ასევე ფრთხილად, უხმაუროდ მიხტა. კიბეზე ორჯერ წაიფორხილა, მაგრამ ორივეჯერ მოასწრო მოაჯირს ჩაფრენოდა და გადარჩენილიყო. ბოლო საფეხურს რომ მიაღწია, იდილიის მონაწილეებმა მაშინღა შეამჩნიეს. მოიხედეს და რაღაც შესძახეს. რა შესძახეს, აბელმა ვერ გაიგო, მის გარ[illegible]ებას მხოლოდ ინტონაცია მისწვდა. ინტონაცია კი იყო გაკვირვებისა და სიხარულის.

ასლანი და ნანო სწრაფად წამოდგნენ. მერი არ წამომდგარა.

— ასეთ დროს სტუმრობა უხერხულია, — კატეგორიული კილოთი თქვა აბელმა.

— შინაურისთვის არაა უხერხული, — ღიმილით შეაწყვეტინა ასლანმა, ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა.

— ასეთ დროს სტუმრობა შინაურისთვისაც უხერხულია, — თავისას მიერეკებოდა აბელი. — ამას მე თქვენს გასაგონად ვამბობ, ქალბატონო, — თითი მიაშვირა მერის.

მერიმ გულღიად გაიცინა და მიუგო:

— ყველამ ჩვენ-ჩვენ უხერხულობას მივხედოთ.

— სწორია. — გაეხარდა აბელს. — სწორია. და ამიტომ საღამო მშვიდობისა... არა. ღამე მშვიდობისა. არა. „ღამე მშვიდობისა“ მერე უნდა. ერთი სიტყვით, გვიანი საღამო მშვიდობისა.

— მოდი, დაჯექი, — ასლანმა ისევ მოხვია ხელი და მაგიდასთან მიიყვანა.

— მოგესალმებით, ქალბატონო, — აბელი დაიხარა, მერის ხელი მოწიწებით აიღო და აკოცა. — შეიძლება, აი, აქ დავჯდე, თქვენს პირდაპირ, და სახეში გიცქეროთ?

— დაჯექი. ოღონდ ცქერა რომ მოგბეზრდება, არ მოგერიდოს, თამამად გაიხედე გვერდზე.

ჯემალ ძარჩიკაძე
ქარავანი

— მოხარული ვარ, რომ იტმორის გრძნობით ყოფილხარო დაფიქრებული. ეს მე არ გიცოდი. — ამ სიტყვებით დაჯდა, ტოტა დაფიგრდა, მოეჩვენა, თითქოს ოდესღაც წამოეპარა, მაგრამ უცებვე გამოეფიზიზდა. — შენ გაუგებარი კაცი ხარ, ასლან. დიალექტიკის კანონს არ ემორჩილები.

— აბა რას ვემორჩილები? — გაიცინა ასლანმა.

— რა ვიცი. ეტყობა, შენ ემანაცია არა ხარ. დიალექტიკის კანონს ემორჩილება ის, რაც ელინდება მატერიაში, დროსა და სივრცეში. შენ არ ემორჩილები დიალექტიკის კანონს, მაშასადამე, შენ არა ხარ გამოვლინება. შენა ხარ ტრანსც... ტრანსცენდ... ერთი სიტყვით, ისა ხარ, რასაც ახლა სიმთვრალის გამო ვერ ვამბობ.

— სად იწვიმა და იქუხა? — ღიმილით ჰკითხა ნანომ.

— ყველგან იწვიმა. ცა გაირღვა და ღრუბლები იწველებიან. კოკისპრიულად წვიმს. რაც შეეხება ქუხილს, როსტაფვილებთან ქუხდა. საწყალი ვანოს სიდედრი ქუხდა. რა უნდა აქ ამ ქალს? — ნანოს მიუბრუნდა უცებ და თითი მერისკენ გაიშვირა.

მერიმ გაიცინა. ნანომ ღიმილით თქვა:

— რას ეჩრი ამ ქალს?

— ამ ქალის გარეგნობაში ერთიანი ღერძი გაჩნდა. ადრე ეს ღერძი დაბზარული იყო. აქედან შეეხედავდი, ლამაზი გეჩვენებოდა, იქიდან შეხედავდი, ულამაზო გეჩვენებოდა. ახლა ერთიანი ღერძიაა ყველაფერი აკიბძული.

— ნუ შომკალი, მითხარი ბარემ, ლამაზი ვარ ამ ერთიანი ღერძით თუ ულამაზო? — ჰკითხა მერიმ.

— ლამაზი ხარ, ლამაზი, შენ შემოგევლის რაც ქვეყანაზე მისტიკოსები და თეოსოფები!.. აი, ახლა რომ ჩაი მოწრუტე, იმიტომ კი არ მოწრუტე, რომ მოწრუტავ გინდოდა, იმიტომ მოწრუტე, რომ უხერხულობა იგრძენი და გინდოდა ეს უხერხულობა მოწრუტვით შეგენიღა. — აქ ძველი პედაგოგის კილოთი დაუმატა: — ამაო იყო შენი საქციელი. მე ასე ოდესღაც [illegible] ნომაბარე. — და უცებ [illegible] ბრის თემა. — მე ახლა გედეონ რევიასთან ვიყავი.

— შენი მტერი იყოს გედეონ რევიასთან! — შეშფოთებით თქვა ნანომ.

— მე მტერი არა მყავს, ქალბატონო. მე მხოლოდ მეგობრები მყავს, რომლებიც ვერ მიტანენ. გედეონ რევიაღრმად არის ჩაფლული სამარეში.

— რა საძაგლობაა! — შუბლი შეიჭმუხნა მერიმ.

აბელი მერის მიაჩერდა და ერთხანს უყურა.

— საძაგლობაა, ქალბატონო, — თქვა მერე. — მაგრამ ატონებს შორის ცარიელი ადგილებია და გედეონ რევია იქიდან უჩვრიტინებს ზეცას.

— დალევ რამეს? — ჰკითხა ასლანმა.

— ჩაის დალევს, — თქვა მერიმ. — მეტი ახლა მაგისთვის არაფერი არ შეიძლება.

— შეიძლება, როგორ არ შეიძლება! — თითი დაუქნია აბელმა. — ასლანს ისეთი არაყი აქვს, რომელსაც ვერავითარი ჩაი ვერ შეედრება.

ასლანმა ნანოს ანიშნა. ნანო ადგა, ოთახში შევიდა და არაყი და ორი ჭიქა გამოიტანა. ასლანმა დაასხა და თავისი ჭიქა აბელისას მიუჭახუნა.

— გაგვიმარჯოს.

— ეს უცხოელები სულელები არიან, — თქვა უცებ აბელმა. — ყველაფერზე იკრიჭვიანან და თხასავით აკაკანებენ თავს. თვალებგადმოკაჭული დაწყნწალებენ და სულ ფოტოაპარატებს აჩეაკეწნებენ. მიათვალიერებენ, მოათვალიერებენ და წვალენ კმაყოფილები, დარწმუნებულები, რომ საქართველო ნახეს. მაგ ჩერჩეტებს საქართველო მართლა ის ჰგონიათ, რაც ჩანს. საქართველო, თქვე სულელებო, ისაა, რაც არ ჩანს. საქართველო მე ვარ. მე თუ არ ჩამბრედე გულში, აგერ, მერის თუ არ ჩანედე... — ეს ბოლო სიტყვა ხმადაბლა, გაჩიანურებით თქვა, თან ისეთი დაეინებით დააცქერდა მერის

ოდნავ მოღებულ მკერდს, რომ ეს უკანასკნელი შეიშმუშნა და უნებურად ხელი აიფარა. — ის თუ არ დაინახე, რაც არ არის, ისე რას გიგიბ, საქართველო რა არის... არ დავლიოთ საქართველოს სადღეგრძელო? — ასლანს მიუბრუნდა უცებ.

— დავლიოთ, — თქვა ასლანმა და ჭიქა ისევ მიუჭახუნა.

— გედეონ რევიას ჭაონია... — ისევ დაიწყო აბელმა — ახლა იქნებ აღარც ჭაონია, მაგრამ ადრე ეგონა, რომ საქართველოს სადღეგრძელო არის სუფრული პატრიოტიზმი, რომელიც ქართველებს სახელს გვიტეხავს. აღმოსავლეთში კი მიაჩნიათ, რომ, თუ გინდა ღმერთი იხილო და მასთან მეზობლური ურთიერთობა დაამყარო, როგორც ზოგიერთებმა დაამყარეს, ხშირ-ხშირად უნდა იმეორო მისი სახელი. თუნდაც მექანიკურად, მაგრამ უნდა იმეორო, ამ თვალით თუ შეეხედავთ, საქართველოს სადღეგრძელო სუფრული პატრიოტიზმი კი არ. ლოცვაა. სუფრაზეკი თუ არ ვახსენეთ სამშობლო, შეიძლება სულ დაგვავიწყდეს და, გზაში რომ შეგვხვდეს, ვეღარც კი ვიცნოთ. თქვენ, ქალბატონო მერი, იქედნურად ნუ იღიმებით და ნუ გგონიათ, თითქოს პატრიოტიზმი პროვინციალობაა და მთავარია ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემები. გლობალური პროფილემების გზა, ჩემო ძვირფასო და აწ უკვე მშვენიერო, ეროვნულ პრობლემებზე გადის. და როცა ვინმე ეროვნულ პრობლემებს გამოტოვებს და პირდაპირ გლობალურ პრობლემებს დაიხტება, ეს უტოპიური ნიშანია იმისა, რომ ასეთი კაცი ილუზიით ცხოვრობს საკუთარ არსებობას, ასე გადაიცი ჩემს მეგობარს, თუ როდისმე თავისა გამოქვაბული მიატოვოს და ამ ეგზისტენციალურ ქნას პიო. ისე კი იცოდე, ყველა უკან ბრუნდება. მე ამ დარგში მრავალი ექსპერიმენტი ჩამიტარებია და საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ყველა უკან ბრუნდება, თუკი უკან დასაბრუნებელი გზა არსებობს. ან ოჯახს გაუშაოჯოს! — თქვა უცებ და არაყი ერთ ყლუპად გადაუშვა.

— ამ ოჯახს თუ საქართველოს?

აბელმა მერის შეხედა. მერე, ოდნავ გაიყო, მერე ისევ შეერთდა ... თავს ძალა დაატანა, რათა რაღაც გაეხსენებია, რაც დავიწყებული ჰქონდა. ბოლოს თქვა:

— საქართველო არაა ეს ოჯახი?! დალიე, ასლან.

ასლანმა უხერხულობის ასარიდებლად უბრალოდ თქვა, გაუმარჯოსო, და დალია.

— აბელ, ოატომ გედეონის სახლში არ გადადიხარ? — ჰკითხა ნანომ.

— არ მიშვებს გედეონი. — მიუგო აბელმა.

— როგორ არ გიშვებს, ანდერძით დაგიტოვა მემკვიდრეობა! — გაუკვირდა ნანოს.

— არ მიშვებს. ახლაც ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ვეწვევი. არაო, მითხრა, ანდერძით კი დაგიტოვე, მაგრამ, სანამ საქართველო არ შეგძულდება, მანამ გადასვლას უფლება არა გაქვსო. რა ვქნა მე საწყალმა? კი მძულს, მაგრამ როგორ გავამხილო?... — აქ თავი ხელებში ჩარგო და გაჩუმდა. ერთხანს ასე იყო, მერე უეცრად ასწია თავი, თითი მერის მიაშვირა და თქვა: — როგორ დავანებე სამსონს ასეთი ქალი!

მერის გულთანი სიცილი აუტყდა. ნანო და ასლანი წყმით შეეცინნენ, მერე იმათაც გაეცინთ. ასლანმა ტორი დაადო ბეჭზე აბელს.

— შენ კი რა გითხრა! სად იყავი მერე თავის დროზე!

— თუ ნებას მომცემთ, ქალბატონო, შინ გაგაცილებთ, — ელეგანტური კავალერის თავაზიანობით უთხრა აბელმა მერის. — როგორც იმ უწყინარ და სულელურ დროს, როცა ერთად დავიარებოდით სალოწში.

— სად გაგაცილებ? — თქვა ნანომ. — მერი ჩვენთან გადმოვიდა.

— როგორ თუ გადმოვიდა?

ჯემალ ჟარჩაძე
ქარაგმანი

— გადმოვიდა. მარტო იყო და გადმოვიდა.

— რა უფლებით! — კოპები შეჰყარა აბელმა და თავის სისულელეზე თვითონ ,,აეცინა. — იმ ოთახში ხომ არ დგას, მე რომ ვიდექი?

— სწორედ იმ ოთახში დგას. — მიუგო ნანომ.

— მაშ, მერის გაუთარჯოს! — აბელმა არაყი დაისხა, მერე ასლანს დაუსხა. — თქვენ გაგიმარჯოთ, ქალბატონო! ფერ-უშარილი არ მოგაკლოთ ღმერთმა. — ჭიქა დაცალა და დადგა. — მაშ, მარტო მომიწია წასვლამ.

— დარჩი, სად უნდა წახვიდე! — უთხრა ასლანმა.

— არა. — თქვა აბელმა. — სახლში მარტოობა მელოდება. ცოდოა მარტო.

— ნუ სულელობ, დარჩი, — ხელი მოჰხვია ასლანმა.

— ნეტა იცოდე, ასლან, როგორ მიყვარხარ! — აბელს გული აუჩუყდა, ლამის ცრემლი მოერია. ასლანს გადეხვია და გადაკოცნა. — უნდა წავიდე. მშვიდობით ბანაბეთ. გაგამრავლოთ გამჩენმა და გაგახაროთ!

ასლანი და ნანო კიდევ ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ აბელმა არ დაიშალა. მაშინ ასლანმა მინქანით წაყვანა შესთავაზა და ამჯერად თვითონ არ დაიშალა.

მეორე დილით აბელი მაგიდას მიუჯდა და გილგამეშის ეპოსის კითხვა დაიწყო. ერთხანს გატაკცბით კითხულობდა, მაგრამ როდესაც გილგამეში უკვდავების საძებნელად წავიდა, ეცემ თავში გაუელვა აზრმა, რომ სუფრას თანამესუფრე სრულებით არ სჭირდება. თუკი არსებობ შენ, როგორც სუბიექტი, და არსებობს სასმელი, როგორც ობიექტი, სუფრის მთავარი არსი უკვე გამოკვეთილია. თანამესუფრე მეორეხარისხოვანი მომენტია, რომელიც შეიძლება სასურველი იყოს, მაგრამ აუცილებელი არ არის. ამ ფიქრმა თანდათან დაიპყრო მისი გონება და იქიდან გილგამეში გამოდევნა. ბოლოს წიგნი დახურა, მაგიდის შორიეულ კუთხეში მიუჩინა ადგილი და გადაწყვეტა, მეორეული მოსაზრება პრაქტიკულად შეემოწმებინა. მაგრამ იდეის ნორცხესნაბავ რომ მიდგა საქმე, ობიექტის არჩევა გაჭირდა. გადაწყვეტილება თანაბარი ამპლიტუდით მეოყეობდა ღვინოსა და არაყს შორის. მაშინ ადგა და ორივე გამოიტანა. ორივე, ღვინოცა და არაყიც, წინ დადგა და მიიჩერდა. უცქერი, უცქერა და ბოლოს არაყი დაისხა. ერთი ჭიქა რომ დალია, თავისდა მოულოდნელად, ორივე ბოთლი გვერდზე გასწია, ქალალდი და კალმისტარი აიღო და წერას შეუდგა:

„გუშინწინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მიმოზა შარტავა ჩემი ორეულია. შენ კი ტყუილად ეკვობდი. მე ხელად მივხვდი, როგორ იქეცი მტრედად და როგორ ჩამომიჯექი მარცხენა მხარზე. ეს იმწამს მოხდა, რა წამსაც ავეჯის მაღაზიის წინ თვალი მოვკარი ვანო როსტიაშვილს. მარტოდმარტო იმიტომ კი არ დავრჩი, რომ შენ წახვედი. ყველა წავიდა. ეკვი არაა, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მოხდება, ოღონდ, როდის მოხდება, კაცმა არ იცის. ცოდნის შეძენა მავნებლობაა და, კიდევ კარგი, სიკვდილი არსებობს. შეძენილი ცოდნა გალიაში დამწყვდეული ჩიტია. ცოდნის შეძენის პროცესი მხოლოდ სიკვდილის წყალობითაა უსასრულო, თორემ, ყველა ჩიტი რომ გალიაში დავამწყვდიოთ, რა გაუძლებდა მარადიულ მოწყენილობას? კოკრებიდან რომ ყველა ფერადი ყვავილი გამოიჩეკება და გაზაფხლი ზენიტს მიაღწევს, ამას ილად არავინ გვაპატიებს. წინ მძიმე ბრძოლა გვიდევს. თუ გადავურჩით... და ისმის კითხვა (როგორც ამბობს ლექტორი, რომელსაც აზრიდან აზრზე გადასვლა არ ემარჯვება): მაინც რა ხომალდია ასეთი ეს სამყარო? (მერის სილამაზეში მართლა გაჩნდა ერთიანი ღერძი), საით მიცურავს? ვის ნებას ასრულებს? სადაა ის აღთქმული ნაპირი, რომელსაც, უნდა — არ უნდა, ოდესმე მაინც მიაღწევს? ჩვენ რაღას

ვშვრებით, მეზღვაურებო? ცოტა მივდგეთ-მოვდგეთ, ცოტა ხელი გამოვიღოთ, თორემ ვირთხები შეგვჭამენ და ხომალდი უეკიპაჟოდ დარჩება. სმა უნდა მივატოვო და მოლოდინი გავიმძაფრო.

მარად შენი და მარად შენზე მლოცველი

აბელი".

წერას რომ მორჩა, მძღლვარებით შეხედა არყისა და ღვინის ბოთლებს, ულებიც ამაოდ ყელმოღერებულ ... ...

ბივით ფარფატებდნენ ჰაერში. აბელი სკამის საზურგეს გადასწოლოდა, სიგარეტიანი ხელი ფანჯრის რაფაზე ედო, ბოლს რგოლებად უშვებდა და მდუმარედ გასცქეროდა ბაზრის მოედანს.

ასლანი სადღეგრძელოს ამბობდა. წახნაგოვანი ჩაის ჭიქა წახნაგოვანი სათითურობით ეჭირა ვეება ხელში. რა სადღეგრძელი იყო, აბელს აღარ ახსოვდა და არც ასლანის ლაპარაკი ესმოდა. ამიტომ ისე უყურებდა, როგორც დაზიანებულ ტელევიზორს, რომელიც გამოსახულებას კი აჩვენებს, მაგრამ ხმა არა აქვს.

თეიმურაზ კილაძეს ორივე ლამაზი ყმა ცხვრის მწვადით გამოეტენა, თვალები მიეღლია და მშვენიერ სახეზე ნეტარება ეწერა.

რომან ადეიშვილი ჩანგლის ტარით ყურძნის წიპწას დასდევდა სავსე ჭიქაში. წიპწა ოსტატურად უსლტებოდა რეკისორის გამოკდილებას და ლაღად დაჭროდა ღვინოში წრიულ ორბიტაზე.

აბელმა შუბლი მოისრისა.

ასლანის გამოსახულებამ მარცხენა წარბი და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ზე აღმართა, წამით შეყოვნდა ამ პოზაში, მერე ჭიქა დაცალა და წარბი და თითიც დაუშვა.

თეიმურაზ კილაძე ნებიერად იცოხნებოდა და ლუკმის გადაყლაპვას არ ჩქარობდა.

რომან ადეიშვილმა ნეკა თითი მოიშველია და წიპწა შეიპყრო.

აი, ამ დროს მოხდა ის, რაც აბელის ცხოვრებაში კინაღამ საკვანძო მოვლენად იქცა.

თითქოს ისეთიც არაფერი: უბრალოდ, ლუდხანის კარი გაიღო და კაცი შემოვიდა. კაცი ასე, ოცდაათი წლისა იქნებოდა, მაღალი იყო, გამხდარი, მოგრძო სახე ჰქონდა, სუფთა, თითქმის ქალური კანი, სწორი, თხელი ცხვირი, პატარა ულვაშები და მაღალი შუბლი. პალტოს საყელო აეწია, კეპიანი ქუდი მოეხადა და იღლიაში ამოეჩარა.

შემოსული შეჩერდა, ხელთათმანები გაიძრო და ცხობისმოყვარე მზერა გააყოლა ვიღაც მთვრალს, რომელიც თავნაბარი და დახვეწილი, [illegible] ნების სიმძიმეზე ასულ[illegible] იწევდა კარისკენ და გაცხოველებული ყვეტიკულაციით რაღაცას უმტკიცებდა საკუთარ თავს.

— ეს ლადო მენანდე არ არის? — მსუბუქი გაკვირვებით იკითხა რომან ადეიშვილმა და ხელიც კი მიიჩრდილა.

აბელი შეკრთა და მთელ სხეულში მწვავე ფოორიალებამ დაუარა, თუმცა რომან ადეიშვილის ნათქვამს მხოლოდ მას შემდეგ ჩაწვდა, რაც მის მზერას თვალი გააყოლა და სითბოთი, ყაყანითა და თამბაქოს კვამლით სავსე დარბაზში ლადო მენანდის ცოტა ბუნდოვანი, ცოტა არარეალური ფიგურა გაარჩია.

აბელი ერთხანს უაზროდ, თვალგაშტერებით მისჩერებოდა ლადოს. მერე ზმადაბლა, თითქოს თავისთვის, ოდნავ გაკვირვებითა და ოდნავ გაჭიანურებით თქვა:

— მომეცით, თუ სადმე დიდი სასმისია...

ასე გულწრფელად კარგა ხანია არაფერი გახარებია, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ამ სიხარულში იყო რაღაც ზედმეტი, რაღაც წრეგადასული; კერძოდ, რა, ვერ მიხვდა, რადგან ნთლად აზროვნებას ისევ სიხარული ეღობებოდა წინ.

ლადომ აბელი და რომან ადეიშვილი გადაკოცნა, ასლანსა და თეიმურაზ კილაძეს ხელი ჩამოართვა.

— ამ სოფელში რამ ჩამოგიყვანა? — ჰკითხა აბელმა.

— მისიამ, — გაიღიმა ლადომ.

— ასეთი რა მისია გაგიჩნდა, რომ თბილისში ვერ დაატიე?

ლადომ ისევ გაიღიმა.

ასლანმა ოფიციანტი იხმო და სუფრა გადაახალისებინა. უცხო კაცის სტუმრობამ ქეიფს ახალი ეშხი შეჰმატა. აბელს იმ პირველმა სიხარულმა, გაუგებარმა და, ცოტა არ იყოს, ბოჰოლასავით აკუნტრუშებულმა, გაუარა, ახლა მშვიდი ღიმილით აკვირდებოდა ლადოს, ოღონდ გრძნობდა, რომ ის ტყუილად

არ ჩამოსულა, რაღაც ჩამოიტანა, რაღაც დიდი, ბუნდოვანი და უსარგებლო.

და მზოლოდ გვიან, როდესაც შუადამე კარგა ხნის დადასული იყო და აბელი და ლადო, რო

გარდაუვალი იყო, თითქოს საქმე ეხებოდა ორი მოსაბდენს, ოთმეულ უკვე მომხდარ ამბავს, რომელიც გარემოებათა დამთხვევის გამო მივიწყების ბუჩუსიდან გამოცურდა და მეხსიერების ცენტრში ამოტივტივდა.

ჭრიგინა არ გიიმართებოდა, მაგრამ შედეგის ცოდნა იმის მიზეზად ვერ გამოდგება, რომ პროცესში ჩაერია. პროცესი თავისთვის მიედინება და მაშინ უნდა შეწყდეს, როცა მისი შეწყვეტის ჟამი დადგება.

ჟამი აპრილის ბოლოს დადგა. ამიტომ აპრილის ბოლომდე ანელი ინა დადიოდა რეპეტიციებზე და ისე მოსდომებით ამზადებდა როლს, ვითომ არ აკლდნოდა, ჰრეციერა რომ არ გიიმართებოდა.

ახალ ნაცნობებთან და პარტნიორებთან მშვიდი და უბრალო დამოკიდებულება ჰქონდა. თუმცა ერთხელ ბრეყუალების გამოჩენაც მოუხდა: ერთი ახალგაზრდა მსახიობი, მაღალი, წარმოსადეგი, არანორმალურად ლამაზი კაცი, რომელსაც თეატრი ჰამლეტის თამაშის პროტესზია ჰქონია და, რაკი საწადელისთვის ვერ მიეღწევია, ყოველი სულიერი, მამა ღმერთიდან ვიდრე ტეგნიკურ რეფისორამდე, მთელი არსები შესაფულებია, ანელს თავიდანვე აგდებულად შეხვდა და არხეინ კილოში ცუდად შეხვედა ირონია ისე დაუშინა, პატარა ბავშვები რომ ხის ატომატებით ომობანაბა თამაშობენ (თანაც ერთიერთობაში გამოეტრაბნდადგმა მსახიობმა, იმის გამო, რომ ანელს არ იცინოდა და მის სუსტსა და ძლიერ მხარეებზე არაგვითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, ტიპიური შეცდომა ჩაიდინა: თავისი ხის ატომატი ანელის პროგრესიულობას დაუმიზნა). ანელი ერთხანს მის ირონიას არაგვითარ ეურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ბოლოს, როცა ოპონენტი, რომელმაც მოთმინება და სილაჩრე ერთთანეთისგან ვერ გააჯიჩა, ზედმეტად შეიგდო ეშაში, ბუნტი ოდესმე გახსნა და ბრეყუალები დაანახვა, რის შემდეგაც უველაფერი თავის ადგილას დადგა.

მალე ისიც გამოიარკვა, რომ ლადო მეწაბდესთან მეგობრობა წარყოფილი დარჩენილიყო და ახლა ეკონომიკურ მნიშვნელობაღა ჰქონდა. ეს ამბავიც, რომელსაც არც ანელი აინტერესებს და არც ლადო მეწაბდე, თავისი გულგრილი და უშფოთველი დინების გზაზე მრავალი წერტილი წაეშალა, რომლებიც ანელს შეხების წერტილებად ეგულებოდა, და მათ ადგილას სხვა წერტილები წარმოეჩინა. ეს არც საკვირველი იყო და არც მოულოდნელი. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ცხრამეტიოცი წლის კაცი უკვე ჩამოყალიბებული და დასრულებული ადამიანია. მაგრამ ანელმა ისიც იცოდა, რომ ყველა ეს ამალი წერტილი ლადოს ხასიათში იმთავითვე არაებობდა, როგორც კვირტი. და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, რათა გაფურჩქნულიყო. ანელი ამას თავის დროზეც ამჩნევდა. ამჩნევდა და გაუცნობიერებლად აოიდებდა თვალს, რადგან, ჯერ ერთი, შეგობარი სჭირდებოდა, და, გარდა ამისა, არ ეგონა, თუ ამ უმზეო კვირტს გაშლა ეწერა. თუმცა ლადო მეწაბდის ახალ თვისებებში ერთი ისეთიც ერია, რომლის ჩანასახი ან არ არსებობდა, ან ანელს არასოდეს შეუმჩნევია: ნია რობაკიანე, რომელიც ქარგა ხანია გათხოვილიყო და ორი შვილიც ჰყავდა, ლადოს საყვარლად ესვა და ამ. თავისთავად არც თუ განსაკუთრებულ ამბავს, არათუ არ უმლავდა ქნარს, არამედ საგანგებოდაც კი ეძებდა შემთხვევას, რომ გამქვირვალე ქარაგმებითა და ოოოც ეუნაფერი სიამოვნებით ეგრძობინებია მისთვის, თუ რა ქარგად ატარებდა დროს მის ცოლთან. ანელს ვერც ის გაიგო, რა სიამოვნებას ჩოუოლობდა ამაში ლადო, და ვერც ის, თუ რატომ ეჩვიო ნია ქნარს თავი ისე, ვითომ ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა. საეთოდ, ლადო მეწაბდეს ამ შვიდი წლის განმავლობაში ეარგად გაეწალა ფრთები. იგი უკვე საბელოვანი რეფისორი იყო და ამიტომ მისი სახელით ეფერო ხშირად მისი სახელი ეულაბაოაკეპოდათ. ერთი სიტყვით, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრობა სადღაც. ძველ შტრიხებში დარჩა გახლართული და ახლა აბელს იმის შიშიც ჰქონდა, ვაითუ თავად ლადის ვერ შეენიშნა ეს ამბავი და ისეთი რამ მოეთხოვა აბელისაგან, რაც აბელს აღარ ჰქონდა. საბედნიეროდ, შიში უსაფუძვლო გამოდგა. ლადო უხმოდ დათანხმდა აბელის უხმო წინადადებას კონტრაქტის გაფერმენის თაობაზე. შესაძლებელია, უბრალოდ, დროც აღარ ჰქონდა მეგობრობისათვის. ასეა თუ ისე, აბელი ოღლად გათავისუფლდა მძიმე ტვირთისაგან, რომელიც მრავალ უსიამოვნებას უქადდა.

რეპეტიციებზე ჩვეულებრივ დადიოდა.

მაგრამ რეპეტიციებზე მსახიობი დადიოდა, ხოლო მხატვარი, რომელსაც ავტოპორტრეტი ჰქონდა მოსათავებელი, თავის საქმეს აკეთებდა.

თავისუფალ დროს თითქმის მუდამ შინ ატარებდა. სუფრაზე ძალზე იშვიათად ნახავდით. შინ ყოფნა უყვარდა, რადგან ყველაზე უკეთ აქედან ჩანდა ავტოპორტრეტი.

თბილისში ამ წელიწადს ერთი იმდაგვარი ზამთარი იდგა — ნესტიანი, გაუგებარი, ულიმლამო — როცა ზამთარს თვითონვე სძულს საკუთარი თავი, რადგან თან იცის, რომ ზამთარია, და თან ზამთარს არაფერით არა ჰგავს. აბელი საათობით, ზოგჯერ მთელი ღამეც კი, იჯდა ხოლმე ცარიელ სახლში და ძვირფას სტუმრებს იღებდა. ძველ, გადავიწყებულ, მტვერწყარილ სტუმრებს. ყველაზე ბეჭრად პაპა მოდიოდა. პაპა ზორეული და გამოუცნობი ღიმილით იღიმეზოდა ეერძის რეპეტიციად დაგრეხილ ულვაშებში და სახეზე ღრმაბაზროვნების ნიშანი ეფინა. აბელს გუნებაში თუმცა თავადაც ეღიმებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ არც ზორეული და გამოუცნობი ღიმილის უკან იყო რაიმე ზორეული და გამოუცნობი, არც ღრმაბაზროვანი გამომეტყველების უკან იყო რაიმე ღრმაბაზროვნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენი ირ ეცადა, პაპის მარტივ სახეს ვერაფრით ვერ ჩამოაცილა იდუმალება, რომელიც ვარაყივით ჰქონდა მოგლეზული. ეს დაპირველად ეს უცნაური ... ველი ჩანდა, რადგან ახლა, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გალიიდან აბელი კარგად ხედავდა, რომ პაპა ერთი უბრალო, უწიგნური და უბირი კაცი, მთელ თავის სიბრძნეს, ღრმაბაზროვნებასა და იდუმალებას სხვათა თვალის ასახვევად იგონებდა. ხოლო რაც მოგონილია, რაც ფერ-უმარილივითაა წესმეული, მისი მოშორებაც იოლად შეიძლება. მაგალითად, სევერიანეს, ასლანის სიმამრს, მთელი თავისი ღირსება პალტოსავით ეცვა და პალტოსავით შეეგეძლო გაგეხადა. მაგრამ, როცა ამ მაგალითზე ფიქრობდა, აბელი გრძნობდა, რომ მიუხედავად ტიპოლოგიური მსგავსებისა, პაპასა და სევერიანეს შორის ღრმა უფსკრული იდო. აბელმა დიდხანს იმტვრია თავი, სანამ ამ უფსკრულს სახელს დაარქმევდა, და ბოლოს მიხვდა, რომ პაპის . იდუმალება მისივე სიმარტივის გაგრძელება იყო. სიმარტივე საკუთარ სრულყოფას აღწევდა და აქედან რომელიღაც უცნობი ბილიკით იდუმალებაში გადადიოდა. ხოლო განსხვავება სევერიანესა და პაპას შორის იმაში მდგომარეობდა, რომ სევერიანე თავისი სიდინჯით, ღრმაბაზროვნებით, თეატრალური პაუზებით, საკუთარი თავის ხაზგასმული წარმოჩენით, სხვების მოტყუებას ცდილობდა, რათა თავისი ღირსება აეშენებია, პაპა კი საკუთარ თავს ატყუებდა, რათა სხვების ღირსება გაედვიძებია. სევერიანეს თავისი მოგონილი ღირსება გულზე სალბუნად ედებოდა, პაპას კი თავისი მოგონილი ღირსება მძიმე და მტკივნეულ ტვირთად აწვა. რასაც სევერიანე სხვებისგან მიითვლიდა, პაპა იმას სხვებს მიუთვლიდა.

ამგვარად, ზამთრის იმ. ხშირი დარბაზობების შედეგად პაპა ერთხელ კიდევ შეიცვალა. ის, რაც ბავშვობაში

ჯემალ ჟარჩხაძე
ქარავანი

იდუმალება და ყოვლისმომცველი, ლამის ღვთაებრივი სიბრძნის განსახიერება იყო და შემდეგ განუსჯელად, ხელაღებით იქნა უარყოფილი, ამჯერად ახალ ჩარჩოში მოთავსდა, ახალ ადგილას ჩამოიკიდა და, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს თავისი ნამდვილი სახე მიიღო.

პაპას ყოველ გამოჩენაზე თან ახლდა ბებია, ეპიზოდური პერსონაჟი, ანტიკაჟი, მთავარი გმირის უკეთ წარმოჩენის მხატვრული საშუალება, რომელიც თვითსთავადი მნიშვნელობა არა აქვს და სიუჟეტის განვითარებაში მონაწილეობას არ იღებს.

დედა მხოლოდ დედა იყო და სხვა არანაირი თვისება არა ჰქონია. ფეხაკრეფით იცოდა შემოსვლა, უხმოდ დაჯდებოდა ახელის პირდაპირ და სიყვარულითა და ალვდეთ შემოსცქეროდა. სანაზე ღრმა ნაოჭები ეყარა და ახელს ამის გამო გული სტკიოდა. დედა მსხვერპლად იყო შეწირული და ესე წაგიდა ამ ქვეყნიდან, შვილმა ერთი ციცქნა სიბარული ვერ მიანიჭა. საბედუნაროდ, შვილები ამაზე გვიან დავფიქრდებით ხოლმე, ან არადა, დედები ქვდებიან ძალიან ადრე. დედა მსხვერპლად იყო შეწირული, თორემ ქალი, რომელისთვისაც პატიოსნება, ოჯახის ერთგულება, შვილისა და ნათესავების მიმართ გაუბედავი ზნეობრივი მოგალობა ბუნების ურყევი კანონია. ასე ახალგაზრდა არ უნდა დაქვრივდეს. მამა, ეტყობა, დაბალი აზროვნების კაცი იყო, ეგონა თავისი სიცოცხლე მარტო თვითონ ეცუთვნოდა და, როგორც უნდოდა, ისე მოიხმარდა. ამიტომ ისე აიყარა ამქვეყნიდან, საკუთარი თავის მეტი არაკინ შეცოდებია.

ორ-სამჯერ მირიანი მოვიდა და ბებულმა გაკვირვებით შენიშნა, რომ განუყრელ შეგობარს მკაცრად მოკუმული ტუჩები ჰქონდა და თვალებშიაც, სათვალის უკან, მკაცრი გამომეტყველება ედგა.

სხვებიც მოდიოდნენ. ყველა მოდიოდა, რადგან ახელს კარი მუდამ ღია ჰქონდა. ლოლაც მოვიდა, ლოლას დედამამაც, ნატოც, მეკონდიტრე ბიბინეც, ნინა რობაქიძეც, ლოთი-შფოთი ბიბინეც ხელ ლადო მენამდეც ერთ-ერთ შეწყვეტილი მეგობრობის ზოგიერთი ფურული, აქამდე შეუმჩნეველი წვრილმანი გაეცნობიერებინათ და საერთო კანონზომიერების ჯაჭვში თავის ადგილას ჩაეყენათ.

პატარა ქეთი არ მოსულა, მაგრამ პატარა ქეთი ახელმა ერთხელ ცხადლივ ნახა. ზეხედა თუ არა, მაშინვე იცნო. იცნო რაღაც ნიშნის მიხედვით, რომელიც თითქოსდა ეოგონას გარეგნობის არც ერთი დეტალიდან არ გამომდინარეობდა და ამავე დროს ყველა დეტალში ჰპოვდა ფესვი გადგმული.

საღარბაზოსთან შეეგებნენ ერთმანეთს. და იმ დროს, როცა ეოგონამ გვერდით ჩაუარა, ახელი შეეგებინა:

— ქეთი!

ქეთი შეჩერდა და მოხედა. რაკი ვერ ეცნო, მოძლოდინე ღიმილით მიაჩერდა. მაღალი იყო, თხელი, ჩამოგნილი, ზღაპრიდან გადმოსული მზეთუნახავი. სუფთა, დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა და თამამი, დაჯერებული, ყეთილი ღიმილით ფუფრებდა.

— ვერ მიცანი? — კკითხა ახელმა.

— ვერა. — თავი გაიქნია ეოგონამ და კიდევ უფრო ყეთილი ღიმილით გაიღიმა. ამ ღიმილში არ იყო ასეთი შემთხვევისათვის ჩვეულებრივი მობოდიშება იმის გამო, რომ ნაცნობი ვერ იცნო. მაგრამ ამ მობოდიშებას წარმატებით ცვლიდა ღიმილი, რომელიც ირგვლივ სილამაზეს ფურქვეულდა.

— მე ახელი ვარ, — უთხრა ახელმა. — შენ რომ პატარა იყავი, ძალიან გიყვარდი, და ასე მეგახდი: აა-ბეკ!

ეოგონამ ხალისიანად გაიცინა.

— ვიცი. ბებიისგან გამიგონია. თქვენ მსახიობი ხართ და ჩვენს ქეყნათ ცხოვრობდით.

ახელს სხეულში სეგდის თბილმა ტკივილმა დაუარა. ის, რაც მისთვის ცოცხალი ეოგონება იყო, ქეთისთვის მხოლოდ ბებიას ნაამბობით არსებობდა.

— მსახიობი ვარ, — ღიმილით დაუე-

ნია თავი აბელმა. — და თქვენს ქვემოთ ვცხოვრობდი.

— სადღაც რაიონში მუშაობსო, ბებიამ. ახლა ჩამოხვედით?

— ცოტა ხნით ჩამოვედი, — მიუგო აბელმა. — მალე ისევ წავალ. შენ კი შეცვლილხარ: პატარაობაში ანგელოზი იყავი, ახლა მზეთუნახავი გამხდარხარ. — და გოგონამ რომ ისევ გაიცინა და ირგვლივ თბილი სილამაზე მიმოფარქვია, დაუმატა: — ნახვამდის, ქეთი.

— ნახვამდის. — თქვა ქეთიმ. — მეც უცებ დაატანა: — აა-ბეჭ! — და წაკ ია.

-ხე მიდიოდა, როგორც დედოფალი თავის საბრძანებელში.

აბელს სევდა შემოაწვა.

აპრილის დამლევს მსახიობებს შესაფერისი კოსტიუმები ჩააცვეს და პირველი ნამდვილი რეპეტიცია ჩატარდა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო: აბელს ბიძამ მამა მოუკლა და დედის სარეცელი შეუგინა. უბედური მამის ლანდი, როგორც სინდისის ხმა და ქენჯნა, ყველგან მოუშორებლივ დასდევს შვილს და შურისსაძიებლად მოუწოდებს. შვილი შურისძიებას აჭიანურებს, რადგან განათლებულია და ჰუმანისტი. შვილი ცდილობს კონკრეტული პრობლემა, რომელიც კონკრეტულმა ცხოვრებამ წამოჭრა, ფილოსოფიისა და ზოგადი მსოფლმხედველობის სამზერიდან განიხილოს. შეურაცყოფის მიტევება სილაჩრე და სულმდაბლობაა, ხოლო შურისძიება — ბოროტება, რომელიც წამსვე შეურაცხყოფილის გვერდით მიგიჩენს ადგილს. მაგრამ შვილმა არ იცის, რომ მარადიული პრობლემები გადაუჭრელია. სამაგიეროდ მარადიულ პრობლემას ეპოქა აკონკრეტებს, დროით შემოსაზღვრულ პრობლემად აქცევს და წყვეტს კიდეც თავისი უმთავრესი ნიშნის მიხედვით. ეპოქა აიძულებს შვილს სათაყვანებელ ქალს თაგვივით მოუკლას მამა, მახვილი სისხლით შეიღებოს და ამით საკუთარი პრობლემაც ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას. ეპოქა აკეთებს ყველაფერს. შვილის ეპოქა კი ბნელი, ბინძური და ლაფიანი. დანია საპყრობილეა, სადაც ბარეველა ბალახი ხარობს. აქ ... ტონებულა სიცოცხე, ფალატ... წამება, ორპირობა, რომ ერთგული და პატიოსანი კაცის დანახვა ეშვს ბადებს. აქ ან გიჟი უნდა იყო, რომ ყირაზე დამდგარმა პატიოსნებამ შეგივრდომოს, სისხლის გზით უნდა იარო და ერთადერთ მიზნად შურისძიება დაისახო. ორივე შემთხვევაში მსხვერპლი ხარ და ორივე შემთხვევაში სამსხვერპლოზე შენი თავისუფლება მიგიგზავნ. დანია როზენკრანცებისა და გილდენსტერნებისაა. ისინი კი ამაყოფილი გულმოდგინებით ძერწავენ ბიძებს.

რეპეტიცია რომ დამთავრდა, აბელი დაღლილი და გამოფიტული იყო. სხვა დროს ასეთი რამ არ დამართნია. დაღლილობისაგან მუხლები ეკეცებოდა. მიუხედავად ამისა, თეატრიდან გამოსული მაინც ფეხით გაუდგა გზას. მართალია, ერთხანს კი იდგა გაჩერებაზე და ოროკოფობდა. მაგრამ ბოლო წამს ვერ გაბედა სახლებითა და გამომეტყველებებით გაჭედილ ავტობუსში ასვლა.

გაზაფხულის მზე ჩახჩახებდა და თბილისი მოშხამული ჰაერისა და მტვრის თხელ. გამჭვირვალე ბუღში იყო სათუთად გახვეული. აბელი ნელა მიდიოდა და ეჩვენებოდა, თითქოს ირგვლივ უკუნი ღამე იდგა. ბნელ ჩიხებსა და ბოსახვევებში ლანდები დასუნსულებდნენ. ჰამლეტის ბიძა თითქოს ურიცხვ წვრილ-წვრილ ბ-ძებად დაქუცმაცებულიყო, ბიძები კალიებივით მოსდებოდნენ ქალაქს, მწევრებივით ყნოსავდნენ მიწას და მამების კვალს ეძებდნენ. ჯიბეები საწამლავის შუშებით გამოტენით და ისეთი გამწარებით იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის, თითქოს, ძალაუფლება რომ არ ჩაეგდოთ ხელში, შიმშილით დაიხოცებოდნენ. ბიძები ძლიერები იყვნენ, მაგრამ მათი ძლიერება ძმისწულების უძლურებას ემყარებოდა, რადგან

ჯემალ ჭარჩაძე
ჭარაკანი

ძმისწულებმა მთელი თავიანთი ენერგია სცენაზე დახარჯეს წარმოსახვით ბიძებთან ბრძოლაში და ნამდვილი ბრძოლისთვის ძალა აღარ შესწევდათ.

იმ ღამეს აბელმა ბოლო დარბაზობა გაუმართა თავის ძვირფასსა და მივწუეებულ სტუმრებს, ხოლო მეორე დღეს, იმ დროს, როცა რეპეტიციაზე უნდა წასულიყო, სულ სხვა გზას დაადგა. მისი სიცოცხლის იმ ნაწილს, რომელიც საგნებთან და მოვლენებთან იყო დაკავშირებული და ამ კავშირის მეშვეობით არსებობდა, ეჯონა, რომ პატრონი და მბრძანებელი აღლატედზე მიდიოდა უმიზნოდ და უანგარიშოდ. მაგრამ, როცა გზა დასრულდა, გამოირკვა, რომ პატრონსა და მბრძანებელს სიცოცხლის სხვა ნაწილი მიუძღოდა წინ, ის, რომელიც საგნებსა და მოვლენებს არ ცნობს და სულ სხვა კავშირებზეა აღმოცენებული.

მას შემდეგ, რაც ძველი სახლი აიღეს და ერთ ოჯახად მცხოვრები მეზობლები მთელ ქალაქში მიმოაბნიეს, აბელი აქეთ აღარ ყოფილა. ღა თუმცა იცოდა, რომ ძველი სახლი იმიტომ დანგრიეს, რათა იქ ახალი აეშენებინათ, მახნე უნდოური [illegible] ადგილებით [illegible] ჩერებდა [illegible] სახლს, მაღალს, კუთხოვანს, [illegible]ს. აქ აბელს თავისი ბავშვობის [illegible] კვალი ეგულებოდა, მაგრამ მათი მოძებნა უიმედო საქმე იყო. ბეტონის სქელი ბალავრის ქვეშ ჩამარხულებს. მათ უკვე მარადიული ძილით ეძინათ. აბელი სახლს მისჩერებოდა და უცებ მოაგონდა, რომ ასეთივე დღე მოელოდა მის შორეულ პატარა ქალაქში ერთ ვიწრო, ქვაფენილ ქუჩას, რომლის ორივე მხარეს მიწისპირა სართულზე დუქნები და სახელოსნოები ჩამწკრივებულიყვნენ. ხოლო მეორე სართულზე მოჩუქურთმებული აივნები ჩიხტიკოპიანი ქალებივით გადმომდგარიყვნენ და ერთმანეთს ძველ, მივიწყებულ, სურნელოვან დიალექტზე ებაასებოდნენ.

აბელი მიტრიალდა, სახლს ზურგი შეაქცია. აქედან პურის მაღაზიისაკენ ორი გზა მიდიოდა. ერთ დროს, როდესაც პატარები და სულელები ვიყვნით, ასე გვეგონა, ჩვენი მომავალი ცხოვრებისა და, შესაძლებელია, [illegible] როს ბედიც იმაზე იყო [illegible] თუ რომელი გზით წავიდოდით დღეს პურის მაღაზიაში. ახლა ამაზე სევდიანი და თბილი დაცინვით გვეღიმება, რადგან მშვენივრად ვიცით, რომ გზა მხოლოდ პროცესია და თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, ისიც ვიცით, რომ ერთი რიგითი ღმერთის პირით ჭეშმარიტებამ თავად გვაუწყა საკუთარი ამბავი და გვითხრა: გზა უამრავია, მაგრამ ყველა მთვანი ერთსა და იმავე წიროსთან მიდის. თუმცა, ეს რომ გავიგეთ, შემატებით არაფერი შეგვმატებია, რამეთუ ისიც გავიგეთ, რომ უცოდინარობა რომანტიკის ვარდისფერი იმედია, ცოდნა კი — დაწრეტილი კალაპოტი.

რამდენიმე წუთის შემდეგ აბელი მეორე მაღალი სახლის სადარბაზოსთან იდგა, გული გაჩქარებით უცემდა და ასე ეგონა, ხელში რომ მოსწყალის ჩანთა სჭეროდა, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც მრავალი წლის წინ იყო, როცა აღელვებული და სახეახურებული იდგა აქ და ვერ გადაეწყვიტა, ასულიყო თუ არა მეგობართან, რომელიც კარგა ხანია ცოცხალი აღარ იყო. საბედნიეროდ, ყველა ცოდნის შეპყრობა და გალიაში ჩასმა, როგორც ჩანს, შეუძლებელია. მაგალითად, ზოგი ჩვენგანი ისეა გაჭყეპილი ცოდნით, რომ ამ მოჭარბებული, გულზე დამდგარი ცოდნისაგან ბოყინიც კი აუტყდება ხოლმე, მაგრამ ვერც ეს ზოგი ჩვენგანი აგვიხსნის, თუ რატომ ხდება, რომ ხანდახან უბრალოდ და ბუნებრივად ვფიქრობთ ჩვენს განუყრელ მეგობარზე, როგორც ცოცხალზე, ის კი ამ დროს უკვე მთელი თვეა საფლავში წევს.

აბელი სადარბაზოში შევიდა. მერვე სართულზე ავიდა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი მირიანის მამამ გაუღო.

— გამარჯობათ, ძია გიორგი.

— გამარჯობათ, — მირიანის მამის

ხმაში ცოტა გაკვირვება და შემდგომი ახსნა-განმარტების მოლოდინი მოისმა.

დაბერებულიყო, მოტეხილიყო.

— მე აბელი ვარ, — უთხრა აბელმა. — თუ გახსოვართ, მირიანთან ერთად ვსწავლობდი... ბოლო წელიწადს.

— აა! — გაიღიმა მირიანის მამამ. — ვეღარ გიცანით, აბელ. ან კი რას გიცნობდით, ამდენი ხანი გავიდა! მობრძანდით. — უკან დაიხია და აბელს გზა მისცა. მერე კარი მიხურა. — აბელი როგორ არ მახსოვს! აბელი, რომელიც დედისერთაა და ამიტომ თავისი კაენი არა ჰყავს. — აბელს გაუკვირდა, მირიანის მამას რომ ასეთი წვრილმანები ახსოვდა, და სევდიანად გაიღიმა. მირიანის მამამ კი უცებ კილო შეცვალა. — თქვენს ტირილს რა დამავიწყებს, აბელ! თქვენ იქნებ აღარც გახსოვთ, ჩვენთვის კი ის ტირილი დიდი შვება იყო. აქეთ მობრძანდით.

— დედა თამარი?.. — გაუბედავად იკითხა აბელმა.

— ეეჰ! — ამოიოხრა მირიანის მამამ. — დეიდა თამარმაც მიმეტოვა. ყველამ მიმატოვა. სულ მარტო დამაგდეს. მეც სიამოვნებით მივატოვებდი ჩემს თავს, მაგრამ რა გინდა ქნა! სანამ თავში აზრი მოძრაობს, ცხოვრობ. ეს მონა ვარ.

მირიანის მამა თავის სამუშაო ოთახში შეუძღვა აბელს. ოთახი ისევ ისეთი იყო, როგორც მრავალი წლის წინ. საწერ მაგიდაზე წიგნები და ხელნაწერები ეწყო, ოღონდ ახლა ეს ოთახი აბელს უფრო პატარა მოეჩვენა.

— დაბრძანდით.

აბელი დაჯდა და ახლოდან შეამჩნია, რომ ოთახი მთლად ისეთი არ ყოფილა, როგორც მრავალი წლის წინ. კედელზე მირიანისა და დედამისის სურათი ქკონდა. მირიანს დედისთვის ხელი მოეხვია და ობიექტივს ორივენი ღიმილით შეშოსაცქეროდნენ. აბელი წამოდგა, ახლო მივიდა სურათთან, დააკვირდა.

— რა საოცრად გგავდათ მირიანი!.. მირიანის მამამ თავი დაუქნია.

— ძალიან მგავდა. უცნაური კია.

— უცნაური?

— მირიანი ხომ მე და თამარის ერთ-ერთ ძალი შვილი არ ყოფილა. ახლა ეს ამბავი მალვას რაღა აზრი აქვს. — მირიანის მამამ ეკვირვებით მიხედა. მირიანის მამამ კი ერთბაშად შეცვალა ხმის კილოცა და საუბრის თემაც. — მითხარით თქვენი ამბავი. სადა ხართ, რას აკეთებთ...

აბელმაც უთხრა, ნელა, დაფიქრებით, წვრილად უამბო ყველაფერი, ცდილობდა არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არ გამორჩენოდა. მთელი თავისი ცხოვრება, ერთი კოთხო მარწყვით დაწყებული და მიტოვებული ჰამლეტით დამთავრებული, თითქოს დაკეტილ სკივრს ჰგავდა, რომელსაც ბოქლომად ვეებერთელა კითხვის ნიშანი ადევს. და თუ გინდა ხელოსანს გასაღები შეუკეთეთ, ბოქლომის ზუსტ აღწერილობაც უნდა მისცე.

მაგრამ მირიანის მამა ხელოსანი არ ყოფილა. უფრო მეტიც: მას საერთოდ არ სწამდა ხელოსნის არსებობა. მირიანის მამამ ყურადღებით მოუსმინა. მშვიდად, მოთმინებით, ინტერესით, ზოგიერთი ეპიზოდის ირგვლივ დამატებითი შეკითხვებიც მისცა და ბოლოს, როცა გარეთ ბინდმა იწყო ჩამოწოლა, თქვა:

— თქვენ პასუხს მოითხოვთ, აბელ, და ეს არის თქვენი შეცდომა. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მე ვიცი, კითხვაზე პასუხი არ არსებობს. იმიტომ რომ ყოველი ადამიანი კერძო შემთხვევაა. თუ მაინცდამაინც ჩემი აზრი გაინტერესებთ, ჩემი აზრით, მარადიულობა წარმავალშია. მე იმ კაცისა არა მწამს, ვინც ჭაში ხტება. მე იმ კაცის მწამს, ვინც ჭაში ჩადის, ხვალინდელი დღის გზამ დღევანდელ დღეზე უნდა გაიაროს. მთავარია, დღევანდელი დღის დაგალება სწორად გავიგოთ. ასე მგონია მე, თუკი ჩვენს საქციელს მაინცდამაინც თეორიული საფუძველი სჭირდება.

ჯემალ ჭარჩხაძე
ქარაკანი

წასვლის დრო რომ მოვიდა, აბელმა, სანამ გამოემშვიდობებოდა, თხოვა:

— შეიძლება მირიანის ოთახში შევიხვიდო?

— როგორ არა. მობრძანდით. — მირიანის მამა წინ გაუძღვა და ოთახის კარი შეაღო. მერე შეჩერდა, რათა აბელი წინ გაეშვა.

პირველი, რაც ოთახში შესვლისას აბელს თვალში ეცა და რის გამოც სხვა ყველაფერი თითქოს ბურუსში ჩაიძირა, მირიანის ჩანთა იყო. ჩანთა იატაკზე იდო საწერი მაგიდის ფეხს მიყრდნობილი. შიგ წიგნები და რვეულები ეწყო, ოღონდ, ეტყობა, თანაბრად არ იყო განაწილებული, რადგან ჩანთის ცალი მხარე უფრო მეტად იყო გამობერილი, ვიდრე მეორე. ჩანთა დაკეტილი არ იყო, ამიტომ თავსახური, რაკი მისი სამაგრები საკეტის ბუდეებში არ ისხდა, უღონოდ ეკიდა ცოტა გვერდზე მოქცეული. აბელი უხმოდ, თვალგაშტერებით მისჩერებოდა ჩანთას, მირიანისა და მისი მეგობრობის ამ ერთ-ერთ მთავარ მოწმეს. ის, რაც გარდასული და მივიწყებული იყო, ერთბაშად შეიშმუშნა და დაბინდულ სივრცეში მოგონებები ამოძრავდნენ, როგორც ჩრდილები მთვარის შუქზე. წინა პლანზე მირიანის ჩრდილი გამოჩნდა, მაღალი ჩრდილი, რომელსაც დიდშუშებიანი სათვალის ჩრდილი ეკეთა და იღლიაში ჩანთის ჩრდილი ამოეჩარა. და აბელს წამით სავსებით კანონზომიერი მოეჩვენა ის ამმაგი, რომ მეგობრის მოკუმული ტუჩებისა და მოკუტული თვალების ჩრდილს იერად სამკაცრის ჩრდილი გადაჰკრავდა. აბელი იდგა გაშეშებული, როგორც ქანდაკება, და მთელი თავისი მამაკაცური უსულგულობის მოხმობა დასჭირდა, რათა თვალის სიღრმეში აგორებული ცრემლი უკანვე დაებრუნებინა.

დიდხანს იდგა უხმოდ და ბოლოს უხმოდვე გამობრუნდა. მირიანის მამამ ოთახის კარი გამოიხურა.

იმ ღამეს აბელი თბილისიდან გაემგზავრა.

ყვითელი მატარებელი კიევიდან გამოეთხოვა დედაქალაქს და [illegible] პროვინციისაკენ აიღო.

აბელი ფანჯრის ძირას იჯდა, დაფიქრებული გასცქეროდა სიბნელეს, რომელსაც დროდადრო ელვასავით გაჰკვეთავდა შორეული ნათურების შუქი, და მთელი ღამე თვალზე რული არ მიჰკარებია. სული უცსო, აკამდე განუცდელ ჰარმონიას აევსო, შინაგანი ძალები სრულ წონასწორობაში მოსულიყვნენ, სხეულს სიმძიმე დაეკარგა და ისეთ ღრმა სიმშვიდეს მოეცვა, როგორც გვინახავს ზღვა ალიონზე, როცა სამყაროო გატრუნულია და ნიავი არსაიდან იძვრის.

მერე ღამე ნელ-ნელა შეიმღვრა და სიბნელეს შეუმჩნევლად შემოეპარა ნისლისფერი რიჟრაჟი. ხოლო როცა არემარე საბოლოოდ გამოეყო ბინდბუნდს, მატარებელი კიევიდან შევიდა პროვინციულ ქალაქში.

ჩამცვლელებმა ბარგი-ბარხანა აიკიდეს და კარს მიაშურეს.

აბელი არ შერხეულა. გაუნძრევლად იჯდა ფანჯრის ძირას და ქალაქს გაჰყურებდა. ეს იყო მხოლოდ, რომ სულის ღრმა სიმშვიდეში საამო, ცოტა მომთენთავი სითბო ჩაეღვარა, რადგან ეს ქალაქი მისი მშობლიური ქალაქი იყო.

მატარებელმა ცოტა ხანს შეიცადა, მაგრამ რა დარწმუნდა, აბელი ჩასვლას არ აპირებსო, კიდევ ერთხელ დაიკივლა, ამჯერად გამოთხოვების ნიშნად, და გზა განაგრძო.

აბელი მომდევნო გაჩერებაზე ჩავიდა. ეს იყო პაწაწკინტელა ბაქანი სოფლის განაპირას.

სოფელი ლიანდაგის გასწვრივ, მაღალი მთის ძირას, ვიწრო ზოლად იყო გადაჭიმული და აბელმა მთელი დასახლება რამდენიმე წუთში გადაიარა.

სოფელს რომ გასცდა, წინ ერთი დედაბერი შემოეყარა. დედაბერი წელში მოკაკული იყო, მთელი სიმძიმით ხელჯოხს ებჯენებოდა და ნელა, ტაატით მოდიოდა. აბელმა დედაბერი გააჩერა და ჰკითხა, დედი, ამ გზაზე მღვიმე ხომ

ირსად გეგულებაო. არაო, დაიჩიფჩიფა დედაბერმა, აქაურობა ნაბიჯ-ნაბიჯ მაქვს შემოვლილი და მღვიმე არსად მინახავსო.

აბელი დედაბერს გამოეთხოვა და გზა განაგრძო.

იარა, იარა და მალე ორი მონადირე შემოეყარა. მხარზე თოფები ეკიდათ და წელზე პატრონტაშები ერტყათ. აბელმა მონადირეები გააჩერა და ახლა მათ ჰკითხა, აქეთ მღვიმე ხომ არ არისო. არაო, მიუგო ერთმა მონადირემ და მეორეს მიუბრუნდა. შენ ხომ არ იციო. არაო, თქვა მეორე მონადირემ, არც კი გამიგიაო.

აბელი მონადირეებსაც გამოეთხოვა და გზა განაგრძო.

იარა, იარა და ბოლოს ერთი ტყის მჭრელი შემოხვდა. ხელში ნაჯახი ეჭირა და სახელოთი შუბლზე ოფლს იწმენდდა. აბელმა ახლა ტყის მჭრელს ჰკითხა, ამ მხარეში მღვიმე ხომ არსად გეგულებაო. არაო, მიუგო ტყის მჭრელმა, არ არის, თორემ, სადმე რომ იყოს, უეჭველად მეცოდინებოდაო.

აბელი ტყის მჭრელსაც გამოეთხოვა და გზა განაგრძო.

ნაშუადღევს მთის წვერზე ავიდა და, გადაღმა რომ გადახედა, კვლავ მთები დაინახა. მღვიმე არსად ჩანდა.

აბელი მთიდან მთაზე გადადიოდა და ეძებდა. ბევრი ეძია თუ ცოტა ეძია, ერთ დღეს, როცა იმედი საბოლოოდ გადაუწყდა, უეცრად დაინახა.

საღამო ხანი იყო. მზე დასავლეთით გადახრილიყო და ჰორიზონტის ხაზს უახლოვდებოდა. აბელი მაღალი მთის წვერზე იდგა. გაღმა, შორს, მეორე მაღალი მთა ჩანდა, ხოლო ამ მაღალ მთებს შორის, ერთი ისრის მანძილზე, ხევიდან კიდევ ორი. შედარებით დაბალი მთა ამოზიდულიყო. რომლებიც ისე იყვნენ გადაბმული ერთმანეთზე, გეგონებოდათ, სპილოს უკნიდან ვუყურებო. სპილოს ლაჯები ქვემოთ, თვალუწვდენელ უფსკრულში ეშვებოდნენ, ხოლო ლაჯების შეერთების ადგილას მუქ ლაქად მოჩანდა მღვიმის შესასვლელი. ორივე მაღალი მთა ვე-სასვლელს მინდვრის ვიწრო ... უკავშირდებოდა და მღვიმის ... კინტელი. ბეგნენ ტერასას ქმნიდა.

აბელმა ტყის ქოჩორი გადაიარა, სპილოს ლაჯებს რომ გაუსწორდა, ქვემოთ ჩაუხვია, ჯერ ტყე-ტყე იარა, მერე — მინდორ-მინდორ და მალე მღვიმეს მიადგა.

შესასვლელი მაღალი და ფართო იყო, მაგრამ უკვე საღამოგადებოდა და სინათლე შიგნით მცირე მანძილზე წვდებოდა.

აბელი შევიდა. სინათლისა და სიბნელეის მიჯნას რომ მიაღწია, ჩანთიდან ფარანი ამოიღო და გზა იმით გაინათა.

მღვიმის სიგრძე ორმოცდაათი ნაბიჯი იყო. სიგანე — თხუთმეტი ნაბიჯი, სიმაღლე ასე, რვა-ათი მეტრი იქნებოდა. აბელმა ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა. ერთ ადგილას, კედლის ძირში, ლეიბივით ეგო გამხმარი ბალახი, გამოქვაბულის შუაგულში ნაცეცხლარს წაადგა; ნაცარს, ნახშირს და ჩამწვარ ტოტებს. ნაცეცხლარი ძველი ჩანდა. მეტი მღვიმეში არაფერი იყო.

ამასობაში დაღამდა და აბელმა გადაწყვიტა, ღამე აქ გაეთია. ერთხანს შემოსასვლელის წინ იჯდა, მერე შემობრუნდა, ხმელი ბალახის სქელ ლეიბზე გულაღმა დაწვა და თვალები დახუჭა. ცეცხლისა და საწოლის კვალი თითქოს იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ სამსონი სწორედ ამ მღვიმეში ცხოვრობდა. მაგრამ კვალი რომ ძველი იყო? წვიდა სამსონი? სად? იქნებ სხვაგანაცაა მღვიმეები? ეს მღვიმე საცხოვრებლად სახიფათო ჩანდა, რადგან ამოდენა შემოსასვლელს ვერაფრით ვერ ჩაკეტავ და მტრისა და მოყვრისათვის მუდამ ღია უნდა იყოს.

ირგვლივ ღუმილი იდგა და აბელს მალე ჩაეძინა.

კოთხო მოწყვეტით გაიქნია. მარწყვი შორს გადაყარა და გულიც თან გა-

---

ჯემალ ჭარჩაძე
ჭარაკანი

ატანა. რა სულელია! შეეჯახმა!.. წელმოწყვეტილი ნელა წამოდგა, თითის წვერებზე აიწია და, ხვეში რომ გადაიხედა, გაოცდა. ხვეშს მაგიერად ახლად გაჭრილი საფლავი დაინახა, რომელშიაც ჰამლეტი და ლაერტი ძიძგილობდნენ, რათა მარწყვის აკრეფა ერთმანეთისთვის დაესწროთ. აბელმა შიშისაგან თვალები დახუჭა, რადგან შეამჩნია, რომ თავად საფლავის თავზე ეკიდა და მხოლოდ ცალი ხელით იყო ჩაფრენილი ზემოთ, ბექმბიდან გამოშვერილ ფესვს. ამ დროს მუშტების ბრაგბრუგი მოესმა და ფრთხილად გაახილა თვალი. ფეხბურთის მოედანზე კოტორა და მისი ძმაბიჭები მეკონდიტრეს სცემდნენ. აბელს ჯერ მეკონდიტრეც ეუცხოება და კოტორაც, მაგრამ, მალე მიხვდა, რომ მეკონდიტრე თვითონ იყო, კოტორა და მისი ამფსონები კი — ყოჩი და მისი უსახური ფარა. ახლა ისღა უკვირდა, რომ ბიჭებთან ერთად იჯდა და საკუთარ თავს თვითონვე უყურებდა. მალე ამ გაკვირვებამაც გაუარა, რადგან ლოლამ ქეთი გამოუწოდა, ეჰა, შენი იყოსო, და, როცა აბელმა გოგონას წელში ხელში მოჰკიდა, ლოლამ, არა, ჩემიაო, და ბავშვი აბელის ხელთან ერთად ჩაიხუტა გულში. აბელს ჭირის ოფლმა დაასხა. დედას ამ სანახაობისთვის თვალი აერიდებინა და ფანჯარაში იყურებოდა. მაშინ აბელი ფრთხილად წამოდგა. „სად მიხვალ?“ — ჰკითხა ლადომ. „აღარ შემიძლია ამ საცოდაობის ყურება“. — მიუგო აბელმა. „რატომ? მშვენიერი საყურებელია!“ — როგორღაც უწმაწურად გადაცინა ლადომ და აბელი მედუქნეებისა და ხელოსნების რიგს ნელი ნაბიჯით დაუყვა. ყვითელმა კოლიამ კი ხმალი ძირს დადო და მტაბეს დანებდა, რაზედაც რომან ადეიშვილმა ბევრი იცინა. ასლანი გაჯგიმული მიაბიჯებდა წინ. უკან ნანო მიჰყვებოდა. ბერე — ნინიკო და დანარჩენი შვილები. თვალი ბოლომდე ვერ წვდებოდა და ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დაუსრულებლივ მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ვანო როსტიაშვილი ოთახზე ოდგა და ხვნეშოდა, რადგან უკერად მასზე ამხედრებული კაკო ორჯონიკიძის ტარება. მერი ნაღვლიანად ირიმეზოდა, მისი სილამაზე ერთ ფოკუსში იყო მოქცეული. ამაზე გედეონ რევიან სამსონს უთხრა: „ერთი არს სჯული მდებელი და განმკითხველი, რომელი შემძლებელ არს ცხორებად და წარწყმედად. შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ მოყესსა?“ სამსონმა გულკეთილად გაიცინა და ფეხშიშველა, ტრუსების ამარა, ზღვისკენ წავიდა. თავზე მრგვალი, ფუზეკეური ქუდი ეხურა. აბელს გაუკვირდა, წიგნები და ბოთლები მაგიდის კუთხეში მისწია. სახე ხელებში ჩარგო და გაიფიქრა: „მაინც რატომ ვბრუნდებით უკან, ან რას ნიშნავს ხაზის მთლიანობა?“. აქ უცებ გაახსენდა, რომ თუ მთელი ცხოვრება ელვის სისწრაფით გაირბენს გონებაში, ეს მოახლოებული სიკვდილის ნიშანია. ამის გახსენებაზე ერთბაშად შეკრთა და თვალი გაახილა. მღვიმის ბნელი ხახიდან ორი მანათობელი თვალი ავად უყურებდა. აბელი ზეზე წამოვარდა. თვალები თითქოს ბურღივდნენ და ერთ ადგილას აჯავკვიდნენ. არ ეცქირა, არ შეეძლო. უცქერდა და — ეშინოდა. შიში დაუბრკოლებლად შემოდიოდა და შემოდიოდა, სანამ სულ ერთიანად არ გაეკრიბა. ხელ-ფეხი აუკანკალდა. ოფლმა დაასხა. ავად მოელვარე თვალები ახლოვდებოდნენ და უფრო ძლავრად, უფრო მტკივნეულად ანათებდნენ. აბელმა ნაბიჯი ფრთხილად გადადგა უკან. მაგრამ უკან მღვიმის სქელი და ტლუვი კედელი იყო. უეცრად ჩუმი შრიალი გაესმა და მარცხენა მხარზე რაღაც ფრთხილად შეეხო. იმავ წამს კანკალმა გაუარა, გაიმართა, თვალი გაუსწორა ავად მოელვარე თვალებს და მისკენ დაიძრა. ავად მოელვარე თვალებმა უკან დაიხიეს. აბელს ოოჩვენა. თითქოს სიბნელეში ურჩხულის გაუგებარი, ქაოტური კოტტურები დაინახა. ურჩხულმა ვერ გაუძლო აბელის მზერას, უკან-უკან წავიდა, ვიწრო ტერა-

სის კიდეს მიადგა და უფსკრულში გადაიჩეხა. აბელმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ უცებ შენიშნა, რომ ურჩხული ჰაერში, როგორც წყალში, ისე ამოტივტივდა და ჰაერში, როგორც წყალში, ცურვა დაიწყო. სწრაფად, ფაცხაფუცხით მიცურავდა, მალე სიბნელეს შეერია და თვალს მიეფარა. აბელი მღვიმეში შემობრუნდა და ისევ ხმელ ბალახზე დაწვა. მერე სასაფლაოზე ავიდა და მაღლიდან გადმოიხედა. უცნაური შუქით განათებულ უცნაურ მინდორში ხალხი უცნაურ ფერხულში ჩაბმულიყო. აბელი დააკვირდა. პაპაც აქ იყო, ბებიაც, მირიანიც, დედაც, დათიკო ბარაბაძის ცოლიც, გედეონ რევაია... რამდენიმე ისეთი კაციც ერია, რომელთაც აბელი ძალიან კარგად იცნობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერაფრით ვერ იცნო.

მზემ გაიღიძა. მთელი მღვიმე გახახახებული იყო. აბელი წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და გაოცებით მოათვალიერა იქაურობა. ჯერ თავი ისევ სიზმარში ეგონა, მერე მიხვდა, რომ მღვიმის მაღალი და ფართო შემოსასვლელი აღმოსავლეთით იყო მიქცეული და დილის მზე მთლიანად ეტეოდა მასში.

აბელი წამოდგა, დღის სინათლეზე კიდევ ერთხელ დაათვალიერა მღვიმე და გარეთ გამოვიდა. მწვანე ტერასა ახლა კიდევ უფრო პატარა ეჩვენა. მღვიმის შესასვლელიდან მის კიდემდე სულ რამდენიმე ნაბიჯი იყო. შესასვლელის გასწვრივ კი, სწორედ შუა ადგილას, ორად იყოფოდა ნაპრალით, რომელიც ვიწრო, ვერტიკალურ ხევად ეშვებოდა ქვემოთ, დასაკარგავში. სწორედ ეს ნაპრალი და ეს ხევი იყო, მთებს რომ ჰყოფდა და სპილოს ლაჯებს ქმნიდა. ტერასის მწვანე ბალახს ბრაწყვიალა ცფარი ედო. აბელმა ხელები ცვარში დაისველა და სახეზე მოისვა. ვეებერთელა მზე ზევით და ზევით მიიწევდა. აბელი ტერასის კიდეს მიადგა და გადაიხედა. ჯაგითა და ეკალბარდებით დაფარული ფერდობი შეეფეთა. ისეთი ღრმა, თვალი ბოლამდე ვერ წვდებოდა. აბელმა მზლეებში სისუსტე იგრძნო და უკანვე შემოტრიალდა. იმავ წამს მოეჩვენა, თითქოს თვალს რაღაც ნაცნობი საგნის კვალი აჰკვნა. აბელი შეკრთა, ისევ მიბრუნდა, ტერასის კიდესთან ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ფერდობს თვალიერება დაუწყო. დიდხანს ყურადღებით ათვალიერა და ბოლოს ტერასის პირიდან ორიოდე მეტრზე, მაყვლის ბუჩქის ძირას, ქუდი დაინახა, პატარა, მრგვალი, უზბეკური ქუდი. სანამ აზრს მოიკრებდა, თვალებმა ინსტინქტურად დაუწყეს ძებნა იმას, რასაც ეს ქუდი უკავშირდებოდა. როცა აზრი მოიკრიბა, ბალახში დაწვა. ფრთხილად გადაიწია, შეეცადა ქუდს ხელით მისწვდომოდა, მაგრამ ვერ მისწვდა. მაშინ ჯოხი მოძებნა, იმით მისწვდა ქუდს, ამოსდო და ფრთხილად ამოიტანა. ხელში აიღო, დაკაკვერდა, რამდენჯერმე უაზროდ შეატრიალა, მერე ისევ შეეფეთა ფერდობი მოთვალიერება. ბოლოს მიხვდა, რომ ეს უნაყოფო საქმიანობა იყო და წამოდგა. ჩანთა გახსნა და ქუდი შიგ ჩადო.

მზე მაღლა და მაღლა მიიწევდა.

აბელი დაფიქრებული იდგა. მერე უცებ უცნაური სიცხადით დაინახა პატარა, პროვინციული, ბოლოდინად ქცეული ქალაქი, რომელიც თეთრი ხომალდი იყო და ღია ზღვაში მიცურავდა. გემბანზე მეზღვაურები გაშშეებული იდგნენ, ნამძინარევ თვალებში დაბნეულობა ედგათ და ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს ზარის შორეული რეკვა ესმოდათ და ვერ გაეგოთ, საიდან მოდიოდა ეს მოულოდნელი ხმა.

აბელი თეთრ ხომალდს მისჩერებოდა და გულ-მუცელში ტკბილი და ამაფორიაქებელი მხურვალება უტრიალებდა, როგორც პირველ პაემანზე მიმავალ ჭაბუკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან—„ხალხური მოტივები“

ვედრება

სულ-გულიმც გამიძღებოდა
ჩემი მოყვასის ხმითამცა,
ღმერთიმცა ჩამოჩნდებოდა
ჩემი ქვეყნისა ცითამცა.
ხმელეთიმც გადათბებოდა
ჩემი მამულის მზითამცა,
გულებიმც გადადნებოდა
თაფლის ნექტარის წვნითამცა,
კაცემც კაცს დაუტკბებოდა
ცის მანანაი ვითამცა,
ყველაიმც დაფასდებოდა
ნამუსითა და ჭკვითამცა,

მემრ შენამც შამამხვდებოდი
ოთხივე კუთხის გზითამცა,
ანამც ოცნებას მიმაკლა, —
ცოცხალი ვიყო ვითამცა!
შენის ცრემლებით გამლიხა,
გავცოცხლდებოდი იმ წამსა!
მიწას თუ დავმძიმდებოდი,
წამიღო ქარის ფრთითამცა,
მეორედ ჩამომაჩინა
გორმაღალაის მთითამცა,
რომ შენთვის გავწირულიყავ
ხატის ზვარაი ვითამცა!

●

ჟამო ბედნიერებისავ,
თავზემც გადამეყრებოდი,
თანამც ამემგზავრებოდი,
სადაც შამამეყრებოდი,
ჩემს ბინაშიმც დაგამდგმურა,

იქვემც ჩამაპბერდებოდი!
მასპინძელი?
ნუღარ იტყვი,
ნანატრივით გეეწებოდი!

●

ველარ გავლეწე ეს კალო,
ძნა მრჩება მოუჩალები!
შოლტის ამაო ტკაცუნზე
იცოხნებიან ხარები...
მიცქერი ნიშნის მოგებით,

განა კი მომეხმარები!
ჩალას მიპყვება მარცვალი,
ცრემლში მიგორავს თვალები...
მიშველე, ჩემო სისკარო,
შენს ღიმილს ვენაცვალები!

●

მაღაწალს შვენის შურთხის ყივილი,
კერას — თვალები ნაღვერდალისა...
რაა სიცოცხლე?
ფიქრი,
ტკივილი,

ერთი კივილი ჯონგა ხარისა!
ერთი გაფრენა
ცაში შეგარდნის,
მუდამ იმედი გულში ხვალისა...
თანაც არ იცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკს ეკუთვნი,
თუ ანგელოსმა დაგითავისა!
მაინც დალოცე
ადგილის დედა,

მაინც ადიდე გზაი მგზავრისა,
ერთი წამია კაცის სიცოცხლე,
ერთი კვილი
ჯონგა ხარისა!

●

ეჰეი, მთებო, ღარიბად
ვინა მთქვას თქვენი პატრონი?
მაგრამ, ვაითუ, მოგვწყინდეს
ერთურთი, დავრჩეთ მარტონი.
შენს ფერხთით,
ჩემო სულისდგმავ,

მსურს ამ სიმდიდრეს ვჩემობდე:
ჩემი პაპაის კერაის
ჭერიმც ჭერადვე ჭერობდეს
და მის ძეს, თუნდაც დამიწდეს,
ოღონდ სწამდეს და სჯეროდეს!

რინოს კვარაცხელია

●

უამინდობამ გული დაწყვიტა,
ტკბილად ვერ გალობს ჩემი ნარჩიტა.

სწუხან ატმები და ალუბლები,
კარზე მისხედან წვიმის ღრუბლები.

მზემ გამოხედვა აღარ ინდომა,
ყვავილებს ნისლავს უამინდობა.

მზევ, მზევ, აგვინთე ცის ავგაროზი,
რომ დაგვიბრუნდეს ისევ ტაროსი...

ბერები

...გრილ მღვიმეებში საგალობლით და სიმღერებით
„ქართლის ცხოვრებას“ ლოცვებითაც წერდნენ ბერები...

აქ იშუშებდნენ ნაომარნი ნახმლევ იარებს,
ლოცვა-კურთხევას აღაპყრობდნენ ციხე-სიმაგრედ...

და მუხლმოყრილნი ხატების წინ სანთლებად ენთნენ,
გავდნენ მშვენიერს ძველ ფრესკებზე დახატულ ღმერთებს...

მამულის ბედით გულშეძრულებს თან ქონდათ ხმლებიც,
ჟამს გაჭირვების რომ ეშიშვლათ ჯაბუკურ გზნებით...

ეზმანებოდათ დიდი ომი, ხმალთა კვეთება,
ჩუმ სავანეშიც ქართლის ბედი არ ასვენებდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ზღვიდან, თუ ტყიდან, მითებიდან რაც გამოვიდა,
მყარ ნიადაგზე დგომას ცდილობს კაცი ოდითგან...

ზღვაზე მისცურავს, თუ ცაში ფრენს, ერთი სული აქვს,
მშობელ მიწაზე დაბრუნება მალე სწყურია...

რომ მიწიერი სხვაზე მეტად მიწას ენდობა,
შენ მიუტევე, ზეციერო, მიეც შენდობა...

მაგრამ ეს მიწაც არავისთვის არ არის მყარი,
როგორც მეფობა, უმაღლესი ტახტი და სკამი...

ო... მიწიერო, მზეზე ყოფნა წამით გეძლევა,
მიწაზე დგახარ, ფეხქვეშ მიწა მაინც გეცლება...

თან დაგვყოლია თავიდანვე სასტიკი მსჯავრი:
ტორტმანებს მიწა, არავისთვის არ არის მყარი...

●

ჩემში შორეული დღენი ამოძრავდა,
მესმის შეკივლება გრძნეულ ამორძალთა...

ჩემს თმაზე ჰაღარა ისე განებივრდა,
თავს მადგას სიბერე მძიმე ზარებითა...

გზებს გავცქერ გამოვლილს ჩემი მაღლობიდან,
დაღლილ-დაქანცული შორი მგზავრობითა...

●

პატიოსანთა მზე ანათებს, პატიოსანთა:
მეფოლადეთა, კალატოზთა, მწყემსთა, მგოსანთა,
პატიოსანთა მზე ბარჩხალებს, პატიოსანთა...

მტერი ვერანი მამულს ჩვენსას სულაც მოსრავდა,
სიმხნე რომ არა მის ერთგულთა, ხმალ-მუბოსანთა,
პატიოსანთა მზე სუფევდა პატიოსანთა.

რამდენის გული მამულისთვის წუხდა, ოხრავდა,
გადაგდებული არ ენახა იგი ოხრადა,
და მზეც ბრწყინავდა ერთგულთა და პატიოსანთა.

მარად იბრწყინებს მზე ერთგულთა, პატიოსანთა
მამულიშვილთა, გულმამაცთა, ბრძენთა, მოძღვართა,
პატიოსანთა მზეს დიდება, პატიოსანთა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ მიაჩეჩა წუთისოფელს სიცოცხლე ჩემი,
რად მიუმატა ერთი წვეთი სისხლი და ცრემლი...

რად გადაუგდო მგელს აღრენილს უმწეო კრავი,
აუტკივარი აიტკივა საბრალომ თავი...

მან უმძიმესი ტვირთი მხრებზე ამკიდა ჯილდოდ,
რომელიც უნდა სიკვდილამდე მონურად ვზიდო...

ჩემი და სხვათა რად ამკიდეს ტვირთად ცოდვები —
რასაც დავშორდი, კვლავ თუ იმას ვუახლოვდები,

და გული ჩემი იფერფლება, თუ იდაგება —
ამ დღეებს მაინც არ აწუხებთ, არ ენაღვლებათ,

გადაშლილია თვალუწვდენი, სამყაროო ვრცელი —
მწიფობს ბალახი — მოსათიბად მოიწევს ცელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკა ალექსიძე

ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ

(იქნებ ყველაზე ალოგიკური ამბავი)

იმ დილით, როცა ჩემს გვერდით ბალიშში პირისახით წამხობილ ქალს ძილბურანში აღმოხდა, როგორმე აქედან უსწრაფ გავიქცეო, ვიგრძენი, საშველი აღარ იქნებოდა უკვე...

ქალი მომცრო ტანისა იყო, გამხდარი, ბიჭურად შეკრილი თმა ჰქონდა, თხელი, არ [illegible]ᲣᲐ ძალზე ლამაზი სახის ნაკვთები და, რაც ყველაზე გასაოცარი იყო, მუდამ ბავშვს მაგონებდა, თუმცა ასაკით უთუოდ ჩემზე უფროსი იქნებოდა, ცხოვრებითაც უფროსი ალბათ... როცა სამოსელს გაიხდიდა, უეცრად სადღაც ქრებოდა მისი სიგამხდრე, დედიშობილა საოცრად სავსე მოჩანდა მისი ტანი, საოცრად მიმზიდველი, ბაკაკ სიყავისფრე მკრთალად ფარავდა მის სიშიშვლეს. მუდამ მზეწყანაკიდებსა ჰგავდა, იქნებ ამიტომაც გამუდმებით ლოგინისაკენ მიუწევდა გული ან სიმარტოვეში ოთახში ტიტლიკანა ბორიალისკენ. შესაძლოა, სიმარტოვეც ამად ხიბლავდა, რადგანაც შეიმოსებოდა თუ არა, იმწუთში ჩემს თვალწინ ისევ ქრებოდა ქალი და უკვე პატარა ბიჭს დამსგავსებული ბავშვი შემომცქეროდა. შემომცქეროდა შორიდან, უსაზღვრო დაინებითა და მორჩილებით. მერე ეს მზერა თანდათან იცვლებოდა, უფრო მკაცრიც ხდებოდა, შეუწყნარებელიც, მტაცებლურიც. ასეთ დროს მეგონა, ეს თვალები, ეს გამოხედვა სამარადისო სატუსაღო იყო ქალისთვის, სამარადისო ნებაყოფლობითი დილეგი, სადაც ყამიდან-ყამს იმალებოდა, იყუჟებოდა, თავის ვიწრო ნაპუჭში ექცეოდა.

დიდი ხანია ცისათვის აღარ შემიხედავს ესოდენ მშვიდად. ავხედავდი წინათ, ამემღვრეოდა, ამიტორტმანდებოდა თვალწინ, დამფარავდა, დამახრეგანებდა ქედს, დაბეჩავებულ ხარს მამსგავსებდა. ამიყვანდა მერე, წყვდიადში შავ მუჭის ხელა ლაქად მაქცევდა, უმოწყალოდ ისე დამნარცხებდა მიწას, რომ დაბღავლებასაც ვეღარ ვასწრებდი ხოლმე. თუმცა ხარის აღსარება სად გაგონილა... ტყვიისფრად დაფერილ ცაში მე პოეზიას კი აღარ ვხედავდი, არამედ უმწეოდ მიწაზე დასათხლეშად ატატებულ პატარა ლაქას... ასე იწყებოდა ჩემს სიყმაწვილეში ერთი უბრალო მოთხრობა, რომელსაც სათაური ვეღარ მოვუნახე და „ქოხტეს თვალები“ დავარქვი რატომღაც. ეს იყო ძალზედ ბავშვური, გულუბრყვილო მოთხრობა მდაბიორზე, რომელსაც საკუთარი რაღმე ცოდვა კი არა, საკუთარი მეძავიც არ გააჩნდა, თუნდაც ერთი ღამით, და მაინც ერთხელ მიმწუხრისას, ქუჩაში მარტოდ მოარულს უეცრად ჩაესმა: „შენ უკვე არაფერს აღარ ჰგავხარ, შვილო ჩემოო“. მდაბიო უთუოდ ვერაფერს შეჰბედავდა პასუხად, გახევდებოდა მხოლოდ, მოიკუნტებოდა. ისევ იგივე ხმა დაასწრებდა წელში გადრეკილს, „უფალი ვარ შენიო“. —

ჩასძახებდა. მდაბიო ვერც ახლა ამოიღებდა ხმას, გზას გაგრძელებდა, ოღონდაც ერთი საფიქრალი და შეგონება შერჩებოდა მხოლოდ, რომ ამიერიდან ის კაცი კი აღარ ყოფილა თუმმე, არამედ „არაფერი“. უხოროცო, უსულო, მრუმე ლაქა, მიწაზე დათხლეშილი, რომელიც ძალზედ მოაგონებდა იმ ხარის აცრემლილ, სველ და უმტკივნელო თვალებს. ზეკაშნი ჩაკარგულნი რომ ჩაჰკიდებიან სიმრუმესა და სიცარიელეს.

* * *

ქალს ღია, მომწვანო, გამჭვირვალე თვალები ჰქონდა. ხშირად დუმილს ინახავდნენ ისინი, დიდი ხნის ნამარხულებ ტკივილს. მეჩვენებოდა, რომ ასეთი სახე უნდა ჰქონოდათ მონახვნებს. როცა ვნებები ძალობდნენ ხოლმე მათში, როცა ქალი მთელი სისრულით აბორგებდაოდა ძაძის ქვეშ, სხეული აუბორგებდაოდა და ვისიმე ხელის შეხებას მოსთხოვდა. საღამოობით ეს თვალები მუქდებოდნენ, თითქოს მშორდებოდნენ კიდეც. იწვა ლოგინში ალეფილ ქვეშ მოკეცილი ქალი, რომელიღაც დამფრთხალი ნადირის კაკუნს მოეცვა, ამტომაც ასე მეგონა, ერთ ოთახში ორივენი ვეღარ ვეტევიდით, ერთმანეთს ხელს ვუშლიდით... საოცრად მითვალთვალებდა, იღუშებოდა, სულ უფრო იმალებოდა. მზერას მიტოვებდა მარტოდენ, რომელიღაც ჩამრუმებული კუთხიდან ათრეულ ჯოჯოხეთურ სევდას ან მოწყენას, სულ ერთია, რა სახელს დავარქმევდი მას, ოღონდაც ერთი კი იყო უთუოდ, როდესაც განაწამებს, ჩემს თავშივე გამოტანჯულს, დაჟინებით შემომცქეროდა, მეგონა, რომ ერთი სული ჰქონდა. შემკითხოდა, თავს რატომ არ იკლავო?

იმან რა იცოდა, რომ ყველაფერს, რაც ჩვენ გარშემო იყო, მართლა სინამდვილე კი არა, ჩემი წარმოსახვით შექმნილი, სინამდვილესთან მიმსგავსებული რაღაცა უფრო ეთქმოდა. მე ჩემი წარმოსახვა ვიცოდვილე მხოლოდ და იმ წუთებში თავადაც ჩემ[illegible]ბას წარმოადგენდა.

შემიძლო ერთი წიხლის დაკვრით, ერთი ხელის მოსმით, ერთი სულის შებერვით გამენადგურებინა ეს ყველაფერი, დაწყებული გარემოთი ან რაიმე ნივთით და დამთავრებული ლოგინში მოკალათებული ამ ჰატარა ქალით. ღმერთმა უწყის, მიხვდა თუ არა რაიმეს, როცა მატარებელში ღიმილით ვუთხარი: „მე შენი ნამდვილი სახელი ხელს შემოშლის-მეთქი“. ხუმრობაში ჩამომართვა ალბათ, რატომ? — მკითხა, — თუ არ მოგწონს, ნურაფერს ნუ დამიძახებო...

ქალს ისეთი გულწრფელი სახე ჰქონდა იმწუთას, ისეთი შართალი, რომ უეცრად შემეცოდა კიდეც. ბაჭნიდან დაფსრულებელი ხმაური, ხორხოცი, აურზაური შემოდიოდა, აუარებელი მოკითხვა უკვე ენიასში გადასული. მე კი ვიჯექი და რატომღაც მებრალებოდა ჩემ წინ გატრუნული ქალი, რომელიც უთუოდ რაღაც ძალზედ საამოს მოელოდა ამ მგზავრობისგან. მე თითქოს ფანჯრის მიღმა გნიასში ვეძებდი ამ ქალისთვის სახელს, არ ვიცოდი, რა უნდა დამერქმია მისთვის. მერე და ადამიანის სახელს რაღაცნაირი იდუმალი, უცნაური ანდამატი სდევს მუდამ, თითქოს სახელი ყოფილიყოს პირველი, რაც ადამიანის სულში ღიმოვაჩინეთ, დიახ, სწორედ სულში, რადგანაც სახელმა დაგვაწყვებინა თავდაპირველი, ფარული მოძრაობა სულისკენ, მარტო სულისკენ კი არა, ყოველივე იმისკენ, რაც ჭეშმარიტად არსებობს, მაგრამ არა ჩანს ხოლმე.

ქალი მდუმარედ ათვალიერებდა ხალხს, ტომრებით, ათასი ხორაგით დატვირთულს, ხალხს მრავალნაირს; ნელა-ნელა ივსებოდა ეს ვეებერთელა ჭურჭელი ათასი ჯურის, ხელობისა და მრწამსის ადამიანთა სუნთქვით. მხოლოდ ციხეში თუ შეიძლება იყოს ასე-

ის სიჭრელე, ასევთ სიაშკარავე და სიშიშვლე ვნებათა, როგორც აქ... ბაქნიდან ეკი იმწუთას გამცილებლის ხმა გაჰკიოდა გაუნელებლად. ნატალია, ნატალიაო, — ეძახდა ვიღაცას.

„ნატალია“. — ჩუმად ჩავილაპარაკე ჩემთვის...

მერე დრო გავიდა. ავიძარით და ტატეთ შევუყვეთ მტვერსა და შემოდგომის ჭკნობით შემუსრულ გზას. ოქტომბერი იყო მაშინ. აცივდა კიდეც, ბო, ნამდვილად ოქტომბრის შესაბიზნი დღეები იყო. ქარაშოტთან და წვიმებით გაბეზრებული...

„ნატალია, რაიმესი თუ გწამს ამქვეყნად?“ — ნაძალადევი ღიმილით ვკითხე. არაფერი შიპასუხა, დუმდა, მატარებლის ბორბლების ხმაზე ირწეოდა მისი პატარა ტანი და ასე მომეჩვენა, ცეკვავს-მეთქი თავისთვის, ჩუმად, ყველასგან მალულად... არაამქვეყნიური სიფრთხილით როკავს-მეთქი... ღმერთმა ეწყოს, რაზეც ფიქრობდა ნატალია მაშინ, ან რა სწამდა. მაგრამ ერთი კი იყო, როცა ამ ღილით, როგორმე აქედან უნდა გავიქცეო, — ჩამესმა მისგან, უეცრად დიდი ხნის მერე კვლავ მომეახლნენ ის სიტყვები, უფალმა რომ უთხრა მდაბიორს: შენ უკვე არაფერს აღარა ჰგავხარ, შვილო ჩემო.

კედლისკენ შეგბრუნდი, ზურგი ვაქციე განაცრისფერებულ ცასა და ქალს... „სისულელეა. — გავიფიქრე, — სადღაც გაიქცეს. როცა არაფერი არ არის-მეთქი ირგვლივ“.

ერთხელ საუზმისას კიდევ დავატარე თავს ძალა. მისი მოწყენილ რაღაც შორეულისადმი მონატრებას ვამსგავსებ. შესაძლოა, ეჭვსაც, შესაძლოა რაღაცისადმი იდუმალებასაც... „რაიმე თუ ეწამს, ნატალია?“ — ვეკითხები კვლავ. — არაფეიო, — ძლივგასაგონად ჩაილაპარაკა ქალმა. — „არც ჩემი?“.

მან ხმამაღლა გადაიკისკისა, სწორედ ისე, როგორც ბავშვები სჩადიან ამას (ალბათ, აქედან გამყვა მისი ბავშვური ირის განცდა სამუდამოდ).

„შენი? შენი მწამს, ოლონდ ამ ერთ ლოგინში“..

ერთხანს უხმოდ შევცქეროდი, როგორ განაგრძო ჭამა, როგორ დაავიწყდა ისევ ჩემი არსებობა, მერე ჩემთვის გამეცინა, იქნებ ათასი პასუხიდან ყველაზე უცილობელი და სწორი მომცა-მეთქი, გავიფიქრე.

2

ეს გზა დამრეცია. მიტოვებულია თითქმის, შემოდგომით არის სავსე. აცივდა. სიარული ჭირს. გზა. გაყვითლებული ტყის განაპირას ძველი ეკლესიისაკენ მიდის, დილაობით, როცა ქალი მარტო მიუყვება ხოლმე ამ გზას, ასე მგონია, შემოდგომას თელავს-მეთქი ფეხებით, ასე მგონია, ყველაფრისადმი მომეტებულად. ზედმეტად დაუნდობელია იგი... „რატომ სეირნობ ამ ბოლო დროს მარტო?“ — ვეკითხები. ის ჩუმად იღიმება: „მზის ამოსვლამდე ნინდა სახლში დაბრუნება მოვასწრო“. — მეტყვის.

ეჰ, ნატალია — ამოვიოხრეს ხოლმე ჩემთვის, — თვითმკვლელობა არც ისე იოლი საქმეა-მეთქი, გავიფიქრებ.

* * *

მე დღესაც არ ვიცი, რა იყო ესოდენ მშვენიერი იმ ბალავარჩამორღვეულ, ძველისძველ ეკლესიაში, არადა, ერთს კი უცილობლად ვგრძნობდი: ამოუწურავ ადგმას და სიმშვიდეს. ასეთი უკაცური უფრო საოცარია ეგი. უფრო იდუმალი. დგახარ შენ, ხორციელი, ფრესკების წინაშე და გრძნობ, როგორ ქრება თქვენ შორის მიჯნები, ქრება ზღვარი, ქრება ქალაქები, თავისი ქუჩებით, დუქნებითა და მეძავებით, ქრება განათებული ვიტრინები, სადღაც, შუშებს მიღმა გაშეშებული, მიტოვებული მანეკენები და მათ წინ მოფუფფუსე ბალბა, თავიანთი ყოველდღიური საქმიანობითა და საზრუნავით. დგახარ და განიცდი უდიდეს სიმარტოვეს, ოღონდაც ეს სიმარტოვე კი არა ბზარავს, კი არ გაშინებს და გბორკავს, არამედ გაამებს — უდრო-

ოდ გტოვებს, ყოველდღიურობის კიდეგან...

მერე ნელა ბრუნდებოდა ქალი, შუშაბანდში ორიგესათვის ადუღებდა ყავას, რაღაცის მოყოლას მთხოვდა გამუდმებით, მოსაყოლი კი ასე ცოტა ყოფილა თურმე, ერთ კვირაში შემომელია თითქოს სათხრობი, ერთ კვირაში „დილა მშვიდობის" მეტი არა დამრჩა რა...

თავად კი რატომღაც მთელი დღე უტყვია ნატალია, გულჩათხრობილი, თითქოს ღამეებს ელოდება იგი, თავისი ამოუწურავი სიყვარული და რწმენა, რომ შემოგვაძლოს... ამ დროს მართლაც უზადოდ მშვენიერია ხოლმე, საოცრად მეტყველი. მიწევს გვერდით და ვგრძნობ, არ ერიდება ჩემი, არც ჩემი სიჩუმეა და მუდამ დაცინავი ირი ბოროკავს, ასეთ დროს ასაკსაც ჰკარგავს თითქოს, ბედნიერიც ჩანს, თავისუფალიც, მაგრამ ინათებს თუ არა, იმწუთას განმერიდება.

თავისთვის გაეხვევა პლედში ან უჩუმრად წამოდგება, ძილს მინებებულს შემატოვებს ლოგინს და მარტოდმარტო სადღაც სახეტიალოდ მიიჩქარის... ჰო, სწორედ ხეტიალს არქმევდა ხოლმე იგი თავის ცისმარე გაუჩინარებას.

* * *

„იცი, რა არის მთავარი? — მითხრა ერთხელ, — რომ წლები ვერაფერს ცვლიან, ეს ხოლოდ ჩვენ გვეჩვენება, რაღაც რომ იცვლება, სინამდვილეში ყველაფერი ერთ ადგილას დგას და ჩვენი განცდები კი არ იცვლება, უბრალოდ, ძალიან ჩვეულებრივად ძველდება... აბა რატომ ხდება ასე, ახალი კი არ მოდის რაიმე, არამედ იგივე განცდები მეორდება მეტ-ნაკლები სიმძაფრით. უბრალოდ, თუკი ვნება და სევდა უკვე აღარა ჰგავს კვლავინდებურს, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ რაღაც შეიცვალა, ხომ შეიძლება არაფერი წინანდელს არ ჰგავდეს და მაინც იგივედ რჩებოდეს სამუდამოდ, მითხარი, ხომ შეიძლება, არა?".

„კი მაგრამ, შენ რატომ უნ[illegible] ხებდეს ეგ?".

„არა, ისე, ხანდახან მგონია, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვცვლით, ერთმანეთს ვენაცვლებით და თითოეულმა მხოლოდ რაღაც გარკვეული დროით მივისაკუთრეთ, ან ვიღაცას ცოტა ხნით დავეესესეთ ერთმანეთი..."

„მერე რა? ჩვენ ხომ მაინც ბოლომდე აღარაფრის აღარა გვწამს და რა მნიშვნელობა აქვს რაღაცას სამარადისოს ან თუნდაც რაღაც სამარადისო მცნებების მოშველიებას... ის, რაც პირობითობად იქცა, აღარავის სჭირდება, ალბათ... დღესდღეობით იქნება ყველაფერიც პირობითობა იყოს — დაწუებული სიყვარულით, ერთგულებითა და მეგობრობით, დამთავრებული სამშობლოს თაყვანისცემით თუნდაც... ყველაფერი, რაც თავადაც სრულად, ურღვევლად ვეღარ უძღებს დროს, მით უმეტეს, ვერასოდეს აიძულებს ადამიანებს, იჩოშონონ და დაიჯერონ მისი...

იცი საიდან იწყება ყველაფერი? კაცი თავდაპირველად სამშობლოს განცდას კარგავს, სამშობლო წართმეული კაცისთვის კი თანდათან ყველაფერი იკარგება, რადგანაც პიროვნება აღარ არსებობს, ის ძალა აღარ არსებობს, რომ თავისი თავი, თავისი მოყვანი აბუჩად აგდებისგან იხსნას, აღარც ინტელიგენტურობა იარსებებს ამ დროს, ინტელიგენციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ და აბუჩად აგდებული, გამასხარავებული, ჯამბაზად ქცეული კაცის რა შეიძლება დაიჯერებოდეს... იმას სიყვარული აღარ შეუძლია, თავის თავშივე ეძებს გამართლებას, ღალატობს ვინმეს, აქაც იგივეს სჩადის ბოლოს თავის მართლებას, რომელსაც სკეპტიციზმს ან სულ ერთია, რა სახელსაც არ მოუძებნიან ხოლმე, სინამდვილეში ჩვეულებრივი მონური უმწეობა ჰქვია ხოლოდ, დალაჩრებული კაცის უბარობის დასტური, რომელიც იქამდე მიიყვანა გამუდმებულმა თავის მართლე-

ᲖᲘᲙᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ
ᲛᲬᲣᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲜᲯᲚᲘᲡᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ საკუთარ თავთან. იმ კუთხეში ვი-
იმწყვდია, სადაც სივიწროვით და სიცა-
რიელით შეწუხებულმა, ხსნა ვეღარ ნა-
ხა და სულშეხუთულმა, ინსტინქტურად
ყველას და ყველაფერს გამოუყო ენა,
თითქოსდა თავისი ნებით გააკეთა ეს,
მაგრამ...

— ეს უკვე საინტერესო აღარ არის,
— გამაწყვეტინა ქალმა. — უკვე სულ
ერთია რატომ ხდება ასე, ეს ყველა-
ფერი.

— შეიძლება, შეიძლება მერე უკვე
სულ ერთიც არის...

მივხვდი, რომ ამ ქალისთვის ჩემი
უნებური, თითქოს დამცინავ მოთქმად
ქცეული საუბარი სრულიად ზედმეტი
იყო. ის სულ სხვა რამეზე ფიქრობდა,
ამდაც შეფარვით მიმანიშნა თავიდან
სათქმელი, რომელზეც გულახდილად
ლაპარაკს ვერა ბედავდა ალბათ, მე კი
სამშობლო, სამშობლო-მეთქი, დავიჩემე

— მე მინდა მიყვარდეს, — უეცრად
ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა, — ძალიან
მინდა, რომ მიყვარდეს...

„ეს ყველას უნდა, ალბათ“, — გა-
ვიფიქრე ჩემთვის. ახლა მაგიდის იქით
მჯდარი ნატალია, ლამპის მოყვითალო
შუქზე, უფრო გალეული, შემცივნე-
ბული და საბრალო მეჩვენა. ის აღარ
მიყურებდა, უფრო სწორად, საერთოდ
კეღარ მამჩნევდა, სულ მარტო იყო,
სწორედ ისე იჯდა ფეხებგადაწყვლილი,
ნუხლებს შორის ჩაწყობილი, გადამა-
ღული ხელისგულებით, როგორადაც
მხოლოდ სამარტოვისას შეუძლია ქალს
ჯდომა, ჯდომა ისეთ დაურიდებელ
მდგომარეობაში, როცა არაფერს არა-
ვითარი მნიშვნელობა არა აქვს, როცა
ვერავის ვერ ამჩნევს, როცა მაცქერა-
ლი არ არსებობს ან არ აწუხებს...

„ნუთუ მე შევქმენი ასეთად, არადა,
სულ ცოტა ხანი გავიდა ჯერ“. — ვფიქ-
რობდი უჩუმრად, რადგანაც ამაზე ხმა-
მაღლა არ ლაპარაკობენ ხოლმე... მერე
ეს შემოდგომა მოვუგონე, ეს ყო-
ველი მხრიდან გამოკეტილი გარემო,
საიდანაც ერთი შეხედვით გასაქცევიც
არ იყო არსად, მერე ნამდვილი ძველის-
ძველი ეკეშარიტება ჰოვანაჩინა-
და, ალბათ, ისიც უნდა [illegible]
ყველაზე მტანჯველი სიმარტოვიდან,
თუნდაც თანდათანობით თვითმკვლე-
ლობიდან — პოეზიამდე ერთი ნაბიჯიც
აღარ დარჩა უკვე, ანდა პირიქით, უწარ-
მტაცესი პოეზიიდან უსაშინლეს თვით-
მკვლელობამდე კარგა ხანია წაწლილია
ზღვარი, მაგრამ ამაზე ხმამაღალი ლა-
პარაკიც უხერხული იყო... სამგიეროდ
ის უკვე აღარ მეკითხებოდა თვალებით,
რატომ არ ვიკლავდი თავს, რატომ ერთ-
ბაშად არ დავასრულებდი საწუთროს...
აღარც იმას მეკითხებოდა, „რატომ
არაფერს ვწერდი“ ან რატომ ვნადი-
რობდი და ვლოთობდი დაუსრულებ-
ლად, აღარც ჩემი სიმთვრალისას საი-
დანღაც მოთრეული ჰალუცინაციური
სამყარო აღელვებდა და აოცებდა. ის
განუზომელი სიმშვიდით შესცქეროდა
ყოველივე ამას, თითქოს ასეც უნდა
ყოფილიყო, თითქოს სხვანაირად არც
შეიძლებოდა რომ დამესრულებინა ჩემ-
ი არსებობა... ქალის წარმოდგენით ეს
უკვე დასასრული იყო.

რას ფიქრობდა მატარებელში? ან იმ
ახალწლის ღამით, როცა უსაზომოდ
მთვრალი სახლში წავიყვანე? — ღმერ-
თმა უწყის...

3

ახალწლის ღამეს უზომოდ შევაშრი
შარბაოს. ვიჯექი უთმრავ ნაცნობთან
ერთად, დილამდე ვლოვობდით, რას
ვსვამ. ახალი წელია, დასასრულებელ
ეჯლისს ჭაგვდი იგი, ოღონდაც მე
უკვე მომრეოდა ბახუსი, ჩემთვის ყვე-
ლაფერი ჩუმად ხდებოდა. აღარ შეს-
მოდა არავის საუბარი, აღარც მუსიკის
ხმა, ვიჯექი, უაზროდ ვიფახულებდი
ალბათ ჩაწითლებულ თვალებს და ხალ-
ხის ხარხოცს, შეხლა-შემოხლას ჩემ-
და უნებურად ავდევნებოდი. გამთენი-
ისას რაღაცნაირად ნაძალადევად მორ-
თულები მეჩვენენ ისინი, მათმა მოძ-
რაობამაც დაკარგა სიმკვეთრე, თითქოს
თამბაქოს კვამლში აიმღვრნენ მათი
სხეულები, ჩახუთული ჰაერი იდგა გარ-

შემო... ჩემი ნაცნობები ნელ-ნელა იშლებოდნენ, ღამითით კიდევ ერთხელ ულოცავდნენ ერთმანეთს ახალ წელს, მხარზე ხელს მითათუნებდნენ და როცა იგებდნენ, რომ კიდევ ცოტა ხნით ვაპირებდი დარჩენას, რომ ჯერ არსად არ მეჩქარებოდა და სულაც არ მინდოდა ამ ახალი წლის ღამით ლოგინში შეძრომა და ძილი, ძალიან ნუ დათვრებიო, ჩაილაპარაკებდნენ, ხვალამდეო, მეტყოდნენ და მშორდებოდნენ. მეჯლისი კი გრძელდებოდა, უმრავლესობა ჯერ არ აპირებდა დაშლას... მე კი უკვე მარტო ვიჯეკი ჩემს მაგიდასთან და ნელ-ნელა ვსვამდი. რიაღებდა თვალწინ ნაძვისხესავით მორთული საზოგადოება, უძინარი ღამის შემდეგ, ალიონის სიფერმკრთალეში მასავით ყალბად ბრჭყვიალებდა ისიც. საათს დავხედე, შვიდი დაწყებულიყო. უკვე გვიდნენ ქეზრეს. ხმაურიანი, ნამთვრალეები მეეზოვენი ერთმანეთს ხელებითა და სიცილით ანიშნებდნენ რაღაცას, ალბათ, ახალი წელიაო, გაჰყვიროდნენ. არაფერი აღარ მესმოდა, რაღაცნაირი ზიზღის გრძნობა მეუფლებოდა მხოლოდ, ისეთი, სიმარტოვეში, გადაჭარბებული თრობის შემდეგ რომ იცის ხოლმე. ისე მგზმანა, რომ გამთენიისას ყველაფერი დანაგვიანებული ჩანდა, როგორც ქუჩაში გამართული წარმოდგენის, ნაუცბათევი სანახაობის შემდეგ, როცა კაცისშვილი აღარ რჩება, რჩება მხოლოდ გაზეთების ნახვევები, მზესუმზირის ნაფცქვენები, ჩამოხეული აფიშები, მხოლოდ ნამუსრევი და სადღაც, მიტოვებულ ბოშასავით განცალკევებით მდგარი სახელდახელოდ გამართული მანეკი, რომელზედაც ქარი აფრიალებს პრელაჭრულ ნაჭრებს, სულ რამდენიმე საათის წინ კოპწიად გადაჭიმულს და ახლა ქარისგან უბადრუკად ათრეულსა და ჩამოძეძნილს... ერთი განცდა სდევდა ამ ჩახუთულ ჰაერს განუწყვეტლად. სუნის, უამრავი საცხებლის სუნი, თამბაქოს კვამლში და აქა-იქ დაღვრილი ღვინის სუნში არეული. ასე მეგონა, რომ ყველაფერი საოცრად ჭუჭყიანი იყო, რომ ადამიანებს თანდათანობით დედის მუცლიდან დაყოლილი სუნი შესძაგდათ დიდი ხნის მერე, [illegible] ნოსს, უეცრად შეიზარეს [illegible] ხოვათ, ეუცხოვათ საკუთარი სხეულიც თითქოს. მაგრამ მაინც დანებდნენ სიმძიმეს მისას, საკუთარ სხეულს, როგორც წუთისოფლის უსაზომო ტვირთს და გაოლეინენ, გამტკნარდნენ და გაიტკეპნენ. თითქოს, საკუთარი საყდრის გაუძლისი სიმძიმით ძლეულნი, როგორც ეს გლახა ანაზდად ჩამორღვეული ტაძრის ფილებზე გართხმული, როგორც თითქოს ლოგინი ხვდება, თითქოს ნებაყოფლობით მიერთვება მტვერს, რღვევასა და წარღვნას...

ლოგვინ? —გაუგებრად და გაუბედავად მეღიმება ჩემთვის. კი მაგრამ, იქნებ ისინი სულაც არ ფიქრობდნენ საკუთარ ტვირთზე, იქნებ მათ, უბრალოდ, იმდენ ხანს იოცნებეს საკუთარ არსებობაში ანაზდად, საიდანღაც მოვლენილ მეჯლისზე, რომ თუ მოულოდნელად რაიმე ამის მაგვარი, თუნდაც სხვისთვის კუთვნილი წაიკრად გაკრთა, დაილანდა მათ თვალწინ, მათ ცნობიერებაში, ისინი უმალ ისე დაურიდებლად წაყოფენ ფეხებს წინდებში, ისე მოირგებენ სუფთა სამოსს, რომ ყველაფერს გადავიწყებენ, თავიანთ ჭუჭყით გაზინთულ ფეხებსაც და ტანსაც, გადაივიწყებენ იმასაც, რომ ისინი არაფერ შუაში არიან, ზედმეტნი არიან ან ზედმეტად უცხონი ამ ყოველივესთვის და სხვათა ზეიმს სუფთა სამოსივით ვერ მოირგებენ ვერასოდეს... ესეც კანონზომიერია ალბათ, რადგანაც ამ წამიერი მეჯლისის მშვენება და სიკაშკაშე ბევრ ისეთ რამეს ხდიდა საბურველს, ბევრ ისეთ სატკივარს დაანახვებდათ სახეცვლილს, რომელიც იქნება მთელი სიცოცხლეც აწამებდათ და სახელს ვერ უძებნიდნენ, ვერ არქმევდნენ ვერასოდეს...

მე კი უთუოდ არაყმა ნაადრევად მომიღო ბოლო, ნაადრევად ამამხედრა

მიკა ალექსიძე
მდუმარების მეჯლისი

ქათ მიმართ, საკუთარი თავის მიმართ, ყველაფრის მიმართ... ამამხედრა და თრობასთან ერთად, რაღაცნაირი უამური სიფხიზლეც დამიბრუნა, უამური განცდა არამოწყალისა, არათანაზიარობისა, გულგრილობისა. ვსვამდი, ვსვამდი, სასმელი კი ალარ მეკიდებოდა, არამედ თანდათან გამოვყავდი ბურუსიდან, საგნების სიმკვეთრეს მიბრუნებდა, ვფიზიზღებოდი თითქოს, ოღონდაც იქ კი არა, სადაც თავიდან მოვედი, არამედ სხვაგან, სულ სხვა გარემოში, ისეე ბახუსის ლაჯებში ალბათ და აქ, თქვენ რატომ არ ცეკვავთო? — ვიღაცამ მხარზე მსუბუქად დამადო ხელი. — ახალი წელიაო... უცნაურად ჩამესმა ეს ნათქვამი „ახალი წელი“, თითქოს [illegible]ავიწყებულიც მქონდა იგი...

ნატალია იყო, ოღონდაც მე არ ვიცნობდი მას და, რაღა თქმა უნდა, არც სახელი მომეგონებინა ჯერ მისთვის... (სახელზე არც ვფიქრობდი იმწუთას ალბათ). იდგა ჩემ ზურგს უკან ბატარა, მთვრალი, საოცრად მხიარული, მუქი ყავისფერი კაბით შემოსილი ქალი და იღიმებოდა.

მე ადრევე შენიშნული მყავდა იგი, მთელი ღამე ცეკვავდა, ცეკვავდა განურჩევლად ყველასთან, საოცრად ლაღი, თავისუფალი, ყოველგვარი სამკაულისაგან დახსნილი. ამ ბრბოში იმთავითვე ყველასგან დამოუკიდებელი მეჩვენა, იქნებ, ყველაზე ნამდვილიც... მერე ხალხი რომ გამეჩხერდა, უკეთ შევათვალიერე, ასე მეგონა, ამ დარბაზში ადგილი არა ჰქონდა მას, უბრალოდ, საცეკვაოდ მოსულიყო მხოლოდ და ცეკვავდა, ცეკვავდა დაუსრულებლად, რაღანაც მუსიკა არა წყდებოდა. მოწყენისა, უხერხულობისა და უადგილობისთვის ალარ უტოვებდა დროს... მერე ისიც დამეკარგა თვალთახედვიდან, თანდათან დამავიწყდა, ჩემს ფიქრებსა და ჩემს ნაცნობებთან გართულს, ისიც ყურადღების მიღმა დანთქმული ბუნდოვანადღა შემომრჩა რატომღაც...

— დამეწვიეთ-მეთქი, — ვთხოვე, ალა უფრო მთალოებულ[illegible] უსიტყვოდ, ძალზე მ[illegible] ბრუნდა, განუშორებელი ღიმილით გამომიწოდა ხელი და ჩემს პირდაპირ მოკალათდა. უფრო სწორად, წამოსკუპდა, რადგანაც ძალზედ უასაკო მეჩვენა მაშინ და ეხლოდ როცა თრობაწყანაკიდებ მის თვალებს შევხედე, მივხვდი, რომ ის სულაც არ იყო ბავშვი. პირიქით, ჩემ წინ ნამდვილი ქალი იჯდა გამომცდელი მზერით, ერთდროულად უსაზღვროდ მხიარული და ცნობისმოყვარე.

მე დღეს ძალიან ბევრი დავლიეო, — მითხრა. მერე რა, დღეს ხომ ახალი წელია-მეთქი, — ვუპასუხე, ის დაკვირვებით მიყურებდა, დიდი ყოვლისმომცველი შუქის დანახვა ეწადა თითქოს. გარეთ უთოვლო ზამთარი იყო. ჰო, საოცარი ნათელი სურდათ-მეთქი. მის თრობისგან მიბნედილ თვალებს. საიდან უნდა ვიშოვო იგი? — გავიფიქრე მაშინ, საიდან ვიშოვო უზარმაზარი კოცონი, ჯერ ალმოუჩენელი ფეიერვერკი მისი თვალებისათვის. მაინც რა საშინელია ეს უთოვლო ზამთარი, შემზარავი ქარებითა და ჟაჟაპით გაჟღენთილი და ამ დროს სურვილი, მიუღწევლის სურვილი, სურვილი, თუნდაც სიმთვრალეში გადახიზნული მხიარული ქალის სულისთვის. უთუოდ არც ერთს არ უნდა გვდომებოდა გარეთ გასვლა, ამ ატბორილ გარემოსთან შერწყმა, ჩვენი ადგილის, ჩვენი სიმთვრალის მიტოვება...

„დღესასწაულისათვის ჩვენ ძალზე მთვრალები ვართ“, — ხუმრობით გადმომხედა მან.

— უკვე თენდება-მეთქი, — ჩავილაპარაკე და ჯიქა გავუწოდე.

დღესასწაულისას ვერ უნდა გრძნობდე უთოვლო, მოსაწყენ ქუჩებს...

ქალმა უხმოდ შესვა, მერე კიდევ და კიდევ. ცეკვისთვის გვიანი იყო უკვე და ასე მეგონა, ჩვენი სასმისების ყოველ გაწკრიალებაზე თითო ნათური ქრებოდა დარბაზში. ქალის თვალები

კი დაკინებით ითხოვდნენ შუქს, შუქს განუზომელს, სწორედ ისეთს, უბრალო ბედნიერებისათვის რომ სჭირდებათ ადამიანებს, ასე მეგონა, ერთი დღის უბრალო ბედნიერებისათვის, ერთი დღის მიტოვებული პოეზიისათვის თუნდაც... მერე სრულიად გაბაცდა დარბაზი, სადღაც დაიკარგა ჭაღების სიკაშკაშე და როცა ქალმა მოსასხამი აიღო სკამიდან, მხრებზე მოიგრო და შემომხედა, ვიგრძენი, ეს მხოლოდ შეკითხვას მოასწავებდა „წასასვლელი თუ გვრჩებოდა, თუ გვქონდა სადმე“, თითქოს ორივეს მოგგებზრებოდა ეს ყაყანი, უკვე ალაგებდნენ მაგიდებს, ასუფთავებდნენ თითქმის ცარიელ დარბაზს. სასაკილოა, მაგრამ რას იზამ, თითოეულმა ხომ უნდა იცოდეს საიდანმე დროულად წასვლა, სანამ სასიამოვნო ღრეობით მოგვრილი სევდა სიცარიელედა და ჩვეულებრივ უნაყოფო ლაყბობად იქცევა ხოლმე...

„ქუჩაში ნისლია, ძალიან ცივა ალბათ“, — ჩაილაპარაკა ქალმა. მე კი ისე მინდოდა გაცილებით ბევრი მეცეკვა დღეს“.

ქუჩიდან აღწევდა რადიოჟაკ მოყოლილი სინაკრისფერ, მორუხო ჩრდილი ეფინა ქალის სახეს. არასოდეს ესოდენ უბრალო არ მომჩვენებია ქუჩები, ესოდენ დახსნილი ყოველივე გადაპრანჭულსა და რიტუალურს. ალბათ იმ გამთენიისას უკვე აღარავის სჭირდებოდა ახალი წელი, კი აღარ სჭირდებოდათ, ვგონებ, ჩემსავით აღარც ახსოვდათ უკვე...

მე მივდიოდი ჩემი სენაკისკენ. ჩემს მხარს მიხუტებულ ქალთან ერთად, მივდიოდი ყველაზე უხმაურო, მივიწყებული ქუჩებით, სადაც ერთი შეხედვით, თითქოს ჯერ კიდევ არც შემოეღწია დღეესასწაულს, სადაც მოკეტილ დარაბებს მიღმა თბილად ეძინათ, თავდავიწყებით ეძლეოდნენ სიყვარულს ან, უბრალოდ, თავისთვის განაბულნი დუმდნენ, იმ დუმილით, რომლითაც რაღაც ახალს ელიან ხოლმე.. .

„რამხელა თავხედობაა, — ჩავილაპარაკე ჩემსავ, — რატომღაც ყველაფერი თვის მაღიზიანებს გადარაზული კარებსა და დაგმანული ფანჯრების ყურებ, ყოველთვის ერთი სურვილი მომივლის ხოლმე, შეფარვით დავინახო, რას აკეთებს მათ მიღმა ხალხი“.

— კედლებს მიღმა? — გაეცინა ქალს, — დავიჯერო, შენ ასეთი მრუში, ცნობისმოყვარე და ეჭვიანი ხარ ყველაფრის მიმართ?

— მაინც რის მიმართ?

— ბუნდოვან თავისუფლების, — ისევ სიცილითა და მხრების აწევით მეუბნებოდა ქალი.

გამეცინა... რომელ თავისუფლებაზე იყო ლაპარაკი, როცა ერთიც და მეორეც საშინლად მთვრალები, ძლივს მივათრევდით ერთმანეთს, მივათრევდით უსიტყვოდ, იქით, სადაც ბევრი დასალევი, ბევრი სითბო და ვრცელი სუფთა სასთუმალი გველოდა, სიძვისა და თრობის უბრო ღმერთისა და საახალწლო ზმანებათა განსასვენებლად.

ეს იყო ჯოჯოხეთური დღე, ჰო, მე არ მეშინია ამის თქმა, არც იმის აღიარებისა მეშინია, რომ ჯოჯოხეთსაც ჰქონია თურმე თავისი სიწარმტაცე, თავისი ამოუწურავი, თუნდაც ჯოჯოხეთური ვნება, წამება და პოეზია... და შესაძლოა უფრო ნამდვილიც, გაცილებით გულწრფელიც, ვიდრე სამოთხეს. ვიფიქრე, დაე იყოს სამოთხე ამ ცხოვრების ვეებერთელა ტოტებზე ჩიტებივით შემოსკუპულ უმეცართათვის, იყოს საკენკი ამ პატიოსანი ჯამბაზებისთვის. მე კი ჯოჯოხეთიდან ხელს შემოვხვევ სულ ახლოს ჩავლილ სიმშვენიერეს, შევსვამ მის შხამითა და სისხლით შეზავებულ სიმხურვალეწანაკიდებ ღამეებს და ასე მთვრალი საკუთარ ცოდვებს დავუნთებ სანთელს... ახლა მეც მიკვირს, რადგანაც მაშინ სულ სხვანაირად მოხდა, არა ისე, როგორც ჩემ მიერ შეთხზულში, წაკითხულში, დანახულში...

მიკა ალექსიძე
მდუმარების მეჯლისი

ქალი სავარძელში იჯდა, ჩემს ოთახს ათვალიერებდა თითქოს. მაგრამ, როცა მის პირდაპირ ჩამოვჯექი, როცა უფრო კარგად შევათვალიერე, მივხვდი, რომ ის ვერაფერს ვერა ხედავდა, თვალებში სიცარიელე ედგა. ფერიც დაეკარგათ მის თვალებს. ახლა მთლიანად გაფითრებული სადღაც იმზირებოდა და ტუჩები მოუსვენრობდნენ თავისთვის.

„სითბომ იმოქმედა, — გავიფიქრე, — ქუჩაში დიდხანს სიარულმა“. ერთხანს ასე უმოძრაოდ ვიჯექი, ხელახლა ვაკვირდებოდი ყველაფერს, ვეწეოდი. ალბათ იმაზეც ვფიქრობდი, როგორ გახუზომლად მინდოდა ქალი, რა მოკლე მეჩვენებოდა სახლისკენ გზა და რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ჩემს თბილ, სუფთა ოთახში მასთან განმარტება. ახლა კი ცარიელი, ფერდაკარგული თვალები წრიალებდნენ ჩემ წინ, მთლიანად ბურანში გადასულ, მოთენთილ და მოღეღილ სხეულს ვხედავდი და ტუჩებს, რომლებიც ირხეოდნენ, მაგრამ აღარაფერს ამბობდნენ.

ჩემ წინ აღარ იყო ჩემგან დალანდული პატარა, მხიარული, მთვრალი ქალი. ის სრულ არარსებობას უფრო ჰგავდა. იმ არარსებობას და სიცარიელეს, საიდანაც საღამომ ამოისროლა უთუოდ და ალიონმა უგონოდ ჩააბრუნა უკან.

ფრთხილად ავიყვანე ხელში, გავხადე და დედიშობილა ჩავაწვინე ლოგინში. თვალები არ დაბუჟულან, ისინი მიყურებდნენ, მიყურებდნენ და ასე მეგონა, ჩუმად, საიდანღაც, სწორედ იმ არარსებობის ფარღის იქიდან დამცინოდნენ კიდეც... ამ ამღვრეული თვალებიდან დაიწყო ალბათ ყველაფრის შეთხზვა, თავდაპირველად ჩემდა უნებურად დაიწყო. მთავარი მაინც ის იყო, რომ ჩემს ცხოვრებაში რამდენადაც ვუთანლოვდებოდი ქალებს, იმდენად შეუეცნობელი მრჩებოდა მათი ბუნება, სადღაც მისხლტებოდა მუდამ და როცა მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი მათ, სწორედ მაშინ ვიყავი ხოლმე ყველაზე უმეცარი, დაბნეული და გაურკვეველი. უცნაური კი ის არის უთუოდ, რომ თავდაჯერებულობა რატომღაც ხოლმე მატულობდა ამ დროს. ალბათ, ითვალისწინებდა ერქვა მამაკაცის სიბრიყვე, თორემ საიდან ესოდენი თავდაჯერებულობა, ესოდენი კდემა და ლაციცი საკუთარ პატივმოყვარეობასთან. ხოლო როცა ერთ მშვენიერ დღეს რაღაცას მისთვის ძალზე ნამდვილს მომთხოვდა რომელიმე მათგანი, ირკვეოდა, რომ თურმე მე არ ვიცოდი, არ მესმოდა, რას ითხოვდნენ ჩემგან, ან რას მოიცავდნენ ის პატარ-პატარა ჭეშმარიტებები, რომლებიც ნებისმიერი ქალის ბუნებაში ბავშვობიდან ქალობამდე ნელ-ნელა, თანმიმდევრულად იკიდებენ ფეხს, მკვიდრდებიან და თანდათან მათი არსებობის ისეთივე უცილო პირობებად იქცევიან. როგორც ღვთისმაშინაურთვის რელიგია. ჰო, სწორედ შიშია ხანდახან ყველაფრის განმსაზღვრელი, თუნდაც უკვე რწმენაშერყეული მლოცველისათვის. ის ძრწოლით მიდის ხატთან, ძრწოლით გადაიწერს დაძინების წინ პირჯვარს და იმ ანაზდად მოახლოებული შეკითხვის მოლოდინი ზარავს დღენიადაგ, რომელიც ძალზე ახლოს დგას მის ლიტანიობასთან, სენივით მოუცავს მისი სული და მხოლოდ შიში აკავებს იმ აზავთებულ ვნებებს, რომლებიც თავისთავად ბადებენ შეკითხვას, რისთვის სჩადის ყოველივეს ან რომელ რწმენაზე ღადდებს უსასრულოდ, როცა თავადვე ლოცვად შემდგარს მხოლოდ უილაჯობის რისხვა აქვს გამჯდარი და რამე სიწმინდის და უზენაესის განცდა კი არა, საკუთარი უილაჯობისგან თავის დახსნის განცდა მოიცავს ხოლმე. ასე ეშართებათ ხშირად ქალებსაც, რადგანაც მათი პატარ-პატარა ჭეშმარიტებებიც უსაზომო შიშით იჭრებიან მათ არსებაში, იბუდებენ და მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე ელოლიავებიან მათ, ისინი ხომ დაურიდებლად და განუზომლად ითხოვენ ხოლმე ხარკს. ალბათ ეს არის ყოველი ქალის სინამდვილე, ის სინამდვილე, რომელსაც განუწყვეტლივ თხოულობდნენ ჩემ-

გან. მაგრამ იმდენად სხვადასხვანაირად, იმდენად სახეცვლილად, რომ შლეგივით გაოგნებული ვრჩებოდი, შლეგივით უგზოდ გაღიზიანებული და ამხედრებული. თითქოს ჩემი უმეცრება კი არ აღმომეჩინოს ხელახლა, პირიქით, ქალში დამეხახოს ვითომ უკურნებელი, უსაზომო მანკი, ამიტომაც დროთა განმავლობაში სიტყვა „ქალის“ უბრალო ხსენებაც კი ავადმყოფობას მაგონებდა უმალ და ყოველი ახალი ქალი, როგორადაც არ უნდა ჰგვანებდა წინას, მაინც ახალი ავადმყოფობა იყო ჩემთვის.

იქნებ სწორედ ამიტომ დამცინოდნენ, ნატალიას თვალები იმ ღამით, იქნებ მეოე ისიც კი ეთქვათ ამ თვალებს, რომ მე თავად, ჩემი თავისთვისაც არაფერი გამაჩნდა ჭეშმარიტი. მყარი, შეუვალი და ნამდვილი, გაცემაზე რომ ალარაფერი დასცდენოდათ. ასე იქმნებოდა-მეთქი ორობით გარემოცული, ორობით ფაქიზული თვალებიდან იმ ღამით საპყარო, რომელიც ალარასოდეს ალარ დაუტევებდა ჩემ სულს.

უცნაური ციება სჭირდა, ლოგინში შეფუთული, უსასრულოდ კანკალებდა. მეგონა, გათენებამდე ვერაფერით ვერ გაატანდა იგი. და მაინც ყველაზე უცნაური ის იყო ალბათ, რომ ჩემს ოთახში დაეყენებულ გამთენიის სიმყუდროვეში ალარ იძვროდა ხმა, რომელიც რეალობაში დამბარუნებდა, ხმა, რომელიც აურზაურს ემსგავსებოდა თუნდაც. იწვა თავისთვის ქალი, ფრთოდა, ხანდახან წამოიწევდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოილუღლუღებდა რაღაცას. მერე წამით რომელიმე კედელს მიაშტერებდა თვალებს, ალბათ იმას, რომელსაც მე ვერა ვხედავდი ან ვერ ვამჩნევდი უკვე, რომელიც მის გაყინულ, დამცინავ თვალებში არსებობდა მხოლოდ და მერე უცებ ჩაიფერფლებოდა კვლავ. ნელინელ ჩაუწვებოდა ძილბურანს. მაგრამ ეს მთრთოლვარე, ანაზდად ჩემ თვალწინ აძოლული ბგერები ხმიერებას კი არა, უფრო მეტ სიჩუმეს გამოსცემდნენ, დაბშულს, გაუცნობიერებელს, მარტვილურსაც კი, სწორედ ისეთს, დამწყვდეულ სიჩუმეს, [illegible] ქმედი ხოლმე, სადღაც ჩემ [illegible] მწყვდეულს, ისეთს, მუნჯი ხელებით რომ გიჩვენებს და შენ უეცრად მისი ხელების მოძრაობით, მარტო განრიდებას, მდუმარებას კი არა, რაღაც გაურკვეველ დროსაც დაინახავ, ფიზიკურად არსებულ დროს, მუნჯის ხელებით მოხაზულს.

„სადღაც ჩამწყვდეული სიჩუმე, აი ახალი მოთხრობის სათაური“ — გავიფიქრე ჩემთვის, გამეღიმა, მაგრამ ესეც არ იყო ხსოვნისა და სურვილისგან მოგვრილი, ესეც მუნჯის უეცარ, გულდაწყვეტილ ჩაღიმებას ჰგავდა, როცა ის ხელებს ჩამოუშვებს, ჩაგაცქერდება და საცოდავად გაგიღიმებს, რადგანაც, იქნებ შენ ვერ შეიცანი მისი დრო, ვერც მისი სიჩუმე აღიქვი სწორად, შენ ვერაფერი ვერ გაიგე, მისი ხელების უბრალო მოხაზები ჩაგრჩა ცნობიერებაში მხოლოდ, ხელების, რომლებიც ფაქიზად შენელებულად ირხეოდნენ, წამით დაგატყვევეს, მერე გადაისრიალეს, ამოწურეს შენ თვალწინ სივრცე, სივრცე, გამომწყვდეულ მდუმარებასა და დროს შუა, იქნებ, შენსა და რაღაც სოცერად რეალურს შუა, შენსა და წარსულს შუა და მაინც, როცა ხელები ჩამოუშვებიან, მუნჯს გულმოწყალე ღიმილი დაუფარავს ბაგეს, შენც უგზოდ გაგიღიმება, მერე თანაგრძნობას ამსგავსებ ამ ღიმილს, მაგრამ ხომ შეიძლება ქვეცნობიერად საკუთარი თავის მიმართ სიბრალული უფრო მიესადაგოს მას, არა მარტო საკუთარი თავის მიმართ, არამედ შესაძლოა, მთელი იმ კაცობრიობის მიმართაც, რომელმაც ანაზდად ასევე დაკარგა დრო და სადღაც გამომწყვდეულ, ამოხშობილ სიჩუმეში ჩაეფლო, დაიძირა, ჩარჩა სამუდამოდ.

მერე ყოველივე სადღაც გადაიხზნა ჩემგან, ალარ მახსოვს, რამდენი ხანი მეძინა. დღე-ნახევარი თუ ორი დღე, ღმერთმა უწყის, რამდენი, მაგრამ გა-

მოღვიძებულს ერთი განცდა ამყვა მხოლოდ, საშინელი სიმარტოვისა და ქენჯნისა, თითქოს რაღაც უსაშველოდ დიდი დანაშაული მჭონდეს ჩადენილი. თვალდახუჭულს ასე მეგონა, რომ ის, რაც მე დავაშავე, გაცილებით სჯარბობდა ყველა ცოდვას კაცთა მიერ მონამოქმედებს. ალბათ, ასეთივე განცდა ექნებოდა იმ კაცს, რომელიც უგონო სიმთვრალის შემდეგ თვალს ახელს და საკაწში აღმოჩნდება. მერე კარს გაღებენ და გამოუცხადებენ: „შენ გუშინ კაცი მოკალი“, როდესაც მის გაოგნებულ სახეს იხილავენ, კიდევ გაუმეორებენ, ახლა უფრო რიხიანად, ხმამაღლა, შემაგონებლად: „შენ გუშინ კაცი მოგიკლავს, გახსოვს?“.

მე არაფერი მახსოვდა, თვალები მტკიოდა, უხმოდ ვიტანჯებოდი მხოლოდ. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, ოღონდაც, როცა ფლოსტების ხმა ჩამესმა, ისეთი საზარელი ყვირილით წამოვიწიე, თითქოს მართლაც ვიღაცის სიკვდილში მდებდნენ ბრალს და ახლა ერთბაშად ერთმანეთში აღრეულიყოს ყოველივე — მონანიებაც, გოცებაც, თავის მართლებაცა და აღსარებაც. დაუჯერებლობის ამობღავლება იყო ჩემი ყვირილი. ქალს კი გაეღიმა. გაიღიმა ძალიან მშვიდად, თითქოს, რამ შეგაშინაო, მკითხა, ჩვენ ხომ ორნი ვართო... რა იოლი იყო იმწუთას მისი ღიმილი, იოლი, ბუნებრივი, მსუბუქი და რაც მთავარია, გასაოცრად ძალდაუტანებელი და ამ ძალდაუტანებლობამ დამანახვა მთელი მისი მომხიბვლელობა.

შენ მარტო წიგნები და წერა კი არა, ძილიც ძალიან გაგვარებიაო, — მითხრა.

არ მოვტყუებულვარ, რაღაც ამოუცნობად დამცინაი გამოსჭვიოდა მის ხმაშიც, მთელ მის იერში, ყოველი სიტყვა ნაკარნახევივით ისევე იოლად მეორდებოდა მართლაც, როგორც მისი ღიმილი.

ის კარადასთან იდგა, ჩემს ხალათში გამოხვეულიყო, ჩემივე ფლოსტები წამოეცვა, რომელიღაც ჩემს ფურცელს ატრიალებდა ხელში. „კარგად მოწყობილა-მეთქი, — გავიფიქრე, — რას წერ? — ისე შემეკითხა [illegible] თითქოს მთელი საუკუნეა ვიცნობდეს ერთმანეთს და ახლა ამ გაშინაურებული ეერით დაურიდებლად მეკითხებოდა: „კარგად, სად მომინადირეო, გეთაყვა?“

— არაფერს, აღარაფერს აღარ ვწერ, — ჩავილაპარაკე ჩუმად. სიგარეტს მოვეკიდე და ცივი წყალი მომიტანე-მეთქი, ვუთხარი, მერე ერთხანს გვერდით მომიწვა, ხელისგულზე სახედაყრდნობილი ჩამცქეროდა და თითქოს ისევ მეკითხებოდა „კი მაგრამ, ჩემამდე როგორი იყო შენი ღმეებიო, გეთაყვა?“ — ხმამაღლა მინდოდა გამეცინა და ჩვეულებრივი-მეთქი, მეპასუხა, მაგრამ. სიმართლე მითხარიო, — მთხოვდა. — უთუოდ ყველაფერი გულახდილად მითხარიო. შესაძლოა ეგონა, რომ ჩვენ უკვე გვქონდა „დიდი ალერსის ღამე“, მას ხომ აღარაფერი აღარ ახსოვდა ალბათ, შესაძლოა, ამადაც მთხოვდა გულწრფელობას. „გულწრფელობა დიდი ალერსის ღამისთვის“ ან კიდევ რა შეიძლება დაარქვა ყოველივე ამას... უფრო საოცარია თუ შშვენიერი? — გავიფიქრე ჩემთვის, ალბათ, არც ერთი და არც მეორე. ერთი ჩვეულებრივი სათაურია, ერთი ჩვეულებრივი მოთხრობისათვის.

— იცი რითი დავიწყოთ? — მითხრა მან.

— რითი?

— შენ, შენი ყველა მოთხრობა მომიყევი, მომიყევი ისე, თითქოს მე კითხვა არ ვიცოდე, მომიყევი, როგორც გსურდეს, თუნდაც რაღაც გაეკვედეს, თუნდაც მოგეჩვენოს რომ ვერ გავიგებ, მე კი ძალიან შევეცდები...

— არა, ამით დაწყება არ ივარგებს, — ვიხუმრე მე... — სხვა რაღაც მოიფიქრე.

ის ერთხანს თითქოს მართლაც ჩაფიქრდა, მერე თავზე გადამისვა ხელი და ჩუმად თქვა: — კარგი, მაშინ საუზმით, ხომ შეიძლება საუზმით დავიწყოთ?

— საუზმით? საუზმით ნამდვილად

კარგია, — ჩაგილაპარაკე მის თბილ, გამხდარ კისერთან დახრილმა, — ოღონდაც ეს ხალათი ძალიან გვიშლის ხელს.

მერე ის ზურგშექცევით იდგა სარკესთან, შიშველ ზურგს ოღნავ გვერდზე წახრილი უმზერდა, იმოსებოდა. მაშინ პირველად ვიგრძენი, როგორ ეზარებოდა ჩაცმა, როგორ უყვარდა საკუთარი სხეული და თავისი სიშიშვლის ბინდი თუ ნაჩრდილებში ასე მარტოდ ხანგრძლივად დგომა...

— უცნაურია, მე აღარ მახსოვდა ასეთი კარგი თუ იყავი წუხელ...

— ჰო, ღმერთ ძალიან მთვრალი ვიყავი, ალბათ.

— ხედავ, თურმე, როგორი ყოფილხარ შენ, მე კი მეგონა, მხოლოდ შენს თავს უკეთებდი ხოლმე საჩუქრებს.

გამეცინა, საწოლში წამოვჯექი, სიგარეტი დამატოვე-მეთქი, ხელით ვანიშნე „და მაინც გულწრფელობა დიდი ალერსის ღმერთისს?“ — ისევ შეეკითხე ჩემს თავს.

რაღაც კიდევ მომინდა ხმამაღლა მეთქვა, მაგრამ ის უკვე ოთახიდან გადიოდა და ჩემს ამოძახილს ვერ გაიგონებდა მაინც...

ქალებს იშვიათად ავიწყდებათ თავიანთი ღმეები, — გავიფიქრე მაშინ, — უფრო სწორად, კარგ ღმეებს არასოდეს ივიწყებენ, იქნებ ეს ერთი მაღლი მაინც შეარჩინათ ცხოვრებამ...

4

იმ ღილით, როცა ქალს ძილბურანში უეცრად აღმოხდა, როგორმე აქედან უნდა გავიქცეო, ხელახლა გამახსენდა ყოველივე, გამახსენდა, რომ ეს მისი მთელი ცხოვრების ოცნება იყო და არა შემთხვევით წამოსროლილი უსაზმნო ბოდეა. მაგრამ დაკინებითაც რომ ჩაჰკითხოდი, საით აპირებდა გაქცევას ან რას ნიშნავდა, რას მოსაწყვიტებდა მისი გაქცევა, ის უთუოდ დადუმდებოდა, ეჭვიანი თვალებით შეგთვალიერებდა და სამუდამოდ დაკარგული შეიქნებოდი მისთვის. შესაძლოა, თავადაც არა სცოდნოდა ბოლომდე, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში, მაგრამ მთელი ცხოვრების [illegible] ებასავით რომ ეპყრობოდა [illegible] მის მნახველს აღარასოდეს შეეპარებოდა ეჭვი... ისევე როგორც თავის ბავშვობას არ იხსენებდა არასოდეს, არც თავის სახლს, არც საბაბს გაძლევდა რაიმეს შეკითხვისათვის. მაინც როდის დაიწყო ეს დაუოკებელი ლტოლვა გაქცევისადმი? — ვფიქრობდი ხშირად, იქნებ, იმ ახალი წლის ღამით, თითქმის ერთი წლის წინათ, მეც თავშესაფარი ვიყავი მისთვის და იმ ღამესაც სადღაც გაქცევას არქმევდა იგი ან გულუბრყვილოდ სჯერდა, რომ სადმე გარბოდა...

თუმცა ესოდენ უცნაური, ჩვენი პირველი დღეების უმალ, უეცრად ამ პატარა ქალში სულ სხვა რაღაც აღმოვაჩინე, აღმოვაჩინე უდიდესი ტრაგედიების ერთფეროვანი, ჩვეულებრივობის საფარველს მიღმა მოქცევის უნარი, მოვლენების საშინელი სიჩქარით უკუქცევის ან უფრო სწორად, გაუბრალოების, ხელშეუხებლობის და ასე სრული თავისი მთლიანობით თავისი წარსულის, რომელიღაც სხვათათვის გაურკვეველ ნაკადთან შერთვის უნარი — აქედან გამომდინარე, თავად უთუოდ კარგად უნდა ყოფილიყო დაუფლებული თავისი წარსულის ყოველი შენაკადის უმცირეს ჩქამსაც კი. თავიდან წარმოვიდგინე, რომ მთელი არსებითი წარსულში ცხოვრება, მოვლენების დაუოვნებელად წარსულში გადატანის თვისება, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საბაბი იყო, თავისი უსაზომო ვნებებისაგან ყოველდღიურობისადმი აღძრული. მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი მისი გარდასული დროის არც ერთი გაელვება, არ ვიცოდი, რას არქმევდა ეს ქალი წარსულს, მით უმეტეს, მე სულ სხვა რაღაც ვიფიქრე ანაზდად. იქნებ მისი თრობა, მისი ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარი პოეზია, მისი გაქცევაზე ღაღადისი სხვა არაფერია, თუ არა ჩუმი, გაუმხელელი ისტერია სიყვარულისთ-

ვის. და რამდენადაც გაუმხელელი, შეფარული იყო იგი, იმღენად მძაფრად, ალბათ უზენაესი გზნებით მეკავლდებოდა ხოლმე ნებისმიერ, თუნდაც სხვათათვის უმნიშვნელო წვრილმანთან დამოკიდებულებაში. თუნდაც სულ სხვა გარემოში, სულ სხვა პირობებში გადმოეხეთქა ამ გრძნობას. ამიტომაც ყოველ წუთს იცვლიდა იერს, იცვლიდა ჟურჭელს ბზაეთებული ოცნებებისათვის და ერთდროულად საშინში, ყველაფრის წამლეკავი ხდებოდა, ამავე დროსა ისე იფერებდა მშვენიერების ფერმკრთალ ყვავილნარს გაძრცვილს ტანზე, რომ ანაზდად სიგიჟის, ღამეული აგონიებისა და უსაზღვრო გატაცების მიჯნაზე დაგანახვებდა ხოლმე სამყაროს, მთელი თავისი უფსკრულებითა და ხიბლით...

ეს ჩემი ვარაუდია მხოლოდ. თავიდან კი მთელი ეს ხანი, ჩემ გვერდით ებრძოდა უთოვლო ზამთარს, ატალახებულ გარემოსა და ჩემი სულიერი საკანის სიჩუმეს და სევდას, სადაც ნებაყოფლობით მოიქცია თავი, დაიტყვევა, ცოტა ხნით მოწყდა მის გარეთ ჩამდინარ არსებობას.

მე ასე მსიამოვნებსო, — მითხრა, — დღეს მეტის არაფრის გახსენება არ მჭირდებაო...

იქნებ მაშინ სწორედ ასეთი აუმღვრეველი წონასწორობა უფრო შეეფერებოდა მის სიყვარულს, იქნებ უფრო დაღლილობა შვრებოდა თავისას. ერთხანს განუწყვეტლად, გონების დაკარგვამდე სვამდა, მერე ჩემს წინ იჯდა ხოლმე, რაღაც სიტყვებს, წინადადებათა ნაწყვეტებს ამბობდა, ვგონებ ლექსები უნდა ყოფილიყო, ან ვიღაცის ლექსებს იგონებდა და აკოწიწებდა თავისთვის. რაიმეს თუ ვკითხავდი, გამოვაფხიზლებდი, ცოტა ხნით დავიბრუნებდა, უმალ გაიღიმებდნენ მისი თვალები და ეს ისე, ჩემთვისო, ჩუმად მეტყოდნენ. მერე ერთბაშად კარგა ხნით აღიკვეთა სმა, უფრო სწორად, ერთ საღამოს განაცხადა, რომ იმ დღეს უკანასკნელად თვრებოდა, თვრებოდა მხოლოდ თავისთვის და ჩემთვის და კიდევ ჩვენი უზაღო ლამენტაციისთვის. „მაშინ სადმე წავიდეთ-მეთქი, ვიფიქრეთ ერთმანეთ-გან დავლიოთ-მეთქი. — ... — ... — კასუხა. — სანამ თოვლი არ იქნება ქუჩებში, გარეთ ვერაფრით ვერ გავალო, სანამ თოვლი არ იქნება, გარეთ ყველაფერი მძულსო... და მივხვდი, რომ ახლა თოვლი შეიქნა მისი ოცნების დერიტა და ის საკანიც, რომელიც ჩემს სულში მოიწყო, ადრეც თავისი ოცნებებისათვის სჯირდებოდა მხოლოდ, მაგრამ სანამ დროთა განმავლობაში სამუდამოდ გამომეყოფოდა იგი, მანამდე მთელი მისი სიყვარული, მთელი მისი ულიარბელი განცდები ჩემზე უნდა გადმოღვრილიყო.

ძალიან გიყვარვართ? — მოულოდნელად მკითხა ერთხელ და როცა რაღაცით გართულმა ხელი მოვხვიე და თავი დავუქნიე, მომეჩვენა, რომ იმან ჩვეულად, დამცინავად გამიღიმა, ოღონდაც ამ ღიმილს გულდაწყვეტაც ერთვოდა რატომღაც. იმწუთას იგი თითქოს კატორღელის სიმძიმით ეზიდებოდა ჩემსა და თავის სიყვარულს, ეზიდებოდა მარტო, დაუკვნესებლად, ეზიდებოდა ამ უთოვლო ზამთრის წიაღში და წამითაც არ დაუჩიენია, თუ რარიგად ზარავდა ეს ზამთრის გალეული, უსახური და უსასოო, მიმკვდარებული მზე, რომელიც ატალახებულ, ჩამრუმებულ ქუჩებში ღაფავდა სულს. სიკვდილს შეგუებული მზე, მართლაც ისეთივე უსიამოვნო სანახავი მოჩანდა მისი თვალებიდან, როგორც ყოველივე დაბეჩავებული, დამონებული, სიკვდილშიც ქედს მოხრისთვის, მორჩილებისთვის, უიმედობისთვის განწირული.

მე მაინტერესებდა ეს ქალი, მისი ბუნება, მისი ათასგზის გასლეჩილი სულის ლაბიცი, მაინტერესებდა, როგორც კაცს, როგორც მწერალს. თუნდაც იმ მწერალს, რომელიც კარგა ხანია არაფერს არ წერს. ხანდახან ისეც მეგონა ხოლმე, რომ ეს ქალი ჩემი ნადავლი იყო მხოლოდ, ნანატრი, ძვირფასი ნადავლი, რომელიც კარგა ხანს უნდა მეთრია ჩემი ცხოვრების გზაზე, ვინ

იცის, იქნებ, ბოლომდეც... მიყვარდა იგი? არ ვიცი, არც არასოდეს ვიფიქრებ ალბათ. ვინ მიყვარდა, ან როგორ, ის კი, რასაც იმხანად ჩვენ გარშემო გონებაში ვთხზავდი, ექმნიდი, ვაკოწიწებდი თუ ვარღვევდი, ნამდვილად მიპყრობდა და მიყვარდა. იქნებ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ ეს ქალი ყველაფრის მსახვრალად, ყველაფრის შემმუსვრელადაც ჩამთვლიდა მერმე, მაგრამ მაშინ საშინლად უნდოდა რომ მყვარებოდა, მყვარებოდა თავდავიწყებით, ყოველგვარი გარეგნისაგან დახსნილს. მყვარებოდა უასაკო, უწონიერი ბიჭივით, საერთოდ დამავიწყნოდა, რომ მწერალი ვიყავი, რაღაც უნდა მეძებნა უცილოდ, დამავიწყნოდა, რომ დიდანს, ძალიან ბევრი ვიცხოვრე, სანამ ის მოვდოდა ჩემთან. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან დამეწყო, ხელახლა კი არა, თავიდან. ამას მერე მივხვედი, გვიან, უფრო ზუსტად, ერთი შემთხვევის შემდეგ, როცა მეც მივენდე მის ოცნებას, ბევრი თოვლი ვუბოძე, ბევრი თოვლი და სიმყუდროვე. ქალაქიდან გავიპარენით მაშინაც, ოღონდაც უფრო ხალხმრავალ ადგილას ამოვყავით თავი, ჩემს უამრავ ნაცნობთა გარემოცვაში.

— მოგწონს? — შეეკითხე ქალს, — ის ჩვენი ერთსართულიანი სახლის პირდაპირ თოვლში იდგა, სახე უბრწყინავდა. არაფერი მიპასუხა, დაიხარა თოვლი ორივე ხელით აიღო ფრთხილად, სახეზე მოისვა, იმწუთას მის მოქმედებებში არაფერი იყო ფარული, არტისტიზმით განწყობილი, პირიქით, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს შორს, ამ დაბარდნილი ტყისკენ გაქცევა უფრო მოუხდებოდა, რათა სამუდამოდ დაუბრუნებლად დაფარულიყო ამ უხმაურო სინატიფით. არასოდეს ისეთი მშვენიერი, ერთი შეხედვით უზრუნველი აღარ მინახავს იგი, — ესოდენ გაშინაურებული, შერწყმული ბუნებას, ფიქრს განუყოფლები. იყვნენ ისინი „ქალი და თოვლი, თოვლი და ქალი“, გადიოდა დღეები, არაფერი არ იწერებოდა, ალბათ მაშინ არც მაწუხებდა ეს. აქა-იქ შერჩენილ ნაცნობებს ვხვდებოდით, ვნადირობდით, ეს ალბათ ყველაზე საამო იყო, ღამეობდა, ... ქანცულები, თბილ საბნებში შეფუთულები, ვუთვალთვალებდით, რა წყნარად, ხვავრიელად ათოვდა სივრცეს. მერე ყველანი გაიკრიბნენ და მარტონი დავრჩით, ახლა ორნი დავდიოდით ყველგან, ჩუმად, უსიტყვოდ ვაკვირდებოდით ურთიერთს, ზამთარი იწურებოდა უკვე და ამ მოულოდნელად ხელახლა გაიღვიძა ქალში რაღაცისადმი დაუძაყოფილებლობამ. შეუვსებლობამ და ეშვმა. ან იქნებ მისი კატორღული მოთმინება დაიწრიტა, ის მოთმინება. რითაც ჩემსა და თავის ვაურკვეველ სიყვარულს ეზიდებოდა ამ ხნის მანძილზე.

— მე შენ გიღალატეო, — ერთხელაც მითხრა.

ნადირობიდან ვბრუნდებოდით. ჩვენი სახლის კიბის საფეხურზე ვიჯექი და თოვლში გახევებულ ქალს შევცქეროდი. ის მთელი გზა ხუმრობდა. ვიღაც ჩვენს ნაცნობებზე, ჩვენს თავგადასავლებზე მაცინებდა და უეცრად...

— ვიცი-მეთქი, — გავუცინე მეც.

— არა, არაფერი არ იცი, მე მართლა გიღალატეო.

კარგი, კარგი-მეთქი, — ჩავილაპარაკე, — წამოდი, ცოტა შევეპამოთ-მეთქი.

— არა ბჯერა? ერთ-ერთ შენს მეგობართან გიღალატე, რომელთან, არ გეტყვი ან რა საინტერესოა, რომელთან... — კარის ზღურბლიდან ნახევრად მოტრიალებულს რომელიღაც გარდასული დღე დამისახელა, ზუსტად აღარ მახსოვს რომელი, რადგანაც ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ის აღარ იღიმებოდა, პირიქით, ფიქრიანად მოიღუშა კიდეც თითქოს. არ ვიცი, რა ერქვა ჩემს განცდას, მაგრამ ალბათ არასოდეს ასეთი უბადრუკი არ მომჩენენია ჩემი თავი; გონებით ვიცოდი, რომ დაუჯერებელ სისულელეს ამბობდა.

მიკა ალექსიძე
ფლუბარედის მეჯლისი

რადგანაც ერთი წუთითაც არ დარჩენილა უჩემოდ, ვიცოდი, რომ რაღაცისათვის სჭირდებოდა ეს ყოველივე და მაინც უსაშინლესი მრისხანება მეუფლებოდა. მერე ამაზე აღარასოდეს დაგვდგენია სიტყვა, მხოლოდ ერთხელ თქვა ქალმა: „რა საშინელი ყოფილა მკვდრისფერი ცოცხალ ადამიანზე“ და მე მგულისხმობდა უცილოდ, იმ დღეს გულისსმობდა, — მითხარი, რომ იხუმრე, — ჩავილაპარაკე ნაძალადევი სიმშვიდით, — თორემ მოგკლავ, იცოდე.

— არა, მე ასე არასოდეს ვხუმრობ, შენ თვითონაც კარგად იცი ეს.

თოფი შევმართე, კიბეზე დავეშვი უხმოდ. ალბათ ხმა რომ ამომეღო, ვედრება აღმომხდებოდა მხოლოდ, ვედრება ერთი სიტყვისთვის — „ვიხუმრე“ ან ერთი თუნდაც ყველაზე დამცინავი გაღიმებისთვის, მაგრამ სულ სხვა რამ გაეიგონე მისი მოკუმული ბაგისგან.

მესროლეო, — უშფოთველად თქვა, ნანადირევიანი პატარა მწვანე ტოპრაკი გაუშვა ხელიდან, სახეში შემომხედა თამამად და უნდა მესროლოო, გამიმეორა. თოვლში ჩავდებული ტოპრაკის ყრუ ხმა ჩამესმა. მერე მისი დათოვლილი თმა გაკრთა ჩემ თვალწინ და მისი ბოლოს წარმოთქმული სიტყვები, რაზ კიდევ არა გჯერაო, რომ მეუბნებოდა. სასწრაფეტს აჩქარებით დავაშორე თითი, თითქოს მეშინოდა კიდევ არ გამგონოს რაიმე და იმ აუწერელ სულიერ გნიაში ვიგრძენი, როგორ შეელეწა მის ზურგს უკან ჩამოთოვილ ხეებს ტოტები. ვიგრძენი, რომ ბოლო წუთს მაინც მოკასწარი თოფის ოდნავ მაღლა აეწევა, ვიგრძენი, როგორ წარბშეუხრელად იდგა ქალი, ისევ ისეთივე უღიმილო და ფერმკრთალი...

ცუდად ისვრიო, — ჩაიჩურჩულა და გამიმეორა, — ძალიან ცუდად ისვრიო...

სახლისკენ გატრიალდა და ჩემსავე გაოგნებას შემატოცა მარტოდ. ალბათ ჩემი დიდი ხნის წინანდელი მოთხრობა მართლდებოდა იმწუთს. ვინმეს, რომ შეეხედა ჩემთვის, უთუოდ მეტყოდა შენ უკვე არაფერს აღარა ჰგვეხარ შვილო ჩემოო და მეც მდგომარეობა ... ამას. უყოყმანოდ ... ...

მკვლელობის სურნელი უფრო ახლდა, ვიდრე სიყვარულისა და ტრფობის.

იქნებ, წამიყვანო აქედანო, — რამდენმე დღის შემდეგ მითხრა და მერე უკვე მომავალი ზამთრის პირს, როცა გაახსენდა ეს წითქვამი, მომეჩვენა, რომ თითქოს ზრდასრულ ქალს კი არ ეთქვას ეს სიტყვები, უბრალოდ, უპატრონო პატარა ბიჭს ვედრება იყო მხოლოდ, უპატრონო, ბავშვის ვედრებას მომაგონებდა სიკვდილის წუთამდე...

5

სინამდვილეში აქედან იშვა ჩემი მოთხრობა, აქედანაც უნდა დაწყებულიყო უფრო მართალი რომ გამომსვლოდა, მაგრამ ამა ცხოვრებას ვინ მისცა ამდენი თანწყობა ან მოკვდავებს საიდან, ესოდენი ენიუსტეტით აღნუსხვისა და განსაზღვრის ნიჭი. თუმცა მე მაინც შევეცდებოდი შეძლებისდაგვარად რამდენიმე დღის წამიერ დაბრუნებას, წამიერს, რადგანაც ამის შემდეგ არც მე და არც ნატალია ჩვენსავე თავს აღარ ვეკუთვნით. ჩვენ მონატრებიდან მონატრებამდე ვცხოვრობდით ერთად, ვცხოვრობდით სულ სხვადასხვანაირად ალბათ, სხვადასხვა მიზნისთვის. მე ვცდილობდი, რომ რაიმე დამეწერა, ნატალია კი იმიტომ ბრუნდებოდა ხოლმე ჟამიდანჟამს, რომ გარდასული ან, უფრო სწორად, მორჩენილი სიმყუდროვე, სითბო და განრიდება დროებით მაინც აღედგინა ორთავესათვის.

ჩვენნაირ უნებურად ვცდილობდით, რაც შეიძლებოდა უზრუნველნი, ბედნიერნი ვყოფილიყავით, თუნდაც მოვჩვენებდით ერთურთს. ეს მხოლოდ ერთ წინადადებას მოიცავდა „აი, მე მომეწატრე და მოვედი“. ან „აი, მე მომეწატრე და მოგძებნე კიდეც“. ასეა ალბათ ცხოვრება, ყველაფერი მეორდება, მონატრებაც.

— შენ ძალიან გიყვარს სიცოცხლე, — მითხრა ერთხელ, ერთ-ერთი სტუმრობისას და როცა ვერაფერი მიიღო პასუხად, ისევ თავად დასძინა, — სწორი ხარ, სიცოცხლე ყველას უნდა უყვარდეს, სიცოცხლე არც ისე ცუდია, ალბათ, ჩვენ რომ არ ვიფუჭებდეთ ჟამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტს ვეწეოდი მდუმარედ, ვსვამდი და ვგრძნობდი, რომ ნატალია ისევ არ ამბობდა იმას, რაც უნდა ეთქვა. სულ ერთი სიტყვა უნდა აღმოხდენოდა მხოლოდ, ჰო, უნდა აღმოხდენოდა სწორედ: „დავიღალე, საშინლად დავიღალე“ და მეტი არაფერი, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ის მზად იყო მომკვდარიყო, ვიდრე ხმამაღლა ეღიარებინა ეს.

— გინდა ამ ზამთარსაც წავიდეთ სადმე? — ეჭვწარევი ხმით მკითხა.

— ძალიან, მაგრამ, იქნებ გეჩვენება, რომ სწორედ ჩემთან ერთად გინდა წამოსვლა.

— რა, ისე გეშინია საკუთარი მოგონილი სამოთხის, რომ ქალისთვისაც აღარ გემეტება იგი.

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობ-მეთქი, — ვუთხარი.

— ყველაფერი მშვენივრად გესმის, ისიც კარგად გესმის, რომ ჩემნაირი ქალები საოცრად ეჭვიანები არიან ყოველგვარი სამოთხის მიმართ, მაგრამ ისიც კარგად იცი, რომ შენც ისევე გჭირდებიან ჩემნაირი ქალები ხანდახან, როგორც მე შენი თუნდაც შეკოწიწებული სამოთხე...

გამეცინა... მთვრალია და სისულელეებს როშავს-მეთქი, გავიფიქრე, როშავს, — მაგრამ, მაინც როგორები არიან შენნაირი ქალები, ნატალია?

განსაკვირებელი იყო ის ხანა ჩემთვის, შეიძლებოდა შემექმნა სახე, სამყარო, ქვეყანაც კი. შესაძლოა ყოველივე ამაში დამერწმუნებინა კიდეც ვინმე, მაგრამ ვიცოდი, ერთი ყველაზე ჩუმი, უპრეტენზიო ჰიმნი ბედისწერისათვის, ჰიმნი მოკვდავთა ჭეშმარიტი უბედურებისა თუ ბედნიერებისადმი არასოდეს შემიქმნია. მით უმეტეს ახლა? ესოდენ შთაგონებულს? ჰიმნი ერთი, თუნდაც არაფრით გამორჩეული, არაფრით მნიშვნელოვანი სიცოცხლი-

---

ᲘᲕᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ
ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ

სათვის და მაინც შემექმნა, რადგანაც ამ წუთისოფლად ასეთი სიცოცხლის დასაბამი, განმკურეტა და აღმმა ჭირს სწორედ ყველაზე მეტად, ყოველი მხრიდან თუნდაც ივი, ენენ, ყოველგვარ გარეგან განგაშს დასწინილი, თავის თავშივე იწყება იგი, თავის თავშივე სულდალეულია და მაინც სიცოცხლე ჰქვია, შესაძლოა, ყველაზე ნამდვილი სიცოცხლე, განგებამ თავდაპირველად, რომ ჩაიფიქრა სწორედ ისეთი...

იქნება ამადაც არ წამოსცდენია ნატალიას, დავიოლეო, ყველაფრისგან დავიოლეო, ანდა როგორ ველოდი ამ აღსარებას, როგორი ცნობის წადილითა და მოუთმენლობით ველოდი.

სასაბრე სძლევდა-მეთქი, რომ მეფიქრა, ცოდვა იქნებოდა ალბათ, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მისი თვალები არასოდეს შემეკითხებოდნენ მალიმალ „კი მაგრამ თავი რატომ არ იკლავო, ერთბაშად რატომ არ დასრულებო სიწუთოროს“ და არც მე აღარ წამიყვანდა ესოდენ შორს ჩემი ფიქრები, არც მე შეეტოპავდი ესოდენ ღრმად, უბრალოდ, ჩემს ფიქრებშივე ჩამოვიცილებდი მას, მაგრამ რატომღაც მაინც ვფიქრობდი, მაინც ვმსჯელობდი საკუთარ თავთან, პასუხებს ვუბრუნებდი თითქოს.

„თავის მოკვლა არც ისე იოლი საქმე ყოფილა-მეთქი, ნატალია, როგორც მეგონა“. იქნებ კვლავ უძლურებას დაარქმევდა ამას, იქნებ ნატალიას უფრო სხვანაირი უნდოდა რომ მივახლებოდი, უფრო ძალოვანი, თამამი და გულადი, თუნდაც ყულფში თავგაყოფილს დამჰატრონებოდა მერე... მერე, როცა სიცოცხლე მართლა დასრულდებოდა, ეჭვი რომ აღარავის შეეპარებოდა იმაში, რაც ყულფში თავის გაყოფამდე დიდი ხნით ადრე მორჩენილა თურმე და მხოლოდ ინერცია, ეს დაუოკებელი ტყუილი კაცობრიობისა, უჩემოდ აგრძელებდა ჩემსაც არსებობას, როგორც ძალუმად ამოძძაგებული საქმელი, წამის წინ მისგან ჩამოვარდნილი კაცის თვალებით დანახული. და მაინც დასასრულო ამ ქაოსისთვის მე თვითონ უნდა მომეგონებინა, ათასიდან ერთი უნდა ამომერჩია ალბათ, თუნდაც [illegible] არაბუნებრივი... ასეთად [illegible] მე „ჰიმნი ბედისწერისათვის ყველასაგან მალულად თქმული“, რადგანაც იმღამად მე ვიღმერთებდი ბედისწერას, სწორედ ყოველგვარ თანშემდევრობას დასწინილი, არაერთფეროვანი, ენენაური დასასრულებისათვის. იქნება დაუჭერებლისაც კი...

6

„ჩემი ნატალია“.

იმ დილით, როცა ჩემ გვერდით ბალიშში პირისახით წამბობილ ქალს, ბილბურაში აღმობდა, როგორმე აქედან უნდა გავიქცეო, ვიგრძენი, რომ ყველაფერი ყველას მაგიერ გადაეწყვეტა დროს, ვიგრძენი, რომ ყოველგვარი ცდა ამაო იქნებოდა უკვე. „მაგრამ როგორ?“ — ვფიქრობდი ჩემთვის, — ის ხომ ჯერ მზად არ არის ამისთვის, აშკარად რაღაც უნდა აკლდეს კიდევ, რადგანაც მაშინ ამაზე არაფერი წამოსცდებოდა ხმამაღლა, დასაბამიდან საცდანმე გადახტომა მუდამ ჩემად ხდებოდა ხოლმე. მით უმეტეს, მე ვეფიქრაფრთი გადავარჩენდი ალბათ. ჯერ კიდევ ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ თავად მოვუგონე ძალზე საეჭვო ტყუილი, რომ თურმე რაღაც ეპიდემია გაჩენილა, მგონი, „ტიფი“ და საყოველთაო კარანტინი გამოუცხადებიათ, ასე რომ ზამთრის ბოლომდე ვერაფრით დაგტოვებდით სოფელს, ჯერ კი შემოდგომა იწურებოდა მხოლოდ. შენმოდგომა თავად ჰგავს ბედისწერას, მასავით მაცდუნებელია იგი, ეუცარი. იწყებიან დღეები, გბეზოდებიან, შენდა შეუცნობლად ეუფლებიან შენს სულიერ ბორგვას, შენდა შეუმჩნევლად დაგაზამთრებენ. მერე არ იცი, რა მოხდება გაზაფხულამდე, იმდენად უდაბურდება ამ გაწელილი დღეების ფონზე, ნაადრევად ჩამოზამთრებული, ჩამოძენძილი გარემო. თავდაპირველად მეგონა, რომ ნატალია ამ წუთისოფლად უსასრულო წოწიალის შემდეგ როგორმე

მიეჩვეოდა ერთ ადგილს, უფრო სხვანაირად დაინახავდა თავის ცხოვრებას, გარდასულ დღეებს. ყოველი გათენებისას იგრძნობდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია, რომ დაღამებამდე ბევრი რაღაც შეუძლია იფიქროს, მოასწროს, იოცნებოს თუნდაც, და ამაში არავინ შეუშლის ხელს, შეუძლია უფრო კარგად დააკვირდეს ხალხს, რომელთაც გაზაფხულამდე მასავით არსად ძალუძთ გაქცევა. მაგრამ როგორღაც ისე მშვენივრად ეგუებიან ამას, თითქოს რაიმეს შეცვლისთვის გარჯა ყველაზე დიდ უაზრობად ესახებოდეთ. არ ვიცი, რაში დამჭირდა ეს, სინამდვილეში რა გრძნობამ გადამძალა, მაგრამ იქნება მე თვითონ მთელი ჩემი არსებობის მანძილზე განვიცდიდი ამ იძულებას, ოღონდაც მე ვიცოდი, რომ უძლური ვიყავი შემომერღვია ეს მოჯადოებული წრე ჩემსა და ამ კარჩაკეტილ გარემოს შორის, წამით მაინც მეგრძნო თავისუფლება, შესაძლებლობა თავის დაღწევისა, ისე რომ არც გარშემო ხალხის უძრაობა ჩამეთვალა უშფოთველობად. ესეც ხომ ძალზე მარტივი სიცრუეების მეშვეობით ხდებოდა, რაც თავი მახსოვდა მას შემდეგ სიშლეგეში გადაზრდილი ნაირნაირი ტყუილების მეშვეობით... ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა ალბათ, უბრალოდ ბავშვობიდან ცცდილიყავი ასე ერთ ადგილს მიჯაჭვულს სიკვდილის მოლოდინის პანიკური განცდა კი არ დამუფლებოდა, არამედ ჟინი გადარჩენისა — მაგრამ მე ხომ საკმაოდ ჭკვიანი ვიყავი, იმის მიხვედრა არ გამიჟირდებოდა გასაქცევი და ხსნა რომ არ იყო არსად. ნატალიას კი ჯერ კიდევ ბავშვურად გულუბრყვილოდ სჯეროდა ამის. იქნებ საკმაოდ ამაყიც იყო ამ იძულებისთვის, შეგუებისთვის, დაბოროკილი არსებობისთვის... ამიტომაც ვიფიქრე, რომ ესოდენ დახშული ზამთრის შემდეგ, როცა გინდა არ გინდა, შიშსა და ფიქრებში უნდა იცხოვრო მხოლოდ, უეცრად, გაზაფხულზე მოვლენილი თუნდაც ყოველი მხრიდან გაზახსნილი, თუნდაც გამოგონილი მიკროთავისუფლება იქნება მისთვის მაინც გვანებოდა ნამდვილს, იქნებ, ეფექტი ხნით მაინც ეგრძნო შვება... [illegible] რებაც სადმე შორს კი არა, ადგილების გადასაცვლებაში კი არა, არამედ ჰქვე სულ ახლოს, თავის თავშივე მოეძია. როდესაც ვუთხარი, ეპიდემია გაჩენილა-მეთქი, მიეხვდი, მას ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, ისევე როგორც იმ ფანატიკოსს, მთელი ცხოვრება მეორედ მოსვლას რომ ელოდება, ელოდება, როგორც გარდუვალს და ყოველ დილით მისი მოვლენის რწმენით იღვიძებს.

ჯერ კი ატალახებულ გზებზე დამდორებულიყო ცხოვრება. გაუკაცრიელებულიყო და ჰგავდა სოფელი ცარიელ, ყველასგან მიტოვებულ ბუნაგს, ბუნაგს, სადაც ყველაფერი ყარდა, ყველაფერი შმორდებოდა, სადაც ქამიჟამ ჩამოაღწევდა წვიმა და მკვდრის სასოიმიხდილი მზის სხივი, ჩამოაღწევდა და ჩამორეცხდა, ჩამოიყოლებდა ჭუჭყს. ყოლის სუნს სტოვებდა მაინც, როგორც სიბინძურისა კი არა ყოფილა თურმე, არამედ დიდი ხნიდან მოდენილი ხრწნისა, სწორედ მიხრწნილი ბგამის განბანვასა ჰგავდა, კვდომის მძიმე, მძაღე სუნს, რომ ვერ აცილებენ გარდასულ სხეულს.

დაბალი მიწური სახლები კიდევ უფრო დადაბლებულიყვნენ, ნახევრად მიწისკენ დაწეულიყვნენ და სალამოობით დაბალ ფანჯრებში მკრთალად მოკიაფე შუქი კიდევ უფრო უბადრუკ, საბრალო სანახავსა ხდიდა მათ, თითქოს ზამთრის მოახლოებასთან ერთად სადღაც გაქრა ხალხი, სადღაც გაიკრიბა, გადაიმალა. დილაობით თუ გადაირბენდა ფაციფუცით ვინაც და ისიც მეორე დილამდე იყუჩებოდა თავის კოხში, ყველაფერი მართლაც სნეულებით დათრგუნვილ სამყაროს მაგონებდა...

ხალხი აღარა ჩანსო, — ჩუმად მითხრა ქალმა, — ხალხი მოგენატრებაო კაცს...

ზიცა ალეკსიძე
მდუმარების მეჯლისი

— ალბათ, ეშინიათ-მეთქი, — ვუპასუხე.

— ნუთუ ასე ძნელია სიკვდილი, — ჩაიღაღარაკა იმან. არაფერი ვუპასუხე, ან რა უნდა მეთქვა, როცა საწუთროს თავად ჩვენია უსიკვდილოდაც თანდათანობით ისე დათრგუნვა ადამიანთა, დაშინება, რომ ფიტულებს ამსგავსებს ხოლმე მათ, ფიტულებს, რომლებიც მოჰრაობენ, საქმიანობენ, მაგრამ ალარა ცხოვრობენ, ამიტომაც საოცრად ბუნებრივად მეჩვენებოდა, რომ დროთა განშავლობაში ნატალიას წარმოსახვაში ამ ყოველივეს მართლაც ეპიდემია სახე მიეღო. წარმოსადგენად, რა თქმა უნდა, საძნელოა, მაგრამ შიგადაშიგ მართობდა კიდეც თითქოს... სიკვდილი ამოგმანულ კარშიც დაუკითხავად, დაურიდებლად, იოლად აღწევს ხოლმე, მაგრამ სოფელს თითქოს აღარ ესმის ეს, იქნებ ისიც ჰგონიათ, რომ თუ დარაბებს ჩაკეტავენ, ლოგინებში შეძვრებიან, შეიფუთნებიან, დამენჯღდებიან, ამით რაღაც წინაღმდეგობას უწევენ მას, არ ეპუებიან, უჩინარდებიან მისგან, უძალიანდებიან... სასაცილოა ადამიანი, სასაცილო ვიყავი მეც, რადგანაც თანდათან ჩემივე მოგონილი ტყუილისა მჯეროდა თითქოს და აღარც მიკვირდა რატომ არა სჯერათ, რატომ ზარავთ მოკვდავთ ეს სამყარო, სამყარო, რომელსაც ხედავენ... ან რატომ არ შეუნიშნავთ, საიდან მოდის ჩვეულებრივი ყოველდღიურობიდან ეს აუწერელი შიში, „შიშიანთა სამყაროო“, — სასაცილოა, არა?

„ფიტულთა სამყაროო“. — რა უნდა იყოს ამაზე თავშესაქცევი, არა? და მით უმეტეს, რა აროს ამ ვეებერთელა ოხშივარადენილ ხუფში ერთი კაცი და ერთი ქალი? ახლა, ამჟამად სიკვდილის ბუტუსით, გახლეჩილი ერთი სხეული მე და ნატალია ვიყავით... ჰო, მე მჯეროდა ჩემი სიკრუესა, კი არ მჯეროდა — მწამდა, რადგანაც მეც ადამიანი ვიყავი. მეც ფიტული ვიყავი, ამ სამყაროს მტვერი... მეც მეშინოდა ალბათ და მეც ისევე მჭირდებოდა ტყუილი, როგორც ყველა მოკვდავს. ადამიანებს ოღითგანვე სჭირდებათ ტყუილი, მაგ. არ ძალუძთ სხვანაირად ... თუ ვინმე სუდარასავით არ გადააფარებდათ ამ საფარველს, ისინი თავად შეძვრებოდნენ, მოირგებდნენ მას, თუკი შიში მანამდე არ მოუღებდათ ბოლოს. ვგონებ ისევ სჯობია რაღაც კონკრეტულის, ხელშესახების გეშინოდეს, ვიდრე არ იცოდე, რა არის საშიში, რატომ გაშინებენ ან რა მოგელის... დაე გეშინოდეს ისევ სიკვდილის, ოღონდაც თავისით მოსულის, მოახლოებულის და არა ყურით მოთრეულის და დაჩოქილის... ამშიც სასაცილოები ვჩანვართ ალბათ ვის უნახიაო, ვკითხულობთ, სიკვდილი ჩემმის ქვეშ დაჩოქილი ან შენს ეზო-კარებზე ჩემმით მოგდებული, ღმერთმა უწყოს! — მე ცოტა უფრო გვიან ვიტყვი, გავიგებ, რა არის სიკვდილი, იქნებ მშვენივრად მოვეგოთ ერთმანეთს. ჯერ კი ნატალია დუმდა, ამ დუმილითვე ულიმოდნენ თვალები, თითქოს გრძელდებოდა განუფრჩეველი დაცინვა, აგრერიგად შესისხლხორცებული „შენ ძალიან ამაყი ხარ სიკვდილისთვის, ნატალია“, — ვფიქრობდი ჩემთვის, — მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის-მეთქი გაზაფხულამდე...

— გარეთ ბევრ სიარულს ერიდე-მეთქი, — ვუთხარი.

— რას დავემალო, — მიპასუხა უჩუმარი ღიმილით. „ხედავ, შენ უკვე ისე ხმამაღლა, ბავშვურად ველარ კისკისებ-მეთქი, ნატალია“.

ჩემდა უნებურად მეორდება დიდი ხნის წინ, შორეთიდან წამოსული ფიქრი: „შესაძლოა ცოტა ხანში ის ბავშვური ირიგე დაკარგო, თვალსა და ხელს შუა გაგიქრეს-მეთქი, გაზაფხული ხომ ასე შორს არის-მეთქი, ნატალია და შენ ესოდენ გძღულს-მეთქი უთოვლო ზამთარი“.

ნატალია კი უჩუმარ, მდუმარებას ბირთვულ ღიმილში ცხოვრობდა მაინც. ყოველ გარიჟრაჟზე თბილად იმოსებოდა და გარეთ, ატალახებულ სოფელში გადიოდა. თუმცა ბოლო დროს უკვე

ვიცოდი, რომ ეს წინანდელი უბრალო სეირნობა აღარ იყო, ისიც ვიცოდი, რატომ აღარ მოეჩქაროდა სახლისკენ მზის ამოსვლამდე... მაგრამ ამაზეც მერმე.

ადრე ერთხელ წამოსცდა, ისე მგონია, ყოველი მზის ამოსვლისას, რომელიღაც ბავშვი კვდება იმ სახლშიო და იქვე, შუა სოფელში მაღალ რკინის მესერიან ხეიბარ ბავშვთა სახლზე მიმითითა... ეს იყო ძველი, მაღალ ხეებში ჩაძალული სამსართულიანი, ასე თუ ისე, შეკოწწეპული სახლი. ერთადერთი ნენობა მთელ ამ მიწურ სოფელში, რომელიც ძალზედ არ უხდებოდა, მთლიანად არღვევდა ამ გარემოს, რაღაცნაირი სადღესასწაულო იერი ჰქონდა ამ სახლს თითქოს. ბავშვები იშვიათად გამოდიოდნენ მესერს გადაღმა, ღილიდან დაღამებამდე შესაცქეროდნენ გამვლელ-გამომვლელსა და გზას. ეს იყო მათთვის ერთადერთი ღირსშესანიშნავი, წარმტაცი, მოძხიბვლელი ხედი, სანაბიობაც და გართობაც.

— ალბათ ისინი ვერ გრძნობენ ვერაფრიფარ სენს, — ჩაილაპარაკა ქალმა. — ალბათ არ იციან და არც არავინ არაფერს ეუბნება ამაზე.

— გეჩვენება-მეთქი, — ვუთხარი, — ვინმე რომ კვდებოდეს იქ. მაშინ ყველა გაიგებდა ამას, ეს ბავშვები საკმაოდ ყურადღებიანნი არიან იმისათვის, რომ რაღაც გამოეპაროთ, ხომ ხედავ, როგორ აკვირდებიან ყველაფერს. ეზოს გადაღმაც კი...

— შენ გგონია, ასე ჩუმად არა კვდებიან? — შემეკითხა ის. — შენ გგონია, მაგალ ვინმე ეტყვის სიმართლეს? ალბათ ეუბნებიან, რომ სადღაც წაიყვანეს, სხვაგან მოუნახეს ადგილსამყოფელი ან ბოლოს და ბოლოს, პატრონი გამოუჩნდათ ვითომ. დააკვირდი მაგალ თვალებს. ისინი სიკვდილსას უთუოდ არა ჰყვირიან ხოლმე, არ შეუძლიათ ყვირილი და რომ შეეძლოთ, ასე მგონია, არც იყვირებენ...

— გეჩვენება-მეთქი, — გავუმეორე ისევ.

— შესაძლოა, — მხრები აიჩეჩა ქალმა, — მაგრამ გუშინ ეზოში შევედი მათთან, გულუბრყვილოდ ... [illegible] ნენ, თითქოს უნდოდათ გაოცებულ ... ვეოდნენ, მაგრამ რატომღაც ეშინოდათ ჩემი, მათ ხომ არ იცოდნენ, ვინ ვიყავი და რომ არაფერს არ დავუშავებდი. მერე ვიღაც ქალები მომეცვივდნენ და გარეთ გამომაგდეს, რა ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ მათი სახეები არ დამემახსოვრებინა უფრო კარგად.

გეჩვენება-მეთქი, — კიდევ მინდოდა მეთქვა, მაგრამ დავდუმდი, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში შეფარვით ვუთვალთვალებდი, შეფარვით უკან დავდევდი ნატალიას, ყოველ მის ნაბიჯს ვხედავდი და ვიცოდი, რომ ის ხშირად საათობით იდგა ხოლმე ამ რკინის მესერის პირდაპირ, თითქოს მართლაც ბავშვების სახეების დამახსოვრებას და შესწავლას ლამობდა, თითოეულის მოქმედებასა და გამოჩენას აკვირდებოდა. ალბათ თავისთვის ფიქრობდა, რომელი დააკლდებოდა მათგან მომდევნო დღეს. იქნებ, რაღაც-რაღაცების გადაცემაც ეწადა, მაგრამ ვერ ბედავდა ამის გაკეთებას, ეკრძალვოდა.

— შესაძლოა, მეჩვენებოდეს, შესაძლოა სადღაც წამეკითხოს ან დამზმანებოდეს, მაგრამ იცი, საიდან დაიწყო ეს? ერთ ღილას ისეთი განცდით გამეღვიძა, რომ მზის ამოსვლისას ვიღაც კვდება მანდ, ამიტომაც ამაზე ვფიქრობდი, რაღაც არ მასვენებდა. შენთვის რომ მეთქვა, გეჩვენებაო, მეტყოდი. მე კი არაფერი არ მეჩვენება, მე გვრძნობდი თითოეული მათგანის არსებობას, ვგრძნობდი ყოველ ღილით როგორ მაკლდებოდა რომელიღაც. „იქნებ საკუთარი შვილი გინდა რომ გყავდეს, ნატალია? — ვფიქრობდი მე, — იქნებ, ახლა ფიქრობ, რომ რატომღაც ყოველთვის გეშინოდა საკუთარი შვილის ყოლისა, სწორედ ამიტომ გეშინოდა სიმარტოვისა და ეს შიში იმდენ ხანს გაგრძელდა, სანამ ამისგანაც არ მოიქანცე და დაიღალე. თუმცა უთუოდ

მიკა ალექსიძე
ჯდუმარეგის მეჯლისი

ახლაც არ აღიარებ ამას ხმამაღლა და, სამწუხაროდ, ვერც მე გკითხავ ვერაფერს, არც გკითხავ, რადგანაც მე არ უნდა ვიცოდე შენი საიდუმლო, შენ ასე ისურვე და იმიტომ. ან მე ჩამთვალე უძღურების ზვარაკად, ღმერთმა უწყის, ჩემო კეთილო, ღმერთმა! მე ისიც მოოცებს დღეს, როგორ აღმოგხდა მაშინ, მიმწუხრისას, მე მინდა მიყვარდესო, მე ძალიან მინდა, რომ მიყვარდესო, განუზომლად მინდაო და ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ოდესმე სიყვარული და შიში ასე დაუახლოვდებოდა ურთიერთს, ასე ერთ მთლიანობად იქცეოდა. ერთმანეთის მიმყოლ განცდად წარმოისახებოდა და ისე ამალაპარაკებდა მათზე, თითქოს ერთადერთის, რისაც ეშინოდეს ადამიანს, სწორედ უდიდესი სიყვარულია, ეგების სიკვდილზეც გაცილებით საშიში". ახლა იქნებ ნატალიას თვალებით დალანდული სამყარო უფრო ჰგავდა ჭეშმარიტებას, მაგრამ თვალები... თვალები, რომლებიც ნელ-ნელა ირეკლავდნენ შიშსა და მორჩილებას დამსგავსებულ, უჩუმარ აღიარებას სიკვდილისას და ეს ყოველივე ერთი უბრალო ქალის თვალთა ფსკერზე უნდა დალეწილიყო, დატეულიყო, სამუდამოდ შენივთებოდა მდუმარებას, რომელიც სქელი, ხელშეუვლები, გაუღწეველი ბურუსივით გარს ერტყმოდა ნატალიას და ერთდროულად აახლოვებდა და მიჯნავდა კიდეც არსებულისგან. იქნება აღარც არსებობდა ნატალია? ის ნატალია, რომელიც თითქოს მუდამ იმიტომ მიდიოდა დამიანებთან, რომ თავის აუწერელ სიმარტოვეში კიდეე ერთხელ, საბოლოოდ დარწმუნებულიყო და, ღმერთმა უწყის, ამ უბრალო ქალს, რომელსაც, რა სახელსაც უნდოდათ, იმას დაარქმევდნენ, რასაც უნდოდათ, იმას დააბრალებდნენ, ყველაზე მცირე შეცოდებისთვისაც კი კოცონზე დაწვავდნენ, სად ელოდა გასაცარი პარანსი არარსებობისა... ჯერ კი ნატალია გამჭვირვალე ღრმა მდინარის შენაკადთან ბრმად მდგარ შეშლილ მაგონებდა, რომელიც დღენიადაგ ... იმიზრება წყალში, აკვირდება, ...

ფალებით, გაურკვევლობით, უმანკოებითა და უმწეობით.

ბიჭი ეკლესიიდან გამოდიოდა და იმ დღეს, მექორწილეებს მოუძღოდა წინ პატარა აკორდეონით ხელში. მართლაც მშვენიერი იყო, ხშირი, ქერა თმა, ცისფერი თვალები, ოდნავ ტანმორჩილი და უსაზომად ამაყი. მოდიოდა თავაწეული. თამამად მოამღერებდა აკორდეონს და ისეთი მყარი ნაბიჯი ჰქონდა, თითქოს არაფერიც არ არსებობდა მასა და აკორდეონის ხმიერების გარდა. მართლაც, შესაძლოა იშვიათად ენახა ადამიანს ესოდენ ლამაზი თავი, შეუფერებლად თეთრი, ნერვული ძლიერი ხელები ამ ტანმორჩილ სხეულზე...

— ქორწილი? — თავიდან ჩუმად გაიოცა ნატალიამ.

— ჰო, ხალხს სიკვდილის სიახლოვეს აც სჩვევია-მეთქი ზეიმი, — ღიმილით, ძლივ გასაგონად ჩავილაპარაკე და უმალ ვიგრძენი, როგორ მთელი არსენი დაიბეგმა ნატალია, შემზარავი, ხანგრძლივი მზერით ამომხედა, თითქოს მეუბნებოდა, რომ ამას შეხსენება არა სჭირდებაო, მე ერთი წუთითაც არ მავიწყდება, სადა ვარო...

იქნებ იმასაც მიხვდა, რომ მე შეგნებულად მივიყვანე იქ ღილაუთენია. მერე ფრთხილად ამარიდა მზერა, თვალები დახარა, ტუჩები აუთრთოლდა, ოდნავ, ძლივ შესამჩნევად...

— პატარა მშვენიერი ქრისტე, — წაიჩურჩულა თავისთვის და მაშინ პირველად შევნიშნე, უკვე ეკლესიიდან გამომავალი ბიჭი, გაწელილი აკორდეონით ხელში მიარღვევდა გარსშემოხვეული, აფიგულ-ახიოილებული ბავშვების ბუნდს.

მე ადრეც მენახა ის ბიჭი, თხუთმეტიოდე წლისა იქნებოდა, ალბათ შესაძლოა მცირედით მეტი ან ნაკლები. მაგრამ ახლა მთავარი არ იყო მისი ასაკი, მთავარი ის განწირულების ანდამატი იყო, ნატალიას მოწკურული თვალებში რომ გაკოთა. ალბათ ქორწილსაც, აკორდეონის ხმასაც, ეკლესიის ზარების რეკვასაც და ლოცვასაც ოგივე ელფერი სდევდა ნატალიასთვის... ჩამუქებული, ჩამოჭანცული თვალები ბოდნენ ნელნელ, მტანჯველი ხვაშიადი, მთელი თავისი ნაზამთრალი ქინთი, ფრთხილად იწყვდება გამოცოცხლებას. ყველაფერს მოსწრება სჭირდებაა-მეთქი, გავიფიქრე, ამ წუთისოფლად ყველაფერი მოსასწრებად ყოფილა-მეთქი შექმნილი... წინათ ბიჭი ხეიბართა თავშესაფრის წინ მჯდომი, გისოსებზე ზურგით მიყრდნობილი, თავჩაქინდრული და ფიქრიანი მინახავს ხოლმე და ასე შეგონა, ისიც მათი ბინადარი იყო, ოღონდაც იმას მაინც ჰყოფნდა სითამამე და გამბედაობა ცოტა ხნით მაინც გადმოსულიყო ეზოს გადაღმა. არადა, გვერდით ცხოვრობდა თურმე, პატარა ფიცრულ სახლში, აკორდეონზე დაკვრით შოულობდა ლუკმა-პურს... მანამდე დიდხანს ვფიქრობდი, შეშლილიამეთქი, სანამ არ შეგიტყვე, რომ თურმე ისიც ჩვეულებრივი, გულუბრყვილო ბავშვი იყო, რომელიც ყოველ საღამოს, მოცალეობის ჟამს, ნებაყოფლობით შედიოდა ეზოში და დაძინებამდე ართობდა პატარებს. იჯდა ბავშვების გარეშოცავაში გამომწყვდეული, უკრავდა. უკრავდა, რაღაცას ძალზე მხიარულს, თუმც მის სახეს არა სცილდებოდა სევდა, თითქოს თითები თავისით მოძრაობდნენ... მერე კი ეკლესიიდან გამოსული, თავზე ყვითელი ფოთლებისგან შეკრული გვირგვინით, სულ მთლად პატარას ჰგავდა, მაგრამ ეს უასაკობა ვერაფერს აკლებდა მომზიბვლელობას მისას... ის თავად ჰგავდა დღესასწაულს, თავად ჰგავდა საოცრებას, რომელიც ატალახებულ გზებზე მართავდა მეჯლისს. მეჯლისს უამრავი ხალხის მდუმარებისთვის და განა ნატალიის თვალებით დალანდულ ხორხოცში, რომელსაც სნეულებისა და აორსებობის სურნელი ხუთავდა, უკანასკნელი აღლუმი არ ერქვა ამ ანაზდად შესწრებულ ქორწინებას?

— ნუთუ ცოტა ხანში ეს მშვენიერი

მიკა ალექსიძე
მდუმარების მეჯლისი

ქრისტეც ძრწოლით დაელოდება მზის ამოსვლას, — ჩაილაპარაკა ჩუმად, და მე ვიგრძენი, როგორ მოუნდა უცებ მიახლოებოდა ბიშს, მუხლებზე დამხობილიყო მის წინაშე, ხელები დაეკოცნა მისთვის, „თბილი, ალერსიანი ხელები“. იმწუთში ნატალია აღსარებას, ცოდვასა და განწმენდას შორის აუღაგმავად ანადგურებდა საკუთარ წარსულს და მერე როგორც ერთმა პოეტმა თქვა, „გათენებიდან დაღამებამდე მთელი საუკუნით დაიკარგებოდა ალბათ“.

7

ხელოვნური მზე... თუნდაც ხელოვნური მზე და დიდი ყოველისმომცველი ყოველისშემმფსერელი წარმოდგენა, საიდანაც ღმერთებიც კი ჩუმად გადიან და ამ დუმილში ალბათ ის ქალბატონი ქეშმარიტება, რომელიც რაღაც მანქანებით ყოველთვის ახერხებს ხელიდან გასხლტომას, ქირქილებს, რას იზამ, ამ დუმილშია მისი უზაკველობა, კდება და ამასთანავე **თუნდაც** გარყვნილება.

ხელოვნური მზე, — ვფიქრობ ჩემთვის, — მოკვდავთა **ხელით** შეთითხნილი ეს მღვრე **ჰავლი, რომელიც** შიშილსა ჰგავს დაზამ**თრებისას**... ჩვეულებრივ ადამიანურ **შიმშილს ან** აგლურს ან კიდევ რასაც **გინდათ, იმას,** ოღონდაც ნამდვილ მზეს **არა, ნამდ**ვილს არაფერს არა ჰგავს იგი. **და** ისიც — ნატალიაც ენუტივით მოიკუნტა მის სასომიხდილ, მიწაზე ოქიერეს რკალად დანთხეულ ... ... და მშიაო, იღაღდა, როგორც მაშრალმა, მშიაო, მაგრამ მზის სხივი ჰგავდა ქალის ძველისძველ ხელთათმანს, ოდესღაც სალუმსა და მშვენიერს, ახლა კი საოცრად გაცრეცილს, დროისგან დაცხვეულს, მტვერში ამოსვრილსა და სადღაც ჩვენი მონაცვლეობის, ჩვენი უაკქცევის ფაეტონის ბორბალზე ათრეულს. მე უხმოდ დავიხარე, ხელი გავიშვირე მისკენ, ვიგრძენი, როგორ დამეტია ხელისგულზე, როგორ მიყურებდა ქალიც, როგორი ძველი იყო ყველაფერი გარშემო და მან მაინც ისე ხარბად გამომტაცა ხელიდან, როგორც ძვირფასი ნადავლი, ჰო, ძვირფასი ნადავლი სწორედ, საუკუნეებად ... ...

და ჩაწყვდიდებულ კუთხეში ქალი, როგორ ეკვროდა სუნთქვა, როგორ ცდილობდა ჩემთვის დამბალა ერთიც და მეორეც...

გაცივდები-მეთქი, — წამომცდა ანაზღადად და იმავ წუთს თავადვე შევცბი. ეს იყო ალბათ უსაზზომო დაცინვა ბედისა, რადგანაც ამწუთიდან ყველაფერი აღსრულებული იყო უკვე.

მე წავალო, — ჩაილაპარაკა მან.

— იქნებ, იმას არ უყვარხარ, ნატალია?

ქალი წამით შეტოკდა, სიბნელეში გაეკრჩიე როგორ შემობრუნდა ჩემკენ...

— შენ ოღესმე გინახია იმისი თვალები? — წაჩურჩულა, — შენ ოდესმე გინახია შენ წინ დაჩოქილი ქალი? — არაფერი გუპასუხე, რადგან იმწუთას საბნელეში სიმძაფრით ვიგრძენი — რა ხდის სანდახან ესოდენ მომხიბვლელს ქალსა და სიკვდილს, რა აახლოებს ამას ასე ხშირად ერთიერთს, რატომ დგას ბაბაკაცისთვის ასე ახლოს ეს ორი, თითქოსდა ფაციფერესი განცდა. ვიგრძენი, რომ მართლაც რაღაც მარადიულთან ერთად არასრულია მათში, ამადაც გვბიძგებენ და ჟამიდან ჟამს გვანატრებს თავს ორთავე, იქნებ სხვადასხვანირად, მაგრამ მაინც რაღაცით სიოცნად მსგავსად, ამიტომაც გავუღიმე ქარში გასულს, გავუღიმე არა ქალს, არამედ წყვდიადს, რადგანაც ის ვეღარ დაინახავდა ამ ღიმილს, ამიტომაც ამოვაყოლე ეს ღიმილი საკუთარ ფიქრებს, რომ კაცი შობის დღიდან მუდამ მზად უნდა იყოს სიყვარულისა და სიმარტოვისთვის, რადგანაც ორივე მისი წილხვედრი ყოფილა-მეთქი ამ წუთისოფლად, როგორც სიკვდილი და ქალი, ეს ორი უცნაურად შიშველი, უფრო სწორად, განძარცული მხილება ჩვენი მოდგმისა.

8

სამი დღე, მხოლოდ სამი დღე აშორებდა ნატალიას იმ წუთამდე, რომელიც იმაში დაარწმუნებდა საბოლოოდ, რაზედაც მთელი სიცოცხლე მალულად ოცნებობდა... იქნებ სიყვარულიც და ერქმია მერე ამისთვის, მაგრამ...

შენ ძალიან ცუდად მიცნობ, — თვალებით მითხრა ნატალიამ ჟამ დღეს, როცა ბიუსკენ გაემართა პირველად, შენ მე ძალიან ცუდად მიცნობო. ნაწვიმარი იყო. გზაზე არაგინ ჩანდა ჩვენს მეტი. იწვიმებდა ისევ. ის ნელა მიდიოდა, ფრთხილად, თითქოს ფეხაკრეფით, თითქოს ეპარებოდა რაღაცას. ბიუი კი იდგა ხეიბართა სახლის ალაყაფთან, თავის ჩვეულ ალაგას და მონუსხული შესცქეროდა მისკენ დაძრულ ქალს, ელოდა. იქნებ, არც იცოდა, რა უნდოდათ მისგან, იქნებ, რომ არ შერცხვენოდა, გაქცეულიყო კიდეც. თვალები კი მართლაც სოკრად ჩუმად ელოდნენ ნატალიას, დიდი, ფართოდ გახელილი ზღვისფერი თვალები. ამ თვალებიდან იწყებოდა ბუნება კაცის, რომლის ცხოვრებასაც სხვა გაგრძელებდა უკვე, სხვა, რომელსაც ჯერ თავადაც არ იცნობდა ბიუი და, ღმერთმა უწყის, მოასწრებდა კი შეცნობას მისას. მასაც, შესაძლოა, ჩემსავით ვერასოდეს გაეგო, რას ითხოვდნენ მისგან. მაგრამ სწორედ ის სხვა ეკავებოდა ბიუს, ფეხს უბოძებავდა, რაღაცას აძალებდა თითქოს. ის სხვა უკვე უფრო საშიში იყო, სწორედ იმ სხვას ერქვა უფრო აღერსიანი და დაუნდობელი, იმ სხვას ჰქონდა სწორედ თბილი და ძლიერი ხელები. იმან კარგად იცოდა, რაც სურდა, ამიტომაც იყო უფრო თამამი, ამიტომაც დაუოკებლად მიისწრაფოდა ქალისკენ. სიყვარულისა და უმანკოების ბოეზი თავისდაუნებურად შეინივთებოდა იმწუთას. სიკვდილის ბოეზნს და ალბათ არ არსებობს ამ ქვეყანაზე ამაზე დიდი წამება ნეტარებით, ამაზე დიდი აღუსებელი უფსკრული ადამიანის სულში ჩახერგილი და მაინც ამ ატალახებულ ნაწვიმარ გზაზე ნატალია დაფეტქნებლად მიეფინებოდა ორთავეს. ნატალია, რომელიც სავსე იყო სიყვარულითა და არარსებობით, ამი-

---

ᲒᲘᲪᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ
ᲓᲐᲯᲣᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ

ტომაც მიიწევდა თავისი მსხვერპლისკენ ასე ძალუმად, ესოდენ გასულელებული და ამაგე დროს მორჩილი, მორჩილი პატარა ბიჭის ზღვისფერი თვალების წიაღში. ისინი ერთი სიმაღლისანნი ჩანდნენ, ეიგრძენი, როგორი თვინიერებით აიღო ნატალიამ ბიჭის გათოშნილი ხელი, როგორ დაიხარა, თავისკენ მიიზიდა. მართლაც საოცრად ჰგავდა მაცხოვართან მიახლებას მისი თვინიერება და მორჩილება. ჩუმად ემთხვია ბიჭის ხელს. იმწამს დავინახე, რარიგად გაგლიჯა ბიჭის შემოგარსული სხეული იმ სხვამ, რარიგად ამაყად ასწია თავი მაღლა, რარიგად სათნოდ, შემწყნარებლურად გადმოხედა ნატალიას მოცასცახე, დაბლა ჩამოცვენილ გამხდარ მხრისთავებს. სასაცილოა, ერთმანეთში აღზევებული სასოებისა და კვდომის პოეზია კი დაუოკებელი სიშმაგით მიატბორებდა ნაწვიმარ გზას, მიატბორებდა და სიცივესა და პატარა ნაფეხურებს სტოვებდა ირგვლივ. თავისდა უნებურად გამოქსოვილი პოეზია, ალბათ ერთადერთი ჭეშმარიტი პოეზია ამ წუთისოფლად, რომელიც მერე განსაცვიფრებელ, ოდნავ ტულუბრყვილო, თითქოს მიამიტ ჩურჩულად იქცა ჩემში. ნატალია ჩემგან შორს, გზის განაპირას იდგა. მესმოდა მისი ათოროლებული, გახედნილი მხრებისა და მისი „პატარა ქრისტეს“ სიამაყის და იქნებ ჩუმადაც ვიმეორებდი ჩემთვის...

„თუ შენი ხელები ასე ცივი მეჩვენენ იმ ღამით, კიდევ ცოტა ხნით მაცხოვრე მაგ სიცივეში, თუ შენ სხეულზე მიჭირდა სუნთქვა, წამართვი ის, მე არაფერი აღარა მსურს, რაც შენ გაწვალებს, მე მხოლოდ შენს სიცივეში, შენს ხელებთან ვინეტარო მინდა. შენდობა მინდა და მიბოძე წუთი შენი სიცივის და წამართვი წარსული“.

და ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ერთ საღამოს ბიჭის ძებნით მოქანცული ნატალია თავშესაფარს მიღმა, ხეებს ამოფარებული შესაქერფოდ წრედ შეკრული ბავშვების უღიმღამოდ, რაღაცნაირად მონაცრისფროდ გაწელილ რიგებს... ელოდა იმ წუთს, როცა საბოლოოდ დაიტურებდა „პატარა ქრისტეს“ „რიგებიდან“ უნდა [illegible] მსხვერპლს, ნატალია? — [illegible] ჩემთვის, — როდემდე უნდა ითვალთვალო ეს საკუთარ თავთან?“.

ბიჭი კი მაინც ყოველდღე ასრულებდა თავის საქმეს, ყოველდღე გამოდიოდა აკორდეონით ხელში და რაც უფრო დიდი ხნით იკარგებოდა ხოლმე, მით უფრო გაუძლისი ხდებოდა სოფლის შუკებში მონატრებას ატორტალებული ქალის ხეტიალი. იმ საღამოს ნატალიას ეკრენ ესმინდა ალბათ. ის კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა, ლარები მეტად [illegible], არადამაბეზრებლად დაძაბებოდა სახე. ერთთავად ცახცახს იტანა, ისე მოხრილიყო, თითქოს ძლივსღა იმაგრებდა თავს, იდგა ხეებს შორის და მე ვამჩნევდი, როგორ ეესებოდა დაბლა მიწისკენ დაბრილი თვალები ცრემლით. შორიდანაც ცხადად ვხედავდი ამას და მის შემხედვარეს ალბათ, აღარასოლის შემბაბრებოდა ეჯი, რომ ქალის ცნობიერება უკვე გადასცდა ამ მოჯადოებულ წრეს, გადასცდა ზღვარს, ან იქნებ უფრო სწორი იქნებოდა რომ მეთქვა, ახლა ნატალია მთელი თავისი ყოფით უარყოფდა ამ წრის არსებობას, ცნობიერების არსებობას, თითქოს მობეზრდა ისინი და თავად არჩია მათ მაღლა დარჩენა, თითქოს ეიღაც უწეწავდა თმას, ეიღაც უკენინებდა გამუდმებით, რომ „შეშლილის სამოსი უფრო დაამშვენებდა მის არსებობას“ და ისიც დაჰყვა თითქოს ამ ეიღაცის ნებას, ახლა მართლაც შეშლილი განრიდებულიყო ჩემი სამზარის წინ და უკანასკნელად ებრძოდა დაუძლეველს...

9

— შენ ხომ სრულიად თავისუფალი ხარ, ნატალია? — უეცრად ვკითხე, იმ საღამომდე რამდენიმე დღით ადრე.

ის მთელი დღე მალულად დასდევდა მექორწილეებს, მაშინაც კვირადღე იყო. მერე სახლში შემოლასლასდა, ფანჯარასთან სკამზე დაეშვა და ჩუმად

თქვა: „მორჩა“. მან არ იცოდა, რომ მე მეორე ოთახში ვიჯექი და ყოველი მისი ამოსუნთქვა მესმოდა... „მორჩა“. — ჩაილაპარაკა კვლავ.

— რაზე ამბობ მაგას, ნატალია? — ოთახიდან მოულოდნელად გამოსულმა კითხე.

ქალი შეცბა თითქოს, არც მოუხედია ჩემკენ. ხმამ შეაწუხა იგი, ჩემმა ხმამ, ახლა ასე უცხოდ რომ ეჩვენებოდა ალბათ, ასე რომ მოაბეზრა თავი.

მე არაფერი არ მითქვამსო, — იცრუა პასუხად, — რაღაც მოგეჩვენაო.

და აქ სხვა რომ ყოფილიყო მის ადგილას, დაუფიქრებლად მომახლიდა ალბათ, რომ მე ჩემი მოთხრობებისთვის მჭირდებოდა მხოლოდ, რომ მე არასოდეს მიყვარდა იგი და თუნდაც მოთხრობებისთვისაც ძალზედ უბრალო ყოფილიყო, მაინც დაუნანებლად გავიმეტებდი მათთვის. მე კი ისე ძალიან მინდოდა სიყვარული, რომელსაც შენ ვერასოდეს მიხვდებოდი, როგორც ჩემი გაქცევის მოუთოკავ სურვილს ვერ მიხვდი ან არ ისურვე მიხვედრა, არ ჩათვალე ყურადღების საგნად, რადგანაც ყოველივეს, თუნდაც ერთი უმნიშვნელო ჩანაწერისთვის იმახსოვრებდი, უფრთხილდებოდი და ინახავდი, თუნდაც იმ ჩანაწერისთვის, რომელსაც თუგინდ ნურავინ წაიკითხავდა შენ გარდა, თუგინდაც ძალზედ მარტივი და უმნიშვნელო ყოფილიყო სხვათათვის. შენთვის სულ ერთი იქნებოდა, ოღონდაც შენს უჯრაში გდებულიყო ეს ფურცლის ნაგლეჯი, შენს ხსოვნაში ჩარჩენილიყო სამუდამოდ და ზუსტად გცოდნოდა, რომ შენი მეხსიერების, შენი ხსოვნის ერთი ნაწილია ამა და ამ უჯრაში გაყავს ჩამწყვდეული, ამა და ამ უჯრაში გდია და მერე თუგინდ აღარასოდეს აღარ მიაკითხო მას, რაღაც გარკვეული ხნით მაინც ხომ მიეცემი, ხომ გაერთობი საკუთარი თვითკმაყოფილების ცოხნით. მაგრამ ნატალიას თვის ესეც სულ ერთი იყო. ამიტომაც არასოდეს მეტყოდა ასეთ ლეს. ახლაც ისევე, როგორც წინათ. არავის არ ემგვანებოდა. ახლაც დაუოკებლად ბოლომდე მომყვებოდა უთუოდ, რადგანაც უკვე თავადაც ასე აწყობდა იქნებ, თავადაც ფურთხის ფასად უღირდა სიმართლეს...

თანდათან ვხვდებოდი, რომ, როგორც მიამიტ ლეკვს ემართება ხოლმე, ისე მომივდა, როცა თავისი ჭკუით, რაღაცის დამალვას ცდილობს...

შენ ხომ სრულიად თავისუფალი ხარ მეთქი, ნატალია, — ვუთხარი გულუბრყვილოდ, რადგანაც მისმა შემხედვარემ ვიგრძენი, რომ სიკვდილზე ფიქრმა თანდათან მაინც დააჩნია თავისი კვალი, იქნებ გატეხა და დაბაბეჩავა კიდეც. ვიგრძენი, რომ მან უკვე უარყო ყველაფერი თავის გარშემო. ახლა იჯდა და უკვე სიკვდილის ბურუსში აფორიაქებულ, ისტერიულ სინამდვილეს აკოწწებდა ძალდატანებით, სინამდვილეს, რომელსაც ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდა თავისუფლება. ამიტომაც შეაგება ესოდენ ეჭვიანი მზერა ჩემს სიტყვებს. არასოდეს ასე არ გაიგივებულა ჩემ თვალწინ ეჭვი და დაორგზენა...

გაკვირვებული ახლს თვალებს, სხეულზე ხელს ისვამს და თავისდაუნებურად ჩასჩიჩინებს თავს, რომ ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა, ვიდრე მისი ჟამი მოაწევდეს. მთავარია, სიკვდილზე არ იფიქროს. სხვისად წარმოიდგინოს იგი, უცხოდ და სხვის ხვედრად...

რა თქმა უნდა, ნატალიას არც უცდია რითიმე აეხსნა თავისი მზერა, ეს მე წავეხმარე უბრალოდ. უფრო მეტი სიმძაფრე რომ მიმებოძებინა უეცრად ფა-

---

მიკა ალექსიძე
ფლუმარეზის მეუღლისი

რდაახდილი თავისუფლებისთვის... ო, როგორ ჰგავდა ეს მცნება იმწუთას ქუჩებში აწყნარებულ ჩამომშკნარ ბებერ კახპას, რომელიც არავის აღარ სჭირდება და ვერავინაც ვედარ ამჩნევს უკვე.

იმ წუთებში მე თითქოს მიჭირდა ნატალიას გაგება, რადგანაც ვგრძნებ ის უფრო ახლოს იყო ღმერთთან ან იქნებ უკანასკნელი შეცოდებისთვის განწირული იმდენად განიტვირთება ადამიანი, რომ უნებლიეთ გეჩვენება ეს სიახლოვე, „შენ რაღაცის მოყოლას აპირებდი, ნატალია?“ მის წინ შევჩერდი, ჩავიმუხლე და კკითხე.

10

„უსუსურობა კაცთა თავად არის ჰიმნი
ბედისწერისთვის თქმული... მაშ ასე,
ჰიმნი ბედისწერისთვის“.

— ჰო, მე თავისუფალი ვარ, — ჩუმად. ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა ნატალიამ. და ალბათ, არასოდეს ასეთი თავისუფალი არა ვყოფილვარ.

სტაფი, ჩემო კეთილო, იქნება ახლა ჩემთვის თვალთმაქცობ, მაგრამ მაინც უმოწყალოდ სტაფი-მეთქი, — ჩემდაუნებურად გავიფიქრე.

მან ზიზღით მოიშორა ჩემი ხელი, თითქოს იგრძნო, როგორ არ ვენდობიდი არც ერთ მის სიტყვას, როგორ მინდოდა რაიმე ჩემგან მოფიქრებული ჩამეჩარა პირში, როგორ მინდოდა ხმამაღალი მეყვირა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, რომ არავითარი სნეულებით შეპყრობილი სოფელი არ არსებობს, თითქოს ამით მინდოდა დამეფრთხო სიკვდილი, რომელიც ჩვენ შორის იყო. სიდღეაც, ჩემგან გამოკვებული სიკვდილი ფეხის თითებს მილოკავდა კვლავ, სანამ საბოლოოდ რაღაც ხილულ ფორმას მიიღებდა, სანამ დაუტეხავდა ჩემს წარმოსახვაში ბორგვას, სანამ სიკვდილიც დამოუკიდებელ არსებობას დაიწყებდა. ახლა მეც მინდოდა მეღრიალა, ახლა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ეფემერის, ჩემი ამბოხის ჯერი დადგა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ყვირილის მაგივრ, როცა ნატალიას მკაცრ, არაადამიანურ სახეს წავაწყდი, ოდესღაც ლამაზ, ახლა-კებულ, გამხდარ ყვრიმალებს... ჩავყოლ მზერა, მჯერა-მეთქი, — ჩახლეჩილი ხმით წამომცდა მხოლოდ და დანარჩენი ფიქრებში დავასრულე უკვე. „მჯერა, ნატალია, მაგრამ ასე მკაცრად, ასეთი სისასტიკით რატომ ეგებები, რატომ განიცდი შენს თავისუფლებას, მით უმეტეს, თუ ესოდენ ახლოს არასოდეს ყოფილხარ მასთან“.

— ის მაინც ძალიან შორს არის ჩვენგან, — ჩაილაპარაკა ნატალიამ, — ის ოცნებობს.

— ხომ არ გეცოდება, ნატალია? — შეეკითხე ჩუმად.

— არა... ამას წინათ ვუთხარი, მალე აქედან მივდივართ-მეთქი, ბოლოს ვუთხარი, რომ სამი დღეღა გვრჩება მხოლოდ...

— დაიჯერა მერე?

— არა, შეცოდება აქ არაფერ შუაშია, — განაგრძობდა, — რისთვის, რისთვის უნდა მეცოდებოდეს, იმისთვის, რომ ყველაფერი სჯერა ჩემი?..

— ჰო, უაზრობაა სიბრალული, — ვფიქრობდი ჩემთვის, — უაზრობაა, როცა ამით ვერაფერს შეუცვლი სახეს...

„მე ვიტანჯები ამბოხისაგან?“ — გეტყვის ვიღაც ბრძენკაცის გამოხმობილი სული.

— იქნებ, ცოდვა იყო შენი ამბოხი? — ღიმილით ეკითხები შენ.

„ამბოხი ყოველთვის წილნაყარია ცოდვასთან“, — მრისხანებით მიგაყვარებს ის.

—მე ახლაც შენგან ვიტანჯები...

„ჩემგან?“ — ვფიქრობ და ვგრძნობ, რომ გამობრუნება სისულელეა, რომ გამობრუნება ცოდვების შეხსენებაა მხოლოდ, ნეტა რას გეტყოდა ყველაზე მხიარული კახპა, რომელსაც ვერაფრით ვერ დასწამებდი სიბრძნეს. და აი მე ვდგავარ ნატალიას წინ (რადგანაც ჩემს

სიახლოვეს ქალის მაგვარი არავინაა ახლა), რაღაცნაირ, ფანჯრებს მოტმასნილ მომწვანო ბურუსში, ვცდილობ გამოვიხმო მისი სული... და ვგრძნობ, რომ ისიც იტანჯება...

მცივაო, — ამბობს და ჩემ გვერდით იკუნტება ლოგინში, — შემოგიწვეიო, მთხოვს...

რომ იცოდეთ, რა მცირე ადგილს იკავებს ლოგინში, ჩემს მკლავზე ეტევა თითქმის. ახლაღა ვამჩნევ, თვალები ღია აქვს, თვალები სადღაც იყურებიან და თავად კი სძინავს, სძინავს ღრმად, ისე რომ დაავიწყდა კიდეც, რომ კარგა ხანია არ წოლილა ჩემთან, მაშინაც სძინებია თურმე, სიცივე რომ იგრძნო, შემოგიწვეიო, რომ მთხოვა და მესმის, მომეალერსეო, გეთაყვა, რაზე ფიქრობ, მე ხომ ვგრძნობ, რომ იტანჯება, მაგრამ მაინც არ იშორებს ჩემს ხელს, ის საოცრად მშვიდია, თავის ამბოხში და არც გაცვეთილი, სულელური სიტყვებისა ეშინია, იმ სიტყვებისა, დრომ რომ ასე მოგვაბეზრა და შეგვაძულა. მომიალერსე, რაზე ფიქრობო, აბა რა უნდა იყოს ამაზე უბრალო, მაგრამ მაინც უცნაური სისწრაფით კვეცავს, ამოკლებს და ამკვეთრებს წამიერებას და შენ უკვე აღარ იცი, რამდენ ხანს დარჩება შენთან ეს ხმა, შენ აღარ გინდა იფიქრო ამაზე, იმასღა ცდილობ, რომ როგორმე დაიტაო შენ მიერ გამოხმობილი არარსებობა, უკეთ მოაწყო, გამხდარ, თითქოს უძლურ მკლავებზე, ცოტა ხნით გაანებივრო ეგების ცოტა ხნით უკეთ იგრძნოს თავი.

რამდენ ხანს გინდა, რომ დავრჩეო, — მეკითხება, — რამდენსაც მოისურვებ, — გინდა რომ უპასუხო, მაგრამ ის გასწრებს, თითქოს იცის, რომ შენ არ ძალგიძს ამის განსაზღვრა... ხის სახლი მენატრებაო, — ამბობს ნატალია, — სადმე მიყოფებელ ალაგას, ტყეში ჩამალულიო, ხის უბრალო სახლი. და მახსენდება ის ტყე, ვიღაც შუახნის ახოვანი მეტყევეს ქოხი, იქვე ჩამავალი მდინარე, ალიონზე ხისგან უხეშად გამოჩორკნილ სინზე კიბოები მოაქვთ ნატალიასთვის, ის დგას კარში, პერანგისამარა, ფეხშიშველი და აყურადებს გაბურძგნილი, წვერმოშვებული მეტყევის მძიმე ნაბიჯების ხმას... მერე ყველაფერს რაღაცნაირი ხის სითბო და სასიამოვნო სუნი ეუფლებოდაო, ამბობს, ამ კაცსაც, ამ ღამეებსაც, ძილბურანში გადახეზნულ ოცნებასაც. წევს ნატალია და კიდევ რაღაც უნდა თქვას იმ ნაკრძალზე, სადაც ოდესღაც ყოფილა თურმე.

იქნებ მაშინაც ახლოს იყავი თავისუფლებასთან, ნატალია? — ვკითხავ ხოლმე ყამი-ყამ.

მაგრამ არაფერს არ ამბობს პასუხად, თავისას ბუტბუტებს მხოლოდ. ყველაფერს ხის სუნი ახლდაო, — იმეორებს. — მძიმე, მტვრიანი ჩექმები ეცვა მეტყევეს, დილით გამოღვიძებულს, ლოგინში აღარ მიხვდებოდა, როდესაც კიბოებს მომართმევდა, ბავშვივით წოლილებოდა და თვალს მარიდებდა, ისე, თითქოს რაღაც უსაშველო დაეშავებინოს. მე მივეჩვიე იატაკზე მიყრილ მის მტვრიან ჩექმებს, მის უხმო შემოსვლას, თითქოს ვეებერთელა სიმფონჯე შემოიზლაზნებოდა, მომეახლებოდა ხოლმე და, რაც მთავარია, მონატრებამდე მივეჩვიე სწორედ მას — სიმფონჯეს, რომელსაც ხის სუნი უდიოდა, ტყეს და სუნს, საოცრად ცხოველმყოფელს, კაცს, რომელიც თავის სხეულით დაატარებდა მას, ჩემს გაოცებას თუნდაც, რომელიც კარგა ხანს გამყვებოდა, ნამდვილ თავისუფლებამდეც გამყვებოდა და ვიმყოფინებდი თურმე...

„ჰმ, რას ერჩი, ბრიყვო, ამ ქალს, — ფიქრებში ვამბობ ჩემთვის, — მიუალერსე. მიუალერსე, თუნდაც თავისუფლების ხათრით, — მერე და ვინა თქვა, რომ სპირიტიზმი სალონური გართობაა მხოლოდ, ან ვის შეუძლია დამაბრალოს რომ მე არ მიყვარს ნატალია? ეს ხომ უბადრუკი ცილისწამება იქნებოდა მხოლოდ. კარგით, მაშინ მე

მიკა ალექსიძე
მდუმარების მეჯლისი



თავად შევაგდებ ამ მაგიურ კოცონზე ჩემს სულს, რათა ფურთხის ფასად ვაწ�io იგი — ცეცხლის ალში გახვეული, ცეცხლად აქცერუმებული ეშაფოტი...“

●

როგორ მინდოდა, რომ ეთოვა იმ დღეს, ნამდვილი თოვლით ეთოვა, ყველაფერი ნამდვილი გამოჩენილიყო, ეგების ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დალაგებულიყო კიდეც, მაგრამ რა იყო ის ხელოვნური, სულმლფავი სიუცხოვის მზე, რომელიც ასე ძალუმად მაგონებდა კვლავ შიმშილს... ჩემი სახლის წინ, ეზოში, პირდაპირ ნოტიო მიწაზე ვიჯექი გალაჯული, მატარებელი საღამოს გადიოდა, დრო ჯერ კიდევ ჭარბად მრჩებოდა, უცნაურად მძიმე და გაურკვეველი დრო. მე კი ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ძლიერდებოდა ავი-თრიე ტანი, თუმცა მე კი არა, იმან, ჩემში რომ ბუდობდა და უმზეო შიმშილს განიცდიდა ახლაც, როგორ წარმოუდგა თვალწინ ნატალიას მიერ „პატარა ქრისტედ“ მონათლული ბიჭი, თვალწინ აეფარა უეცრად, მერე ბიჭის ფიქრულ ოთახში გამოკეტილ ნატალიას გადასწვდა მისი ფიქრი... მომბეზრდაო ეს ყველაფერი, — გაიფიქრა, — ხომ არ შეიძლება, ბოლო აღარ უჩანდესო ამ წარმოდგენას, — ნელა დაუყვა ატალახებულ გზას...

ბარგის ჩალაგებას მოეასწრებ, — გაიფიქრე მე, როგორ მინდოდა, რომ ეთოვა იმ დღეს, ნამდვილი თოვლით ეთოვა. ვიჯდებოდი ამ ნესტიან მიწაზე და ფეხსაც არ მოვიცვლიდი აქედან, მიმიფურთხებია ყველაფრისათვის, ყველა-ფრისათვის, ვმარცლავდი ჩემთვის გაუნელებლად, როცა ჩემი ნაკაცარი კვლავ დაჟინებით მიუყვებოდა ამა სოფლის ნაცოდვილარ. ტბორივით ამღვრეულ შემოგარენს და თავადაც გარემოსავით სარკასტულად დაღრეჯოდა სახე. ნიშნის მოგებით შევაქქეროდი, თითქოს მსიამოვნებდა, რომ ფეხები უვარდებოდა შმორში, სიარული უჭირდა. ჰმ... უცნაური რამ მოხდა. არა, ეს ჰალუცინაცია არ არისო, — ბოლოს ვაკა უცებ, — ახლა თუ ფიქრი „ცეცხლად“ თავიდან უნდა დავიწყოთო... იქნება, თვითონაც სისულელეს არქმევდა თავის ნაფიქრს, მაგრამ სახე კი უფრო და უფრო ემანჭებოდა და ვგონებ თავადაც მშვენივრად გრძნობდა, რომ არაფერი აღარ იწყებოდა თავიდან. პირიქით, ვიღაცას ფართო ცარიელ ოთახში შევყავდი, დამყოლი, რბილი, ყოველგვარ წინააღმდეგობას დახსნილი. ოდნავ გადაწეულ შტოებს მიღმა ფანჯრიდან ვიყურებოდი, ნაწვიმარი სახლების სახურავს ვხედავდი, მერე შტორები ჩამოუშვეს და რაღაცნაირი ნესტის სუნი დადგა ოთახში...

— დაჯექით! — ჩამძახეს.

ვიგრძენი, როგორ დამიდგეს შუა ოთახში სკამი, როგორ დამაჭირა ის „ვიღაცამ“ მხარზე ხელი. მთელი სიმძიმით, მოწყვეტით დავეშვი და აქ უეცრად სულ რაღაც წამებში სკამი ამაცალეს, იატაზე დანარცხებულს, საშინელი ხარხარი მესმის, საზარელი ყიჟინა და აი, უცებ ისევ ის ხმა, ტაშის შემოკვრით, სიწყნარეო, ანიშნებს ყველას, გავიმეოროთო, ამბობს, თქვენ აჩქარდით, რაღაც ისე არ გამოვიდა, ეს სულაც არ არის ისეთი სასაცილო, „ყველაფერი თავიდან“ დავიწყოთო. სკამზე ვზიავარ კვლავ, ყველაფრისგან ზურგშექცევით და ვგრძნობ, როგორ მეზება კეფაზე იარაღის ლულა, როგორ თანდათან ეფლობა თმაში, სულ უფრო ღრმად, ღრმად...

„იფიქრე, რომ ქალი გეალერსება კეფაზე, იფიქრე, რომ ქალის თითები თრთიან შენს თმაში“, — ვეჩიჩინები ჩემს თავს, მაგრამ არაფერი იცვლება, ვგრძნობ, რომ სიცოცხლეს, ამ ფანტასტიკურ გორგალს, ვეღარ ვიოკებ ჩემში. შიში, რომელიც სიმარტოვეში ცხოვრებას ირჩევდა მუდამ, ახლა წამით სადღაც გადაიკარგა თითქოს, თუმც არც ამით ირღვევა ის ფანტასტიკური გორგალი ჩემს კეფასა და მჯიდრად მობჯენილ ლულას შორის, მაინც რომ ახერხებს გაჟონვასა და გაწეწვას, ჰო, მე

ველარ ვიოკეტ მას, თურმე ამადაც მოგეჩვენა, რომ წამით სადღაც გადიკარგა შიშიც, როკა ასე მგონია, ვერასოდეს მოვცილდები ამ სკამს, ასე მგონია, წამოდგომაც რომ მოვახერხო, მაინც ამ სკამის გარშემო ვივლი უთუოდ, მაგრამ ახლა სულ სხვა რაღაცას მისწვდა ჩემი ფიქრი, დრო, დღე... სათი მინდა გავიხსენო, დავიმახსოვრო, ელვისებრ ვეშიდები სკამის კიდეებს, თითქოს ვფრთხილობდე, ისევ არ გაბიმაცალონ იგი ან გასროლისას უშიოდ, უხეიროდ არ დავეცეკ, ან კვლავ არ ჩამეესმას მათი ხარხარი ასე საზარლად, მათი, ვინც ჩემს ზურგს უკან ლაჩრა და ყასიდად ფეხებს ატყაპუნებდნენ ხმაურიანად. მოახლოების ილუზია რომ შექმნან, მოძრაობის ილუზია...

„იფიქრე, რომ ქალი გეალერსება ეფეზე, — განვაგრძობ ჩემთვის, — ფიქრე, რომ ქალის თითები თრთიან შენს თმაში...“

და მაინც ვერ ვიხსენებ, დღეს... სათს... რიცხვს... მინდა ყველაფერზე ერთბაშად ვიფიქრო. რომ ყვირილი არ ოემოსხეს უკეტ. ან შესაბრალისი ხროტინი და ჩემივე დახუჭული თვალებიი ეხედავ (სწორედ ამ თვალებით, რომლებითაც ნაწვიმარ სახურავებს ვხედავდი ცოტა ხნის წინ) როგორ მივარდება თავი მკერდზე, არადა ბიძგი არ ყოფილა ისეთი მტკივნეული, როგორც ამბობდნენ და ყველაზეოდნენ ხოლმე, ანადგად უკუნეთიდან ჩვეულებრივი თეფშით გამოხმობილი სულები. მაგრამ მე ეთომ საშინელი ძალით ვიგრძენი, როგორ შემოეტკრა სკამს ფეხები, როგორ დავკნინდი ქვეკეთ, ისევ ნაწვიმარი სახურავებისკენ თეფშს, მერე უეცრად როგორ აღმოვჩნდი იატაკზე და როგორ თქვა ის „ვიღაცამ“. მაშინ შემხედვარეეს, გასროლის მოლოდინში ჩემი ინსტინქტურად, მკერდზე ჩამოვარდნილი თავის შემხედვარეს, რომელიც ძალზედ ეძოკლე, მაგრამ მკფთო განკარგულებებს იძლეოდა, „კარგია“ და როგორ შეწყობილად ახარხარდა უმალ სულეველა, თითქოს ეს „კარგია“. ნიშანი იყო ამისთვის მხოლოდ, თითქ[illegible]ნი ხანი სულველა ერთად [illegible]ელოდა ამ ნიშანს. მე კი იატაკზე თვალდახუჭული ვიჯექი, სკამის საჯდომზე მაგრად შემოჭდობილი, მაგრამ ჩაბღუჯული ხელებით და ვიგრძენი, რომ ტანი ახლა უკვე თავისთვის კვლავ იხსენებდა დღეს... საათს... რიცხვს ან იქნებ რაღაც ძალზე უმნიშვნელოსაც, რასაც ახსნა არ ეწერა, მაგრამ ახსნა არ იყო მთავარი. ტანი განაგრძობდა სიცოცხლეს. გამალებით ფეთქავდა და თითქოს უკვე უჩემოდ ელოდა დაძახილს „თავიდან“, „არ ვიარ“, „აქ არაფერი არ არის სასაცილო“, „ისევ თავიდან!..“

ო, რა სარკასტულად დაღრეჯოდა საე ჩემს ნაკაცარს, ჩემსავე მაგრად დახუჭულ თვალებში, მაშინაც კი, როცა ისინი ნაწვიმარ სახურავებს ეძებდნენ კვლავ. იმისათვის რომ ამ ნესტიან, შტორებჩამოშვებულ ოთახში მოქცეულნი შვებისმომგვრელად წამით მაინც შეხებოდნენ მათ. — და უცებ მესმის: „ტყუილად აბრახუნებთ, ორი დღეა არავის უღებს კარებს“. — ეუბნება ვიღაც ჩია, თეთრწვერა მელოტი კაცი. მაინც ვის მაგონებს, ვის მაგონებს ეს მოხუცი. ეფიქრობ ჩემთვის და მის ქროლი თვალებს ვაკვირდები. ოდნავ დამკინავ წვრილ თვალებს.

„ორი დღე?“ — ინსტინქტურად კითხულობს უმზეობით დამშეული ჩემი ნაკაცარი.

— დიახ, ორი დღეა გადარაზულია და თავის აკორდეონზე, ასე გამუდმებით „უკრავს და უკრავს, უკრავს, უკრავს“...

მაინც ვის მაგონებს ეს მოხუცი, ასე უცნაურად...

— ორი დღეა? კი მაგრამ, დღეს რა დღე უნდა იყოს, ბატონო, — ის უტიფარი ეკითხება კვლავ.

— ხუთშაბათი... ჰო, ნამდვილად ხუთშაბათი, — ხმადაბლა ამბობს მოხუცი და მეჩვენება, რომ დამშეული ხელებზე

ისე მზაკვრულად იხედება, თითქოს ახლა ანგარიშობდეს, ახლა იხსენებდეს მარტო დღეს კი არა, არამედ საუკუნეს, თვეს და თვის სახელსაც კი, მგონი...

— კარს შევამტვრევ, — ჩაილაპარაკა ჩემმა ნაკაცარმა.

— როგორც გენებოთ, ბატონო, — გაუღიმა მოხუცმა.

— თუ გნებავთ, დავუძახებ ვისმეს, — მითხრა მან.

მონუსხული შევყურებდი მის მიწისფერ თუ ფერფლისფერ სახეს, გამხდარ ყვრიმალებს, დამჭკნარ, დიდრონ ხელებს... ღმერთმა უწყის, როგორ უნდა მოქცეულიყო კაცი ამ უსაზღვროდ წამებული სულის წინაშე, რომელიც ჩვეულებრივი სიტყვებით ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ისე, როგორც ჩვენ, ადამიანებს გვჩვევია ხოლმე და, რაც მთავარია, არც ახლა ეშლებოდა არაფერი, ამდენი ხნის მერე.

ჩემს ანაზდად აღმოჩენილ უწარსულო ნაკაცარს კი სითამამე თუ სითავხედე არასდეს ჰკლებია თურმე და, უეკველია, არც ახლა შეცბებოდა. ოჰ, როდენ მშვიდი და ზორბაა ეს შეუმცდარი მისანი, — ვფიქრობდი ჩემთვის. და მე, შორიდან გაოგნებული მზერით მეკრეტელს, კი არ მთრგუნავდა და მაოცებდა, რაღაც ზებუნებრივითი, რაც ბავშვობიდან მესმოდა მისგან, არამედ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი. მოკვდავთაგან არაფრით გამორჩეული მოვლენით. „ჰო, ხუთშაბათია დღეს", თქვა და მორჩა...

როგორ ახერხებს ეს მოხუცი ასე ზუსტად დაიმახსოვროს, გაყინოს ყოველი, დამცინავი ღიმილით გაეცალოს და უკან მოუხედავად გადაიხვეწოს.

„ცუდად ხომ არა ხართ? — ეკითხება მოხუცი ჩემ ლანდს და ისიც მთელი ძალით აბრახუნებს კარზე. „არაფერი გამოვა, ამბობს ის, — მეკორწილეები იყვნენ წუხელ, არც იმათ გაუღიო..."

— უნდა შევამტვრიოთ, ბატონო, — იძახის ჩემი ორეული და ჩემი მოსისხლე.

— როგორც გენებოთ, თუ ასე ძალიან გეჩქარებათ, მაგრამ ასე არასოდეს დამართნია, უპატრონო ბეჭედი, ეუბნა, უწყის, რა სჯირს.

დანაშავესავით იმზირება მოხუცი, თითქოს თუ რამე დაეშავა, შეუნდეთო, ამბობს...

შეუნდეთ „პატარა ქრისტეს", — ვფიქრობ ჩემთვის მაგრამ ვის რაში სჭირდება-მეთქი შენდობა. ბავშვიაო, ჩამესმის ისევ და უეცრად, უნებურად ვიხსენებ: როდის ან სად უთქვამთ ჩემთვის ოგივე.

„ჯერ იყო, თავს — თუმცა იდევინ ჩემი მცირედ უგუნურებისაი! არამედ თავს — ცა — იდვთ ჩემი".

ო, რა თანდათან ფართოვდება სივრცე ჩვენ შორის, როგორ ნელ-ნელა ფითრდება მოცახცახე სახე, ან რა ცარიელია ეს სიტყვები, თითქოს საიდანღაც ამოთრეულ სიმხურვალეში თვალსა და ხელს შუა იზრდება ეს სიცარიელე.

ადამიანის აჩრდილივით იწელება, ფუღუროვდება სიცარიელე ჩემსა და იმ სიმხურვალეში გამომშრალ კვამლადენილ ხეს შორის, რომელზეც ჩემი სახე ამოუკვეთია ვიღაცას...

გადაბუგული ხრიოკის მიღმა, თავისით აბოლებული ხის ფუღუროში ამოტვიფრული ჩემივე იერი.

„თქვენ რომ მცირედით მაინც შემნდობნი იყვნეთ, უმეცრებისა გონებისა ჩემისა მიმართ...

თქვენ რომ მცირედით მაინც მეორდებოდეთ ჩემში...

თქვენ რომ მცირედით მაინც..."

და ასე უსასრულოდ, შემტვრეულ კარში გახვევებული ჩურჩულებს ჩემი ორეული, ის კი, მოხუცი, ოთახში გაურკვევლად თვალჩანდრული დაჩოქილა „პატარა ქრისტესა" და ნატალიას სარეცელს შორის.

„ქრისტე ყოველთვის მაგონებდა ვიღაცის ბავშვობას, — ფიქრებში განაგრძობს ჩემი ორეული.

„პატარა ქრისტე", შუა ოთახში იატაკზე ზის, იქვე, თავისთან სულ ახლოს, გვერდით გადაუდგამს უხეიროდ, რა-

ღაცნაირად თავისით გაწელილი, განუყრელი აკორდეონი და მომჩერებია, შემომცქერის საშინელი დაბნეულობით, სიმძვინვარითა და უმეტყველობით და თითქოს ახლა მისი ზღვისფერი თვალების სიღრმე ამოზედაპირდა, ამოპირქვავდა, ზეციდან დაეღვარა მის სახეს, მის სხეულს, იატაკსა და მის გაჩაჩხულ ფეხებსაც კი...“

„შენ რომ მცირედით მაინც“ — ისევ მეორდება ჩემში, მაგრამ მგონი ქვითინებს ამ „პატარა ქრისტესა“ და სარეცელს შორის დაჩოქილი მოხუცის ბეჩავად წაბრილი ზურგიც...

თიფქოს ვეღარც ამჩნევდა ბიჭს. იატაკზე მიგდებულ აკორდეონს გადასწვდა ჩემი ნაკაცარის გაცრეცილი მზერა, თითქოს, დაუკარით, უნდოდა ეთქვა, დაკარი მაინც რატომ შეწყვიტეო ან რაღაც შეგაკერთო, რაღაც შეგაცვალ ესოდენ, შემომტვრეული კარის ხმამ? ისეთი ხომ არაფერი მომხდარაო? მაგრამ სულ სხვა რამ იჩურჩული უეცრად. რატომ შენი ხელით არ ჩაიდინეო ეს, ნატალია? ქრისტე შენც ხომ ყოველთვის გაგონებდა ვიღაცის ბავშვობასო...“

და ასე მგონია რატომღაც, რომ ამ ნოტიო მიწას ვერ აშორდება ჩემი ნაფიქრი. მატარებლის გასვლამდე ჯერ კიდევ ადრეა ალბათ, — ეფიქრობ ჩემთვის და მეშინია, რადგანაც ამ თვალისმომჭრელ სიმხურვალეში მგზავრობა მიჭირს.

არ ვარგა, სკამი მოიტანეთო, სკამი არ ვარგებულა თურმეო — მიწაზე გალაჯულს ისევ ჩამესმის ზურგიდან ვიღაცის გამომშრალი ხმა. მინდა გავიცინო, მინდა მეც მათთან ერთად ავხარხარდე, როცა ხელახლა დავეკარ მათთან, ვინც ჩემს ზურს უკან.

მაგრამ ჩემივე ხმა ისწრებს ყველაფერს, დახუჭულ თვალებში მიძვრება თავისით, ეს ხმა ეფარებოდა თურმე აქამომდე შტორებს მიღმა ჩარჩენილ ნაწვიმარ სახურავებს.

„იფიქრე, იფიქრე, რომ კეფაზე ქალი გეალერსება თითქოს, იფიქრე რომ ქალის თითები თრთიან შენს თმაში“, — ჩურჩულებს გაუნელებლად, საფეთქლებზე გადმოდის ნესტი... და შენდობის მაგიერ, ვხედავ, უცნო ნაკვთებად დარღვეული, ნათქორალი, გადარეცხილი ქალაქისა და ფიქრების ფონზე, აქვე, სულ ახლოს კუთხეში, შტორების უკან, საოცრად დაპატარავებული, ერთი ციდა, თეთრ, უსაშველოდ განიერ, ფართო პერანგში ჩამძვრალი ქონდრის ქალად ქცეული დედაჩემი დგას, ყდაშემოცვეთილი ბიბლიით ხელში, ჰო, თვალისმომჭრელ სიმხურვალეში და მატარებლის ბორბლების თქარათქური ჩაგვესმის ორივეს, მერე უფრო იქით იწევს, იწევს იქით, ნაწვიმარი სახურავებისაკენ ალბათ: „მცირედით მაინც რომ, უმეცრებისა გონებისა ჩემისადმი, ღმერთო“. თვალისმომჭრელ სიმხურვალეში მატარებელსა და იქვე გაწვართულ ლინდგების კიდეზე რჩება ჩემი გაოცებული ნაკაცარი, თვალის დახამხამებაში ჩემს თვალწინ უცნაური სითავხედით იზრდება და იწელება იგი, იქნებ უკეთ რომ გაარჩიოს და დაინახოს ყოველივე ირონდაც მანამდე, დიდი ხნის სიმუნჯიდან „ჰო, შვილო, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ მეუბნება ის — წაავდრალ სივრცეში ჩარჩენილი, საუკუნეებში გალეული დედაჩემი: — მორჩა, ყველაფერი მორჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე თქვენს ეზოში გაზაფხულზე შემოვიარე,
ეამოსმთიას არ ჰქონდა აზრი, რადგან ვიცოდი
თქვენ ყურთ გაკლდათ, ბატონო ჩემო!
დადგა თიბათვე, ფერიცვალება...
დამეშვიდობნენ წეროები,
ო

ვეყვიმდა,
სასიდან ხელით ვირიდებდი გაყინულ წვეთებს,
რომ ვიმეფე ცრემლი არ ჰგონებოდა,
ქარი რომ ჩადგა
თოელისწინა გაყუჩებამ მოიცვა არე,
სარკმელს იქით მე თქვენ შეგნიშნეთ, —
საუფლო ტაბლას მიართმევდით შემთხვევით სტუმრებს...
ამასოლაში თოვდა და თოვდა,
ჩემი დაფარვა არ იყო ძნელი,
თოვლზემოთ დარჩა მხოლოდ ჩაჩის ცისფერი ბურთი,
ყვავილი თუ ეგონათ ბავშვებს, —
მე მომეყურა მათი სიმღერა, — ო, გაზაფხულო!
სარკმლიდან ალბათ თქვენც შენიშნეთ, — რაღაცა მოხდა!
და გამოხვედით!
ოდესმე ალბათ გაპატიებთ მაგ შეცბუნებას,
რადგან თქვენ ცისფერ ყვავილს ელოდით,
ბავშვებმა კი მაშინვე მიცნეს,
სიცივისაგან ცალურჯებულს ჩამჭიდეს ხელი
და ჩაჩის ირგვლივ მომატარეს სიმღერებით, —
ო, გაზაფხულო!
ახლა მე ისევ თქვენს წინ ვტრიალებ ბავშვებთან ერთად,
თქვენ მაკვირდებით ხან მე,
ხანაც თოვლის სიმარეს
და ალბათ ფიქრობთ, —
რამდენ საზრუნავს გაგიჩენთ
ჩემი წრესგადასული სიამაყე,
რას იზამთ,
უნდა შეეჩვიოთ,
ოღონდ ეს მერე...
ჯერ მაკვირდებით,
ჯერ მაკვირდებით
და იქნებ მიცნოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ რ ო

ჩემს ბაღში, ახლა, წესით უნდა ზაფხული იდგეს
და ბილიკებზე კიაფობდეს მწვანე სინათლე მზისთვის,
ან იქნებ აერია ქორონიკონი დროს და ჩემს ბაღში ისევ მარტის
ცრიატი დადის
და მარტივით არეული ამინდი მავსებს,
მე მრავალძარღვას ფოთოლივით ძარღვებად ქცეულს
მოძალებული სიცხისაგან მიფარავს მარტი
და ლოდინის ნედლი ტოტები არ ილევენ სინესტის მარაგს
თუ უეცრად ჩამოწვეება გვალვა და ხვატი...
დრო კი თავის ნაოჭიან, მოთელილ ხალთას
მუქარით ავსებს, სინანულის ძაფებით ხლართავს,
დეკემბრის მწუხრის მოლანდებას ოთაბანცალებს,
თან მჯიღებს იცემს დაღარულ მკერდზე, —
ცოტაც მაცალე!

ჩიტი-ჩიორას მოთქმა

გუგულის ბარტყმა დამჩაგრა
მკერდქვეშ სიპი ქვა უდევს,
— მიშველე, დედავ შობელო,
ფრთითღა ვკიდივარ ბუდეს!

ჩემი არჩივით მომაგრდა,
ტკივილი გულმკერდს მიწვავს,
ცოტაც და ღონემიხდილი
დავენარცხები მიწას!

სიმართლე

მე მეცოდება ჩემი პატრონი,
რომელმაც ერთ დღეს გზაზე დამტოვა,
ეს ახლა ხშირად იტანჯება უძილობით,
რადგან აწვალებს გამოსადენი შავი
სისხლი,
რომელსაც მხოლოდ ჩემი ეკალი თუ
უშველიდა...
ამ ეკლებს მიღმა უშნო სხეულში
შუქი მზეობს და სხივად ალდება,
რაც თავი მახსოვს მაღალ კაცს ველი
კურთხეულსა და ნიშანდადებულს,
ისევ ფრიალებს მეშვიდე ცაზე
ცეცხლგამოვლილი ჩემი ალამი,
ეს ჩემში მოდის ცისფერ მდინარედ
ყველა წყლულის და სენის მალამო,
ჩემი სახელით ბარიკადებზე
სისხლის ყვავილმა წითლად იალა
და ვინც იგემა ის გოლეული
ეკლების მიღმა რომ დარიალობს,
განუდგა ყველა მაცდურს და ეშმას,
ოცდაათ ვერცხლად დანაპირ ხვითოს,—
რადგან მე მხოლოდ რჩეულთა სვე ვარ
და სულს და სხეულს ერთიან ვითხოვ,
ერთიან ვითხოვ გრძნობას, გონებას
და ზოგჯერ ცრემლით მევსება თვალი,
როცა ვუყურებ რჩეულთა მკერდზე
როგორ იზრდება და როგორ ჰყვავის
უცხო ყვავილი, — მე ცრემლებს
ვმალავ,
რადგან სიმართლეს არ შვენის ცრემლი,
მე ვიხრები და დაცხრილულ ალამს
ასევე უზმოდ გადავცემ მერმისს...
გრძელდება ისევ შავ-თეთრის ომი
და კურთხეული კაცის მარჯვენა
ჩემი სახელით აშშვლებს მახვილს
ადამიანთა გადასარჩენად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომაზე ცას რომ ძიძგნის
შავი ურჩხული,
გაკრება, ჯანლში ჩაშავდება
ერთიან ყველა,
მეუცხოება ამღვრეული
მამულის ფერი,
ვშორდები სარკმელს, თავს ვაფარებ
მოგონილ ფერადს...

სულ ამაოა, — აღარ მშველის
თავშესაფარი,
გულსაც, ოთახსაც ეუფლება
ჩვენება მრეში, —
თითქოს კარებთან აბუზული
მამულის სევდა
და მოუთმენლად მელის,
როდის ჩავისვამ მკერდში.

მეოთხე

ხომ შეგნიშნეს მძიმე ტვირთქვეშ
სიმწრისგან სახედამანჭული,
მოსაშველებლად მოვიდა ერთი, ორი, სამი
და შვების ნაცვლად ტყვიასავით დამძიმდა ლოდი, —
თურმე ნუ იტყვი, რის მიშველება, —
მოვიდნენ და მაგ შენს ტვირთზე ჩამოისვენეს!
...ის მეოთხე, ლოდი რომ აგხსნა,
ღმერთი იყო
და ახლაც ტკივა დაწეწკილი ხელისგულები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან გიგინაშვილი

●

დედას არვინ მეძახის,
არც მე არვის ვეძახდი,
დამიყრუვდა სახლი და
გადამიხმა ვენახი.

ისე შემომღალადა,
ვერ გავიგე თენება,
ვარ ცარიელ აკვანთან,
არვინ მომეფერება.

●

წვავლ, დავტოვებ ცოტახნით თბილისს,
ვიხეტიალებ უმიზნოდ სოფლად.
სალამური მაქვს იქ გამოთლილი,
მწყემსი ბიჭივით დავუკრავ ობლად.

თვალს მომტაცებენ ჭრელი ველები,
თავს მომაბეზრებს ქარი ჭორებით,
მე ყვავილებში გადავერევი
და ვიჩურჩულებთ, როგორც ტოლები.

●

შენს ერთ ბუჩქში ზღაპრის მეფე
ბინადრობს,
ყოველ ქვაში სასწაული ბუდობს...
ო და რაღა ცაში ფრენა ვინატრო,
მეც შენს მიწას უნდა ჩავეხუტო.

●

მზემ შენს ბაგეს ძოწი შეაქსოვა,
ჩემსაზე კი გარდასული დრო ჩანს.
გაზაფხულზე ჩემთვის იწყებს თოვას,
შენ მოჰგავხარ ჯერ გაუშლელ
შროშანს.

გაზაფხული შენთვის გაშლის
ფარჩებს,
მე კი მალე თეთრ სამოსში გამხვევს
შენ გექნება ეს სამყარო ფართე,
მე არ ვიცი, სად რომელ გზას გავყვე...

●

რომელსაც მე ვეძებ, ის კაცი
არა ჩანს,
თუმცა კი ჩემს ირგვლივ
ზღვა ცეცხლი კიაფობს,
საიდან გელოდო, სად დავდგე დარაჯად,
გიპოვო და ჩემი წუხილი გიამბო.
ბერდზე თავს მოგაყრდნობ

როგორც ნავსაყუდარს,
ქარივით ვიცელქებ შენს გვერდით
ხანდახან
ჩაჯხედავ თვალებში, ახლობელს,
საკუთარს
ოღონდაც მითხარი, სადა ხარ, სადა
ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

ᲒᲖᲐᲨᲘ

ახალსოფლელი დედაკაცი როცა ჩავიდა, ორნიღა დარჩნენ. გაბრიელმა ქალს ფურნის პურებიანი კალთი ჩაეწოდა, ავტობუსის კარი მოხურა და აღარც დამჯდარა. კიბეზე ფეხშემოდგმულმა პაპიროსი ამოიღო.

მეც მომაწვინეო, — ანიშნა მძღოლმა.

მოყინული გზა ავტობუსს ათამაშებდა. ბოლოში რაღაც გულის გამაწვრილებლად ჭრიჭინებდა. ცარიელი, მორყეული სკამები ხტუნავდნენ, თითქოს ფეხზე წამოდგომა უნდათ და არ უშვებენო.

მესამე რიგში ბეღურასავით მობუზული ქალი იჯდა. მძღოლმა ჯერ სარკეში შეათვალიერა, მერე გაბრიელს ცერი აუწია — რაც კარგია, კარგიაო.

ეჰ, ბრმა კი არა ვარო! — გაუღიმა გაბრიელმა და ღრმა ნაფაზი ჩაახვია.

პაპიროსის ბოლს ქალმა უკმაყოფილოდ გახედა.

„მავნე ჩვევაა, მაგრამ, რა ვქნა, ქალბატონო“, — გაბრიელი ვარდისფერპომადიან, აბზუებულ ტუჩებს ჩააშტერდა, მერე ნიკაპს და მოხდილი შალიდან თეთრად გამონათებულ ყელს ჩააყოლა მზერა, არც წინა სკამის საზურგეზე ჩაფრენილი ფუმფუღა, ბეჭდიანი ხელები გამორჩენია. ეტყობოდა, რომ მათ პატრონს არც პური გამოეცხო და არც სიმინდი დაეცეხვა, კოხტები იყვნენ, შაქარივით ტკბილები, მხოლოდ მოსაფერებლად გაჩენილები.

„გამებუტა, — თვალი მოარიდა გაბრიელმა. — პირი მაინც გამეპარსა... გაიპარსავდი თორემ მაშინვე შემოგაფრინდებოდა!.. არა, მარტო არ უნდა გაუშვა. რა იცის მაგის ქმარმა, რამდენ გულსა ჰკლავს. დასვას სახლში და შეირგოს, სხვებს რაღას აგიჟებს!“ — მოუვიდა ვიღაცაზე გული, მერე ის ვიღაცაც წარმოიდგინა, ისიც კოხტა, სწორად გათლილი, ქალაქური ყაიდის, თავაზიანი და კიდევ უფრო მოუხეშავი, საცოდავი ეჩვენა საკუთარი თავი.

„გაუმაძღარია კაცის გული, იქნებ ამის ქმარი სულაც სხვისკენ იყურება“, — ისევ გააპარა მზერა და არყით მოდუნებულ მუხლებში სასიამოვნო სისუსტე იგრძნო.

ქალი კვლავ უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

„ყურებასაც მიშლი, შე დალოცვილო!“ — გაბრაზდა გაბრიელი და თვითონაც ზუზრი აქცია.

აღმართში ძლივს მიფოფხავდა ავტობუსი. არხამდე ვერ მიაღწია, ერთ-

ხელ კიდეე მოიქნია კუდი, მოცურდა, უკანა თვლებით გზისპირა ორმოში ჩაჯდა.

დაბლა რომ ჩავიდნენ, ისევე ყურებში ედგა ქალის შეკივლების ხმა.

— სოფლამდე ვერ ავაღწევთ! — ხელი ჯავრიანად ჩაიქნია მძღოლმა.

— მაშ ჩვენ რა ვქნათ?

— ზემოთ უარესი იქნება. ქვიშა მანც დაეყარათ...

მანქანიდან მოკლეტარიანი ნიჩაბი ჩამოიტანა. გამოაცალა ყინული, აუჩიჩქნა, ეგეც საბურავმა პირი მოიკიდოსო. აბღუვლა, ატორტმანა ავტობუსი.

„წვავალ, თორემ დამღიმდება“, — გაიფიქრა გაბრიელმა, მაგრამ ქალის შეშინებულმა სახემ გული მოუბრუნა.

— გააჩერე! — დაუძახა მძღოლს.

ახლა თვითონ დაავლო ნიჩაბს ხელი...

დაბამბული ქურთუკი უშლიდა, გიახადა, თოვლზე მიგდებას აპირებდა. ქალმა ჩამოართვა და მკლავზე გადაიკიდა. გაბრიელი ამითაც ბედნიერი იყო — მისი გახუნებული, პაპიროსით აქოთებული ქურთუკი მიეუწვდომელ და სათაყვანო ქალს ეჭირა.

ისეთი ღონე იგრძნო, კუნთები დაასკდებოდა, ძალა რომ არ გამოეშვა.

ებრძოდა ქვასავით ყინულს, ბარის პირით კეპავდა, ნაწილ-ნაწილ გამოჭერდა, ხვეტავდა თოვლს და ეგორა, მხარი რომ შეედგა ამხელა მანქანას ციმციმ ამოიტანდა.

— აბა, დაქოქე! — დაარჭო ნიჩაბი და გაოფლიანებულ შუბლზე სახელო მოისვა.

— არ შეგაცივდეთ! — ქურთუკი მოასხა ქალმა.

— რა შემაციებს, შეჩვეული ვარ, ქალბატონო!.. მარჯვნივ აიღე, მარჯვნივ! — იმიტომ დაუძახა, რომ მღელვარება დაეფარა.

ავტობუსი გზაზე გასწორდა.

— დაბრუნდებით უკან? — უფრო ქალს ჰკითხა მძღოლმა და თან დაუფარავი ინტერესით მიაჩერდა.

გაბრიელს გული მოუვიდა, — ერთს წვავრტყამ და ვეღარც ადგებაო.

— როგორ თუ უკან?

— ზემოთ უარესია, ჯაჭვები, ბუნაგი მეკნდეს... აბრძანდით!

— თქვენ? — მოხედა ქალმა გაბრიელს.

— სამი კილომეტრი არც იქნება...

ქალი დაფიქრდა.

— აქამდე მოვსულვარ და... მეც რომ გამოგყვეთ!..

— ნება თქვენია...

— ჩქარა რა, გადაწყვიტეთ!..

გაბრიელმა ხელჩანთა ჩამოუტანა...

ქალმა შალის ბოლოები კეფასთან გაინასკვა და გაუდგნენ გზას.

სწრაფად ბინდდებოდა. ნისლი მგზავრების საპირისპიროდ მოცურავდა.

— ვისთან მიბრძანდებით?

— ბაიდოშვილებთან!

— რომელთან?

— ფრიდონთან!

— ჰო, ვიცი, ვიცი!.. შორეულები კი არა ვართ, ჩემი შვილის ნათლიაა.

წისქვილთან სამანქანო გვერდით მოიტოვეს. გაბრიელმა გადაუხვია, თორემ ქალმა რა იცოდა, მაგრამ გაუკვალავს რომ დაადგნენ, შეფიქრიანდა.

— მგონი გზას აცცდით.

— მოკლეზე მივდივართ, ამ ბექს გადავივლით და სოფელიც გამოჩნდება.

— ნადირს არ გადავეყაროთ! — ისე უთხრა, აგრძნობინა, ცოტა შენიც კი მეშინიაო.

მიხვდა გაბრიელი, მორიდებული ღიმილით შეხედა, — აბა, ეგ როგორ იფიქრეო.

ქალმაც გაუგო.

— რა გაეწყობა, წავიდეთ!

ღონიერი, გრძელი ნაბიჯებით მიაბოტებდა, მიკვალავდა თოვლს და ბეჭებზე მიბჯენილი მზერა მუგუზალივით სწვავდა, გაურბოდა ძვლების მომდუნებელ სიმხურვალეს, იმ პატარა, ფუმფულა ხელის შეხება ენატრებოდა, ჯი-

ბეში რომ მალავდა სიცივით ათრთოლებული ქალი.

„რა ჭირად ავიკიდე, დამედო თავი და წავსულიყავ... რაღა დროს ჩემი ესეთება... თოკზე არ უნდა ჩამოჰკიდო ამის ქმარი თუ სხვისკენ იყურება?.. ვაი, დედასა!.“

— დავიღალე, ვეღარ გეწევით!

ქალი კარგა მანძილზე ჩამორჩენოდა.

„გამოგაბენტერა ღმერთმა... დადე თავი ხამი კამეჩივით!“

დაელოდა. მოახლოებულმა წაიფორხილა, ჩაჯდა თოვლში, ის ფუმფული ხელი ჯიბიდან ამოაძვრინა და გაუწოდა, მომეხმარეო.

მსუბუქად ამოიტაცა, ამოაფრინა.

ქალს ძალა ესიამოვნა, მადლიერმა შეაწანათა თვალები და გაცინებული თამამად გაუჩერდა, შეაცქერდა გადმოხრილ კაცს, რომელიც ცოტაც და, ზედ გადმოემხობოდა, დაიტანდა, ამ თეთრ, კამკამა სიცილში ჩაიძირებოდა.

შეკრთა ქალი, მსხვილ, ჯანიან თითებში მომწყვდეული ხელი გამოსტაცა.

— წავიდეთ!

— ჰო, წავიდეთ! — გამოერკვა გაბრიელი. — სუსტები ხართ ქალაქელი ქალები... ერთი ჩვენები ნახე, საქონელიო, ბაღ-ვენახიო, ოჯახიო...

— მე ნამდვილად ვერ გავუძლებდი.

— აკი გითხარით, სუსტები ხართ-მეთქი.

ვინ ჩაიხედავდა გაბრიელის გულში, თორემ ეს სისუსტე ერჩივნა. ჰმ, სუსტი ეძახე და მგელივით კი გაუშეშკისერი, მოღუნა, ღვედივით დაიხვია.

სასაფლაოზე გავიდნენ.

აყრილ-ავებულმა ჯვრებმა, სამლოცველომ, ვეებერთელა, დაბარდნილმა კაკალმა ქალს გული გადაუტრიალა. წამოეწია და გვერდში ამოუდგა, ინსტინქტურად მკლავში ჩააფრინდა, ჩაებღაუჭა, როგორც ერთადერთ იმედს გარდაცვლილებისა და შემზარავი მიუსაფრობის საუფლოში.

ქალს შიშმა გაბრიელი მოამხიარულა:

— აქ პაპაჩემი მარხია, — ფეხი წაჰკრა ნახეკრად მიწაში ჩაფლულ ქვას, — იქით ბებიაჩემი. მოსწყვიტეთ ... ლაღმა წოლა, ამოძგერილნი ... ან ქვებზე და დამიძახებენ: გაბრიელ, ამოდი, ქვეყნის ამბები გვითხარიო.

ამოუვარდები სახრით, დაგერევი, ისევ უკან ჩავრეკავ, ჯერ მეორედ მოსვლა არ დაწყებულა, თავამოყოფილი არ დაგინახოთ-მეთქი... ხან კიდეც....

შორიახლო ბეწვისამშლელი ყმუილი გაისმა. ქალს მოეჩვენა, რომ ორმა ბრიალა თვალმა სამლოცველოს შემოურბინა და სადაცაა ზურგიდან ეცემოდა.

შეჰკივლა, თითქოს სამალავს ეძებსო, ჩაუძვრა გადახსნილ ჭურთუკში, შეეყუჟა აკანკალებული.

გაბრიელიც შეკრთა, ჯოხი მაინც მეჭიროსო, მაგრამ მკერდზე ქალის აჩქარებული სუნთქვა იგრძნო თუ არა, ეგეთი გული მიეცა, მგელი რომ გამოჩენილიყო, იქით გამოენთებოდა შესაჭმელად.

— ნუ გეშინია... ნადირი თვითონ უფრთხის ადამიანს... — ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მკლავების მოხვევას ვერ ბედავდა. იცოდა, მერე ვეღარ გაუშვებდა, ვეღარ... არადა, ილეოდა, სადაცაა გაწყდებოდა ძაფი.

— ჰე-ჰეე!.. — დაიძახა ძლიერი, ბოხი ხმით, მაგრამ მოწანწალე ტყიურის კი არა, უფრო საკუთარი თავის დასაფრთხობად. — ჰე-ჰეე! — აწყნარებდა სხეულში გაღვიძებულ, მშიერ აფთარს... არადა, როგორ უნდოდა, გამოეხსნა კეფასთან გაწასკვული თავშალი, დაეყნოსა ქალის კისერი, ჩაეყო თავი და მწყურვალივით შეესრუტა ჯადოქრული სითბო. მერე აეტაცა და ძვირფასი ტვირთით გულის გასკდომამდე ერბინა...

ქალი გამოერკვა. მიხვდა, რომ მკერდზე კი არა, გახურებულ გრდემლზე ედო თავი, სწრაფად მოსცილდა, ახლა უკვე თვითონ დაწინაურდა.

გაბრიელის ოხვრა ფეხებში გამოედო და ლამის წაეკცია...

— ღმერთო, რა გადავიტანე! — შვე-

ბით ამოისუნთქა, როცა ორღობეში შევიდნენ.

შენ ჩემი იკითხეო! — უნდოდა ეთქვა გაბრიელს, მაგრამ ამის ნაცვლად თოვლს დასწვდა, მომუჭა და გაკვირვებულ სახეზე მოისვა.

ს ი ზ მ ა რ ი

ყველაფერი ისე დაიწყო როგორც ზღაპარში: არ ვიცი საიდან მოვდივარ ანდა საით მივიჩქარი. მაღლა ჩაბნელებული ცაა, დაბლა თოვლით გასპეტაკებული მიდამო. არც მთები მეცნობა და არც მინდვრები. სადღაც, ყინულქვეშ წყალი მილიკლიკებს, თანამგზავრივით მებაასება და მიხარია, რომ ამ ყიამეთში მარტო არა ვარ.

მივბიჯავ თვალებგაფაციცებული, — ეგებ განათებული წერტილი მაინც დავინახო სადმე.

ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა, ლამპის მკრთალი შუქით გაბრწყინებული სარკმელი.

მივედი. მორიდებით შევიხედე.

ოთახში ქალი და კაცია, ორივე თავჩაღუნული საქმიანობს: კაცს საქალამნე ტყავი გამოჰყავს, ქალი ნაქარ ხილს ჩირავს.

ფრთხილად მივუკაკუნე. ერთდროულად ამომხედეს. თურმე რას მერიდება, პაპაჩემი და ბებიაჩემია!

შევედი. მიყურებენ რას ვეტყვი, მაგრამ სიხარულისგან ენადაბმული ხმას ვერ ვიღებ...

ჩვენი ძველი სახლი... აკი დავანგრიეთ, თუკი რამ გვქონდა და ეზოში გავიტანეთ სამი ტახტი, ლოგინი, დაფუტურებული შიფონერი, ზანდუკი, კიდობანი, ჯამ-ჭურჭელი, ჩამოვხსენით ფარდაგები, სურათები, ლურსმნებზე ჩამოკონწიალებული ტანსაცმელი და კირით შეთეთრებულ კედლებს მივდექით...

ყველაფერი თავის ადგილზეა, ლამპის შუშაც კი ისეა გაბოლილი, როგორიც მახსოვს.

თან მიხარია, თან გონს ვერ ვიკრებ.

— საიდან მოდიხარ?

— არ ვიცი! — მხრებს ვიჩეჩავ.

— კაცმა უნდა იცოდეს, საიდან მოდის! — პაპაჩემი გალეულ სალესავს ჯამში ასველებს.

— შენ შემაბი ყინულის ფეხი! — მსაყვედურობს ბებიაჩემი.

— არ მახსოვს! — მრეგაჩერდი გაკვირვებული.

— საიდან, გეხსომება, მაშინ აკვანში იწექი და. მარტო ტირილი იცოდი.

— მერე?

— გაიღვიძებდი ღამით, აღნავლდებოდი. გამოვყოფდი ლოგინიდან ფეხს და გარწევდი და გარწევდი... მცოდა, მეყინებოდა ფეხი, მგრამ არ ჩერდებოდი და, რა მექნა. მას მერე ყინულის ფეხი მაქვს.

— შენ რაღაზე მემდური? — მივუბრუნდი პაპაჩემს.

— ერთხელ სარდაფში ჩამოხვედი. ხილს ვარჩევდი. აიღე ვაშლი და ვიდრე ჩაკბეჩდი, გითხარი, ეგ საღია, კიდევ გაძლებს, ჯერ ის შეჭამე, რომელიც ფუჭდება-მეთქი.

ვაშლი მომიდგე და გავარდი გაბუსხული, გეგონა, დამენინა.

მომიკვდა გული, ბავშვს რატომ ვაწყენინე-მეთქი. ავარჩიე საუკეთესო ვაშლები და გამოგეკიდე, — სულ შენთვის არ მინდა, გამომართვი! — გეხვეწე, გევედრე.

არ შეისმინე, გაკერპდი, აეკარი კედელს და დამალე ზურგს უკან ხელები. ბოლოს დაგიჩოქე, ჩაგიხუტე და ვერც კი შეამჩნიე ხალათზე ცრემლი რომ შეგაწმინდე...

— მეგონა, გაგიხარდებოდათ ჩემი

ვანო ჩხიკვაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახვა! — ჩავყურებ ჯამს პაპაჩემი ქლიბს რომ ასველებს და თანდათან დიდდება ჯამი, იწმინდება წყალი...

დილასისხამია.

გომურიდან ცხენი გამოვიყვანეთ და ორთვალაში შევაბით. ბიძაჩემებმა წინა ღამით, საბაზრედ გამზადებული სამი ყუთი მოიტანეს. ორთვალას უკანა კოფო ახსნეს და მორიგეობით შედგეს.

პაპაჩემიც გამობრძანდა, პირგაპარსული, ოდნავ გვერდით მოქცეული ნაბდის ქუდით. შვენის ჯიბეებიანი თეთრი ხალათი, წელზე შემოკრული, ვერცხლით გაწყობილ ქამარს რომ შეუნაოჭვები.

— ძაან კი გამოეწყე, — იცინის ბებიაჩემი. ეტყობა, მოსწონს. — ამილაზვართან ხო არ მიდიხარ სტუმრად, ბაზარში არ უნდა იდგე?

— მილეთის ხალხი ირევა, იქნებ შენნაირ უკბილოს სხვასაც მოვეწონო, — მოკალთდა კოფოზე.

— გაქრი, ვითომ ხუმრობ...

— ამოდი! — დამიძახა და მეც გვერდით მოვუსკუდი.

— თავმძიმე მოვა, უკან გადაჯექი... ბებიაჩემი ჭილზე ხელჩავლებული მოგვყვება.

— მაშინდელივით ჩალის ფასად არ გადაყარო. სულ დარჩეულია... თვალი არ მოაცილო, ათასი მათხოვარი დადის... ნუ იჩქარებ, კვირაა, ქალაქელები უფრო შუადღით მოაწყდებიან...

— გაბრუნდი, გავიგე!

— ფული არ გადააყოლო ან არ ამოგაცალონ... შენც ყურადღებით იყავი, შვილო.

— ვინმეს ეგონება, დიდ სიმდიდრეს ატანსო.

— ზღვა კოვზით დაილიაო, ნელ-ნელა თუ არ შევაქუჩეთ...

ბოგირთან ჩამოგვრჩა. ერთხანს კიდევ გვიყურა და გაბრუნდა...

მოხრეშილიდან ასფალტზე გადავედით. ასწია ცხენმა დახრილი თავი და გაგვაქანა.

— აქ სულ ტრიალი მინდვრები იყო. ზამთარში, ღამით, რამდენჯერ მგელსაც გადავწყდომივარ. მელიები ხო ყოველ ნაბიჯზე დასუნსულებდნენ.

— არ გეშინოდა?

— რო მშინებოდა, ღამით აღარ ვავლიდი. ერთხელ კი მაგრად შევფიქრიანდი.

წინიდან დაგვხვდა, ეტყობა, ძაან შეაწუხა შიმშილმა, ჯიქურ წამოვიდა ცხენზე. ცხენი აიყალყა, დაფრთხა, ლამის უნაგირიდან გადმომაგდო. გაგიეგებული გავარდა, გამიტაცა, ძლივს გავაჩერე.

— მგელი გამოგეკიდათ?

— ცხენმა რო ფეხები მაღლა შეყარა, თან მეც დავჭყიანელ და იმას უარესად შეეშინდა, თვალი ვერ შევასწარი, საით წავიდა... მერე რამდენჯერაც ამ ადგილზე გავივლიდით, ცხენი სულ კანკალებდა ხოლმე, შიში ვერ დაივიწყა... რამდენი დრო გავიდა, ჩამოსახლდა, გამრავლდა ხალხი, ეგრე თამამად მგელი რაღას შემოგბედავს.

შენ როცა მოხუცდები და მე აღარ ვიქნები, მაშინ ალბათ სულ სხვანაირი იქნება აქაურობა... ეჰ! — ოდნავ წამოიწია და ცხენს დაუწრუნწუნა...

ქალაქში შევხრიგინდით. კვირნაქის მხრიდან თავამოყოფილ მზეს გორის ციხის ქონგურები გაენათებინა.

ბაზართან შევჩერდით. მე ორთვალასთან დამტოვა, თვითონ ვიღაც მოიხმარა და ყუთები შეიტანეს.

ორთვალა და თოფრაკჩამოკიდებული ცხენი იქვე, ნათესავის ეზოში დავტოვეთ.

ნაშუადღევს წყალი დაალევინეთო, — დაუბარა მასპინძლებს და მივხედეთ ჩვენ საქმეს.

ჯერ ერთი ყუთი გავხსენით. ვიდრე ვაშლს დახლზე ამოვალაგებდი, თვითონ სასწორი და გირები მოიტანა.

დავდექით და ველოდებით მუშტარს.

პირველად გაპრანჭული ქალი მოვიდა: რა ღირს თქვენი ვაშლიო!

უთხრა პაპაჩემმა ფასი.

რას ამბობ, იქით უფრო იაფიაო.

მაშინ იქით მიბრძანდითო...

ჩვენს გვერდით წვერგაჯაგრული კა-

ცი დგას, იმასაც ვაშლი მოუტანია, თითოეულს წმენდს, აკრიალებს, ეპატიჟება მყიდველს:

— მოდი, გენაცვალე, მოდი, არ გაგიგია, „ფილის ვაშლი, გულის ბარდიო“, მოდი, როგორ გინდა!

ხან ამრეზით გადმოგვხედავს — ჩვენი სჯობია და იმიტომ.

მომრავლდა ხალხი, გაივსო ბაზარი, მაგრამ რად გინდა, ეძვირებათ, რამდენიმე კილო ძლივს გავყიდეთ.

— ეგრე ჩვენი სიქმე არ გამოვა, — თვალი ჩამაკრა პაპაჩემმა. — ძმაკაცები მყავს სანახავი.

დაუკლო, და დაგვიდგა რიგი.

წვერგაჯაგრული აბუზღუნდა: შე მამაცხონებულო, თვალში ნაცარს გვაყრი, მეც უნდა გავიიფო, სხვამაც და ბაზრის ფასი დაეცემაო.

ამის ასე და ისე, თავს ხო არ შევაკლავ. შენ ალბათ გაცალია და იდექი, რა გენაღვლებაო, — უპასუხა მხიარულად და მეორე ყუთი გახსნა...

გამხდარმა, თვალებზე ქუდჩამოფხატულმა კაცმა ჩაგვიარა.

— ერთი ამას უყურე!... ისაკ! — დაუძახა პაპაჩემმა.

მოგვხედა, სიჩვენებელი თითით „აეკირტო“ ოდნავ მაღლა ასწია და დაგვაკვირდა.

დიდის ამბით „ჩაედრასტენე.“

— ზურგიდან გიცანი, შე ღმერთძალო, სად დაიკარგე, ვიფიქრე, ხომ არ მოკვდა-მეთქი.

ისაკას დაშმუშნილი სახე ღიმილმა გაუხსნა.

— შენი და ჩემი დამაწყეკარი მოკვდეს, დაგენაცვლე... საწვრილმანო აღარ დამაკვს და თქვენკენ ველარ მოვხედი.

— გეტყობა ბევრი იშოვე, რახან წანწალს მოეშვი.

— რამე რო მეშოვა, ასე ვივლიდი? — დაიხედა შელანძღულ ტანსაცმელზე.

— თქვენსას რას გაიგებს კაცი.

— რამე ხო არ გინდოდა, ჩემი თავი რამ გაგახსენა? — გადაუსხვაფერა საუბრის თემა.

— შენი კარგად ყოფნა, ისაკ! ფერი, დედაკაცი ჩიოდა, რაც ისაკამ ფეხი ამოიკვეთა, მახათი ვეღარ ვიშოვეო. მეც კაი სასხლავი დანა მჭირდება.

ისაკამ მიიხედ-მოიხედა, გულის ჯიბიდან ნაირნაირი ნემსებით სავსე ყუთი ამოაძვრინა.

— რამდენი გინდა?

— სამი, ოთხი... რა ვიცი.

— დანასაც ბიჭებში გავიკითხავ და ბალე მოგიტან! — ყუთი ჩაიდო და ხალხში გაძვრა-გამოძვრა...

მოხუცი ქალი და პატარა გოგო მოვიდნენ. გოგო ჩემი ტოლია, ბანტიანი, კოხტა. ისე მომანათა თვალები, შემრცხვა და დახლქვეშ შევძვერი. ფიცრის ღრიჭოდან ვხედავდი, როგორ ცმუკავ- და ადგილზე.

— წავიდნენ, გამოდი! — შემომძახა პაპაჩემმა. — რათ დაიმორცხვე, ჰა? „ამას ხომ ვერფერს გამოაპარებ“, — აწითლებულმა თავი ჩავდუნე.

— ეე, ბებრებო, ხალხს ველარა სცნობთ!.. თქვენ გეუბნებით!

— ვაჰ, გიორგა, შენ და დახლი, მანდ რა გინდა, ბიჭო!

„ბიჭოო, ჰმ! რაღა დროს ამათ ბიჭობაა!..“

— „ბებრებოო“ და იმიტომ არ მოვიხედეთ, ჩვენ როგორ გვაკადრებდნენო.

ჩაეხვივნენ. მოფერებით გული იჯერეს.

— ესენი ჩემი ძმაკაცებია, კოლა და ნიკო, ეს კიდევ — ჩემი შვილიშვილი!

— რომლისა?

— გოგოსი!

— დრო როგორ გადის, ასე მგონია, გუშინ გაათხოვე.

— გაიზარდე, შვილო! — გადმოხრილებმა მორიგეობით შუბლზე მაკოცეს.

— ჯანზე როგორა ხართ.

ვანო ჩხეიძეაძე
მოთხრობები

— რა გვიშავს, სამ ლიტრამდე ავდივართ და...

— ცალ-ცალკე თუ ორივე ერთად.

— ორივე, ცალ-ცალკე სადღა შეგვიძლია, — თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს.

— გოლა როგორ არის,

— ეჰ, რაღაა მაგის ყოფნა! — უპასუხა ნიკომ და სახე მოუნაღვლიანდა.

— რა მოხდა!

— გოლა ხომ დაბრმავდა.

— რას ამბობ, ადამიანო! — შეიცხადა პაპაჩემმა.

— მაშ, ამ გაზაფხულს აქეთია... სულ წაერთვა თვალისჩინი... ახლაც იმასთან მივდივართ. რაღაცები ვიყიდეთ... ჩავსხდებით, ცოტას გავამიჯარულებთ.

— შენც რო წამოხვიდოდე, გაუხარდება, მაგრამ ხომ არ მიატოვებ... — დახედა კოლამ ვაშლს.

— ვერ მივატოვებ, რას მიქვია... ნახვას ისედაც ვაპირებდი... ჩემო ძმაო, — მიუბრუნდა წვერგაჯაგრულს. — რამდენ ხანს იქნება.

— საღამომდე ფეხს ვერ მოვიცვლი,

— როგორც გაიყიდოს, გაუშვი. მოვალ და შენი პატივისცემა ჩემზე იყოს, — წინსაფარი შეიხსნა — თუ ძაან დავაგვიანე, ნუ დამზარდები, აგერ, პიროდპირ, ბაზრიდან გახვალ თუ არა, ხუთ ნომერში ნათესავებია და რასაც აიღებ, იმათ დაუტოვე... ჩემი წაუსვლელობა არ იქნება, თორემ არ შეგაწუხებდი.

— წადი, მაინც ვდგევარ და...

— ჰო, შენი ჭირიმე... ნიკო, ჩანთას გაუწი პირი! — ვაშლით გაავსო — ებრაელი ისაკა სასხლავ დანას მოიტანს და ყურადღებით იყავი.

კარგი, — თვი დაუქნია წვერგაჯაგრულმა...

— რითი შეგიამხანაგდეთ?

— ყველაფერი ნაყიდი გვაქვს.

— ღვინო?

— გოლა მკვდარი რო იყოს, ღვინოს გამოიღევს?.. ბიჭებიც თავისნაირი ყოჩაღები გამოადგა.

— ექიმები რას ამბობენ?

— ეგენი ხო მკითხავები არიან. ერთმა თქვა, ოპერაცია უნდა გაიკეთოსო, მეორემ — მაინც არაფერს ვერ ეშველებაო, ნუ დატანჯავთო, რას გაჯავრებ.

— ვაჰ, კაცო, გოლა და სიბრმავე?— ხელები გაშალა პაპაჩემმა.

ბილიკს დავადექით. ხელმარცხნივ, გორის ცხენი, მარჯვნივ — ერთმანეთს მიწყობილი, ნაირნაირი ზომისა და ფორმის ფარღალალა სახლები, მოიცქნული ეზოებით. ერთი დიდი ქვა რომ დაგორდეს, მთელ უბანს წაიღებს.

ნეტა ის გოგო სად ცხოვრობს, გაღმა თუ გამოღმა. ეგებ სულაც აქვეა, თუნდაც აღმოსავლეთიდან სახლში...

ციხეს შემოვუარეთ, ბილიკი დაბლა დაეშვა და ქვაფენილიან ქუჩას შეუერთდა.

მოშვებულ ონკანთან სახედაკოფილები, წითელთმიანი ბავშვები წუწოობდნენ. იქვე, ლაფში ღორი იწვა და მსუქან კისერს ძღიავს ატრიალებდა...

ორსართულიანი სახლის ეზოში შეედით.

თუთის ძირში კაცი იჯდა. კარის ჭრიალზე მოგვეხედა, უეზროდ მოგვაჩერდა. მივხედეთ, რომ ეს იყო გოლა.

ბრმაა და თვალები უხელია. თუ უხელია, რატომ ვერ ხედავს!“— გამიკვირდა

— რომლები ხართ!

— ჩვენა ვართ. მე და კოლა! — შენ ჩუმათო, ანიშნა პაპაჩემს, რომელსაც მღელვარებისაგან სახე გაფითრებოდა.

— კიდევ მესამეა თქვენთან!

— აკი ვერ ვხედავო? — გაეხუმრა ნიკო და ჩანთა მაკიდაზე შემოდგა

— გამარჯობა, გოლა! — ხმა გაებზარა პაპაჩემს.

— გიორგა! — იცნო, გაშლილი ხელები ჰაერში გაასავსავა და მოეხვია, — ასე უნდა დავიწყება?.. რათ იცრემლები!.. რას იზამ, ეტყობა ჩემი სანანახავი უკვე ენახე...

პაპაჩემმა ახლოს მიმიყვანა. გოლამ ხელით „დამათვალიერა“ — დამყვა თავიდან და ბოლოს შემბანჯღარა.

— ჭიდაობა იცი?

— ვიცი!

— ჰოდა, ჩემს შვილიშვილს დაგაჭიდებ!

რას დაინახავს, რომელი მოვერევითმეთქი, — გავიფიქრე და განზე გავდექი, შემკრთალი გავეცალე „თვალახელილ ბრმას“.

●

საღამო ხანი იყო მასპინძლებს რომ გამოვეთხოვეთ.

— მე და გოლა „პლენში“ ერთად ვიყავით, ეხლა არა, ადრე რო ჩხუბი მოხდა, მაშინ... კაცი გაჭირვებაში გამოიცნობაო, რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი, კი შეღერებული ვაჟკაცი იყო, შვილივით მივლიდა... ვაჰ, გოლა, ამას იფიქრებდი?..

წვერგაჯაგრული კაცი ბაზარში აღარ დაგვხვდა, ჩვენს ადგილზე სხვები იდგნენ.

ნათესავებთან მივედით.

მთელი დღე სახლში ვართ, არც არავინ მოსულა და არც არაფერი დაუტოვიაო.

პაპაჩემი შეცბა.

ცხენი შევაბით და მაინც დაველოდეთ, ეგებ საყიდლებზეა მაღაზიაში და მოვიდესო...

ბაზარი იკეტებოდა გზას რომ დავადექით. რაღა იყო საეჭვო, მოგვატყუა, პირში ჩალა გამოგვავლო.

ნახევარი გზა ხმა არ გაუცია, გულმოსული მიერეკებოდა ცხენს.

— სახელი მაინც მეკითხა... შენ ალბათ, ფიქრობ, ფულის დაკარგვა ეწყინაო, — გოლას ჭირის სანაცვლო იყოს, გულსატკენი სხვა რამეა, ...ალბათ თვალებში შევყურებდი და მოგატყუყუა!..

არ ვიცი ან მე გამოვთაყვანდი, ანდა ქვეყანას რაღაც უბედურება ემართებაა... სად გაიზარდა, ასე ვინ მოწყმლა... გესმის, ბიჭო, — შემობრუნდა კოფოზე. — კაცი რო გენდობა, არ უღალატო, ღალატი ყველაზე დიდი ცოდვაა. ცოდვიანი კაცის ქონებისთვისაც მიმიფურთხებია და სიცოცხლისათვისაც.

მე ეგრე არ მიცხოვრია, არა, შენ ნუ მომიკვდები. არც მამაჩემს, არც იმის მამას... მაშ გოლა ბრმა უნდა იყოს და ზოგი ნამუსზე ხელღებული... ფუი, დაიქცა შენი სამართალი!..

ტირიფონის ველს ბინდი დაეცა.

მესმოდა ცხენის აჩქარებული ფეხის ხმა.

ზურგიდან შევყურებდი ჭაღარით განათებულ პაპაჩემის კეფას და მიხაროდა რომ იმ წვერჯაგარას შვილიშვილი არ ვიყავი...

●

თითქოს სიზმარში გამეღვიძა.

კაპ, კაპ... ჯამში ჩემი ცრემლი წვეთავს. მახსენდება რომ აღარც ძველი სახლია და აღარც ესენი. „მორჩა, წავიდა, უკან ვერაფერს დავაბრუნებ“, — ვფიქრობ და ვტირი.

გაიცსო, გალიცლიდა ჯამი...

ნარმენივით მოქანცულს მეღვიძება. სველ ბალიშს გაოგნებული დავყურებ და უნებურად პირჯვარს ვისახავ.

თ ქ ლ ა

ქორწილის მეორე დღეა. ეზო ქაღალდით არის მოფენილი. ღობეზე აუყუდებიათ ფიცრები და გრძელი სკამები, თოკზე გადაუკიდიათ დალაქავებული სუფრები.

აქოთებულ ფაშს ბუზი ეხვევა...

ეურეკლით დაზვინულ მაგიდასთან ქალები ტრიალებენ. ჯოხს დაყრდნობილი მოხუცებული მზისგულზე ზის და კრუხივით ფხიზლობს, თვალს ადევნებს, ვინმემ სული არ წაიყმიდოს, ხელს რამე არ გააყოლოს. მართალიც არის, შინაური თუ გარეული ერთმანეთს ფეხებში ედება, მიდი-მოდის, არ-

ჩევს, ახარისხებს. ყურადღება უნდა, ზოგი ეგეთი ხელმრუდია, თვალიდან წამწამს გამოგაცლის. მეტი რა უნახავს თავისი გრძელი წუთისოფელის მანძილზე.

— „ზაკუსკის“ ორი კიდეკ იყო... ჰო, ეგენი, ყვაილებიანი!

— ეგ ტოლჩები კიდეკ ნუცასია.

— პირწაუტეხილიცა?

— მაგდენი კი ალარ მახსოვს! — ჩაფიქრდა დიასახლისი.

—დათვალე, შვილო, დათვალე. ასი თვალი გქონდეს...

— გავიგე, რამდენჯერ უნდა მითხრა, ქალო! — დაუტია დედამთილს, — შენი ხმის ჩაწყვიტა კი ვნახე, აჰა! — ზურგი შეაქცია და ქალები ერთმანეთს მიაწყდნენ სიცილით, — ამის „კამანდირობისაგან“ ვეღარ დავისვენე...

— ჩვენც დავბერდებით, ზინა...

— ასეთი თუ ეიქნები, ღმერთმა ნურც დამაბეროს... დეევს მუდოსავით და პასტა-პასტებს ისვრის... ისეც ფეხზე ძლივს ვდგევარ, წვეთი არ მიძინია.

— სამაგიეროდ სიძეც კარგი შემოგვიდათ და ხალხსაც დიდი პატივი ეცით.

— კარგი, კარგი! — კვერი დაუკრა მეორემ.

— ჩემი გოგო რა, ნაკლებია? როგორ უნდა შევეჩვიო უმისობას! — ყალბად წაუცრემლა ზინამ.

— გოგო უნდა გაფრინდესო... აბა, კოქლი კოწოს შემყურედ ხო არ დატოვებდი.

— მიწა მაგას დაეყარა!.. მოსვლა მაინც როგორ გაბედა?

— ეგეთი გაშავებული იჯდა. კიდევ კარგი, არ აურია.

— აურევდა და... თავის თავს ვეღარ ხედავს ხალხი. მაგ დაფეხვილის ტოლი იყო? — თვალები დააბრიალა ზინამ და ახუტებული თეფშები წაიღო.

— წუწკები, ვითომ არ ეოხროთ, ნეფიონი იიშალა თუ არა, სუფრა ცარიელი დარჩა.

— მაშა, მაშა, ნახევარი დეკეული ხელუხლებელი უდევთ! — ეკითხებოდა ნეს ქალებმა.

— დანა-ჩანგალი დათვალეთ, ჩვენი სამი დუქინია! — რძალი გაიგულა თუ არა, ისევ გასცა ბრძანება დედამთილმა.

— ამაზეა ნათქვამი, გამიშვით, გარბიანო.

— ზინა კი არ ტყუის, ისეთი შხამიანი ენის პატრონია, ხუთი თვის ორსულს მუცელს წაუხდენს.

ქალებმა ჭორაობა შეწყვიტეს, ღიმილით მიესალმნენ უძინარ, სახედასიებულ ოჯახის მამას.

ნანემ სარდაფიდან ღვინის ბოცა ამოიტანა, წყალი ჩაასხა, ღონივრად გაჯანჭყარა და რუში ჩაავლია.

უცებ მზენაკბენ ჰაერში დოლის მოგუდული დგაგუგი გაისმა.

„დაპრა-დუპრა, დუპარ-დუპარ... დაპრა-დუპარ, დაპრა-დაპრა...“ — სისხლის ამამღვრევლად ძგრება ყურში.

ნანემ მზეს ხელი მოუჩრდილა და ხმის მიმართულებით გაიხედა...

გზა მოკლეზე გადავეკვრი. გავირბინე პამიდვრის, წიწაკის, კომბოსტოს ჩითილით მოფენილი ბაღჩები და ფშანზე, კამკამა წყალს ორი ბებერი მურყანი რომ გადაფოფრებია, იქ გავჩნდი, მაგრამ მოქეიფენი უფრო ზემოთ, ყანის განაპირას, თელასთან იყვნენ.

ხმაჩახლეჩილი კოქლი-კოწო მოჩვენებასავით აჰყუდებოდა ხეს.

წუკნა-შალიკოს ზურნა დამწვრისას ზუზუნებდა.

— შენ გაგიმარჯოს, ჩემო ბედისაგან დაჩაგრულო! — დოლი გადადო გოჭი-ვასომ.

კოწომ კბილები დააკრაჭუნა, დაჰყვა ზემოდან და აწყვეტილი ხალათის ღილები აქეთ-იქით გაცვივდა. გაცვივდა და აჯაგრული მკერდი შავ ფუღეროსავით გამოუჩნდა.

— ეგეთები არ იყოს! — სცადა შალიკომ ღილების მოგროვება.

— მოეშვი!.. მე ისეთი რამე დავკარგე... გამიგეთ რა, ხალხი არ ხართ...

მოეშვით-მეთქი, ღილები რაღა ჩემ ფეხებად მინდა!

— „ვაი რა დავკარგე, ძვირფასი განძი!“ — მთლად ცეცხლი წაუკიდა გოჯი-ვასომ.

— ეგრე, შენი ჯირიმე, ეგრე, დამწვით, დამდაგეთ. დღეს ჩემგან ფერფლი უნდა დარჩეს, ფერფლი!

— „ვაიწვას შენი დამწველი!

— იმაზე ცუდი არ თქვა, შალიკო! — მუქარაგარეული ვედრებით დაუქნია თითი, — ამან დამღუპა, ამან! — კოჭლ ფეხზე დაიკრა ხელი და ჩაჯდა, მუხლებამდე ჩაჰკიდა თავი — განა არ ვიცოდი? ვიცოდი, მაგრამ გული იხერია, ვერ დააჯერებ!..

კოწომ ახლოა შემნიშნა:

— მოიწი, ბიჭო, სიყვარულის პანაშვიდია, მოიწი, ჭიკა მაინც წაუქცეე, შე ღმერთმაღლო, შენ!

დოქს გამობერილ მუცელზე ღვინო ჩამოეწვეთა და შავად შეაშრა.

ცოტა მოვწრუპე. მჟავეა, მჟავე, რომ... ნეტა რა ასმევთ-მეთქი — გავიფიქრე.

წუკნა-შალიკომ პურის ნატეხს ყველი დაადო და გამომიწოდა. ხათრით გამოვართვი, თორემ გაზეთზე ერთმანეთში აზელილი საჭმელი მაინცდამაინც გულმისასვლელად ვერ გამოიყურებოდა.

— ჩვენ ხო გვყავს მშობლები? — იკითხა ვასომ.

— გვყავს, მარტო კოწოა მამით ობოლი, მაგრამ...

— ჰოდა, გაუმარჯოთ, მამაშენს კიდევაა, იმ ქვეყანაში ნათელი დაედგას!

— ჩაიჭერი, ჩაიჭერი! — წამოვარდა კოწო, — სიყვარულისა თქვი, სიყვარულისა!.. სხვა სადღეგრძელო ამ სუფრაზე არ გავიგო...

— ეე, შენ მაგრად გაუტიე!

— თქვენ რა გიჭირთ, ლამაზები ხართ!

— ჩვენა ვართ ლამაზები? — სიცილით ჩაბკირდა წუკნა-შალიკო, — ეგ რა წამოგცდა. ჩვენზე ჟანგიანი კიდევ დადის ვინმე?

— სიარულისას ვინც არ კორიკობს ჩემსავითა, ყველა ლამაზია. ასეც ლამაზია გვერდით რომ უჯდა ჩაგლესტუკებული, ბედნიერი... ბავშვობიან ხატვით შეგვყურებდი, შეგბაროდი... მოვიდა უცებ, უშვალებლად. — ერთი თეთრი ღამე რო არ ახსოვს მაგ გოგოს სახელზე, — მოვიდა და წაიყვანა. იმიტომ რო ლამაზია, გამართული დადის... ოჰ, მაგის, ოჰ, თქვენი... ლამაზებოო! — ყამირს დაემხო, მოფხოჭნა, ფესვიანად ამოაყოლა ბალახი, — გათხოვდა, გათხოვდა!.. ისე წავიდა, უკან ერთი არ მოიხედა!

ძლივს წამოვაყენეთ, დავსვით, ხალათის ბოლოთი გაქლეტილ ცხვირზე აკრული მიწა გავაცალეთ...

ხმა გავარდა, კოჭლი-კოწო დამთვრალა და თელასთან ნანეს გოგოს მისტირისო.

ლამის მთელი სოფელი გამოეფინა.

დგანან ფშანის პირზე, შეჰყურებენ სამ გადარეულს, მთვარეულივით რომ დაბორიალობენ და იცინიან, აქილიკებენ კოწოს უიმედო, ცალმხრივ სიყვარულს.

— ჯორსაც რამე დაალევინეთ, ბიჭოო, ეგეც შეყვარებულია!

ჯორი იქვე ძოვს, ათამაშებს აბზეკილ, სახელგანთქმულ ყურებს, ხანდახან ბუზანკალნაკბენი შეხტება, გაჰყრის ტლინკებს და ყელმოღერებული დიდხანს ფრუტუნებს.

— აჰყე, გოჯი-ვასო, ბანი მიეცი, ბანი!

— ფეთხუმებო, მზემ არ დაგკრათ, მზემა!

— წუკნა-შალიკო, რას ეწვალები მაგ გამხდარი ყბებითა, მომე ერთს ჩავბერავ და მთელი კვირა იწუწუნებს.

ორივენი იღიმებიან, უაზროდ, სიმთვრალისაგან პირმორღვეულები, მარტო კოწოა ბოღმით გაჭვარტლული, პაპიროსს ქაჩავს და „ლოცვა-კურთხევას“ უგზავნის მოსეირეებს.

სახემოქურუნებული ნანეც გამოჩნდა. უკან ცოლი მოჰყვებოდა წიოკით და ხელების შლით.

ცოლი შორიახლო გაჩერდა, ნანე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკვნილად თავდაღუნული ბუღასავით ამოვარდა.

— დაგვილიე, ნანე! — ჰიქა შეაგება გოჟი-ვასომ.

— გაიწი იქით! — ხელი აუკრა და ჩამჯდარ, ჩვარივით მოშვებულ კოწოს წაადგა: — ბიჭო, ქლიბიტარივით რო გაეკ კისერი, აღარ მოისვენებ?

— რა გინდა! — ნამწვს ნეკით ფერ-ფლი გააცალა კოწომ.

— მაინცდამაინც ჩემი წერა გინდა გახდე, რათ უტეხ სახელსა, ჰა?

— წადი, ნანე, შენი გზით წადი!.. ხოში მაქ და ვქეიფობ.

— სახელს რათ უტეხავ-მეთქი!

— სახელის გატეხვა რო მდომებოდა, ამ თელაზე როცა მყავდა ლასტივით აკრული...

— ვინა, ჩლახო!

— ვინა და შენი გოგო!

ნანემ მკლავებზე ჩამოკონწიალებული დამკვრელები მოიწყვიტა და კოწო ცარიელ ტომარასავით აიტაცა.

გულგახეთქილმა თვალები დავხუჭე...

— თქვას რო მოუგონა, თორემ!..

ნანეს მთელი სოფელი იქერდა, გაზეთზე გაშლილი საქმელი უარესად აიზილა.

— მოიცა ახლა, ამის ქკუისა ხდები?

— არა, თქვაას, თქვაას!.. — სახედასისხლიანებულ კოწოს მაინც მიაწვდინა ფეხსაცმლის წვერი და ფერდში უთავაზა.

— რაზე ეკვლევინები ამ დათვსა, შე ოჯახქორო, მოვუგონე-თქო, და მოგეშვება!

— უთხარი, კაცო... აი, გაგაქვავა მაღალმა ღმერთმა!

წამოდგა კოწო, გაღიმებული ორ ნაბიჯზე გაუჩერდა.

— გამოუშვით და ვეტყვი.

— ვეტყვიო, ნანე. გაჩერდი ახლა, დაწყნარდი, მოგიხდის ბოდიშსა!

კოწო არ ჩქარობდა, ჯერ შეჯგუფულ ხალხს გადაავლო მზერა, მერე საშუადღეოდან გადახრილ მზეს მოუშუტა თვალი და თითქოს იმას ეკითხებაო:

— მაშ ვთქვაა?

— ამოშაქრე დროზე!.. — ... მეუშტა თითები ნანეს.

— ესენი თუ დაახრამავა გამჩენმა, შენ ხომ მაინც იცი, ღმერთო, — ობლობაში ვარ გაზრდილი. დიდი სიხარულით მე არ გაგინებივრებივარ... ერთადერთი ტკბილი წუთი მახსოვს და უნდათ იმაზეც უარი მათქმევინონ.

იმ ღამაზ მთვარიანში, ნიავი ჯეჯილს მკლავზე რო იწვენდა, მაშინ ამ თელასთან არ გვითხარი, კოკლიცა და საღ-სალამათიც ყველა თანასწორები ხართ, მოეხვიეთ და დატკბით ერთმანეთითაო? დალოცვილო, შენ სურვილს ვინ წაუვა! ვაკოცე და დამიტრიალდა დედამიწა. აკი გითხარი, ბედნიერებას შეუჩვევხელ ვარ-მეთქი.

რას მერჩოდი, ან ეგ წუთი რათ გამოიმეტე, კუნაპეტ ღამეში, ერთადერთი ვარსკვლავივითა და თუ გამოიმეტე, ამ კაცს რა უნდა, ღმერთის ბოძებულს რათ მართმევს...

ნანემ წაიწია, მაგრამ კოწოს ცრემლით დალორთხილმა სახემ შეაჩერა. საყელოზე. წავლებული მარჯვენა დაუშვა, გაოგნებულმა თავი გადაადენა.

— გამაგებინე, გიჟი ხარ თუ ჭკვიანი!

— გიჟი ვარ, ნანე, გიჟი! — ქანდაკებადქცეულ, წამით დანაღვლიანებულ სახეებს თავდახრილმა ჩაუარა. შემოხეული ხალათი გაიხადა, დაკუნქა, იღლიაში ამოიდო და დაღმართს ბარბაცით დაჰყვა.

— მაინც გაუტეხა სახელი! — ლოყაზე ხელი შემოირტყა ცოლმა.

— გაჩუმდი, ქალო! — შეუღრინა ნანემ.

გულმოსული დასწვდა წაყირავებულ დოქს და თელას შეამტვრია.

●

შუაღამისას გაწვიმდა. ქუხილი აზრიალებდა ფანჯრებს. გამთენიის ხანს ერთხელ კიდევ გავარდა მჭახედ, თითქოს ცა და დედამიწა ერთმანეთს შეა-

სკდაო და ჩაწყნარდა, ისევ პირდაბანილმა მზემ დახედა სოფელს.

— ვიღაც ხელგასახმობს თელა მოუჭრია, ნავთი გადაუსხამს და ცეცხლი მიუციათ! — ლაპარაკობდნენ წყაროსთან ქალები.

ბავშვები სანახავად გავიქეცით.

თელის ძირი შორიდან დანგრეული ნიშივით ჩანდა.

კოწო ჩვენზე ადრე მისულიყო, ჰირისუფალივით დაჰყურებდა დალეწილ-დანახშირებულ ტოტებს.

თითქოს დანშაულზე წასასწრეს, დაბნეულმა მოგვხედა:

— სიცხეში თავს მაინც შეაფარებდა კაცი!..

მოტიტვლებული მინდორი ჭერჩაქცეულ ნასახლარს ჰგავდა, უცებ რომ დაინგრა და კოჭლი-კოწოს ერთადერთი ტკბილი წუთი ქვეშ მოიყოლა.

ᲔᲥᲣ

გინდ დაიჯერე, გინდ-არა, თვალებს დავხუჭავ და მესმის, როგორც წვიმაღალი ცხენების ფლოქვების თქარათქური, შეწყობილი, რიტმული... ვდგავარ გარდასული წვიმის ექოში. ვსეელდები, მამცივნებს, ხელის ცახცახით ვეძებ ასანთს, ვიჩხრეკ ჯიბეებს. ბოლოს მივაგენი კიდეც...

მაშხალის შუქზე ვხედავ როგორ გარბის, გარბის ულასრულო ოავდავიწყებით, გარბის, მაგრამ მაინც ჩემთან არის, ჩემს სულში წვიმს, ჩემს ტკივილს უფერებს, ტკივილს, რომელიც თვითონვე გაღვიძა.

●

სამი დღეა წვიმს, ჭორიკანა დედაკაცივით ერთი და იგივეს ბეჭანებს. გინდა თუ არა, ყური უნდა უგდო.

— ჩამოიქეცა მაინც! — ბრაზობს პაპაჩემი და სველი ბალახი ბოსელში შემოაქვს.

უგუნებოდ გახლავთ ჩვენი ფურდედო, ზმუის, უგემურად იცოხნება. აუსვამს ქვამარილს ენას და მოგხედავს შიშჩამდგარი თვალებით.

— ქალო, ქალო. ქვეყნის თვალო... გულნაქცევთა ხარ? — ეფერება პაპაჩემი. — ცოტაც მოითმინე. უნდა გაუძლო, აბა, როგორ გინდა!... ამ პატარა, გაღნაპულმა დედაკაცმა ექესი გაიჩინა, მაგრამ ხო ხედავ, რა ყოჩაღად არის.

— ბავშვს მაინც მოერიდე. — თვრამეტი წლის გოგოს სიმორცხვით ეღიმება ბებიაჩემს.

— მოსარიდალი რა ვთქვი... ისე, რო რამე იყოს, მეშვიდეს არ გაგორებდი?

— სუ-მეთქი, კაცო... გაწყდა შენი ქოქი! — ახლა კი მართლა გაბრაზდა, — წადი, შვილო, ამისგან კარგს ვერაფერს გიიგებ.

გამოვასუფთავეთ, მოვკრიალეთ იქაურობა და მეზობელმაც შემოყო თავი.

— რამდენი გეძახეთ. ბოსელში გადმოსახლდით?

— შემო, სანდრა!

— აღარ გადაიღო ამ უპატრონომ! — ქუდი მოიხადა და რამდენჯერმე დაიქნია.

სანდრას ძაღლი შემოჰყვა, ისიც გალუმპული. გაძაგძაგა, წვეთები გაიყრეგინა და სველი ბანლის სუნი დადგა.

— ქადი, ნეტა შენ რაღას მომდევ! — დაუტია პატრონმა — რას აპირებ, არ მოდიხარ?

— აბა, როგორ, მოსალოგინებელია ფურდედო.

— წადი, კაცო, ჩვენ ვერ მოვგებინებთ?

— თქვენა! თქვენ რა სანდოები ხართ, მე რო არ გყავდეთ, წყალი არ წაგიღებთ.

— თუ შეჯეკი, ვიღა გადმოგიყვანს! — ზურგი აქცია გულხელდაკრეფილმა ბებიაჩემმა.

— კაცს ერთხელ აქვს ქორწილი და, უხერხულია. გულით გთხოვა. კარგი ვქაქოთ, კარგი ვსვათ, ამალამ ჩემ ბიუთან მოვისვენოთ...

— არა, სანდრა, ყურადღება უნდა. ამათ რო ჩაეძინოთ...

— უხერხულია-მეთქი, თორემ, შენ იცი შენი საქმისა.

— ბოდიში მომხადე. სხვა დროს მოგილოცავთ კიდეც და საჩუქარიც ჩემზეა-თქო.

— ჰო, კარგი, კარგი...

ფურდეღო დაწვა. დიდხანს ვერ ძლებს ფეხზე.

კარი გამოვიხურეთ. პაპაჩემმა ძველ, დაფხაკებულ საწვიმარქვეშ შემოფარა და ეზო ჭყაპაჭყუპით გავიარეთ...

კიდევ კარგი ხანს იქოთქოთა ბებიაჩემმა, — თავს სასაცილოდ იხდი, მთელი ნათესაობა იქ იქნება, ვისაც შენ არ ყეგხარ, იმათსას ვერც საქონელს მოუგია და ვერც ქათამი მოქცეულაო.

მერე ლუტაკა:

— უცაბ გამოიცვალე, ეგებ ჯერ არ წასულან, ჰა?.. კი ქიშმირის საკაბე მაქვს, გაგიხვევ და...

ალარ მოუსვენა, აედევნა, გული გაუწვრილა.

— ისე ატყდი, რამეს გამომტყუებ, იცოდე!

— რაღა უნდა გამოგტყუო, ჩამომადენე და ჩამომაბერე.

— არც მაშინ ეთამაშებოდი ვარსკვლავებსა.

— არა, მაშ არა? — გაწიწმატდა ბებიაჩემი. — თავს ვინ იკლავდა, მე თუ შენა? — გამეხებული თვალებიდან სულ ნაპერწკლები გადმოყარა. — კაცს კაცზე ვინ აეზავნიდა, ვინა-მეთქი, თქვი!

— ჭკუა სადა მჭონდა თორემ, როგორც თაფლს ბუზები, ეგრე მეხვეოდნენ.

— ოი, ღმერთო, ღმერთო, შენ მაინც როგორ უსმენ, ჩაექვავე მაინც! — ისე შეკღაღადა მამაზეცი, [illegible] ფიგურე, ნამდვილად ფეხ[illegible] პაჩემი-მეთქი.

ის კი, ვითომც აქ არაფერიო, იცინის.

— რაც შენ გიწყევლივარ, ერთი მაინც რო ამსდენოდა, აქამდე ჩემი ძვალიც არ იქნებოდა. დაყენდი, თავს რაზე იღლი, ხო ხედავ, არა სჯრის... მაგდენ ლაპარაკს, აჯობებდა რამე გეშმია!

— ცგცხლი, ცეცხლი ჭამე და ნავთი დაიყოლე!

— ბავშვი მაინც შეიბრალე... მოდი, შვილო, მოდა პაპასთანა! — მსუბუქად ამიტაცა და მუხლზე დამისვა...

დაღამდა. გაბუტული ბებიაჩემი ფანჯრასთან ზის და ქსოვს. მალიმალ დალიბრულ მინას შეხედავს, მსხვილი, ირიბად წამოსული წვიმა რომ ეხლება და ბუზღუნებს, ოღონდ ვერ გაიგებ ისევ პაპაჩემზე ბრაზობს თუ ამინდზე. ალბათ ერთზეც და მეორეზეც.

პაპაჩემმა ვედროთი წყალი შემოიტანა და გასაცხელებლად დადგა.

— დაიძინე, თვალები გებლიტება.

— გამხადე! — გადავწევი საწოლზე. ჩამიუხლა.

— შენ სულ გაზარმაცდი, აი?.. რა. მდენჯერ უნდა გითხრა, არ განსაკოთმეთქი! — ძლივს გამოხსნა ფეხსაცმლის ზონარი. — როგორ გაგციებია ფეხები... ამ ხეელ წინდაში მა რა მოგივიდოდა, — სიყვედურით გადახედა ბებიაჩემს, — შეგორდი! — ამიწია საბანი.

— წყალი მინდა!

— წყალიო! — გაიმეორა თვითონაც ბებიაჩემის გასაგონად. ჩამომჯდა, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი გადამიწია, — თუ არ გაგარეკე, ძაან გაგებურდა... წყალიო, ქალო!

— იცით წყლის გზა-კვალი.

— ბავშვს შენი მოტანილი ესიამოვნება.

— არც შენი მიტანილი აწყენს.

— საბოლოოდ აიღო ჩვენზე ხელი,

— სურა ჭიქაში ჩამოარაკრაკა. — მეც ავდგები და ახალ ბებიას მოგიყვან... აჰა, დალიე.

— ის არ იჩხუბებს?

— ჩხუბი რას მიქვია, სულ ფერაობაში ეყოლები.

— მაინც რო იჩხუბოს?

— ავდგეთ და ისიც გამოვცვალოთ... დაიძინე!

სადღაც თაგვი მიაგორებს კაკალს. მერე, კნაწ-კნუწ.. კნაწ-კნუწ... ქვიფობს თაგუნა. კატა გვყავდეს, ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

მოსკოვში

(ციკლიდან „მირგოროდის ლამეები“)

— სეხნია, სეხნია! — კაცმა, გრდემლზე ჩაქუჩს რომ არაკუნებდა, მუშაობა შეწყვიტა, განიერი კარის ზღურბლზე შედგა, ორივე ხელი გაშალა და კარის ჩარჩოს ისე ჩაავლო, თითქოს ვიღაც მოძალადეს გზა გადაუღობაო.

თორმეტიოდე წლის ბიჭი კი, ვისაც იგი უხმობდა, გზაზე ქაჯშეყრილივით გარბოდა.

— სეხნია! — ცდილობდა ხმაში სიმკაცრე ჩაექსოვა, მაგრამ ვერ ახერხებდა — აშკარად ეტყობოდა, ბიჭს ისეთი ნაბიჯი გადაედგა, ამ დროულ კაცს სიამოვნებდა.

დავითი მიხვდა, რომ უკვე ქართველთა ახალშენში იმყოფებოდა და გული !იამით აუძგერდა.

— ჰაიტ, შე ეშმაკის ფეხო, შენა!— უკვე სიცილით დაასრულა კაცმა და დავითისკენ მიიხედა.

— გამარჯობა, ქართველო — მიესალმა დავითი მხცოვან კაცს, გრძლად მოშვებული წვერ-ულვაში დარბაისელის შეხედულებას რომ სძენდა.

იგი უცნობ ახალგაზრდას ცნობისმოყვარედ უცქეროდა.

— ემერთმა გადღეგრძელოს, — მიუგო, ზღურბლიდან ჩამოვიდა და დავითისკენ გაემართა: — ვინა ხარ, ჯეელო, მგონი ჩვენი ამალისა არ უნდა იყო.

დავითმა ხელი გაუწოდა. კაცმა თავისი დაკოჟრილი, ხაოიანი ხელი მაგრად ჩამოართვა.

— თქვენი ამალისა არ გახლავართ, მართალს ბრძანებთ... — მიმოიხედა, იქაურობა თვალით მოჩხრიკა. კაცი მიხვდა, რასაც ეძებდა სტუმარი, სამჭედლოში შეავარდა და ჯორკო გამოუტარინა.

— დაბრძანდი.

დავითი დაჯდა, ზურგით სამჭედლოს გამჭვარტლულ კედელს მიეყრდნო.

— მგონი მოვედი... — ოხვრასავით წარმოთქვა.

— თუ ქართველთა დასახლება გინდოდა, მოსული ხარ.

— დიახ, თქვენ გეძებდით!.. — დავითმა აღგზნებული თვალები მიაპყრო მასპინძელს.

— ვინა ხარ-მეთქი, ჯეელო, და საიდან მოსულხარ?

— საგურამოელი დავით გურამიშვილი ვარ, ძია კაცო... ვახტანგ მეფის უერთგულესი თავადი — გიორგი გურამიშვილის უმცროსი ძეი... — სვენებ-სვენებით უთხრა დავითმა. — საიდან მოდიხარო, მეკითხები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

თვე ისე არ გაგიდოდა, მოსკოვში მყოფ ვახტანგ მეექვსის ამალას ორისამი კაცი მაინც არ შემატებოდა. ესენი იყვნენ სამშობლოდან გადმოხვეწილნი, თურქთა თუ ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილნი, რომელთაც მეფე იწყალებდა და დახმარების ხელს უწვდიდა.

— ლეკეთიდან მოვდივარ, ოსოეთიდან...

— ლეკეთში რა გინდოდა, ტყვეთ ხომ არ იყავ?

დავითმა თავი ნელა დაუქნია და ამწარედ გაიღიმა:

— დამეჭირეს, არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს...

— მერე? — კაცი ცნობისწადილად გადაქცეულიყო.

— გავეპარე, დამიჭირეს...

— ეჰ, ჩვენი ბედი... — მჭედელი დავითის გვერდით ჩაცუცქდა.

— მეორედ გამოვიქეცი და, როგორც იქნა, თქვენამდე მოვაღწიე. ვგონებ აწი არა მშავს რა, — დავითი კაცს გამომცდელად შეაცქერდა, ალბ. ამაზე რას მეტყვისო.

მასპინძელმა პასუხი დაუყოვნა.

— მართალი ხარ, აწი არა დაგიშავდება რა. საიმედო პატრონი გეყოლება, ოღონდ ამ ჩვენს პატრონსაც რომ უჭირს, იმას რა ეშველება, არ ვიცი... — გამოზოგებით უთხრა ბოლოს.

ზუსტად ხუთი წლის წინათ აიყარა ვახტანგ მეექვსე, პეტრე პირველის დასტურის მიღების შემდეგ და თავისი ამალითურთ რუსეთს გაემგზავრა. მალე მთელს ქართლში ხმა გავარდა, ჩვენს მეფეყოფილს პეტრე დიდ ჯარს შეპპირებია, დღეს-ხვალ დამრუნდება და თურქებს კუდით ქვას ასროლინებსო. მართალია, ვახტანგი ერთმორწმუნე მეფის ჯარითურთ არ ჩანდა, მაგრამ რწმენა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილად დაბრუნდებოდა და დუშმანს საკადრის პასუხს გასცემდა, ქართველთა შორის დღესაც სულდგმულობდა.

ამიტომ იყო, რომ დავითს არ ესიამოვნა მოხუცი მჭედლის ორჭოფული პასუხი.

— როგორ თუ უჭირს? — არ დაუმალავს თავისი გაოცება.

— უჭირს! — ღრმა რწმენით მიუგო მჭედელმა. — აგერ ხუთი წელიწადია აქა ვართ და პეტრე დიდი მხოლოდ დაპირებებით ჰკვებავს ჩვენს მეფეს. ჩემი ბნელი გონება ამოდენა საქმეს რას გასწვდება, მაგრამ მაინც გეტყვი, რასაც ვფიქრობ: რუსთ ხელმწიფეს ჩვენთვის არა სცალია, მას თავისი საქმეები აწუხებს. ხანდახან ასე მგონია, იმ მცირე ულუფასაც კი ძლივს იმეტებს, რაც მეფისა და მისი ამალის შესანახად არის საჭირო... — წამოდგა, დოინჯი შემოიყარა და ოხერით დაუმატა: — არ ვიცი, სანამ გაგრძელდება ასე, არ ვიცი...

დავითს გულზე ნაღველი შემოაწვა.

— იქ კი მეფის დაბრუნებას მზის ამოსვლასავით ელიან... — თითქმის თავისთვის წარმოთქვა დავითმა.

— ვიცი, რომ ელიან. ჩვენც სამშობლოსკენ გვიჭირავს თვალი, მაგრამ... — მჭედელმა სიტყვა არ დაასრულა თუმცა დავითი ისედაც მიუხვდა გულის პასუხს.

— ეს სამჭედლო თქვენია? — ჰკითხა დავითმა, საუბრის თემა რომ შეეცვალა.

— ქართველთა დასახლებისაა, მე კი მჭედელი ბაადურ ბიწაძე გახლავარ, — ხელი ისევ ჩამოართვა მასპინძელმა. — ერთი ეს მითხარი, აქ როგორღა მოგვგვანენ?

— ლეკეთიდან გამოქცეული თერგზე გადმოველ და რუსთა დასახლებაში მოვხვდი. ჩამაცვეს, დამახურეს და დამაპურეს. ოდნავ რომ მოვმჯობინდი, სოლაღს ჩამომიყვანეს, მერე კი აშ-

ნოდარ ხუნდაძე
მოსკოვში

თარხანს ჩავედი, ხოლო იქედან თქვენკენ გამოვეშურე.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ჩამოგიღწევია, — ბაადურმა დავითი თავით ფეხამდე აათვალ-ჩაათვალიერა. — ახლა სახლთუხუცესს მიგგვარი, ის კი მეფესთან წაგიყვანს. ასეთია წესი.

— დიდად დაგიმადლი, მაგრამ თუ არ გაგაცდენ, ჯერ ეკლესიაში წამიყვანე, მინდა ვილოცო, ღმერთს მადლი შევსწირო.

ბაადურმა სამჯედლო მაშინვე დაკეტა.

— მარტოკა მაინც ვერ ვიმუშავებ, ხომ დაინახე შეგირდი რომ გამექცა.

— სად გაიქცა? — გაეღიმა დავითს.

— აქვე ახლოს, ნიკოლსკის ქუჩაზე, რუსული სტამბაა. რაღაც საეშმაკოდ იქაური შეგირდები გაიცნო და დაუმეგობრდა. ღღეს ისე არ გაუშვებს, არ მიაკითხოს. კირკიტა ბიჭია...

— ვინ იცის, იქნებ ეს ძვირფასი ხელობა შეითვისოს, — სიტყვა ჩამოართვა დავითმა.

— იქაურმა ოსტატებმა მითხრეს, იმდენად ნიჭიერია, უკვე ჩვენს ბიჭებზე გაცილებით მეტი გაეგება სასტამბო საქმისაო.

●

სახლთუხუცესმა პირდაპირ გაეწამა — რით არ დაინტერესდა, რა არ გამოიძია და შუბლი მხოლოდ მაშინ გახსნა, როცა საბოლოოდ ყველაფერი დაწვრილებით გაიგო, როცა დარწმუნდა, რომ დავითი ნამდვილად საგურამოელი თავადის — გიორგი გურამიშვილის ვაჟი იყო.

— რამდენი ხანი დაჰყავი ტყვეობაში? — ჰკითხა ბოლოს.

— ოთხმოცდაშვიდი დღე, — მიიღო პასუხად.

— ახლა რას აპირებ? — სითბოჩამდგარი თვალები მიაპყრო სახლთუხუცესმა.

— მინდა მეფის ამალას შევუერთდე, თუ მირონცხებული ბატონიშვილი სამსახურში დავლიო სულ.

— სურვილს მამა ღმერთიც ვერ დაგიწუნებს, მაგრამ იცი თუ არა, რომ მას, ვინც ვახტანგის კაცად აღიარებს თავს, საქართველოსკენ მიმავალი გზა დახშული აქვს? — მის ხმაში დავითმა მკაცრი გაფრთხილება ამოიკითხა.

— კი მაგრამ... — დავითს ენა დაება, თუმცა სახლთუხუცესი მაინც მიუხვდა, რისი თქმაც ეწადა.

— შინ დაბრუნება ყველა ჩვენგანის ოცნებაა. ალბათ, გეცოდინება, რომ მეფეს ათას ორასამდე კაცი გამოჰყვა აქეთ. მათგან მხოლოდ რამდენიმე გარდაიცვალა. სხვები კი დღესვე სიამოვნებით აიკრავდნენ გუდა-ნაბადს და სამშობლოს გზას დაადგებოდნენ, მაგრამ არ შეუძლიათ.

— ვიცი...

— შენც ეგ დღე მოგელის, თუ განზრახვაზე ხელს არ აიღებ.

— ეგეც ვიცი, მაგრამ არც ის მეეჭვება, რომ დიდი ვახტანგი საწადელს ეწევა, ტახტს დაიბრუნებს და მამულში ლაღად ცხოვრების საშუალება მოგვეცემა.

— ჩვენც ეგ რწმენა გვასულდგმულებს, — ხმაში თრთოლვა შეეპარა სახლთუხუცესს.

მას მოეწონა ეს ტანწერწეტა, სულ ახლახან მწარე განსაცდელი რომ გადაეტანა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე და მამულიშვილური მგზნებარება ოდნავაც არ განელებოდა.

— წავიდეთ, მეფეს ვეახლოთ.

●

ცოდა.

დავითს გული გამალებით უცემდა.

თუმცა წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ მეფე შეიწყნარებდა და თავის ამალაში მიიღებდა, მაინც ღელავდა. და ეს გასაგებიც იყო — ღვთის ტოლა ადამიანს პირისპირ პირველად უნდა წარსდგომოდა.

სახლთუხუცესი თოკის ბოლოს მისწვდა და ზარი ჩამოჰკრა.

ჭიშკრის მახლობლად მდგომი ბუდრუგანიდან თოფიანი გუშაგი გამოვიდა.

— ვინა ხართ? — შორიდანვე იკითხა, მაგრამ, ეტყობა, სახლთუხუცესი იცნო, პასუხს აღარ დაელოდა, ჭიშკარი უმალ გააღო და მისულთ მისალმების ნიშნად მდაბლად დაუკრა თავი.

სახლთუხუცესი განიერი ნაბიჯებით მიაღწევდა სასახლისაკენ.

შეშფოთებული დავითი უკან უხმოდ მისდევდა.

ვახტანგი პირველად მაშინ ნახა, მეფე ამ მხარეში წამოსასვლელად რომ ემზადებოდა. გარკვევით ჩარჩა მეხსიერებაში შინაურთა ღალატით გაფთრებული მეფის მრისხანედ მოელვარე თვალები, კუშტად შეკრული შუბლი და ჩაფერფლილი სახე.

„ოდითგანვე ეგრე იყო, — დაბალი, დაბოღმილი ხმით ეუბნებოდა ვახტანგი გარსშემორტყმულ მხლეელთ, — ეგრე იყო... განა რამდენი შემთხვევა გვახსოვს, რომ სისხლით მოპოვებული გამარჯვება გამცემელთა ღალატით წაეგლიჯოს მოძალადის?! ქართველთა ისტორიამ უამრავი ამგვარი მაგალითი იცის შორეულ წარსულშიაც და არც თუ დიდი ხნის წინაც... დე, აგრე იყოს. ვნახოთ, რას მოიგებენ იუდას ნაშიერნი... ვნახოთ!..“

მეფემ ცხენს დეზი ჰკრა და წრე გაარღვია.

ხომ დამარცხებული იყო, დამარცხებული — ტახტწაგვრილი, პატივაყრილი, ჩორთით მიმავალ ცხენზე მაინც ამაყად იჯდა. წელში ლარივით გამართული ოდნავადაც არ ირხეოდა, თითქოს ცხენს შეზრდოდა.

მაშინ ვახტანგმა ცხინვალს მიაშურა თავის ნათესავებს.

დავითს ისიც კარგად ახსოვს, რომ ცხინვალს გახიზნულმა მეფემ ერთგული ხალხი თავისთან იხმო და დარბაზობა გამართა. ეს მოხდა 1724 წლის ზაფხულს. დარბაზობაზე ყოფილან დეღოფალი რუსუდანი, მეფის ძენი — ბაქარი, ვახუშტი და გიორგი, ნათესავნი, სამეფო კართან დაახლოებული სხვა დიდებულებიც. დარბაზობას დასწრებიან პეტრე პირველის რწმუნებული პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი, რომელსაც ხელმწიფისაგან დავალებული ჰქონდა ქართველთა და რუსთა შომმავალი ერთიანი ლაშქრობის შესახებ საჭირო მოლაპარაკების წარმოება ვახტანგ მეექვსესთან, აგრეთვე ქართველთა ელჩი რუსთ ხელმწიფის კარზე თურქესტანიშვილი. დარბაზობას დავითის მამა, ქართველი თავადი გიორგი გურამიშვილიც დასწრებია.

მაშინ დარბაზის ერი ორად გაიყო — ერთი ნაწილის აზრით, ქართლის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ თურქეთთან კავშირით იყო შესაძლებელი, მეორეთ კი მხსნელად რუსთხელმწიფე მიაჩნდათ. პოდპორუჩიკი ტოლსტოი და თურქესტანიშვილი ამტკიცებდნენ, კასპიისპირეთში რუსთა ჯარის გამოჩენა დღე-დღეზე მოსალოდნელიაო. მეფემ ამ უკანასკნელთა აზრს მიანიჭა უპირატესობა.

მერმე ის იყო, გულგატეხილი და ხელმოცარული მეფე თავისი დიდი ამალიითურთ რუსეთში გადმოიხვეწა.

და, აბა, გიორგი გურამიშვილის უმრწემესი ვაჟი ფეხდაფეხ მისდევს სახლთუხუცესს, რომელიც ფილაქანმოგებულ ბილიკზე განიერი ნაბიჯით მიალაჯებს. ბილიკი სოცარი სისწრაფით მოკლდება. სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯიც და თლილი ქვისაგან ნაგებ განიერ, რამდენიმესაფეხურიან კიბეს აივლიან და... და სადარბაზო შესასვლელში მიიმალებიან. იქ კი რა დაუხვდება, დავითმა არ იცის. არც შეუძლია წარმოიდგინოს, რადგან მეფეთა სასახლეში არასოდეს ყოფილა.

წინასწარ რომ სცოდნოდა, რას უქადდა ეს ამაღელვებელი წუთები, ალბათ, დაუფიქრებლად გატრიალდებოდა

ნოდარ ხუნდაძე
მოსკოვში

და კვლავ ტანჯვა-ვაებით აღსავსე გზას დაადგებოდა.

მაგრამ...

ერთხანს ვიწრო ტალანში მიაბიჯებდნენ. ნიშებში მბეჟუტავი სანთლები ოდნავ ანათებდა ჩაბნელებულ ტალანს. დავითს დაღვენთილი სანთლის სუნმა ნესტოებში შეუღიტინა და თავი ძლივს შეიკავა, რომ ცხვირი არ დაეცემინებინა.

უცებ სახლთუხუცესი შეჩერდა, მერმე მარცხნივ გაუხვია და ქანდაკებასავით გაჯგიმული მსახურს მოსასხამი და ქუდი გაუწოდა. მსახურმა გურამიშვილსაც ჩამოართვა ხიფთანი და ბოხოხი, დავითმა ასტრახანში რომ შეიძინა. მერმე მეორე სართულზე ამავალ კიბეს შეჰყვნენ. კიბის გალაქულ-გაპრიალებული საფეხურები გულისგამაშვრალებად ჭრიალებდნენ. მეორე სართულს აღმოსავლეთის მხარის კედელი მთლიანად მინისა იყო და გარედან შემოსულ სინათლეს მთელ სიგრძეზე გაჭიმული ტალანი გაეჩახჩახებინა. ტალნის ორივე მხარეს, საგანგებოდ დატოვებულ ნიშებში, ქანდაკებები გირჩდებულიყვნენ. დავითი ხარბად თვალიერებდა ამ დედაშობილ, [illegible] თვალებგადმოკარკლულ უძრავ ადამიანებს, რომელთა მსგავსი არსად ენახა.

— „მსახურთუხუცესი გეახლოთ“, — გაიგონა დავითმა მსახურის ხმა.

„მარტო?“ — ჰკითხა [illegible] ვილაცამ, ბოხი, ოდნავ [illegible]ხწინანი ხმა რომ ჰქონდა.

„ვილაც ჭაბუკი ახლავს“.

წამიერი დუმილი და ბოლოს:

„შემობრძანდნენ“. — თქვა იმავე ბოხი ხმის მქონემ.

მსახურმა კარი ფართოდ გააღო, სტუმრებს თავი ისევ მდაბლად დაუკრა და ხელით ანიშნა, მიბრძანდითო.

სახლთუხუცესის მოკრძალება უნებურად დავითსაც გადაედო, მღელვარება გაუოცოკცდა. უნდოდა ფეხ-ფეხ მაღლა ვერ აეწია, თვალი ვერ მოეწყვიტა მჭიდროდ ნაქსოვი, ჭრელ-ჭრელა ხალიჩებით მოფენილი [illegible]

მაღლა მხოლოდ მაშინ [illegible] ცა სახლთუხუცესი შეჩერდა, წელში ისე მოიხარა, შუბლით თითქმის იატაკს შეეხო და ტკბილი, დროული კაცისთვის შეუფერებლად კამკამა ხმით წარმოთქვა:

— ლეკთა ტყვეობიდან თავდაღწეული დავით გურამიშვილი გაახლეთ, დიდო მეფეო, — წამით დავითს მოხედა, რომელსაც მოეჩვენა, რომ სახლთუხუცესს ხმაშიაც ცვლილება დასტყობოდა. — გორური გურამიშვილის ძე! — მცირე ყოყმანის შემდეგ დაასრულა სახლთუხუცესმა და განზე გადგა.

დავითს ფეხები თავისთავად მოეკეცა. ორთავ მუხლზე ჩაიჩოქა და მორჩილად თავდახრილმა ერთხანს განძრევა ვერ მოახერხა.

— მომიახლოვდი ყმაწვილო! — თითქოს შორიდან მოესმა ის ბოხი, ხრინწგარეული ხმა. წელან რომ გაიგონა.

დავითი ოეჩქარებლად წამოდგა და თავიც მაშინღა ასწია.

მეფე უცქეროდა და კეთილად უღიმოდა.

დავითმა რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა წინ, ისევ მუხლებზე დაეცა, მეფის ძოწისფერი კაბის კალთას მისწვდა და ზედიზედ რამდენჯერმე ეამბორა.

ვახტანგმა ხელი ალერსით მოუთათუნა ბეჭზე.

— დაჯექ, — იქვე მდგომ მომცრო სავარძელზე მიუთითა.

დავითი დაჯდა და თვალი დარბაზს მოავლო.

ერთგან კედელზე საკმაოდ განიერი სპარსული ხალიჩა იყო გაკრული. ხალიჩაზე ხმალი, ლეკური, თოფი, დამბაჩა და ფარი ეკიდა. სხვა მხარეს მხცოვანი კაცის სურათი მიემგრეებინათ. კაცს გრძლად მოშვებული სპეტაკი თმა-წვერი, მაღალი, ოდნავ შეჭმუხვნილი შუბლი და დიდრონნი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა.

„დიდი სულხან-საბა!“ — გაიფიქრა დავითმა. არც კი შეუმჩნევია, რომ სუ-

ლხანის სახეს თვალი დიდხანს ვერ მოსწყვეტა.

ეტყობა, მეფემ შენიშნა, ახალგაზრდა გურამიშვილი სურათს ჩაეცინებით რომ უცქერიოდა, და ჰკითხა:

— იცანი?

დავითი უხერხულად შეიშმუშნა, მეფეს მოკრძალებით მიუგო:

— თქვენი გამდელი დიდი სულხანსაბა უნდა იყოს.

ვახტანგს კმაყოფილებით გაეღიმა:

— მართალი ხარ, ერთი იტალიელ ოსტატს დაეახატვინე.

ვახტანგმა პატივისცემის გამომხატველი მზერა გამდელს კიდევ ერთხელ შეავლო და დავითს მიუბრუნდა:

— აბა, ერთი მომიყევ, რა ამბებია ჩვენს ქვეყანაში, თავად რა გადაგხდენია და ჩვენთან როგორ მოხვდი?

—...ეკლესიები წაბილწეს, დიდო მეფეო, თქვენს მიერ გაყვანილი სარწყავი არხები გააუქმეს, ერთი სიტყვით, ცუდად არის ქართველთა საქმე, საშველი არსით ჩანს, თუკი... — თქვა დავითმა და დადუმდა.

დიახაც, ცუდად არის და ცუდადვე იქნება, თუკი საქმეში რუსთხელმწიფე არ ჩაერია და ვახტანგი ძლევამოსილი ჯარით თავის მამულს მხსნელად არ მოეგლინა.

აი, ამას ნიშნავდა ის მრავალწერტილი, დავითმა თავის ნათქვამს რომ დაუსვა. ეს კარგად უწყოდა მეფემ. ისიც იცოდა, რომ სამშობლოში დარჩენილი თითო-ოროლა ერთგული თავადი თუ გლეხი დღეშუადამ ვახტანგის დაბრუნებაზე ოცნებობდა. ვინ იცის, რა დღეში ჰყავს ახლა ისინი მოძალადეს.

თუმცა ურუმის სიძლიერე ამ ბოლო ხანს საგრძნობლად შერყეულა.

აკი ამას წინათ ბარძიმ არაგვის ერისთავის წიგნი მიიღო, სადაც სწორედ ეს არის ხაზგასმული.

„ფშავი და ხევსურეთი გაგვიერთდა, მე და შაწშეც ერთნი შევიქენით. თუ ახლა ქართლს მოეპატრონეთ, ისე თქვენია, როგორც ხელსახოცი გიდევთ ჯიბეში, ურუმი ისე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს. ორასი კაცი აღ არის ქართლში. მანამდე მე ეს ... ჭირავს, მობრძანდით, ხონთქარს, უნდა თქვენ შემოგეხვეწებათ, ეს ქვეყანაც მუქთად თქვენ დაგრჩებათ. თუ ახლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა თქვენგან“, — სწერდა ერთგული თავადი.

თუმცა ჰაიბარად აყრა და საქართველოსკენ გამგზავრება მეფეს არ შეუძლია. კარგად აქვს შეგნებული, რომ თვით სპარსეთსაც კი ურჩევნია სამუდამოდ დასთმოს მთელი საქართველო, ვინმემ მკლავმგბარი მეფე ჰყავდეს და ერთად შეკრულ ძლიერ სახელმწიფოს შეადგენდეს. ამიტომ ვახტანგი ვერ განიზიარებს თავისი სათაყვანებელი ძის — ბაქარის დაეინებულ მოთხოვნას, სამშობლოში დავბრუნდეთ, ჩვენს ხალხსა და ქვეყანას ვუპატრონოთო. განზრახვა კარგია, ღმერთმა უშველოს, მაგრამ ამას რომ ძალა სჭირდება, სადღაა?! სხვა რომ არაფერი, ისე ხანგრძლივ ამაოდ ხომ არ იყურყუტა რუსეთს, რაღაც ნაყოფი ხომ უნდა გამოიღოს ამდენმა ლოდინმა და ტანჯვა-ვაებამ!

ვახტანგი დავითს დააკვირდა.

დავითი ისეთი გულმდუღარებით უყვებოდა თავისი ქვეყნის ამბავს, მეფის დაკვირვებული მზერა არც კი შეუნიშნავს.

დიახ, ჭაბუკი გურამიშვილიც ჩახმახივით შემართულია, ისე გაფიცხებულა, მცირედი ნაპერწკალი კმარა, რომ მკათათვის ბეღელივით აბრიალდეს.

არც გაემტყუნება. ისეთი დღე გაუვლია, საქმეში რომ ჩავარდეს, მამულის მტერთან ბრძოლაში ათი კაცის ოდენს შეძლებს.

და ვინ მოსთვლის, რამდენი ასე შურისძიებით გულანთებული მამულიშვილი მოიძებნება საქართველოში, მაგრამ ვახტანგს მაინც დიდი წინდახედულება მართებს, გრძნობების აყოლა საქმეს არას არგებს, პირიქით...

ნოდარ ხუნდაძე
მოსკოვში

— დადგება დრო, — ოხვრასავით აღმოხდა მეფეს, — ყველას მისხლ-მისხალ მიეზღება დამსახურებისამებრ... დიახ, დამსახურებისამებრ... — მერმე ერთხანს იყუჩა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, სავარძლის სახელურს იდაყვით დაეყრდნო, — როგორც მითხრეს, ჩვენთან სამსახური გადაგიწყვეტია.

— დიახ, ხელმწიფეო! — თავი მდაბლად დახარა დავითმა.

ვახტანგმა სახლთუხუცესისაკენ იბრუნა პირი.

— ამ ჭაბუკს ჯაბადარბაშად ვნიშნავ. დაწერილებით გააცანი, რაც დღეიდან ევალება, და ყოველივე უბოძეთ, რაიც ეკუთვნის.

მეფე წამოდგა. დავითიც მაშინვე წამოიჭრა ფეხზე.

—ბმადლობთ, დიდო ხელმწიფეო, — თავი ისევ დახარა და მკერდზე ხელი მიიდო.

მეფე უცებ დავითისკენ მოტრიალდა.

— ამიერიდან ჩემი ამალის წევრი ხარ, — უთხრა და თავით-ფეხამდე ჩაათვალიერა. — საჭიროების ჟამს სხვებთან ერთად უნდა მეახლო.

— ბმადლობთ, მოწყალეო ხელმწიფეო.

მეფე გატრიალდა და კარის ფარდაჩამოფარებულ ჭრილში გაუჩინარდა.

სახლთუხუცესი და დავითი ფეხაკრეფით გამოვიდნენ დარბაზიდან.

●

დავითმა იცოდა, რას ნიშნავდა „ჯაბადარბაში“, თუმცა ის ვერ წარმოედგინა, რა უნდა ეკეთებინა. გულით ეწადა ამის ბოგება, მაგრამ თავი ნაძალადევად შეიკავა — სახლთუხუცესმა სულსწრაფობა არ დამწამოსო. ის კი ისევ პირში წყალდაგუბებული მიამბიჯებდა. კვლავ ბარდაქმნილიყო — წელში გამართული საკუთარი ღირსების ხაზგასმული მედიდურობით იცქირებოდა გარშემო.

სახლთუხუცესი ტალანის ბოლოს, მარცხენა მხარეს გამოღებულ კართან შეჩერდა. დავითიც შედგა და ოთახში შეიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ოთახის შუაგულში დადგებულ მაგიდას ოციოდე ქალიშვილი და რამდენიმე ბოგო-ბიჭი უჯდა.

— მიეც ელსაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები... თავდავიწყებით კითხულობდა თვალებმიბნეული ქალიშვილი, მას არც შეუწინშნავს, რომ კართან მამაკაცები შეჩერდნენ. ბავშვებმა კი დაინახეს სახლთუხუცესი და დავითი და მთელ ღიმილით დაიწყეს ცქერა.

— მიეცგზიან, მომიგონებენ, დამლოცავენ, მოვეგონებენ...

სახლთუხუცესმა ისარგებლა ქალიშვილის ყმირი პაუზით და სტროფი თვითონ ჩაათავა ბოლომდე.

ქალიშვილი შეცბა, სავსე, ჰუტკუნა ღაწვები წამოეგზნო, თვალები სოცარმა შუქმა გაუციცარკვნა. კეთილად გაიღიმა და მარცხენა ლოყაზე ოდნავ შესამჩნევი ღრმული გაუჩნდა.

წამოდგა, დაბნეულმა კაცებისკენ ორიოდე უნებლიე ნაბიჯი გადადგა.

— მობრძანდით... თქვა და ბრდღვიალა თვალები დავითს წამით შეანათა.

ცხადია, ვერ იცნო უცხო ახალგაზრდა კაცი და მის თვალებში ცნობისწადილმა უნებურად გამოჭონა.

ტანწერწეტა გოგო იყო. გიშრისფერი ნაწნავები თითქმის კოჭებამდე სცემდა. ქათქათა პირისკანი, თაფლისფერი თვალები მოკლე ცხვირი და ისეთი ლამაზი ტუჩ-პირი ჰქონდა, რომ გაოცებისაგან პირდაღებული დავითი ერთხანს მოჯადოებულივით მისჩერებოდა.

„ღმერთს ამ მშვენიერი არსებისთვის მოუცლია!“ — გაიფიქრა აღტაცებულმა.

— არა გვცალია, —ნაგვიანევად მიუგო სახლთუხუცესმა და ქალიშვილს ხელი აუქნია. — ყოჩაღად იყავ!.. — გატრიალდა და წავიდა. დავითი უხმოდ აედევნა, თვალი კი უკან დარჩა.

— ვინ არის ეს მშვენიერი ასული?

— მოკრძალებით ჰკითხა დავითმა, კარგა მანძილი რომ გაიარეს.

— ჩემი დისწულია, ვასილ ავალიშვილის ქალი, თინათინი ჰქვია, — მიუგო სახლთუხუცესმა და ქმაყოფილებით გაიღიმა. — დედოფალი წამითაც არ იშორებს. ახლა მეფის შვილიშვილებს უკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“.

თინათინი!

ამ სახელის გაგონებაზე დავითს წამით რეტი დაესხა. შეჩერდა, თვალები დახუჭა. ძლივს განაგრძო გზა.

ჰმ, რამდენი ხანია სხვისგან წარმოთქმული ეს სახელი არ გაუგონია. მხოლოდ თვითონ იმეორებდა წარამარა თავის გულში, უსიტყვოდ ეალერსებოდა, ელოლიავებოდა.

თინათინი.

ლამისყანელი გარაყანიძის ქალი — თინათინი.

დიდხანს ფარულად უყვარდათ ერთმანეთი, ბოლოს ძლივსძლივობით გამეტლავნეს ნამალვები სიყვარული. იმ ავად მოსაგონარ დღეებში ჯვარი უნდა დაეწერათ. მოსავლის აღებასაც ელოდნენ. მაგრამ... არ დასცალდათ ბედნიერება.

იმდღინდელი ამბავი ცხადად წარმოუდგა გონებაში, ან როდის არ ახსოვდა, სულ წინ ედგა თვალებანთებული, კბილებამდე შეიარაღებული ლეკები, წყაროზე ჩასულ უიარაღო დავითს რომ თავს დაესხნენ. თავდაპირველად საშველად ხალხის ხმობა ითაკილა. მტერს უთანასწორო ბრძოლა გაუმართა. ორი მათგანი მუშტით მოიგერია. რომელსაც ხელი უწია, მაშინვე მიწაზე დასცა. მერმე ქვის ასაღებად დაიხარა, მაგრამ აღარ აცალეს. სამი თუ ოთხი კაცი ერთბაშად დაასკდა თავს. წამოაქციეს, პირში ბაღდადი ჩაუტენეს, ხელ-ფეხი გაუკრეს და ცხენზე გადაჰკიდეს. ახლა ძალიან კი უნდოდა დაეყვირა, მიშველეთო, მაგრამ აღარ შეეძლო...

თითქმის ნახევარი წელიწადია თინათინს არაფერი იცის. ვერც თავისი ამბავი გაგებინა. როგორც კი დაბინავდება, მაშინვე უსტარს მისწერს, ბალ ახარებს.

ვინ იცის, რამდენი ცხარე ცრემლი ღვარა მასზე დარდით გულგასივებულმა ქალმა.

ისე მიელტვოდნენ ერთურთს, ისე სწყუროდათ სიახლოვე, ენით არ გამოითქმის, მაგრამ თავდავიწყებამდე წამითაც აო მისულან, ერთხელაც არ უკოცნიათ ერთმანეთისთვის.

დავითს ახლაც ენით გამოუთქმელ ტანჯვას აყენებს იმის შეგნება, რომ თინათინი მისგან შორს იმყოფება, ისე შორს, რომ ხმის მიწვდენაც კი გაუჭირდება.

იქნებ სჯობდეს, საერთოდ არ გაგებინოს, რომ ცოცხალია. შეიძლება თავად უკვე შეურიგდა იმ ამბრს, ჩემი საბედო ცოცხალი აღარ არისო?

არა, ეს შეუძლებელია. მიხვდებოდნენ, რომ დავითი ლეკებმა გაიტაცეს. ვინ იცის, იქნებ შუამავლებიც გაგზავნეს ოსოქოლოს მის გამოსახსნელად?

უნდა მისწეროს, დღესვე მისწერს უსტარს!

●

ფარდულივით გრძელ, წოწოლასახურავიან შენობას მიადგნენ.

სახლთუხუცესი შეჩერდა და დავითს მიუტრიალდა.

— ეს ჩვენი თოფხანაა. შენ მისი გამგებლობა მოგანდო მეფემ. ყოველნაირ იარაღს, რასაც მეფე მიიღებს, აქ შეინახავ და საჭიროების შემთხვევაში გასცემ. გასაგებია? — ჩაჰკითხა ბოლოს.

— დიახ, გასაგებია, ბატონო ჩემო.

— ჰეი, ვინა ხართ მანდ, კარი გაგვიღეთ! — დაიძახა სახლთუხუცესმა.

კარი იმწამსვე გაიღო და დავითმა ღრმად მოხუცებული, თმაწვერგათეთრებული კაცი დაინახა. ტანმორჩილი,

---

ნოდარ ხუნდაძე
მოსკოვში

ტანსაცმელშელანძღული ბერიკაცი საცოდავად იღიმებოდა.

— გამარჯობა, შიოლავ! — მიესალმა სახლთუხუცესი.

—ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო! — მკვირცხლად მიუგო ბერიკაცმა და წრიპლიანი თვალები ცხვირსახოცით ამოწმენდა.

— როგორა ხარ, რასა იქმ?

— არც ავად, არც კარგად, — იმავე სიმკვირცხლით მიუგო შიოლამ. — ბერიკაცის ამბავი რა საკითხავია.

— აი, ახალი ჯაბადარბაში მოგიყვანე, — ისე უთხრა სახლთუხუცესმა, აშკარად ეტყობოდა, შიოლას სიტყვებისთვის ყური არ დაუგდია.

— ბერიკაცი დავითს შეაცქერდა, გაუღიმა, თავი დაუკრა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება!..

— გმადლობთ, — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა დვითმა და მოხუცს ხელი გაუწოდა.

— შიოლა აქაურობის ერთგული დარაჯია, — აუხსნა დავითს სახლთუხუცესმა. — იქ, სამშობლოშიც მუდამ თოფხანაში ჰყავდა მეფეს...

სახლთუხუცესს სიტყვა გაუწყდა, რადგან ფარდულის სიღრმიდან ბავშვის წკრიალა ხმა მოისმა:

— პაპა, პა-პა! — გაიძახოდა ბიჭი. — მოვახვედრე, მოვახვედრე!.. ვაშა, მოვახვედრე!..

— ჩემი შვილიშვილია, — თქვა უხერხული ღიმილით შიოლამ და სტუმრებს ფარდულის სიღრმისკენ წაუძღვა.

იქ კი კედელზე ფიცრის სამიზნე იყო მიყუდებული. თორმეტიოდე წლის ბიჭი, სამიზნიდან თხუთმეტიოდი ნაბიჯის მოშორებით რომ იდგა, უცხო ხალხის დანახვამ ოდნავ შეაშფოთა. ერთბაშად მოიბუზა, სახეზე ნელნელა გაუქრა აღტაცების გამომხატველი ღიმილი.

— მანდედან მოახვედრე, ბიჭო? — ჰკითხა სახლთუხუცესმა.

ბიჭმა ხმა არ გასცა.

დავითმა იგი ყურადღებით შეათვალიერა და იცნო.

„სეხნია, მომაგვალი ასოთამწყობი სეხნია!“ — გაიფიქრა და ბიჭს „ბატონობ-ძის“ შეგირდი არ არის? — ჰკითხა შიოლას და ბიჭისკენ გაემართა.

— დიახ, მჭედლის შეგირდია, მაგრამ... — აზრი აღარ დაამთავრა შიოლამ, შვილიშვილისკენ თვითონაც წავიდა.

— ბაადურმა მითხრა, თვალი მესტამბეობაზე უჭირავსო, — სიტყვა ჩაურთო სახლთუხუცესმა.

— მართალია, — დაუდასტურა შიოლამ. — მჭედლობაც უცებ აითვისა, თოფს ისე ისვრის, გამოცდილი მონადირეც ვერ შეედრება. სტამბის ავანჩავანშიაც გარკვეულა. ახლა, აი, ეს აიტეხა — გინდა თუ არა, დანის მზანში მოხვედრება უნდა ვისწავლოო.

ბიჭმა პაპას გახედა და თავი ჩაჰკიდა.

— წერა-კითხვა იცი? — ჰკითხა უცებ დავითმა.

— ვიცი... — ჩაილუღლუღა შექეცით დარცხვენილმა სეხნიამ.

— თავისით ისწავლა... ლექსებსაც თხზავს... — პაპამ ბიჭს თავზე ალერსით გადაუსვა ხელი.

მართლა? — გაუხარდა დავითს.

კიო, თავი დაუქნია ბიჭმა.

— ხვალ ჩემთან გამოიარე და შენი ლექსები წამიკითხე. კარგი?

ბიჭმა უხმოდ გაიღიმა.

— მაშ ერთი პოეტიც გვეყოლება?.. — სახლთუხუცესმა სეხნიას თავზე გადაუსვა ხელი. — ქაღალდი გაქვთ?

— არა, ბატონო, ვინ მოგვაშავებდა? — ხელები უმწეოდ გაშალა შიოლამ.

— მე მოგაცემთ... — სახლთუხუცესმა დავითს გადახედა. — გამომყე, ახლავე გამოგატან.

დავითი გაახარა ამ დაპირებამ. რაც ამ ბოლო დროს ლექსები შეეთხზა, სულ ზეპირად ახსოვდა, მაგრამ ეშინოდა არ დავიწყებოდა და, რაკი ქაღალდი ექნებოდა, მაშინვე ჩაიწერდა ყოველ მათგანს.

ნიკოლოზ ზაბოლოცკი

მეგობრული მიმოწერები

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ერთ-ერთი ნათელი ფურცელია ნიკოლოზ ზაბოლოცკის მეგობრობა ქართველ პოეტებთან — ტიციან ტაბიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, გიორგი ლეონიძესთან. მკითხველს ვთავაზობთ ზაბოლოცკის რამდენიმე წერილის თარგმანს.

ძვირფასო სიმონ!

„იზვესტიიაზე" მთხოვა, თქვენი ლექსის — „ კახეთის შემოდგომა" თარგმანი ჩავაბარო არაუგვიანეს დღევანდელი დღისა. ჩამოვედი ცხრამეტში; ახე რომ, მუშაობისათვის დამრჩა ორი დღე-ღამე. თქვენ უკეთ იცით, რომ ახე ნაჩქარევი დედანი არ შეიძლება უნაკლო იყოს. ამიტომ, გაზეთში რომ წაიკითხავთ, არ გამოსაძღოთ: ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შეიძლებოდა. მერე საბოლოოდ დავამუშავეს.

ველოდები თქვენს წერილებსა და ბეჭარდებს. გამომგზავნეთ სრული ბეჭარედი შენიშვნებით. კარგი იქნება, თუ თქვენს ბეჭარედს შეამოწმებინებდით რუსული ენის კარგად მცოდნე თქვენს მეგობარს. თუ იშოვით თქვენს წიგნს რუსულ ენაზე, ძალიან გთხოვთ, გამომგზავნოთ.

თუ თქვენთან დღესასწაულზე ბაჟანი ჩამოკა, სთხოვეთ მომწეროს, რამდენ ხანს დარჩება საქართველოში და როდის ჩამოვა ლენინგრადში.

თქვენი „კახეთის შემოდგომა" შესანიშნავი ლექსია. ჩემს მეუღლესთან ერთად წავიკითხეთ და ვისიამოვნეთ ბეჭარედის მიხედვითაც.

იყავით ჯანმრთელად და სალამი გადაეცით მარიამ ნიკოლოზის ასულს. ველოდები წერილს.

1936 წლის 21 თებერვალი.

ლენინგრადი.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი

●

ძვირფასო სიმონ!

როგორც ხედავთ, „იზვესტიაში" ლექსები არ დაბეჭდილა. ამბობენ, რომ უკვე აწყობილია, მაგრამ უკანასკნელ მომენტში არ მოეწონთ ორი სტროფონი:

— И все то спешит она к разным
домашним работам,
И станом колышет, семейной заботы
полна.

თანამშრომელმა მოირბინა და მთხოვა სტროფის გადაკეთება ნახევარ საათში, თორემ გვიანდებოდა. ლექსის წერა შეუძლებელია, როცა თავზე გადგას ვინმე. ახე რომ, ვერ გადავაკეთებ. ბეჭარედის ეს ადგილი დღესაც გაუგებარია ჩემთვის. გახსოვთ, რამდენი ვიმტკრიეთ თავი?

გიგზავნით თარგმანის ხელნაწერს; საერთოდ, კარგი თარგმანია, ჩემი მეგობრებიც იწონებენ ჩემს აზრს. იგი დედანთან შესატყვისი თარგმანის ნიმუშია. ეს გამოწვეულია ორი მიზეზით: 1. ბეჭარედი ნათელი არ არის; 2. სუფთალი ენობრივად სრულყოფილი თარგმანი იყოს.

ძალიან გთხოვთ, აღნიშნოთ ეს ადგილები, დაურთოთ თქვენი ახსნა-განმარტებანი და გამომგზავნოთ. შეიძლება დაიბეჭდოს იმავე „იზვესტიაში" ცოტა მოგვიანებით.

როგორ ჩაიარა თქვენმა დღესასწაულმა?

ჩემი სალამი გადაეცით მარიამ ნიკოლოზის ასულს. მიიღო თუ არა ჩემი პირველი წერილი?

1936 წლის 1 მარტი.

ლენინგრადი.

ნ. ზაბოლოცკი

●

ძვირფასო სიმონ!

ახლახანს ჩამოვედი კიევიდან. დნეპრის ხანაიროზე ვიქირავე ავტომაკი და ოჯახი წავიყვანე. რამდენიმე ხანს ვცხოვრობდი ჩვენს ძვირფას მიკოლა ბაჟანთან. გახსენებდით და ვწუხდით. კიევში რომ არ ჩამოხვედით მაიხში, როგორც ვფიქრობდით.

ორი კვირის შემდეგ მივდივარ უკრაინაში და დავრჩები სექტემბრამდე. სექტემბერში ჩამოვალ თბილისში და ან, რა საქმეზე: დამავალეს რუსთაველის პოემის შემოსულებული თარგმანი და დამეშვება ბავშვებისათვის. დიდი და ხერხიანული სამუშაო. ბწკარედებს მივიღებ 8. ბავშვისაგან, მაგრამ აუცილებელია ვისუნჯო საქართველოს ჩაერთო და შევიგრძნო რუსთაველი მის სამშობლოში. თქვენთან, ალბათ, ხანი კვირა დავრჩები. ძალიან გთხოვთ, მაცნობოთ, იქნებით თუ არა ამ დროისათვის თბილისში, და ვნახავთ თუ არა. სიმარილე გითხრათ, ძალიან მინდა თქვენთან შეხვედრა: თქვენი ლექსის — „კახეთის შემოდგომა“ — ჩემი თარგმანი, რამდენადმე შესწორებული, იბეჭდება „ლიტერატურულ სოვრემენნიკში“. როგორც კი ნომერი გამოვა, მაშინვე გამოგიგზავნით.

გრიგოლ ორბელიანის ლექსების თარგმანი დაიბეჭდება „ზვიზდაში“ (№ 9). ველოდები თქვენს წერილს. მაცნობეთ, სად შეეხვედებით. იქნებით უკრაინაში?

ჩემი გულითადი სალამი გადაეცით მარიამ ნიკოლოზის ასულს. როდის ჩამოხვალთ ლენინგრადში?

თქვენი ნ. ზაბოლოცკი

1936 წლის 26 ივნისი.
ლენინგრადი.

ძვირფასო სიმონ! მშვიდობით დაგბრუნდი, ორ ქართველთან ერთად ვიმგზავრე და მთელი გზა ესეთი ხან ღვინო, ხან არაყი და ხან ლუდი. ჩამოსულისთანავე თავი მოვუყარე მეგობრებს და ეიქიფეთ. შეეხეთ თქვენი, მარიამ ნიკოლოზის ასულისა და სხვა ქართველი მეგობრების სადღეგრძელოები.

ამ თავგადასავლების მერე ჯერ კიდევ ბუფში ვარ და შექეიფიანებულმა სასწრაფოდ მინდა მოგწერო წერილი. თქვენი გულუხვი სტუმართმოყვარეობა თვალწინ მიდგას და ხელ მეეჭვნება, რომ დაგინახავთ თქვენ, მსუქანან ტიციანს, ლამაზ ალო მოსპუშელს, ერთად შევალთ ფულანში და კიდევ ერთხელ მოვისმენ „ციცინთელა“ და „ხულიკოს“.

რასაკვირველია, მე არასოდეს დავივიწყებ ჩემს პირველ გაცნობას საქართველოსთან და ეს, თბილისში გატარებული თვე, ერთ-ერთი ძვირფასი მოგონება იქნება. მადლობელი ვარ თქვენი ყველანი — პირველ რიგში შენი და მარიამ ნიკოლოზის ასულისა, ამ შესანშენავი დღეებისათვის, ჩვენი მოგზაურობისათვის, ჩვენი მოლხენისა და საუბრებისათვის. ახლა ლენინგრადში ნამდვილი შემოდგომაა. აი, ამ წუთს ფანჯარას ეფინება ხელი თოვლი. თოვლმა დაფარა სახურავი და თან ფანება... ჩემი საქმეები კარგადაა. დე-ოსტერი მზადდება დასაბეჭდად. „ლიტერატურულ სოვრემენნიკში“ მთხოვეს გალაკტიონ ტაბიძის თარგმანები. დღეს მოსწერეთან ვეთანხმელობ მოგზაურობასა და რუსთაველზე. ცოლშვილი კარგად არის, რაც ძალიან სასიამოვნოა. კარგ აღფრთოვანებულია ქალაქ ... მადლობას უთვლის პატარა ნიკოს საბუჭრისათვის და სითოვს მის ჩამოგიდის ჩვენთან სტუმრად.

როგორც კი მოვრჩები სასწრაფო საქმეებს, თქვენს თარგმანებს ჩავუჯდები. ველოდები მეოთხე ლექსის ბწკარედს. ყველაფერს, რაც მზად იქნება, გამოგიგზავნით წერილით.

ძვირფასო სიმონ, რიგი სათხოვარი მაქვს: პირველი, თუ იორდანიშვილს ნახავთ, შეახსენეთ, რომ ხელწერილსა და მის თარგმანს წერეთლიდან ველი სასწრაფოდ ლენინგრადში; მეორე, თუკი ჩემს სალამშოს რაიმე დაიბეჭდება, გამომიგზავნოთ; მესამე, გამომიგზავნეთ სურათი.

მომეკითხეთ ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი, ალეკსანდრე ქუთათელი. მარიამ ნიკოლოზის ასულს შორიდან ვკოცნი. მადლობელი ვარ ყველაფრისათვის და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ ზამთარში გელოდებთ ლენინგრადში წინასწარი შეთანხმებით, რომ მხლილდ ჩვენთან გაჩერდებთ. ჩემი მეუღლე ეკატერინე ვასილის ასული და ნიკა მოკითხას უთვლიან თქვენს მეუღლეს და იმედოვნებენენ, რომ მალე პირადად გაგიცნობენ.

ძვირფასო სიმონ, კიდევ ერთხელ გმადლობთ ზრუნვისა და სტუმართმოყვარეობისათვის. იყავით კარგად, არ გასუქდეთ და არ დამივიწყოთ. ველოდები თქვენს წერილებს.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი

1936 წლის 15 ოქტომბერი.

ჩემი სალამი გადაეცით აგრეთვე ნიკოლოზ ზურაბის ძეს და ახლობლებს.

ძვირფასო ტიციან იუსტინეს ძეო!

ლენინგრადის საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ დამავალა ნ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ შემოლებული თარგმანი და დამეშვება ბავშვებისათვის. ეს ჩემი ინიციატივაა. ვფიქრობ, რომ ეს საჭირო საქმეა. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე რუსი მასობრივი მეთხველი და განსაკუთრებით მოსწავლე ბალმონტის თარგმანით ვერ შეძლებენ სარგებლობას. დამუშავება, რომელიც მე ჩავიფიქრე, რუსთაველის პოპულარიზაციის ხელს შეუწყობს თანამედროვე რუს მეოთხელებში.

ეგსმის, რომ ეს მძიმე და საპასუხისმგებელო საქმეა, მით უმეტეს, რომ ეს ერთი წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს, რათა საიუბილეო წლის ბოლოსათვის წიგნი დაიბეჭდოს.

ჩვენი მეგობარი მიოლა ბაკანი, რომელთანაც ამ ცოტა ხნის წინათ ორი კვირა დავყავი, თავის მწკარედს ტრანსკრიპციით მაძლევს (ორმდანშვილი). სექტემბრის დამდეგს განწრახული

მაჭეს თბილისს ჩამოვიდე... მე უნდა დავუკავშირდე რუსთაველის ინსტიტუტსა და ხალხს, რომლებიც რუსთაველის იუბილეს ამზადებენ. აუცილებელია საქართველოს მაერით სუნთქვა, რომ შეეგრძნო რუსთაველი თავის სამშობლოში.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი

1936 წლის 1 ივლისი.

●

ძვირფასო ტიციან იუსტინეს ძე!

უნდა გამოგიტყდები, ერთ დროს ვფიქრობდი, რომ ბავშვებისათვის გადამეშალეს „ეფეხისტყაოსანი“ ვერ დაიინტერესებს სიზოგადოებას. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეეფერებიან ნამდვილად გავითვალისწინოთ მასობრივი მკითხველის ინტერესები. რუსთაველი ხომ დაწერა ხალხური ნაწარმოები. საქართველოში მას ყველა იცნობს, მაშასადამე, ჩვენ რუსულ თარგმანშიაც უნდა შევეცადოთ იგი დავიყვანოთ მკითხველთა ფართო მასებამდე. თქვენი წერილის მიღების შემდეგ მშვიდად ვარ, თუ რუსთაველის სპეციალისტები დამეხმარებიან, დავძლევ საკმეს ერთი წლის განმავლობაში.

„ალუფა ქეთილაურს“ გადავთარგმნი ზამთარში, რუსთაველის პარალელურად. თბილისში ამის შესახებ დაწერილებთან მოვილაპარაკებთ. ამის ტრანსკრიპცია არა მაქვს. გარდა ამისა, უნდა მოვაგვაროთ კოსსუტტაციის საკმე. ამის გაკეთება კი, ალბათ, ლენინგრადშია შეიძლება.

თქვენი ახალი ლექსები ძალიან კარგია, ეს იგრძნობა ბუკარეფთოიაკი კი, მე მაშინვე დავიწყე მისი თარგმნა და აი, ორ თარგმანს გიგზავნით: „არაგვის ხეობაში“ და „სიტყვების დაბადება“. ეს დაუთავებელი ტექსტებია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სტრიქონი ახლაც ჩემთვის გაუგებარია, მიუხედავად ამისა, მე თავისუფლად ვთარგმნე ისინი. საერთოდ, როგორც ვფიქრობ ხედავთ, თარგმანების საკმაოდ თავისუფალია. მე აზრის პუნქტუალურ გადმოცემას ყოველთვის ვშობნიმ ან შემთხვევაში, თუ ის რუსულად არაბუნებრივად ჟღერს. მე მივისწრაფეი ინიციკენ, რომ თარგმანი ეღერდეს, როგორც ორიგინალური ლექსი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მე აზრს ვამახინჯებ. მე აზრის ინტერპრეტაციას ვცდილობ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას ლექსი მოითხოვს. თქვენს ლექსებში მიპაკრობს სულიერი და ბუნების სიოცარი სიხალოვე. თქვენ ეს ორი სამყარო შერწყმული გაქვთ ერთ მთლიანობაში, რაც ჩვენი დროისათვის იშვიათი მოვლენაა. ეს, რა თქმა უნდა, ნიჭიერი პოეტური და სულიერი მუშაობის შედეგია, რაზედაც ახალგაზრდა პოეტებს შეუძლიათ მხოლოდ ოცნებობენ.

ტიციან იუსტინეს ძე, გთხოვთ ჩემს თარგმანებში აღნიშნოთ შესასწორებელი ადგილები. სულ ახეთი რამდენიმეა და ზოგიერთა უკვე ვიცი. მე შეეცადები თბილისში გავასწორო თავ. გმანები.

რაც შეეხება ლექსს „ანაზური“, ეს ეფ. ... ...

მითმო. ღმერთმა კარგად ამყოფოს. რასაკვირველია, ყველაფერი ის, რაც თქვენ ნახეთ, მე არ მინახავს, მაგრამ მაინც ვიყავი კახეთში, წინანდალში, ტაბეთასა და სხვა ადგილებში. ძალიან შევიწყვე ქართველებს, განსაკუთრებით სიმონს. ერთად ვიყავით გორში და პირობა მივეცით ერთმანეთს დაველხოოთ ლენინის ამ ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი წერილები მივიღე, გმადლობთ. მიხარია, რომ მოგეწონათ ჩემი ლექსები. ამ ლექსებმა ბიძგი მომცეს და ახლა ხაქმე ეხება ლექსების კრებულს, რომელიც უკვე შეტანილია ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობის გეგმაში. მოსკოვმა დაამტკიცა და თუ ყველაფერი რიგზე იქნა, გაზაფხულზე იხილავს დღის სინათლეს. ლენინგრადის ჟურნალებში („ლიტერატურული სოვრემენნიკი", № 8, „ზვეზდა", № 2) გათვალისწინებულია რამდენიმე სტატია ჩემზე (მათ რიცხვში ზოშჩენკო) და ლექსების 600 სტრიქონი. აქ ჩემი დიდი საღამო გამართეს, რომელიც კარგად ჩატარდა.

ძვირფასო სიმონ, არ გამიბრაზდე „იზვესტიის" გამო. მივიტანე თქვენი სამივე ლექსი, რაზედაც ლენინგრადის განყოფილებამ თანხმობა გამომიცხადა, რომ სამივეს ერთად დაბეჭდავდა. როდესაც ნომერი გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ გაზეთმა პირობა დაარღვია, რა უნდა მექნა ახეთ შემთხვევაში? რასაკვირველია, ლენინგრადის განყოფილების მეშვეობით განვაცხადე ჩემი პროტესტი. სხვა ზომების მიღება არ შემეძლო, რადგანაც კარგად იცით, რომ „იზვესტიის" ჩემთვის ბევრი კარგი გაუკეთებია. თუ ჩემ-მა-ბ-ბ-ბ

გურამ მაისურაძე

ამერიკაკავკასიის ხალხები და გეორგიევსკის ტრაქტატი

რუსეთთან ამერიკაკავკასიის ხალხების ურთიერთობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ ეული შუა საუკუნეებიდან ამ ქვეყნების შორის არსებული კულტურულ-ეკონომიკური ხასიათის კონტაქტები მონგოლთა გაბატონების შედეგად თითქმის მოლიანად შეწყდა. XV საუკუნის დასასრულისათვის, როცა რუსეთმა საბოლოოდ გადაიგდო თათარ-მონღოლთა ბატონობის უღელი, კვლავ განახლდა ეს კავშირი, მხოლოდ წინა პერიოდთან შედარებით, ამჯერად მან, უმთავრესად, პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. ურთიერთობაში ასეთ ცვლილებებს საკმაოდ სერიოზული მიზეზები ჰქონდათ: თუ კი მზარდი რუსეთის სახელმწიფოს ხმა ევროპის ეა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე XV საუკუნის ბოლო მეოთხედში საკმაოდ ჩქეფთოდ გაისმა და ამ დროიდან მოყოლებული თანმიმდევრულად ძლიერდებოდა, ნაცი ამიერკავკასიელი ერთმორწმუნე საქართველო და სომხეთი მტრებით გარშემორტყმულნი და მძიმე ბრძოლებით დასუსტებულნი იყვნენ. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ამიერკავკასიელ ქრისტიანებს თავისი ერთმორწმუნე ჩრდილოეთის ქვეყნისაგან პირველ რიგში სამხედრო-პოლიტიკური დახმარება სჭირდებოდა.

პირველი ნაბიჯი გაძლიერებულ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად კახეთის სამეფომ გადადგა. 1491 წელს კახთა მეფე ალეკსანდრე გიორგის ძემ ელჩები გაგზავნა მოსკოვის დიდ მთავართან, ივანე III-თან.

სომხეთი ამ დროს საქართველოზე მეტად საგრძნობდა სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას, მაგრამ ქართველთაგან განსხვავებით, მის წარმომადგენლებს, რიგი სპეციფიკური ისტორიული პირობების გამო, ძალზე უჭირდათ უშუალო პოლიტიკური, ურთიერთობის დამყარება რუსეთთან.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქართული სახელმწიფოს მეთაურობით ამიერკავკასიაში გაჩაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად, სომხეთის უდიდესი ნაწილი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, სადაც სომხურ ფეოდალურ საზოგადოებას პროგრესული განვითარების კარგი შესაძლებლობა მიეცა.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან განვითარებულმა ნეგატიურმა საგარეო-პოლიტიკურ მოვლენებმა კი თანდათან დაარღვია ქართველი და სომეხი ხალხების ეს ერთიანობა და უკვე XV საუკუნის დასაწყისში თურქმანებმა, საბოლოოდ მოგლიჯეს რა საქართველოს სომხეთი, იქ პირშეუკეცავლად აღმოსავლური ბარბაროსული-ფეოდალური ურთიერთობანი გაბატონეს. ადგილობრივ მიწიანმფლობელთა კლასი უმთავრესად მომთაბარეთა არისტოკრატიად შეიცვალა. მთელ XV და შემდგომ XVI საუკუნეშიც გრძელდებოდა გადარჩენილი სომხური ფეოდალური გვარების სისტემატური დევნა და ფიზიკური განადგურება. სწორედ ამ საუკუნეებში სომხური საერო ფეოდალური კლასი, როგორც პოლიტიკური ძალა, განდევნილი იქნა ისტორიული არენიდან.

სომხეთისგან განსხვავებით, დამპყრობლებმა ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა და ქართული ფეოდალური სისტემის აღმოსავლურად შეცვლა, მაგრამ მიეენებული ზარალი აუნაზღაურებელი იყო. მომმეებშემოცლილი და ტერიტორიულად დამცირობილი საქართველო მოზღვავებულ მომთაბარეთა პირის-პირ მარტოდმარტო აღმოჩნდა და მტრული, ბარბაროსული ფეოდალიზმის ქვეშენების სრულ გარემოცვაში მოექცა. თვით ქრისტიანული სომხეთის სახითაც კი მას ახლა ყიზილბაშური ირანი და ოსმალეთის სამხედრო-დესპოტური სახელმწიფო ემეზობლებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ოსმალეთის გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმომქმნა საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას დაემთხვა, რაც უკიდურესად აძნელებდა მომრავალებული მტრების წინააღმდეგ ბრძოლას. და მიუხედავად ამისა „დაშლილი" საქართველო ერთადერთი იყო

ევროპის სახელმწიფოები ერთიან დაინტერესებული ყოფილან რუსეთის არა მარტო ხაშინაო, არამედ მისი საგარეო ურთიერთობთაც. რუსეთის სამეფო კარზე მყოფი უცხოეთის ელჩები გადაცემებით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის კავშირს სხვა ქვეყნებთან, კერძოდ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან; რომლებთანაც კოლონიური და ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ. ამის მაგალითია, თუნდაც, დანიის ელჩი ჰაქსტაუზენი. იგი დანიის მეფეს სალიუმლო შიფრით უგზავნიდა მოხსენებებს თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. ამ საიდუმლო მოხსენებებში სხვა ამბებთან ერთად ლაპარაკია რუსეთ-საკართველოს დამოკიდებულებაზეც.

ჰაქსტაუზენის საიდუმლო მოხსენებები 1914 წელს აღმოაჩინა რუსმა მკვლევარმა ნ. ა. ბელოვმა, ფრანგულიდან რუსულად თარგმნა და დაბეჭდა კიდეც. აი, რას წერდა 1782 წლის 22 იანვრის თარიღით გაგზავნილ მოხსენებაში დესპანი ჰაქსტაუზენი დანიის მეფეს: „ამ დღეებში აქ გარდაიცვალა უკვე მოხუცების ხანში მყოფი საკართველოს მეფე თეიმურაზი, რომელიც მაგალა გამოჩენილი მეფე ერეკლესი, რომელსაც ომი აქვს სპარსეთთან. თეიმურაზი თითქმის ერთ წლამდე აქ იყო. იგი ამაოდ სთხოვდა რუსეთის მეფეს ხარასების წინააღმდეგ ფულითა და ჯარით დახმარება. ქართველ მეფეს და მის ამალას აქ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. სამპერატორო კარმა მას დაუთმო სახლი და ყოველივე, რაც საჭირო იყო მათთვის. სამეფო კარმა მეფეს თავის განკარგულებაში გადასცა ეტლები. მეფის მცველი რაზმი შედგებოდა ოცდაორმოცი კაცისაგან, რომელსაც ერთი ოფიცერი მეთაურობდა. ამას გარდა, სასახლის შესანახად ქართველი მეფე ყოველთვიურად დებულობდა სამასამ მანეთს". (ეფენსი „რუსეთი სტარინა", 1915 №3).

რუსეთ-საკართველოს ურთიერთობაში გარკვეული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა და უფრო დაიბეგენა 1783 წლის გეორგიევსკის მფარველობის ტრაქტატის დადების შემდეგ, რაც თეიმურაზ მეფის სიკვდილიდან 21 წლის შემდეგ მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ხოსიტაშვილი

ქართველი და რუსი ხალხების პირველი საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან

სამსაუკუნოვანი უწყვეტი ბრძოლების შედეგად თურქ-დამპყრობლებმა XXI საუკუნეში საბოლოოდ დაიპყრეს სამხრეთ საქართველო და ზუსტად 250 წელი (1578-1828 წწ.) განუკითხავად იბატონეს ამ მხარეში. მეხეთის საქართველოსთან შემოერთება ქართველ მეფეებს დამოუკიდებელი ძალებით არ შეეძლოთ, ამიტომ ამ საშველიშველო საქმეში დახმარებას ითხოვდნენ ერთმორწმუნე რუსეთს.

საქართველოსა და რუსეთის სამსაუკუნოვან დიპლომატიურ ურთიერთობაში პირველი შემთხვევა იყო რომ, ქართველი და რუსი ხალხები დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანნი ძალებით გამოვიდნენ საომრად აწყურის, იდუმალისა და ახალნძის სახელოვან ბრძოლებში. ეს ბრძოლები, რომელიც 218 წლის წინათ (1770 წ. აპრილი) მოხდა, შეიძლება ჩაითვალოს რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის ერთ-ერთ ძნიშვნელოვან ეპიზოდად, მის შემდგენელ ნაწილად.

რუსეთ-თურქეთის ეს ომი ორ ფრონტზე (ბალკანეთი და ყირიმი) წარმოებდა. პირველ ხანებში თურქეთის სარდლობამ მთელი თავისი ძალები (მათ შორის ახალციხის საფაშოსიც) ბალკანეთ-ყირიმის ფრონტზე გადაისროლა. ამ მდგომარეობამ მეფის რუსეთი დააფიქრა და გადაწყვიტა, საქართველოში თავისი ჯარი გიგზავნა და ქართველებთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ მთავრობას საქართველოს შესახებ წარუდგინა გეგმა. რომელსაც პროფ. ვ. მაჭარაძე შემდეგი სახით აყალიბებს:

1. ქართველებს იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ თურქეთთან ზავის დადების დროს რუსეთის მთავრობა გაითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს ინტერესებს.

2. თურქების წინააღმდეგ ომში ჩაბმულ ქართულ სამეფოებს მიეცემოდათ ფულადი დახმარება.

3. თუ ქართველებს არტილერია არ ჰქონდათ, მაშინ საქართველოში გაიგზავნებოდა ქვემეხები არტილერისტებით, ხოლო საექსპედიციო ჯარის გაგზავნის საკითხი, გზების სიძნელის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო სამგზავრ ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანული ხალხების ასამხედრებლად 1768 წ. 12 ნოემბერს დაადგინა: „...მორიგაში, დალმატებთან, საქართველოში და თურქეთის ოლქებში ჩვენი სარწმუნოების ყველა ხალხებთან გამოცხადებულ იქნეს, რომ რუსეთი იძულებულია თურქეთთან ომი რელიგიისათვის აწარმოოს". მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო, თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ყველა ის ხალხი, რომელებიც „ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდნენ, არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ და რელიგიურ სფეროშიც. რუსეთის მთავრობის ნამდვილი მიზნები და მოსწრაფებანი ზემოთ მოყვანილ განცხადებაში აღნიშნული არ იყო. რუსეთის პოლიტიკური ინტერესნი შეადგენენ შავი ზღვის სრუტეებისა და ამიერკავკასიის ხელში ჩაგდება. რუსეთის „საგარეო საქმეთა კოლეგია ამ დროს უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ჩაება საქართველო თურქეთის წინააღმდეგ ომში". (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V).

ეკატერინე II 1769 წ. 27 მარტის ბრძანებით გენერალ-მაიორი ტოტლებენი დაინიშნა იმ ჯარის მეთაოდად, რომელიც საქართველოში იგზავნებოდა, ხოლო რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლად — ანტონ მოფრავოკი. იმავე წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, სოფ. ხოდასთან (ყაზბეგის რაიონი). მეფე ერეკლე თავისი დიდებულებით შეხვდა ჯარს.

1768 წ. დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომი საქართველოს პოლიტიკურმა მეხვეურებმა საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელად მიიჩნიეს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს საარსებო ინტერესები ამ ომში ერთიმეორეს ემთხვეოდა. საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა საჭმაინობა იმთავითვე ანტოლმალურ და ანტიყიზილბაშურ ხასიათს აკარებდა. როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „ქართველ პოლიტიკოსებს ღრმად სწამდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ინტერესების ეს თანხმობა მტკიცე საფუძველად დაედებოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას, მის გამოხსნას და აღდგენას". ქართველ-კახეთის სამეფოს თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შესახებ ერეკლესა და ტოტლებენს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ 1769 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო, მაგრამ თურქეთის სულტანი და ახალციხის ფაშა ცდილობდნენ, როგორმე მიეწერათ ომისათვის, რომ მეფე ერეკლეს ამ ომში ნეიტრალიტეტი დაეცვა. თურქეთის სულტანსა და ახალციხის ფაშას ურჩდებოს მოდუნებისათვის ერეკლე ელჩებსა და საჩუქრებს გზავნიდა სტამბოლში და ახალციხეში. ეს ყველაფერი მოჩვენებითი დიპლომატიური ხერხი იყო;

1770 წ. 17 მარტს სოფ. სურამის სამხედრო თათბირზე გადაწყდა რუს-ქართველთა ჯარს შეტევა დაიწყო ახალციხის საფაშოზე ბორჯომის ხეობიდან. რადგან ამ მხარეში მდებარეობდა საყეთილო ციხე-სიმაგრეები (ახალდაბის, პეტრა, გოგიანი, აწყურის, ახალციხის, ახპირნის, ხერთვისის, თმოგვის, არტანის, ბგელციხე, კოლას ციხე, კარსი და სხვ.). ახალციხე — ახალქალაქი — არტანის ციხეები ე. წ. სამკუთხედს ქმნიდნენ. ფრაზად ხელსაყრელი სამხედრო პლაცდარმისა და სტარატეგიული პოზიციის ხელში ჩაგდება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა თურქეთს. ფ. ენგელსი, ეხება რა რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წწ. ომს, აღნიშნავს: „თბილისისა და არარუმის შემაერთებელი გზები ორივე მოწინააღმდეგისათვის საოპერაციო ბაზებად გადაიქცევა. არსებობს სამი გზა: ერთი ზემო მტკვარსა და ახალციხის ველოლებაზე მიდის, მეორე — ქვემო მტკვარსა და ერევნის, მესამე — ორი პირველი გზის შუა მოეხსა და ყარსზე... ახალციხის ფაშა თურქეთის არმიას შეიძლია პირდაპირ ავიდეს ბორჯომ-ვარე ოლქებში შემოსვლა, მაგრამ რუსეთის კორპუსს... შეუძლია წინწაწოწეულ... თურქეთს გზა მოუჭრას... არზრუმსაც კი დაეუფლოს".

ახალციხისათვის ბრძოლის დროს ქართველი პოლიტიკოსები ორ მთავარ ამაცანას ისახავდნენ მიზნად: მტრისათვის ქართველნი თავდასხმის მარჯვე პლაცდარმი მოეშალათ და მიტაცებული ქველთაძველი ქართული მიწა-წყალი შემოეერთებინათ. ახალციხის საფაშოზე გალაშქრებას აჩქარებდა ფ ბელს უწყობდა ისიც, რომ იქ ოსმალთა ჯარი ცოტა იყო და ნაბინ ფაშას არ შეეძლო რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქრისათვის სერიოზული ძალა დაეპირისპირებინა. გარდა აღნიშნულისა, თვალსაწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ირანში დიდი არეულობა იყო. დიდი მხედართმთავარი და გამოცდილი პოლიტიკოსი მეფე ერეკლე მეორე კარგად ხედავდა და ფუსებდა ამ დროს შექმნილ საერთაშორისო სიტუაციას და იმედის თვალით შემპურებდა მოშავალს. იგი მეფის რუსეთს ატუობინებდა: „ვიმეოფებით იმ დროსა შინა, რომელიცა ჰქუს ყოველთა საქართველოთა გამოხსნისა". 1770 წ. 14 აპრილს ქართველ-რუსთა ჯარი ქვიშხეთიდან სოფ. საფეიტს (ბორჯომის რაიონი) მივიდა, ხოლო 16 აპრილს შემოადგა აწყურის ციხეს. აწყურთან მისული ტოტლებენს ჰყავდა 600 მეომარი და ჰქონდა 6 მცირე უალიბიანი ზარბაზანი. მეფე ერეკლეს — 7 000 მეომარი და 8 ზარბაზანი; ასეთ ვითარებაში მეფე ერეკლე საკუთარი ძალებით ცდილობდა ახალციხის ალებას, სანამ ოსმალეთი ახალციხის საფაშოს დაბმარებას აღმოუჩენდა.

სოფ. აწყურთან მეფე ერეკლემ სახელდახელო ხიდი ააგებინა და მაზლიდელ სოფლებში შემმართა რაზმები გაგზავნა სურსათ-სანოვაგისა და პირუტყვის საშოვნელად. ერეკლეს წინასწარ ჰქონდა შემოშავებული საომარი გეგმა, რომელის მიხედვით ჯერ ახალციხის ახლოს მდებარე სოფლები უნდა დაეკავებინათ, სურსათ-სანოვაგე და პირუტყვი მოემარაგებინათ და შემდეგ იერიში მიეტანათ პირდაპირ ახალციხეზე და სხვა ციხე-სიმაგრეებზე. როგორც თვით ერეკლე 1770 წ. 10 მაისს გრაფ გოლიცინს წერდა: ..... აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, მაგრამ... ესე, არ ჰყო ღრ. ტოტლებენმან".

თითქმის ასეთივე საომარ გეგმას ურჩევდა მეფის რუსეთს წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოფრავოკი.

მეფე ერეკლეს მიერ შემშუაკებული ბაბრძოლო გეგმა სამხედრო თვალსაზრისით საუ-

კეთესოდ იყო შედგენილი. ერთის მხრივ, ის დაბმულიყო ყოველგვარ საშუალებას მოუწყვეტდა აწყურის და ახალციხის თურქ მეცნიერებებს, გადაუჭრიდა საკომუნიკაციო გზებს და მეორე მხრივ, მისი ლაშქარი უზრუნველიყოფილი იქნებოდა სურსათით, პირუტყვით. ტოტლებენს რომ ერეკლეს მიერ წარმოდგენილი გეგმა მოეწონა, ეუნს გარეშეა, ბრძოლა წარმატებით დაგვიგვინდებოდა. „აწყურის ციხის აღება სხვა საშუალებაც არსებობდა — მტრის ზურგში ღრმად შეპრა, — აღნიშნავს პროფ. ვ. მაჭარაძე, — მეცხოლნე ჯარის მოწყვეტა ტბრის დანარჩენ ჯარებისგან — აი, რას შეეძლო ციხის გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა. ასეთ პირობებში ციხის ალყა მეტი ძალითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარეცდნ დახმარებას მოალებული მტერიც წინააღმდეგობას ვეღარ გასწევდა“.

მაგრამ ტოტლებენმა თავისი ჯარი აწყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. თისელში მიმავალ გზასთან ახლოს უგარეთის გორაზე განალაგა და ბევრი ოტარაბანა ციხის ალებაზე. ეხე ვითარი პირობა დამსდეა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წაკართმეო, და ეხე ეხე შეეიტყეთ ვერ შესძლო თუ არ ინებაო. აღნიშნავს ერეკლე. ტოტლებენს სურდა პირველი მისელოსთანავე მტრის ქვეყანაში ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა რუსეთის იარაღისათვის და ამით თავი უფრო გამოეჩინა რუსეთის სამეფო კარზე. მაგრამ ბედმა უმტკუნა, ციხეს ვერაფერი დაავლო. მეორე დღესაც კიდევ ოგივე პირობა დასდეა, მაგრამ მისნი საქმენი სიმარცლით და სისწორით ვეროდეს ვნახეთო — წერს ერეკლე. რადგან ტოტლებენმა აწყურის ციხის მფლიანი ალყა არ განაბოროცილელ, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 18 აპრილს ახალციხის ფაშამ დამატებით 2000 მეომარი, ტუეიოწამლითა და სურსათ-ხაროვაგით შეეზავნა ციხეში. ეტყობა, ტოტლებენს დროს გაეკვნა უნდოდა, რათა ახალციხის ფაშას უფრო მეტი ძალებისათვის მოეკარა თავი აწყურის ციხესთან. უფრო მეტიც, იგი ახალციხის ფაშას ჯაშუშთა ქსელში გაეგზა და თავისი ასეთი მოქმედებით დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ინტერესებსაც. როგორც ფრანგი კაპიტანი, ტოტლებენის ადიუტანტი დეგრანი დეფუა წერს, „ტოტლებენის მიერ აწყურის ციხის იერიში მეფე ერეკლეს ცუდად ენიშნა. მართლაც ოთხი დღის ამაო ბომბარდირების შემდეგ ახალციხიდან მოვიდა შვიდიათასი თურქი და ლეკი მეომარი. ტოტლებენმა რომ მტრის მოახლოება შეამჩნია, არტილერია ცხენებს აკიდა, ბრძოლის ველი დატოვა და სურამს დაბრუნდა“. ტოტლებენი ბრძოლის ველს იმ დროს გაეცალა, როდესაც აწყურის ციხესთან მოსულ ლეკ-ოსმალთა ჯარიდან ლეკებმა ერეკლესთან შერიგება მოითხოვეს, მან მძევლებიც აძლიეს ერეკლეს, ნება დაერთო მათთვის ქართველებისა ნადარბაზი გადასულიყოს.

ტოტლებენის ასეთი მოქმედება გაუმარჯლებლად მიეჩნეია იქ მყოფი რუსი ოფიცრების ერთ ნაწილს და თვით რუსეთის მეფის წარმომადგენელ ანტონ მოუთაოფსაც. მათ უცდიათ ტოტლებენის უკან დაბრუნება, მაგრამ ამაოდ, „მას შემდეგ, რაც ეროვმა მთავარ მიზნამ მიაღწია — ერეკლეე მეფე ნამდვილად ჩაება თოვლრებან ბრძოლაში, და ციხეს კი თავის განკარგულებაში მყოფი ქვემეხებით ვერა ავნო, წვიდა უკან ქრცხინვალისაკენ ის სანაბით, რომ სურსათი მაკლიაო“. წერს ეერმანეული მეცნიერი გუდლეწმტტეი.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ირკვევა, რომ ტოტლებენი აწყურიდან უკან დაბრუნდა არა სურსათ ხანოვაგის უკმარობის ან რუსი ოფიცრების შეიქმულების, ან ორსარულლობის საკითხის, ან ეორების გამო, არამედ ამკარა ღალატით, იმ საქმისათვის, რომლის გულისათვისაც ის იყო გამოგზავნილი საქართველოში. ეი რას წერს ამის შესახებ რუსი გენერალი პოტტო: „უფრო მეტიც, მეფე ირაკლის თურქეთის საზღვრებში ყოფნის დროს ხალხში ხმა გავრცელდა, ტოტლებენი სურამში დაბრუნდა იმ მიზნით, რომ მოეკვანა ქართველები ფიცის მისაღებად და ბრძანა მათთვის მისი უმაღლესობის (ეკატერინე II ს. ბ.) სახელით, რომ მათ არ ეცნოთ ერეკლე თავიანთ მფლობელად“. ამრიგად, ტოტლებენმა აწყურის ციხესთან უმხგავსო საქციელი ჩაიდინა— მოკავშირე ბრძოლის ველზე მიატოვა და ახალციხის ფაშასთან საეჭვო მიმოწერა გააბა. რუსი პატრიოტები ოფიცრები დაეკვნენ და აშკარად გამოვიდნენ ტოტლებენის წინააღმდეგ.

მეფე ერეკლესთვის ყველაფერი ნათელი გახდა. იგი ცდილობდა ხაქმე იხე წარემართა, რომ ლეკ-ოსმალებისათვის ცნობილი არ გახმაურიყო ტოტლებენის ღალატი. ბოლოს მან პრინციპულად გადაწყვიტა გაამაჯებულ და თავზეხელაღებულ მტერს მარტო ქართველთა ლაშქრით შებრძოლებოდა. „საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — მაგრამ ამ უაღრესი განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო აუცილებელი განადგურებისაგან. მცირე ლაშქრითურო მან სამხედრო გეგმისა და ხერხის

წყალმბილი, რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ (აწყურთან — ს. ხ.). შემდეგ ს. ასპინძასთან სასინლოდ დაამარცხა და მთლიანად მოსპო". მეფე ერეკლემ ახალი გა'ეროებისა და მოელენების გათვალისწინებით სასწრაფოდ შეიკვეა სამბარი მოქმედების გეგმა. იმის გამო, რომ რუსეთის ჯარი უკან გაბრუნდა, მოკიდებარე ძალთა თანაფარდობა და ვითარებაც მკვეთრად შეიცვალა. ერეკლემ უმალ დიწყო საბრძოლო მოქმედება: გათამაშებული მტრის ლაშქარს ქართველთა რჩეული ნაწილები შეაჯეფრა. დაამარცხა და კვლავ ციხეში შერეკა. ამ მეტად მძიმე მომენტში მეფეს მეორე საზარეანი გაუჩნდა: მტრისათვის არ მიეცა საშუალება უკან გაბრუნებულ ტოტლებენს ბორჯომის ვიწრო ხეობაში დადევნებოდა და მოლიანად გაენადგურებინა რუსეთის ჯარი. ამიტომ მან გადაწყვიტა, მტრის მთავარი ძალები თავისკენ მიეზიდა, რათა რუსების ჯარს საშუალება ჰქონოდა მშვიდობით გასცლოდა ხეობას და საშშვიდობოს გასულიყო. ბრძოლა 1770 წ. 19 აპრილს დღის პირველ ნახევარში გაიმართა. ეი რას წერს ამ ბრძოლის თვითმხმელველი ტოტლებენს ადიუტანტი დეგრანი დეფუა. „ბრძოლა ფიცხელი და დაუნდობელი იყო, ქართველები და თურქები ხმალდასმულ იბრძოდნენ. ომი მეტი-სმეტად ვამწვავდა. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა, ამ დროს თავზარდაცემული ყიენნი მტკრის მარჯვენა მხრიდან მოვარდა ბოლოდ ბატონიშვილი მამის დასახმარებლად.

მოულოდნელ დარტყმას ვეღარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა, ციცანოვი (ალ. ციციშვილი, ს. ხ.) საფარიდან უთვალთვალებდა საომარ მოქმედებას, თურქებმა ხიდის დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში უკან დახევის უზრუნველსაყოფად ეთარი ჯარისკაცი დატოვეს. როცა ციციანოვმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შერეთა და ერეკლემ მტერი ხიდისაკენ უკუაქცია, გამოვიდა საფარიდან, ხიდის მცველთა რიგები არია, ხიდი თვითონ დიიკავა და თურქებს უკან დასახევი გზა მოუჭრა.

ხამიე მხრიდან მოეძალნენ ქართველები. შედარენენ თურქები, მოაწყდნენ ხიდს. ხიდი რომ დაკავებული დახვდთ, მტკვარში ჩაცვივდნენ. ადიდებული მდინარე კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ გადალახა, ახალციხისკენ ამბის მთხრობელმაც კი ვერ გაალწია. მეფე ერეკლეს გამარჯვება სრული და განუყოფელი იყო". აწყურის ბრძოლაზე განსაკუთრებით თავი უსახელებია მეფის მცველ ხევსურთა რაზმს და გურჯაანელ ლუარსაბ ოთარის ძე ვაჩნაძეს.. აწყურის გმირული ბრძოლის ამბავი მხედველობიდან არ გამორჩენია იტალიელ მისიონერ ლეონს. იგი წერს: „...იმდენი გაბედულება მიეცა მეფეს, რომ ხელოვანი ხელი მტერთან შესახვედრად მივიდა, დამარცხა, გაფანტა და ისეთი დიდი ხანძარი ... თა, რომ მტკად მცირენი ... ცეულნი ახალციხეში ავიდნენ. დანარჩენი ბრძოლის ველზე დარჩა, ნაწილი დაჭრილი და ნაწილი დახოცილი. თურქების ბევრი მეთაური ცოცხალი ჩიაგდო ხელში, ჭაბვთა და თოკით გადაბმულები ტრიუმფით თბილისში ჩარეკა. დაბოცილი თურქების ვვამი ზღვანარეში გადაყრეკვინა მათი ჩალმებიანად და ამ მდინარის (მტკვრის ს. ხ.) წყალი წითლად შეღებილი მოჩანდა".

მოუხდავად ქართველების ასეთი გამარჯვებისა, მეფე ერეკლემ ვერ გაბედა ქ. ახალციხეზე პირდაპირი იერიში მიეტანა. ახალციხის აღების გეგმა ჩაშალა. ბორჯომის ხეობით კი თბილისში დაბრუნება იგივე დაბრკოლებას უდრიდა და უარეს შედეგს მოუტანდა ქვეყანას. ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ჯერ კიდევ საბოლოოდ განადგურებული არ იყო, მას ახალი ძალები ემატებოდა. ქართველთა ლაშქარი 1770 წ. 19 აპრილს კოდიანის მთის ელაზის საცალფეხო გზით ასპინძის მიდამოებში გადმოვიდა. სოფ. იდუმალთასან ახალქალაქისა და ზერთვისის 1500 თურქი მეცხრინვნე შემოეეკრათ. მეფე ერეკლეს ბრეწინვალე ხამხერო ნიკი სოფ. იდუმალთასან ბრძოლაშიც გამოვლინდა. მან მტერს პირველად ცხენოსანთა გულაღი რაზმი შეაგება. მტერი შედრკა. ბრძოლაში მეფემ ახალი რაზმები ჩაბა. მტერი გაგდდა და გაჭეცვით უშველთ თავს, მაგრამ ქართველებმა გაკეცულ ოსმალებს გზა მოუჭრეს და ისინი იულმებულები გახდნენ ადიდებულ მდ. მტკვარში გადაკვენილიყვნენ. ოსმალებმა ამ შეტაკების დროს 500 მეომარი დატოვეს ბრძოლის ველზე. დარჩენილი ადიდებულმა მტკვარმა დაანარო. ქართველებს მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი", ალნშშავს ანტონ მოურავოვი.

იმავე დღეს, 19 აპრილს, სოფ. იდუმალთასთან ბრძოლა არ დამთავრებულიყო, რომ ახალციხის მხრიდან 4000 ცხენოსანი ლაშქარი გამოჩნდა. მას თანდათან ემატებოდა ახალი რაზმები, არა მარტო აწყურ-ახალციხის მხრიდან, არამედ ადგილობრივი მამამდინარეთ სოფლებიდანაც, რომლებიც ახალციხის ფაშას ბრძანებით ასპინძის ველზე ქართველებს წინააღმდეგ მოდიოდნენ. ასპინძასთან თავი მოიყარა მტრის დაახლოებით 10-15 ათასმა მეომარმა და 5-7 ათასამდეგ ქართველმა მებრძოლმა. ქართველთა ლაქშარმა სამხედრო თვალსაზრისით საუკეთესო პოზიციები დიიკავა. ჯავახეთის დიდი მოამაგე, მწერალი და პუბლიცისტი ილია ალსაზშვილი 1898 წ. გაზეთ „ივერიაში" წერდა: მეფე ერეკლემ ვაი-

თვალისწინა რომ მტრის ჯარის უმრავლესობა ცხენოსანი იყო, იმავე ხიდის ამყრელ რაზმს დაავალა ახალნის ხეებზე ადიდებული ღელის წყალი ახალნის ხნულებში გადეშვათ, რათა მოწინააღმდეგის ცხენოსანთა არმიას მომავალ ბრძოლაში ხელი შეშლოდა და მინდორიში ლაფში ჩაფლულიყო. მართლაც, ეს ასეც მოხდა.

გათენდა 1770 წ. 20 აპრილი, არც ქართველებსა და არც ოსმალეს ბრძოლის დაწყება პირველებს არ ხუთდათ. ორივე მხარეს მოხერხებული საბრძოლო პოზიციები ეკავათ და არ უნდოდათ მოეშალათ. დღის პირველ საათამდე ბრძოლა არც ერთ მხარეს არ დაუწყია. მრავალ ბრძოლებში გამოცდილმა ერეკლემ ბრძოლა გამოსაცდუბლად საამხედრო ხერხს მიმართა, დაახლოებით ასი მებრძოლი ცხენებზე ხურჯინ გადაკიდებულები, ვითომდა ხურსათ-სანოვაგის მოსატანად მიდიოდნენ, თურქეთის ჩასაფრებულ ლაშქარს მიადგა. მტერმა ვერ მოითმინა, და ქართველთა რაზმს დაედევნა. ქართველებმა ცხენების ბენებთა და ხმლებთან ქნევით უკან უკან დაიხიეს, მტერი ერეკლეს მთავარ ბანაკთან მოიტყუეს. მაგრამ მტერი იმდენად ძლიერი და გათამამებული იყო, რომ ქართველთა ზოგიერთი რაზმი პირველსავე შერკინებაში დამარცხდნენ და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. საქმის გამოსწორება კვლავ მეფე სარდალმა ერეკლემ იკისრა: ჯერ ლაშქარი თავიანთ მგზნებარე სიტყვებით გააშხვავა და შემდეგ პირველი თვალთან გადაეშვა ბრძოლის ცეცხლში, მისმა შეგზნდვარმა ქართველებმა დაიეჭიწეს ეოველგვარი შიში და გმირ მეფეს ხმალამოწვდენილნი კვალდაკვალ მიჰყვნენ მოზღვავებულ ოსმალთა შესამუსრავად. „...ეკვეთა ძლიერთა და ძალითა ღვთისთა ოტა ოსმალნი: ამისა მხილველნი სპანანი მეფისანი მოიქცნენ და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა და მრავალნი მოსწყვიტეს, გამარჯვებულნენ", — წერს ომან ხერხეულიც.

ახალნის ველზე ამ პირველი დიდი ბრძოლის შემდეგ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ერეკლეთა ახალი ძალები, დაახლოებით 1000 კაცი ბრძოლის ველზე გამოვიდა, რომელსაც დალიტანში ბანაკში ბანაკებელები მოუძღოდა. ქართველების მარცხენა ფრთა შეფარა და უკან დაბეგა დაიწყო, მაგრამ ერეკლესა და დავით ორბელიანის ჯარების გმირულმა შეტევამ მტერი ნელში გატეხა. მრავალი ომგადახდილმა ერეკლემ იცოდა, რომ ნოწინაალმდეგის სარდლის მოყვლით მტერი სულიერად დაეცემოდა. რითაც გამარჯვების სასწორი ქართველების მხარეზე გადაიხრებოდა. მან ნიშანში ლოტაბეველები ამოიღო, მის ხელით დაეცა დალიტანის ლეკების სახელგანოქმული სარდალი. ქართველების დაფინებელი მტერი, ახალგაზრდა კოხტაბელადი.

მტერი სასტიკად დამარცხდა და მოფანტულად განადგურდა 15 ათასი ლეკ-ოსმალი. მტერმა ბრძოლის ველზე 4000 მეტი მოკლული დატოვა. დანარჩენი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო, 13 კაცმა გაქცევით უშველეს თავს, ხოლო 57 კაცი ტყვედ დანებდა. ახალნის ბრძოლაში 14 ფაშა და ხანჯალის ბეგი და ლეკთა ბელადი მოკლეს. ქართველებმა ხელთ იგდეს ტბრის 25 დროშა, მრავალი ხახის თოფ-იარაღი და დიდძალი ოქრო-ვერცხლი.

ქართველების მხრივ ახალნის ბრძოლაში 25 კაცი მოიკლა. ეი რას წერს ამის შესახებ ანტონ მოურავივრა: „ერეკლეს დანაკლისს შეადგენდა მოკლეთა 25 კაცი, დაჭრილი — მისი სარდალი-მეთაური, თავადი ალექსანდრე ცოცაშვილი, იახე ერისთავი და 5 რიგითი ჯარისკაცი".

ახალნის ბრძოლაში ბევრ ქართველ მეომარს გამოიჩენია თავი, მაგრამ განსაკუთრებით ერთმანად ახალელების მეფე ერეკლესა და მის სარდალს — დავით ორბელიანს. ამ ბრძოლაში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელნი იხატნენ თავი, ხევსურებმა და კახელებმა, ქართლელებმა და თუშებმა და სხვ.

ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გადმოცემით ახალნის ბრძოლაში მეფე ერეკლეს ჩაშველებიან სოფ. ხიზაბავრის, ხაოს, ნიკგორის, ტოლოშის, ერკოტის მოსახლეობა. სოფ. ხიზაბავრელებს 1770 წ. 22 აპრილს ახალნის ბრძოლაში გამარჯვების ალსანიშნავად დიდი ლხინი გადაუხდიათ.

ქართველ ჯარს არც დრო ჰქონდა და არც საშუალება, რომ ახალქალაქის ციხისათვის ალყა შემოერტყათ და ისე ეიღოთ. ამიტომ ძალებული გახდნენ უხმოდ-ლაფდ გასცლოდნენ მას და პირდაპირი გზით თბილისისაკენ წასულიყვნენ. ამდენი წვალების, ბრძოლისა და ნატეხა-სურეილის მიუხედავად, ერეკლემ ვერც ახლა ისარგებლა აწყურის, იდუმალისა და ახალნის ახელოვან ბრძოლებში გამარჯვების ნაყოფით. სამცხე-საათაბაგოს ხაკრთველოსთან შემოერთება არ მოხერხდა, სამაგიეროდ ქართველ-რუსთა ჯარს გარკვეული წარმატება ხვდათ დასავლეთ საქართველოში. მეფე სოლომონმა თურქ-დამპყრობლებს ხელიდან გამოსტაცა ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ჭუთაისის ციხე-სიმაგრეები. ერეკლე ამის შესახებ ან. მოურავივრა წერდა, რომ

ნერგო ზოსიტაშვილი
ქართველი და რუსი ხალხების პირველი
საბრძოლო თანამებრძოლების ისტორიიდან

„ახალციხის დაიხოცნეს, ის ციხეები იმ მიზეზმა აიღო, შიგ ხაზრდო ვეღარ შეუტანეს მეშველის უძლურობითაო". გარდა ამისა, ახალციხაში ბრწყინვალე გამარჯვებამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო რუსეთის ფრონტს ყირიმში და ბალკანეთში თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ქართველების გამარჯვებას აწუხებდა, იდუმალაში და ახალციხეში უკმად არ ჩაუფლია ბეჭნი მოსახლეობისათვის, რასაც შედეგად მოყვა ქართველი მოსახლეობის გამოთავისუფლებელი პატრიოტული მოძრაობა და მისწრაფება საქართველოსთან კვლავ შეერთებისა. ამის ნათელი მაგალითია 1770 წ. 30 ოქტომბერს ბერთვისის სანჯაყის უფროსის იბრაიმმეგ ვაჩნაძის მეფე ერეკლეს მხარეზე გადასვლა, აქარაში აჯანყების დაწყება და სხვ.

რუსეთის ჯარის უკან გაწყვეის შემდეგ, 1772 წ. საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ამის შესახებ 1774 წ. 21 აგვისტოს მეფე ერეკლე ნ. პანინს წერდა: ...ყველანაირი პირდაღებული თურქები რკალს გვარტყავენ, საარსებელში მძვინვარე ლომებივით შემოგვაკურებენ, ხოლო ლეკები ზნორენ მგლებსავით ჩვენზე კბილებს ილესავენ. ყველანი ერთად ბორგავენ შურისძიებით, რადგან ჩვენ ქართველებმა დავარღვიეთ ზავი მათ მიმართ" და ომში ჩავებითო რუსეთის მხარეს.

მეფე ერეკლე, აფასებდა რა საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, მაინც გულს არ იტეხდა, მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენმა ამდენი უსიამოვნება და ზიანი მოუტანა ქართველი და რუსი ხალხების საუკუნოვან მტკიცე მეგობრობას. ტოტლებენი რუსეთში უკან გაიწვიეს და მის მაგივრად გენერალი სუსლოტინი გამოგზავნეს. როგორც ჩანს, ახალი გენერალი ძველი გენერლისაგან არაფრით განსხვავდებოდა, ისიც გაკეთებულ საქმეს აფუჭებდა.

1772 წ. ოქტომბრის თვეში ქართველმა მეფეებმა დალაშქრეს ახალქალაქისა და ყარსის მხარე და დიდი ზიანიც მიაყენეს ახალციხის სულიერმან ფაშა ჯაველს. რომელიც საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო და მეფე ერეკლეს პირად მოკიბშედ და მემკვიდრეობის შემცილებადად მიიჩნევდა. ახალციხის ფაშის თარეშის საპასუხოდ ერეკლეს არა ერთხელ აუოზრებია სამცხე-საათაბაგო. ეგი წერს: „ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანის სცემს და აოხრებს, ...

გულაძე წერს: „როგორც ვხედავთ, ტრაქტატის მომზადებას სამი საუკუნის ისტორია აქვს. მთელი ამ ხნის განძილზე ქართველ პოლიტიკურ მესვეურებს ორიენტაცია არ შეუცვლიათ და რამდენადაც ძლიერდებოდა აგრესორთა მოძალება და იზრდებოდა ქვეყნის ფიზიკური განადგურების საფრთხე, იმდენად უფრო ძლიერდებოდა მისწრაფება ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლის მფარველობაში შესასვლელად". ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული არ არის მესხეთის განთავისუფლებისა და მისი საქართველოსთან შემოერთების საკითხიც. 1784 წ. 24 იანვარს ტრაქტატზე ხელმოწერის დროს მეფე ერეკლე თავის თავს სამცხე-საათაბაგოს „მემკვიდრე მფლობელად" მოიხსენიებს. ხოლო ტრაქტატის საიდუმლო ნაწილის მეოთხე მუხლში იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს გამოხსნა თურქმპყრობელთა ხელიდან და საქართველოსთან მისი შემოერთება.

სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხი მეფე ერეკლეს არც შემდეგ, 1787-1791 წწ. რუსეთ-თურქეთის მეორე ომის დროს დაფიწყებია. იგი თავისი ელჩის სულხან თოფჩიბაშიანლის მეშვეობით 1791 წ. მეფის რუსეთის ძალოვრობას კვლავ შეახსენებს 1783 წ. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთების საკითხს. მესხეთის განთავისუფლების საკითხი თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ანდერძად. 1798 წ. დარეჯან დედოფალი რუსეთის იმპერატორ პავლე პირველს წერდა: „მეფემან დღესა აღსრულისა თავისისა განიმეორა... ჩვენულებრივ ბრძანება თვისი, რათა უმაღლესი საფარველი თქვენი გვაქვნდეს ნუგეშად და მაცხოვრებლად".

მართლაც მეფე ერეკლეს და ყველა ქართველის ნატვრა-ოცნება მესხეთის ნაწილობრივი განთავისუფლება დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით მოხერხდა მხოლოდ ერეკლე II სიკვდილის 30 წლის შემდეგ (1828 წ.), რაც ქართველი ხალხისათვის დიდი ეროვნული ზეიმი და პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ბაჩანა ბრეგვაძე

ნიკოლო მაკიაველი

„ახლა კი ისევ დაგვრჩენია, განვიხილოთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მთავარი... და რაკი ვიცი, რომ ჩემამდეც ბევრს უწერია ამ საკითხზე, ვშიშობ, თავხედობაში არ ჩამომართვან, თუკი თვითონაც ვეცდები დაგწერო რამე. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ საკითხის განხილვისას ვემიჯნები ყველაზე მკვეთრად სხვების თვალსაზრისს. მაგრამ რაკი ჩემი განზრახვა გახლდათ, რაღაც სასარგებლო მიმეცა მისთვის, ვინც ისურვებდა ჩასწვდომოდა ზემოაღნიშნული საკითხის არსს, ამიტომ უფრო მართებულად მოვიჩნიე წარმომეჩინა საგნის ნამდვილი ბუნება და არა ის მოჩვენებითი გარსი, რომლითაც მას მოსავენ სხვები. ბევრს შეუქმნია, თავისი წარმოსახვით, რესპუბლიკები თუ სამთავროები, რომლებიც არავის უხილავს და არც ის სმენია, რომ ისინი მართლაც არსებობენ სინამდვილეში. მაგრამ ერთია, როგორ ცხოვრობენ და მეორე ის, თუ როგორ უნდა ცხოვრობდნენ კაცნი, და მათ შორის იმხელა სხვაობაა, რომ ვინც იმის გულისთვის, რაც უნდა ბომბდარიყო, იყიწყუბს იმას, რაც ახლა ხდება, — უმალ თავის დამხობას უწყობს ხელს, ვიდრე თავისსაც დღეგრძელობას. ამიტომ მთავარს, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურს, უთუოდ უნდა ჰქონდეს იმის უნარი რომ დროდადრო იყიწყუბდეს სიკეთის და, გარემოებებისდამიხედვით, იყენებდეს ან არ იყენებდეს ამ უნარს..." მაკიაველზმის სწორედ ამ ასპექტს გულისხმობდა ფრენსის ბეკონი, როდესაც წერდა: „ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყოთ მაკიაველის და სხვა მისნაირი მწერლებისა, რომლებიც აშკარად და შეუფარავად გვიხატავდნენ იმას, თუ როგორ იქცევიან კაცნი, და არა იმას, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ისინი".

პირწმინდად ეთიკური კრიტერიუმით გაზომილი პოლიტიკა მაკიაველის თვალში სხვა არა არის, თუ არა უსაგნო და უშინაარსო, სინამდვილისაგან მოწყვეტილი და გაყენებული პოეზია; მისი მიზანი კი ისაა, რომ რეალური ადამიანისა და რეალური სინამდვილის ანალიტიკური შესწავლის საფუძველზე მეცნიერებად აქციოს პოლიტიკა. დეკენტოსა და ტრეჩენტოს (XIII-XIV სს.) პოლიტიკური მოაზროვნეების, მაკიაველის უშუალო წინამორბედების აზრით (ალბერტანო, ეკიდელო კოლონა, ალბერტანონ მუსატო, დინო კომპანი და სხვ.), პოლიტიკა ხელოვნებაა, რომელიც ცდილობს უფლის ჭეშმარიტი სუფევა — საყოველთაო მშვიდობის, სიკეთისა და სამართლიანობის სამეფო დაამკვიდროს ამქვეყნად. ღვთის ორი თანამოსაყდრე, ორი მზე, მართლმსაჯულების ორი ბურჯი — პაპი და იმპერატორი, — აი, ვის ევალება ამ დიადი მისიის ხორცშესხმა. რა თვალუწვდენი უფსკრული ძევს ამ მიამტკერ ილუზიებსა და მაკიაველის მკაცრ რეალიზმს შორის: ერთის მხრივ, ეთიკური იდეალის განსახიერება, მეორეს მხრივ კი „ნახევრად კაცი და ნახევრად მხეცი", რომელიც, თუკი აუცილებელი შეიქნა, არავითარი საშუალების წინაშე არ დაიხევს უკან დასახული მიზნის მისაღწევად. თუმცა მაკიაველი ყველაზე უმალ თვითონვე გრძნობდა ამ საშუალებების მთელ საშინელებას: „ამნაირი საშუალებები მეტისმეტად სასტიკნი არიან და არა მარტო ყოველგვარ ქრისტიანულ, არამედ ყოველგვარ ადამიანურ გრძნობასაც ამდგრეველნ და აღაშფოთებენ. ამიტომ ყველი უნდა ცდილობდეს თავი აარიდოს მათ და ეერძო პირად დარჩენას არჩევდეს იმას, რომ ამდენი კაცის სავალალოდ და სასიხარულოდ, სამეფო ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. და მაინც ის, ვინც სიკეთის ამ გზას არ ირჩევს, ძალაუფლების შენარჩუნებლად მოვალეა მიმართოს ამ ბოროტებას".

მორალისტი კრიტიკოსები კი ისე განუკითხავად ეხსნიან თავს მაკიაველის „საშუალებებს",

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 9.

რომ ერთხელაც არ უფიქრიხარ მის მიერ დასახული მიზანს. მაგრამ მიზანია არის და მიზანია, საშუალებაც არის და საშუალებაც. იმ ტორია ნიმუშად გვთავაზობს უთვალავ მომენტს, როცა მორალური პასუხისმგებლობა სწორედ მიზანს ბეკეთებენ და არა საშუალებს. ხომ ბორრატეზა კაცის კვლ? მით უმეტეს, ათი ათასობით, ანი ათასობით, მილიონობით კაცისა? მაგრამ ისიც საცოხვიდა, ამ ბორრატების გარეშე რომელ ქვეყანას გადეუდგია ქედიდან სოციალური თუ ეროვნული ჩაგრის უღელი? რომელ ხალხს მოუგერიებია მომხდური, განუდევნია დამპყრობელი, ან კიდევ მძლავრ სახელმწიფოდ გაუერთიანებია ურთიერთმოშუღლე სამთავროებად დაპუცმაცებული ქვეყანა? ნამდვილი ისტორია მელნით კი არ იწერება, არამედ სისხლით, და ისტორიოსებიც მხოლოდ მისი ბიოგრაფები არიან და არა შემოქმედნი. ეროტიკოსებისა რა მოგახსენონ და, აი, რას წერს გეორგ ვიდმელმ ფრიდრიპ ბეგელი:

„თვით მაკიაველის მიზანსაც კი — იტალიის ამალელთან სახელმწიფოს დონემდე — ბრმად უარყოფენ ისინი, ვინც მაკიაველის შემოქმედებაში მხოლოდ ტირანიისაკენ მოწოდებას, მხოლოდ პატივმოყვარე მჩაგვრელისათვის ოქროს ჩარჩოში ჩასმულ სარკეს ხედავენ. ხოლო თუ ამ მიზანს მაინც აღიარებენ, მაშინ ამაზრზენად აცხადებენ მის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს და სწორედ აკ ეძლევი ფართო გასაქანი მორალისტური თეორიებსა და სხვადასხვა ბანალურ აზრებს, როგორც, მაგალითად, იმას, რომ მიზანი არ ამართლებს საშუალებებს და ა. შ.

მაგრამ აკ ლაპარაკიც კი ზედმეტია საშუალებების თავისუფალ არჩევანზე; განგრძნობიდებულ ახოებს ლავაფლის წყლით ვერ უმკურნალებ. მდგომარეობას, როცა საწყმალავსა და მიპარვით მოკვლას ჩვეულებრივ საშუალებად იყენებენ, ზერელე ღონისძიებებით ვერას უშველი. ხრწნილების ზღვარზე მიმდგარი ცხოვრების გარდაქმნა მხოლოდ მოძალადური მოქმედებითაა შესაძლებელი...“

ძნელი წარმოსადგენია უფრო გამოაგნებული კონტრასტი, ვიდრე ის, რაც არსებობდა, ერთის მხრივ, ფლორენციელი მოაზროვნის წმიდათაწმიდა მიზანსა (იტალიის ერთიანი სახელმწიფოს შეკმნა და ეცხოელ დამპყრობელთა გაძევებნა), ხოლო მეორეს მხრივ, უიმედოდ ჩამორჩენილ სინამდვილეს შორის. თვით საკუთარი არსებითი სახელი „იტალია“ ბეოგრაფიული ტერმინი უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფოებრივი („თქვენ სულ იმას ჩამჩიჩინებთ — იტალია, იტალიაო, მაგრამ მე არასოდეს მინახავს იგი“, — ამ ხიტყვებით მიმართავს მილანის მბრძანებელი ლოდოვიკო მორო ფლორენციის ელჩს 1494 წლის 9 მარტს). ათიოლობთ რესპუბლიკად, სამთავროდ, საპერეცგიდ. საგრძოდ თუ სამარკეზოდ დაპუცმაცებული ქვეყნის ცალკეული პროვინციები გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს ახალი სამფლობელოების შემომტაკიებლ[illegible] ფეოდალ[illegible] ფეოდალ[illegible] ეროვნული წონასწორობის შენარჩუნების მიზნით. თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი ლაშქარი ჰყავს, რომელთა პირადი შემადგენლობაც, უმეტესწილად, უცხოელ დაკირავებულთა ბანდებს — ათასი ჯერის არამზადებს, ყალთაბანდებს, სიხსნის სამართლის დამნაშავეებს ითვლის („უცხოელი მოხალისენი არასოდეს არ ეკუთვნიან საუკეთესო ჯარისკაცების რიცხვს, პირიქით, ესენი არიან ქვეყნის ნაძირალები; თავზეხელიდებენნი, არასმენნი, ალვარისმხნენი, ულმეტრთონი, შინიდან გამოკეცულნი, მკრეხელნი, ჯაბრტულ თამაშთა ტრფიალნი, — აი, ვინ არიან ეს მონადირენი. არაფერი ისე არ ეწინააღმდეგება ნამდვილი და მტკიცე მხედრობის სულს, როგორც ამნაირი ზნე-ჩვეულებები“). ამ ლაშქართა სათავეში ვერაგი და გულმხეცი ავანტურისტები — იტალიელი თუ უცხოელი კონდოტიერები დგანან, რომლებიც იმდენად თავიანთი დამკირავებლების პატივმოყვარეთ მიზნოფებათა დაკმაყოფილებას როდი ცდილობენ, რამდენადაც მშვიდობიანი მოსახლეობის რბევისა და ძარცვა-ბლეჯის გზით საკუთარი ჯიბის გასქელებას. ასე რომ, უცხოელი დამპყრობლების სისხლიან პარპაშს ზედ ერთვის უცხოელ დაკირავებულთა თავაწყვეტილი თარეში. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგაა მიმართული მაკიაველის რისხვისა და გულისწყრომის მთელი პათოსი:

„...ლაშქარი, რომელითაც მთავარი იცავს თავის სახელმწიფოს, ან მისი საკუთარი ლაშქარია, ან დაკირავებული, ან მაშველი, ან შერეული. დაკირავებული და მაშველი ლაშქარი უსარგებლოა და საშიში. და თუ ვინმე დაკირავებულ ლაშქარზე აფუძნებს თავისი სამთავროს ძლიერებას, მისი ძალაუფლება არასოდეს არ იქნება მტკიცე და ურყევი; ვინაიდან ყველა ამნაირ ლაშქარში ერთთავად განხეთქილება სუფევს, ყველა ისინი პატივმოყვარენი არიან, ალვარახსნილნი, ცუნანთნი; თავზეხელი — მეგზობრებს შორის, მხდალნი — ძმრების პირისპირ; არც ღმერთის შიში აქვთ და არც რწმენა კაცთა მიმართ, ხოლო მათ დამარცხებას იმდენივე დრო სჭირდება, რამდენ ხანსაც გრძელდება მათი შეტევა: თუ მშვიდობია, ისინი თვითონვე ძარცვავენ მოსახლეობას, ომის დროს კი მტერს ეძარცვინებენენ მას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არც სიყვარული და არც სხვა რამ გრძნობა არ აიძულებს მათ ფეხმოუცვლელად იდგნენ ბრძოლის ველზე, მწერი ჯამგირი კი სულაც არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მთავრისათვის თავდადების სურვილი აღუძრახ მათ. ისინი მზად არიან

ბაჩანა ბოგვაძე
ნიკოლო მაკიაველი

მთავრის ჯარისკაცებად იწოდებოდნენ, სანამ ომი არ დაწყებულა, მაგრამ ამ ომის დაწყებისთანავე ან გაბმისან, ან ეთხოვებიან მთავარს. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინაიდან იტალიის დამბოხა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამდენი წლის მანძილზე მისი სამხედრო ძალიერება მარტოოდენ დაკირავებულთა რაზმებს ემყარებოდა. ვიდრე ერთმანეთს ეომებოდნენ, ეს უკანასკნელნი რაღაცის მაჭანაში მაინც იყვნენ და, ახე განსაკუთ. მამაცებადაც კი გვაჩვენებდნენ თავს, მაგრამ უცხოელების შემოსევისთანავე აჭკარა შეიქნა, რა შვილებიკა ბრძანდებოდნენ. აი, რატომაა, რომ შარლმა საფრანგეთის მეფემ, თითქოს თამაშით აიღო იტალია და, ვინცა თქვა, ამის მიზეზია ჩვენი ცოდვები იყოო, მართალი თქვა, მაგრამ არა ის ცოდვები, რომლებსაც ვთვითონ გულისხმობდა, არამედ ისინი, რომლებსაც მე მოგახსენებენ. და რაც ამ თავიანთი ცოდვებით დეთესეს ჩვენმა მთავრებმა, იგივე მოიმკეს".

სწორედ ამიტომ სახელმწიფო ძალაუფლების ერთადერთ სამხედრო საარდენად მაკიაველი საკუთარ სამხედრო ვალდებულებას შემოიღებს და, ამ ვალდებულების საფუძველზე ჩვიდმეტიდან ორმოცე წლამდეკი ახალის მოკალკეთია არმიაში გაწვევის გზით, საკუთარი ლაშქრის შექმნასა თვლიდა („რაც შეეხება ყველასათვის სასარგებლო წესს, უნდა თქვას, რომ როგორც რესპუბლიკები, ისე სამთავროებიც ჯარისკაცებს თავიანთივე ქვეყნის მცხოვრებთაგან უნდა არჩევდნენ"... ვინაიდან „ყველაზე უკეთესია ის არმია, რომელიც საკუთარი მოკალაქეებისაგან არის შემდგარი, და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახეთი არმიის შექმნა"). მაკიაველის პროექტით, ეს უნდა ეოფილიყო ბეშმარიტად საერთოსახალხო ლაშქარი. რომლის რიგებიც უმეტესწილად გლეხობისა და ქალაქის მცხოვრებთა ფართო ფენებიდან სახმიდერო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცებით იქნებოდა დაკომპლექტებული: „ყველა მწერალი ერთმანეთს ეთანხმება იმ საკითხში, რომ უმჯობესია ჯლეხობიდან გაიწვიო ჯარისკაცები. ესაა გამოხრამდელი და შრომაში გაპოკრკილი ხალხი, რომელიც არ უფრთხის მზეს და არ ეინეს ჩრდილს; ისინი რკინის ინარაღებს ხმარებან. მიწის სამუშაოებსა თუ სიმპოზიების თრეკან არიან ნაჩვეენი და, ეგეც არ იყოს. მიამიანნი არიან და უზაკველნი. მაგრამ რაკიდა ანსებობს ლაშქრის ორი სახეობა — ფეხსაანნი და ცხენოსანნი, ამიტომ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ჭკეიანებად გაგვეწვია ჯლეხები, მხედრებად კი — მოკალაქეები".

სამშობლოსადმი ბუნებით თანდაყოლილი სიყვარული და რესპუბლიკის თუ სამთავროს მიერ საკუთარი არმიის თავგარსრდლად დანიშნული მამაცი, ვაჟკაცობა და ღირსეული მხედართუფრობისადმი ჯარისკაცების ერთსულოვანი პატივსცემენი, — აი, ის თვისებები, რომლებიც, მაკიაველის აზრით, არა ჭკოდან და არც შეიძლებოდა ჭკოდან დაკირავებული რაზმების მეიმრებს: „...სახარგებლოა ისიც, რომ მტრისადმი ზიზღის გრძნობას უნერგავდეს ეროს ბერძენ ძალებს, ასე იქცეოდა სპარტელი ... [illegible] რომელიც თავისი ჯარისკაცების თვალწინ აშიშვლებდა რამდენიმე სპარსელს, რათა ამ უსუსური და ეზნაათ სხეულების შემყურე მის მეიმრებს შეეგნოთ, რომ ამნაირი მტრების შიში მხოლოდ მხდალს თუ შეიძლება ჭკონოდა. მეორენი თავიანთ მებრძოლებს იძულებით აკენზებენენ სათმრაფდ და წინასწარ უცხადებენენ, რომ ხსნის ერთადერთი იმედი მხოლოდ გამარჯვება იყო. ეს უკანასკნელი საშუალება ყველაზე ქმედითია და ჯარისკაცებში ყველაზე უკეთ ავითარებს სიმხნეევეს. ამ სიმხნეევესვე განამაკეცებს სიყვარული სამშობლისადმი, ისევე როგორც მხედართმთავრისადმი ერთგულება და ნდობა. ნდობის სათავე კი სვანისად ხმარებული საკუთრეული, ურუკეი სათმარი წყობა, მოპოვეული გამარჯვებები და მხედართმთავრების სახელი და დიდება გახლავთ. სამშობლოს სიყვარული ბუნებით თანდაყოლილი გრძნობაა, მხედართმთავრის სიყვარულს კი მისი ნიჭი განაპირობებს, რომელიც ამ შემოხვევაში ყოველგვარ ქმედმოქმედებაზეც უმჯობესია. აუცილებლობა მრავალსახოვანია, მაგრამ ის უსარმოა ხდება, როცა მთელი არჩევანი ერთადერთი შესაძლებლობით შემოიფარგლება: სიკვდილი ან გამარჯვება".

ზემოთ დამოწმებული ციტატები მოტანილია მაკიაველის თხზულებიდან „სამხედრო ხელოვნებისათვის", რომელიც „მსჯელობების" დასრულებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე — 1520 წელს დაწერა ავტორმა. მაკიაველი პოლიტიკოსი იყო და არა მხედართმთავარი. მაგრამ სამხედრო საქმის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მხრივ მის თხზულებას ბადალი არ მოეძებნება არც შუა საუკუნეებისა თუ რენესანსის ეპოქისა და არც ანტიკური მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ თვალსაზრისით, ის აშკარად ჩრდილავს თვით რომაელი მწერლის ფლავიუს ვეგეციუს ვენანტიის (IV ს. ან. წ. ა.) ტრაქტატს „სამხედრო საქმის მოკლე გადმოცემა", რომელიც ძირითად წყაროდ ითვლება ძველ რომაელთა სამხარი ხელოვნების შესწავლისათვის. ეროის მხრივ, ანტიკური ეპოქის ისტორიკოსთა თხზულებების ვულმოდგინე შესწავლის შედეგად, ზოლო მეორეს მხრივ, თავის უმდიდრეს პირად ცდაზე დაყრდნობით, მაკიაველმა შესძლო მოეცა ინტალიისა და, საერთოდ, ევროპაში სამხედრო საქმის განვითარების ამომწურავი ანალიზი, გამოეკვლინებინა შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და ორგანიზაციის ნაკლოვანებანი, დაეხატა თვისობრივად ახალ საფუძველზე მათი ძირეული გარდაქმნისა თუ შემდგომი სრულყოფის გეზი და თანმიმდევრულად ჩამოეყალიბებინა სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის კარდინალური პრობლემები, რო-

მელთაგანაც ბევრს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა.

მაკიაველის თხზულებაში, რომლის ლაპიდარული სტრაქონები სამხედრო წესდების მკაცრსა და საქმიან სტილს მოგვაგონებენ, დაწერილებითაა განხილული, თუ რა პრინციპებს უნდა ემყარებოდეს არმიის პრაქტიკა შემადგენლობის შერჩევა და ახალშეკრული რიგებით მისი შეესება; ნაჩვენებია მოლაშქრეთა სამხედრო მოამზადების, ფიზიკური წრთობისა და მტაცეკენ დისციპლინის დიდმნიშვნელოვანი როლი („ბუნება იშვიათად ბადებს მამაცებს; ისინი მეტწილად წერთნისა და გაწნეულის შედეგნი არიან"); გაანალიზებულია არმიის აღჭურვის, შეიარაღებულ ძალთა სტრუქტურის, ხაომარი წყობის, გარემოცვის გარღვევის, იერიშისა თუ უკან დახევის არა ერთი და ორი დეტალი, ბრძოლის ველზე ათასგვარი გაუთვალისწინებელი გარემოების, მოულოდნელობისა თუ შემთხვევითობის შედეგთა თავდან აცილების გზები; ხაზგასმითაა აღნიშნული ცხენთრთმავრის პირადი ღირსების, ბინი ნიეიერების, სიმამაცისა და გამჭრიახობის მნიშვნელობა ხაომარ მოქმედებათა პროცესში; გამოკვლეულია ეკონომიურ ფაქტორთა მთელი კომპლექსის, ზურგისა და ფრონტის მჭიდრო კავშირის არსებობის როლი.

„მთავრის" ავტორი აქაც თავის თავის ერთგულია: ბრძოლის ველზე, ისევე როგორც პოლიტიკურ ასპარეზზე, ყოველგვარი საშუალება არ მარტო დასაშვებია და ნებადართული, არამედ აუცილებელიც. დიახ, აუცილებელია მზაკვრობა, ცბიერება, მუხანათობა, ან, თუ გნებავთ, საზვაო ხელშეკრულების თვითნებური დარღვევაც კი (მან უკვე იცის, რომ „ერთადერთი ხელშეკრულება, რომელისთვისაც შეიძლებოდა ანგარიში გაგვეწია, ეს იქნებოდა ხელშეკრულება, დადებული უკანა-აზრებს შორის" — პოლ ვალერი). მაკიაველი თვით იმგვარი საშუალების წინაშეც არ იხევს უკან, როგორიცაა მომწამლავი ნივთიერებების გამოყენება. აი, კრიტიკის აზრით, მისი ბარბაროსობის კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიშანი. კეთილი და პატიოსანნი, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაკიაველის თანამედროვეს ალალიეი მეცნიერი რობერტო ვალტურიო (გარდ. 1482 წ.) თავის თხზულებაში „სამხედრო საქმისათვის" გადმოგვაცემს, როგორ იყენებდნენ ომის დროს ჯერ კიდევ ძველი გერმანელები ბახრობილი გაზებს, ხოლო ლეონარდო და ვინჩის „ალალატიკურ კოდექსში" ავტორის ცაცია ხელით ჩაწერილია მომწამლავ ნივთიერებათა (თანადროული ქიმიური თუ ბაქტერიოლოგიური იარაღის პროტოტიპი) დამზადების რამდენიმე რეცეპტი: „აიღე დარიშხანი და გოგირდს ან რეალგარს შეურიე იგი. საშუალება — ვარდის წყალი. გომბეშოს გამოხდილი სისხლი. ცოფიანი ძაღლის დუღი და გამოხდილი შინდის წყენი. ტარენტული ობობა. სპილენძის ჟანგისა და შუამიანი კირის ფუნენი ხომალდებზე შესატყორცნად..." ან კიდევ ალალიეი-ზე შუამიანი ფუნენის შესაფერ ქვევით: ერთად დანაყილი კირი, ჟურიპიგმენტი, სპეფენის ალი, ეი პატარა ბალისტებით უნდა ისროლონ ბერძენ ბის შუაგულში. მაგრამ ფრთხილად იყავი, რომ ჭარმა შენსაკენ არ შემოპარუნოს ეს ბერეერი. ანდა ცხენ-პირი აკრული გვონდეს სველი ტილოთი, რომელიც ხელს უშლის მტერის შელწევას" (ეს უკვე „აირწნიანია" — ბ. ბ.).

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მაკიაველის თხზულებაში ყველაფერი უნაკლო და უზადო იყოს. ბანაბა გვაგზავნა ცალეული ლაფსუნები და მაკიაველის რანგის მოაზროვნისთვის მოუტეგებელი შეცდომები. ხაქმე ისაა, რომ „სამხედრო ხელოვნების" ავტორი საკმაოდ თვითნებურად ეპყრობა ფაქტებს; ხანდახან ცდილობს თავის თეორიულ ჩანაფიქრს მიუსადაგოს ისინი და არა პირიქით, რაც მისი ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის მიმართ თანმედროვე მკვლევართა სავსებით სამართლიან უნდობლობას ბადებს. ეგეც არ იყოს, მაკიაველიმ ვერ შესძლო სათანადოდ შეეფასებინა ხაომარ მოქმედებათა პროცესში არტილერიის თანდათან მზარები როლი. მაგრამ, როგორც ამნაირ შემთხვევებში ტრაფარეტულად ატკვეინ ხოლმე, ყოველივე ეს ვერ ჩრდილავს მისი თხზულების ეტვშუეშან ღირსებას და მნიშვნელობას... დასახრულ, მკითხველთასთვის ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავაცნობთ მაკიაველის ზოგიერთ აფორიზტულ გამონათქვამს, რომელთითაც ბოლოვდება „სამხედრო ხელოვნების" უკანასკნელი — მეშვიდე წიგნი:

„ყოველივე ის, რაც სასარგებლოა მტრისათვის, საზიანოა შენთვის; ყოველივე ის, რაც სასარგებლოა შენთვის, საზიანოა მტრისათვის. იმას, ვინც ომის დროს მოწინააღმდეგს უფრო ფხიზლად აღვენებს თვალს და უფრო გულმოდგინედ ეწრთნის თავის ლაშქარს, ნაკლები საფრთხე ემუქრება და შეუძლია გამარჯვების უფრო მეტი იმედი ჰქონდეს".

„ყველაზე უკეთესი ჩანაფიქრია ის ჩანაფიქრია, რომელიც მის ასრულებამდე დაფარული რჩება მტრისათვის".

„უფდა ქკონდეს იმის უნარი, რომ ბრძოლის ველზე სწრაფად შეიცნო ხელსაყრელი ვითარება და დროულად ისარგებლო ამით. ეს ხელოვნება ყოველგვარ სხვა ხელოვნებაზე სასარგებლოა".

„თუკი მოწინააღმდეგის მოლაშქრეთა ნაწილი შენს მხარეზე გადმოვა და ერთგულად გემსახურება, ყოველთვის დიდ წარმატებად მიიჩნე ეს. მოღალატენი უფრო მეტად ასუსტებენ მოწინააღმდეგს, ვიდრე მოკლულნი, თუმცა ისინი საეკვონი ჩანან ახალი მეგობრების თვალში და საძულველნი — ძველების თვალში".

ბაჩანა ბრეგვაძე
ნიკოლო მაკიაველი

„ძნელია მისი ძლვა, ვინც მტრის ძალებსაც კარგად იცნობს და თავის ძალებსაც. მოლაშქრეთა სიმამაცე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სიმრავლე, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციაა ზოგჯერ სიმამაცეზე უფრო სასარგებლოა და მომგებიანი. ყოველგვარი მოულოდნელობა აფრთხობს ლაშქარს; ის გულგრილია ყოველივე ჩვეულებისა და თანდათანობითის მიმართ. ამიტომ შეაჩვიე შენი ჯარი მტრის და ხანმოკლე შეტაკებებით გააცანი იგი, ვიდრე გადამწყვეტი პრიოლისათვის დასძრავდე ჯარისკაცებს".

„ვინც უთავბოლოდ მისდევს უაღქმელ მტერს, მხოლოდ იმას მიეცდების, რომ მძლეველად ძლიერად იქცეს".

„ვინც ჯარის მომარაგებაზე არ ზრუნავს, მანამდე დამარცხდება, სანამ ხმალს ეშიშვლებდეს".

„თუ გსურს დღისით გაიგო, ჯაშუში ზომ არ შემოგეპარა ბანაკში, უბრძანე ყველამ თავ-თავის კარავს ხელშოკრა".

„უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების შეცვლა, თუკი ამჩნევ, რომ მოწინააღმდეგემ გამოიცნო იგი".

„მშვიდობის დროს სიმკაცრით და ხასკეცის შაშით დაიარეთ ჯარისკაცები, ომის დროს კი იმქედით და ჭიდლის აღთქმით წაიკეზე ისინი".

„ძნელია მოულოდნელობასთან ბრძოლა, ყოველივე წინასწარ გათვალისწინებულთან — ადვილი".

„ხალხი, იარაღი, ფული და პური — აი, ომის სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ამ ოთხიდან უმთავრესია პირველი ორი, ვინაიდან ხალხითა და იარაღით ყოველთვის შეიძლება ფულისა და პურის შოვნა, მაშინ როდესაც მარტოოდენ ფულით და პურით ვერც ხალხს იშოვნი და ვერც იარაღს..."

მაკიაველის მთელი პოლიტიკური მოძღვრება მხოლოდ და მხოლოდ ოროდე კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად: როგორი უნდა იყოს ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო წეს-წყობილება, როგორ შეიძლება პოლიტიკური კრიზისის დაძლევა, იტალიის ამაღლება ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს ფლობედ და უცხოელ დამპყრობთა განდევნა? ამავე მიზნის ემსახურება მაკიაველის უკანასკნელი გრანდიოზული თხზულება „ფლორენციის ისტორია", რომლის დაწერაც მას 1520 წლის 8 ნოემბრის დაავალა ფლორენციის უნივერსიტეტმა. ამ უნივერსიტეტის მაშინდელი მფარველი — კარდინალი ჯულიო მედიჩი სამი წლის შემდეგ პაპი კლემენტე VII გახდა. „ფლორენციის ისტორია" 1525 წელს დაასრულა ავტორმა და ხელოვნ კლემენტე VII-ს მიუძღვნა იგი. ხუთი წელი მუშაობდა მაკიაველი ჩვეული გულმოდგინებით. აღარც ძალი ახსოვდა, აღარც გართობა და აღარც ცხა-ბაბა. თავაუდებლად ჩხრეკდა, იკვლევდა, სწავლობდა იტალიელი მეცნიერებისა და მემატიანეების (ვილანი, სტეფანი, ბიონდო, კავალკანტი, ბრაჩოლინი, ბრუნი) ქრონიკებსა და ანალებს, ერთმანეთს ადარებდა ნარაკიცული და ლიტერატურული წყაროებისა თუ ზეპირი გადმოცემებისა და ლეგენდებისა და პირად შთაბეჭდილებებს.

ასე შეიქმნა რვა წიგნისაგან შემდგარი თხზულება, რომელსაც, ფრანჩესკო გვიჩარდინის ოცტომიანი „იტალიის ისტორიის" გამოკლებით, ბადალი არ მოეძებნება მთელს იტალიურ ისტორიოგრაფიაში და რომლის პირველი წიგნი, არსებითად, ფველი რომის პოლიტიკური ისტორიისადმი მიძღვნილი, თუმცა იგი XV საუკუნის ერთ მონაკვეთსაც მოიცავს. მომდევნო სამ წიგნში აღწერილი დრამატული ამბების კულმინაციიერ მომენტად გვევლინება შუბლიერი ჯარკვედან გამდეგნილი კოზიმო მედიჩის ტირუფლადური დაბრუნება და მედიჩების სინიორიის დამკვრება ფლორენციაში 1434 წელს. V-VIII წიგნებში გადმოცემულია მედიჩების მმართველობა და როგორც საკუთრივ ფლორენციის, ისე მთელი იტალიის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკვანძო მომენტები.

პოლიტიკა — აი, ამ წიგნის სული და გული, მისი საშუალება და მიზანი, მისი აზრი და არსი. არც ერთი სიტყვით არ ეხება მაკიაველი თავისი მშობლიური ქალაქის ეკონომიკას, მის მრეწველობასა თუ ფაბრობას და, ასე განსაკუთრ, არც მის კულტურას, რამაც, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა ფლორენციის სიდიადე და იტალიის, და არა მარტო იტალიის, სულიერი ცხოვრების ალიარებული ცენტრად აქცია იგი. და მაინც ისტორიული ყოფის ამ არსებით ასპექტთა იგნორირების მიუხედავად, „ფლორენციის ისტორია" „დამთრგუნველი" წიგნი გახლავთ თავისი მრავალფეროვნებისთვის და სირთულეთა. მაკიაველისტება ამათდ ცდილობენ მასში რაიმე ზოგადი კანონზომიერების, ამა თუ იმ მწყობრი სისტემის აღმოჩენას, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გარდა, ამ დიადი ქმნილების მთელი შინაარსი ისევე ქაოტურია და ათასსახოვანი, ისევ გამოაგნებელი და გონებამიუწვდომელი, როგორც თვითონ ცხოვრება. ხალეკების, ფაქტების, მოვლენების უძირო და უკიდეგანო ზღვა; ისტორიის არენაზე რასების, ხალხების, სახელმწიფოების, საზოგადოებრივი ფორმაციების, რელიგიების ურთიერთცვლა: სოციალური კლასების, პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების, ხალო და სასულიერო ხელისუფლების დაუსრულებელი ანტაგონიზმი; ბატონმოყვარული ზრახვების, მიზნების, მისწრაფებების, ურთიერთგამმარიცხველი და შეუთავსებელი ინტერესების საკვდრო-სასიცოცხლო ჭიდალი... მთელი ეს ქაოტურად ჭრელი სამყარო ბორგავს, ბობოქრობს და ტორტმანებს, როგორც ქვეკუნა შესაქმის პირველ დღეს. ერთადერთი, რაც ამ სიმშვიდეცა და აუშფოფლობას ინარჩუნებს, ეს გახლავთ ავტორის სტილი. .....მაკიაველის ყველაზე მეტად ინტერესებს ფაქტების ახსნა, იმის

გარკვეულ, თუ რა ამოძრავებს ადამიანებს, და ის დაფიქრებით, შშვიდად და დინჯად წარმართავს თხრობას, როგორც ფილოსოფოსი სამყაროს ბუნებაზე მსჯელობის დროს... ავტორი არც სცენაზეა და არც კოულისებს მიღმა: ის თავის კომპოზიციაში ზის; მოვლენები რიგ-რიგობით მიიგრაგნებიან მისი გონების თვალწინ, და ის ცდილობს დაადგინოს მათი მიზეზი... ის მთლიანად ანარის ამ ქმედითობაშია დანთქმული, და მას ვერ ამდვრევს ვერავითარი მღელვარება, ვერავითარი შფოთვა. ესაა აუმღვრევლობა გენიალური მოაზროვნისა, რომელიც თანგრძნობით უმზერს მძვინვარე ვნებებით გატაკნულსა და განაუმჯობა ადამიანებს" (ფრანჩესკო დე სანტანტის).

მძვინვარე ვნებები, ვნებების მძვინვარება, — ეი, მაკიაველის ანარი, მსჯრალწარმავალი და ყოველდწამიერად ცვალებადი ისტორიული ხასიათისა ერთადერთი მარად უცვლელი ხუსტრატი. ამ უცვლელობასა და წარუვალობაში, რომელიც ისევე მარადიულია და მკაცრად დასაზღვრული, როგორც ციურ სხეულთა მოძრაობა თავიანთი ორბიტების ირგვლივ, არის რადაც სახელწოდრო, აუცილებელი, გარდუვალი. უწონარეს ყოველისა, სწორედ ეს აუცილებლობა ავლენს ამქვეყნიერ სინამდვილეში ბედისწერის ბრმა სტიქიური ძალის ჩარეკვას, რომელის თვითნებობა ისევე უპირისპირდება სამყაროს წინასწარ დადგენილ წესრიგს, როგორც შემთავეევითობის ეონიანი თამაში ბუნების ზოგადსა და საყოველთაო კანონზომიერებას. მაკიაველი ფატალისტი არ არის. მას სწამს, რომ ადამიანის თავისუფალ ნებას, მის ადამიანურ სიმხნეევს, სიკვლიტს და გონიერებას, მის კმეიდითობასა და ალტერნატიას, გარეშემავალ სინამდვილეში თავისუფალი ორიენტერების, ანუ სიკეთისა და ბოროტების, სასარგებლისა და ზაზიანის გარჩევის თუ ანრეკის მისეულ უნარს შეუძლია მოდიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აიცილოს თავიდან კაცს ბედისწერის დარტყმები და გარეშეოვნებთა ადამიანგნეველი ძალმოსილების მიმართ მიზერი ბორრილებისაგან დაიხსნას იგი. და მაინც, ის უეცოაზნოდ ალიარებს ბედისწერის სტიქიურ გარდუვალობას, რომელსაც, ლეონ ბატისტა ალბერტის მსგავსად, ადიდებული მდინარის ყოფილს წამლეკავ მძვინვარებას ადარებს, და რომელიც ისევე აუცილებელია, როგორც თვით კაცთა არსებობა და ისევე განუყოფელი ამ არსებობისაგან, როგორც ტალღა — წყლისაგან:

„მე ვიცი, ბევრი კაცი იმ აზრისა იყო და ახლაც იმავე აზრზე დგას რომ ამქვეყნიური მოვლენების მსჯელობას ბედისწერა და ღმერთი წარმართავენ, და რომ კაცთა კეთილგონიერებას არაფრე თუ არ შეუძლია რაიმეს შეცვლა, არაფერ სრულიად უმწეო განგების წინაშე. აქედან გამოდინარე, შეიძლებოდა დაგვეხედნა: რა საჭიროა ოფლის ღვრა და ჭაპანწყვეტა, უველაფერი მივანდოთ განგების ნებას, — ამ ანარა საყოველთაო აღიარება მოიპოვა ჩვენს ლეონ. რაც ეხსნება ყოველგვარი ადამიანური წესრიგის წარხედვის სრულიად გამომრიცხველ ფენომენების ულ ცვლილებებით, რომლებიც ეროვნული ბიბლიოთეკა ლებრივ და ყოველდღიურ მოვლენებად იქნენ. მათზე ფიქრისას, ნაწილობრივ მეც ამ აზრისკენ ვიბრეკი ხოლმე. მაგრამ რაკიდა დაუშვებელია ჩვენი თავისუფალი ნების უგულებელყოფა, მე მზადა ვარ ქედმარტივად ვაღიარო იმის შესაძლებლობა, რომ ბედისწერა განაპირობებს ჩვენი მომავლების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ჩვენივე გვანდობს. ბედისწერის მე ვამბავდეს ბობოკარ ფდინარეს, გამეფინვარებელი რომ გადმოლასავს ნაპირებს, წალეკავს ხეობებს, ძირფუნაკიანად თხრის ხეებს, ანგრევს ზეობებს, ერთი ადგილიდან ჯდეკს და მეორეზე გადაკავს მიწა; ყველა გაურბის, ყველა უდაოქცევ მისი სიშმაგის წინაშე, არავის ძალუძს წინ აღუდგეს მის მძვინვარებას".

მაგრამ ეს სახელისწერო ძალა გაცილებით უფრო უმნიშვნელო იქნებოდა, ადამიანი თვითონვე რომ არ უწყობდეს ხელს მის ზეობას და მძლეობამარტლობას, თვითონვე რომ არ განაპირობებდეს მის კმეიდითობას თავისი სისუსტით, ანგარებით, უეცურობით, უსრნელიობით, ეგოისტური მიზეზებებით: მაკიაველი არ აკნინებს ადამიანს, მაგრამ არცთუ მინეცდამაინც დიდი წარმოდგენისა გაჰფავნ მასზე. ამ მხრივ, მისი თვალსაზრისი ძირეულად განსხვავდება დიდ იტალიელ ჰუმანისტთა მრწამსისაგან, რომლის მიხედვითაც ღვთის ხატად ქმნილი ადამიანი შეაჯერის ყველაგვანად და სამყაროს ცენტრადაა დასახული, ხოლო სამყარო, თავისი ნათელი ჰარმონიითა და ღვთიური გონიერების საწყისზე დაფუძნებული მწყობრი წესრიგით, ადამიანის საკვნეტ, ხაუფლოდ და ხაბრძანებლად ყველანაა. ჯოვან პიკო დელა მირანდოლას თხზულებაში „სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ" შემოკმედი ასე მიმართავს მის მიერ შექმნილ კაცს: „მე შენ გაყენე სამყაროს ცენტრში, რათა იქიდან უკეთ მოიხილო ყველაფერი. რითაც ეი ხავსობს სამყარო..." „ო, უზენაესი და ზეადმტაკი ბედნიერება კაცისა, — წამოიძახებს ადამიანის ღვთაებრივი დანიშნულებით აღფრთოვანებული ავტორი, — რომელსაც ხელეწიფება ფლობდეს იმას, რასაც ისურვებს და იყოს ის, რაც ნებავს..." ხოლო ლეონ ბატისტა ალბერტი წერს: „ბუნებამ, ანუ ღმერთმა ნაწილობრივ ციურ და ღვთაებრივ, ნაწილობრივ კი დანარჩენ მოკვდავთა შორის ემწყვნერიეს და უკეთილშობილეს არსად შექმნა ადამიანი... უბოძა მას გონიერული მსჯელობის ნიჭი და უწყალობა გრძნობისა და მოძრაობის, ხუთგრეული და

ბაჩანა ბრეგაძე
ნიკოლო მაკიაველი

სწორაფვის უნარი, რათა მათი მეშვეობით ცხადად შეეგრძნო და უკეთ შეეცნო ყოველივე სასარგებლო და თავიდან აეცილებინა მავნე და ზარალი; მანვე უბოძა დეთაგბრივი ოვისებები — ჭკუა, მახსოვრობა, გამჭრიახობა, გონიერება, რათა მათი წყალობით გამოეკვლია, გაერჩია და შეეგნო, თუ რისგან მართებდა თავის მოზღუდვა და რისკენ სწრაფვა, და ამრიგად უკეთ დაეცვა და დაიმკვიდრებინა თავი თავი".

მაკიაველი გულმოდგინედ აკვირდება ბიბლიის პოეტური და პოზიერი ნაადგილზე ადმოცენებულ ამ რენესანსსულ ანთროპოლოგიას და განცვიფრებით ამჩნევს, რარიგ ნაკლებად შეუხებიმეტა იგი რეალურ სამყაროს და რეალურ ადამიანს. იდეალისტური სრულქმნილების, ნიჭიერის, სიფხიზის, ჰარმონიის ნაცვლად სინამდვილეში ის პოეტობს მხოლოდ ნაკლოვანებას, ხიმწირეს, სიდუხვირეს, დისპარმონიას. რა არის სამყარო, ვის მიერ, ვისთვის ან რისთვისია იგი შექმნილი? ამ კითხვების პასუხი სამედამოდ დავარცალია ჩვენთვის. მაკიაველი თავს ამ იბრუებს და არც სხვებს აბრუებს მეტაფიზიკური ილუზიებით. ეს სამყარო მოწყალე და მოსიყვარულე შემოქმედის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წმუობრი წესრიგი კი არ არის, არამედ მტრულ ძალთა ჭაობი, გახრეხასა და გაწადგურებას რომ უქადის კაცს. სამყარო, სადაც ადამიანი ესოდენ უმწეოა და მიუსაფარი, სადაც პატიოსნებისა და უანგარობის ერთადერთი ჯილდოა უმადურობა, სადაც ხიკეთე მხოლოდ ზღაპრებშია გამარჯვებული, სადაც სამართლიანობას, სიბრძნეს, სიკეთეს ფეხქვეშ თელავს ძალმომრეობა, უმეცრება და უკეთურება, — მაკიაველის აზრით, არ შეიძლება დღრთის მიერ იყოს შექმნილი, ან მკრეხელურად უნდა ვიფარეფდთ, რომ მას შესაქმნისას ხელი მოეცარა, რაც სრულიად შეუთავსებელია ღმერთის ყოვლისმძლეობის ცნებასთან. „სასტიკად სცდება ის, ვისაც სურს სამართლიანობის საბოლოო ტრიუმფი: გონიერება კი არ მართავს სამყაროს, არამედ გაჭნილობა, უხეში ძალა და ბრმა ბედნიერება", — მაკიაველი უფოყმანიდ მოაწერდა ხელს თავისი მეგობრისა და თანამოაზრის ფრანჩესკო გვიჩარდინის ამ სიტყვებს...

ამ პრაქტიკი სამყაროს ცენტრში კი არა, მის ერთ მივარდნილ და მიყრუებულ კუნჭულში ეუოფად დგას ადამიანი, — უმწეო და უბადრუკი არსი. ტრიფლით იეწყება და ფეხ თავის გაჩენას, რათა უკანასკნელი ამოოხვრით დასრულოს თავისი ამქვეყნიური არსობის ეყველი. ფილეთ თავისი მსწრაფფოწარმავალი სიცოცხლის ბანაკიზე მოუხვევნად დაიტეკება იგი დედამიწის ზეგრაზე: წვალობს, იღვწის, ზრუნავს, ისრძვის ზლეგური ენებებით — სხვარნი, პატივმოყვარეობით, ანგარებით გაწამებული; ბუნებამ დახვეწა ადამიანის ყველა უნარი, შესაფერი მოქნილობა მიანიჭა მის ხასიათს, უხოდა მეტყველებისა და აზროვნების ნიჭი, ბოთლიანი ენებებით, სურვილებით, მისწრაფებებით და მოთხოვნილებებით აავსო იგი, მაგრამ [illegible] ყოველგვარი ბაზა დაუზმო მას. ენებებისა და მისწრაფებებს ან ფესვიერი მრავალფეროვნების ერთადერთი წყარო, მაკიაველის აზრით, ადამიანის ბუნების სპეციფიკური თვისება — მისი ეგოიზმი გვევლინება. სწორედ ეგოიზმისადამიანის ნებისმიერ ქმედნ გრძნობებს, მდგომარეობებსა ინსტინქტებს, ფაეფიერი ზრახვებისა თუ მისწრაფებებს მთელი სიმრავლე. რიფეფთა ზორიანაც მაკიაველი პირველ ადგილზე აყენებს ანგარებასა და პატივმოყვარეობას. უსაზღვრო ადამიანის სურვილები და მოთხოვნილებები, მაგრამ საზღვრულია და სასრული მათი ხორცშესხმისა და დაკმაყოფილების მისეული შესაძლებლობები. აქედან — მისი მუდმივი ბრძოლა და წრილი, მისი მოუსვენრობა და უკმაყოფილება, თუმცა, ისევე როგორც ყველ ხულდგმულს, ადამიანსაც აქვს თვითდაცვისა და თვითშენახვის მძლავრი ინსტინქტი; და რაც უფრო შეზღუდულია მისი შესაძლებლობები, რაც უფრო უმწეოა იგი, რაც უფრო მეტია სინამდვილე და მტრული — ბუნება, მით უფრო გაფფორტებულია მისი ბრძოლა არსებობისათვის.

ხაკუთარი შესაძლებლობების სწორედ ეს შეზღუდულობა და არსებობისათვის ბრძოლის სიმკაცრე აიძულებს ადამიანებს ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ბედ-ღიღალი, რათა შერეულებულ ძალებით მაინც შეძლონ თავის გადარჩენა, რაც ცალ-ცალკე და ერთმანეთისაგან გათიშულად შეუძლებელი იქნებოდა მათთვის. თანაბშრომლობისა და თანაარსებობის სხვადასხვა ფორმის თანდათანობითი განვითარებისა და მათი მასშტაბების ზრდის კვალდაკვალ დასაბამი ეძლევა საზოგადოებას, სოციალურ ფენებს, კლასებს, სახელმწიფოს. მაგრამ სახელმწიფო მარტოოდენ მეკანიკურად რიდი ერთიანებს ადამიანებს. ის ბრძოლად ცვლის მისი ცხოვრების ფესვსაც. სანამ ადამიანი მოგვასოდგან ეანკარქიულთან, ინოლორეფუფდან ცხოვრობდა, მისი ყოფა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მხეცისა და ცხოველის არსებობისაგან. ბრაფერი არ აიძულებდა მას დაეფრენინა თავისი ენებები და სურვილები. მხოლოდ სახელმწიფოს აქცია იგი „საზოგადოებრივ ცხოველად", მხოლოდ სახელმწიფოს ასწავლა მას, რომ ბრაფერი ისე არ ეწინააღმდეგება თანაეფფერებასა და თანაარსებობას, როგორც ეგოისტური მისწრაფებების ანეარსებნლითა, და რომ სწორედ ამტომ საჭიროა მათი დაფრეკა. ხაკუთარ ენებებსა და სურვილებთან ადამიანების ამ ბედლიდან ადმოცენდა კანონიერება, მორალი, რელიგია.

ბხოლოდ ეგ კი, რომ სახელმწიფოს, მაკიაველის აზრით, თვითმკმარი და თავისთავადი საფუძველი არ გააჩნია. ის ადამიანების მიერაა შექმნილი და მხოლოდ მათი თავისუფალი ნების

წყალობით ენიჭება არსებობაც, ქმედითობაც და დანიშნულებაც. სამყაროდან მას თავიდა მკეთრად გამიჯვეთილი და თავისთავადი ფუნქცია აქვს. სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის აღზრდასა და პირველყოფილი ბარბაროსობის მდგომარეობიდან ცივილიზებული არსების რანგში მის აყვანას ისახავს მიზნად. რაკილა საყოველთაო ბოროტებისა და უბედურების ძირითად მიზეზად ადამიანური ენერგიების მძვინვარება და მათი თვითნებობა გვევლინება, ამიტომ ამ საკვანძო მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად მაკიაველი ინარჩუნებს სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას სახავს, რომელიც შესძლებს თავშეუბული ეგოიზმის აღაგზვავსა და დიფერენციას. ამ მსრივ, სახელმწიფოს ძირითადად ერყენთა მორალს, რომელიც ალტრუისტული სულისკვეთებით ზრდის კაცს და მოყვასის ინტერესებისადმი პატივისცემასა, და საზოგადო სიკეთისადმი სამსახურს უწესებს ქმედება და მოქმედების უზენეს ნორმად თუ საზომად. მორალი, ზნეობა, მაკიაველის აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც საზოგადო სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარეობენ და, სახელმწიფოს, კანონებისა თუ რელიგიის მსგავსად, თანაკეთილ-ვრების მოთხოვნენი არიან განპირობებული. მორალი ადამიანთა არასრულქმნილების გამაწონასწორებელი ფაქტორად ჯველნენება და მიზნად ისახავს, სწორედ ამ არასრულქმნილების აღმოუფხვრის გზით, ადამიანებში ინსანი თვისებების გამოშუშავებასა და განვითარებას, რომელთა გარეშეც წარმოდგენელია სახელმწიფოს ფარგლებში მათი თანაშშრომლობა თუ თანაარსებობა და რომლებიც ბუნებამ არ გაიმეტა მათთვის.

ადამიანთა ეგოისტური მისწრაფებების თავაწყვეტელ ნიარეს სახელმწიფო მატაროდენ მორალის მეშვეობით ოული ეპირისპირება. მას ხელთ უპყრია ერთი ძლევაო იარაღი: ეს გასლავთ კანონები, საზოგადოების უზენესი ავტორიტეტით დადგენილი და ხელისუფლების მიერ სანქციონირებული საკალდებელო ნორმები, რომელთა მეშვეობითაც ის ბოკვად და გაკაკანს ან აძლევს საზოგადოების წევრთა ინდივიდუალურ მიზნების მავნე ტენდენციებს და სასჯელის შიშით აღკვეთავს მათ მოქმედებას. ეს ორი სოციალური ძალა — მორალი და კანონიერება — ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთმანეთს განპირობებს: „მორალიცდა, არ არსებობს კანონები, არც კონსტიტუცია, რომელიც შესძლებს შეაჩიოოს საყოველთაო გახრწნილება; ვინაიდან ისევე როგორც ზნე-ჩვეულებათა სიწმინდის შენარჩუნებას კანონები სჭირდება, ამ უკანასკნელთა ქმედითობისთვისაც აუცილებელია ზნეთა სიწმინდე. ამიტომაცაა, რომ რესპუბლიკების დასაბამს შექმნილი კანონები თუ დადგენილებები, როცა მოკალაქეთა ზნეობა შეურყეველი და შეუბღალავი იყო, უმაკნინნი ხდებიან მოსახლეობის გახრწნასთან ერთიად". მაჩაკერი მორალი შეუძლებელია ხელ-ბის ხსნა, მისი გაკანსაგება და განთავისუფლება არავითარ სოციალურ ძალებსა თუ გარეკეშნეს ან შეუძლია: „მე ვამბობ, რომ ვერავითარი გადატრიალება, რაგინდ მძაფრი და რადიკალური უნდა იყოს იგი, ვერასოლეს გაათავისუფლებს ბილანსა და ნეიარეს, ვინაიდან ეს ქალაქები ერთიანად გახრწნილნი არიან". სწორედ ამიტომ ძველი რომის სიდიადის წყაროდ მაკიაველი მის სამხედრო ძლიერებასა და სახელმწიფოებრივი შეკნილობის სრულყოფილებას კი ანა თვლის. ორივენი უწინარეს ყოლისა, მისი მოკალაქეებას ხიკველეს და მათ უანგარო სამსახურს საზოგადო სიკეთის მიმართ.

მორალსა და კანონებს მსარს უმაგრებს რელიგია, — არა მარტო ცოსა და მიწის, არამედ კაცთა კავშირიც. სახელმწიფო ისევე ემყარება ამ სამ სოციალურ ძალას, როგორც დედამიწა, მიამიტური კოსმოლოგიური წარმოდგენით, — სამი ვეშაპი ზურგს. რელიგია ზნეობრივი კანონის საკრალიზაციას ახდენს და აიძულებს ადამიანებს აღიარონ მისი დამოუკიდებლობა კაცთა ოვითნებობისაგან. თუმცა რელიგია, სანამ ის მორტოოდენ ქედაკეშით ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ადამიანებზე, ვერ აბერხებს მათი ეგოისტური მისწრაფებების ალაგმვას, და მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს ხელში პოლიტიკური იარაღის როლს ასრულებს, ანდა როცა შეიარაღებულ წინასწარმეტყველის პირით მეტყველებს, ის უკვე უფრო მეტია, ვიდრე ხმა უდანნონი მეალიდმლელისა. ასეთი იყო ძველი რომის რელიგია, რომელიც ხელს უწყობდა ხალხნი სამოკალაქო სიკეთის დაენერგვას და განმტკიცებას: „რომის ისტორიის შესწავლისას, შეუძლებელია არ შენიშნოთ, რომ რელიგია ხელს უწყობდა დისციპლინის განმტკიცებას ჯარში, ერთიანობისას — ხალხში, სიკეთის სრულყოფას და განვითარებას, ხიცესეთის აღძვრას — უკეთურთა სულში. და რაკი ღვთისმოსაობა სახელმწიფოთა სიდიადის ერთი უმთავრესი მიზეზია, ამიტომ მისი უფლებელყოფა მათი დაცემის მიზეზად გვევლინება".

მით უფრო მწარეა მაკიაველისათვის ამის შეგნება, რომ ქრისტიანული რელიგია, რომელიც, მისი რწმენით, სახელმწიფო წეს-წყობილებას განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანი უნდა ყოფილიყო, პაპების სამტვერაფოდ გადაქცეულ ბოლოდ ბოლოს ეროვნული უბედურების უმთავრეს მიზეზად იქცა: — „ეკლესია. — ან, ჩვენი მარცხის მიზეზი... სწორედ ეკლესიის წყალობითაა ჩვენი კვეკანნა ახე დაჭეუმაცებული..." „ოუ დავუკვირდებით

ბაჩანა ბრეგვაძე
ნიკოლოზ მაკიაველი

ქრისტიანული რელიგიის საფუძვლებს და გავაჯანსაღო, რარიგად განსხვავდება მისი აწინდელი მდგომარეობა ადრინდელისაგან, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს ალსარაფი ანლოგიდება, ან არანაფული უბედურება". ეველე ეს იყოს, მაკა

თითქოს გულმოწყალე, სარწმუნო, კაცთმოყვარე, მორწმუნე და პატიოსანი კაცი ხარ და, არა მარტო აჩვენებდე, იყო კიდეც სინამდვილეში. მაგრამ ისე კი უნდა ფლობდე საკუთარ თავს, რომ საკიროების შემთხვევაში შეგეძლოს საჭირისპირო თვისებებად გარდაქმნა ისინი. უნდა ვიცოდეთ, რომ მთავარი... ვერ უერთგულებს იმას, რის გამოც ადამიანს კაი კაცად თვლიან, ვინაიდან სახელმწიფოს შუბანარჩუნებლად ზნირად იძულებულია იმოქმედოს ერთგულებს, მოკავსისადმი სიყვარულს, ადამიანობს, სარწმუნეობის საჭირისპირად. ამიტომაც აუცილებლად ისე მოქმედი უნდა იყოს, რომ მოგრიხებულად ეხადგებოდეს ქარის ქროლვითა თუ ბედის ტრიალით ნაკარნახეს მიმართულებას, და როგორც შემთ მოგახსნეენ, არ გადუხვიოს სიკეთის გზას, თუ ეს შესაძლებელია, მაგრამ, იმავდროულად, შეიქნეს ბოროტების გზაზე დადგომაც, თუკი ეს აუცილებელია... დიე, მთავარმა მხლოდ გამარჯვებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბზრუნს და საზღვალებს, რომლებითაც ამ მიზანს აღწევენ, უოველთვის პატიოსნად და ქედა-დდების დირსად შერაცხავენ, ვინაიდან ბრძოს მხლოდ საკმის გარეგნული მხარე და საბოლოო შედეგი ხიბლავს: აჩქეეენდა კი ბრბო უველაფერია, მაშინ როდესაც ცალკეულ პიროვნებებს მხოლოდ მაშინ ენიგებათ ერთგვარი მნიშვნელობა, როცა უმრავლესობამან ადარ იცის, ვინმე შეიჩეროს არჩევანი. ერთი ჩვენი თანამეგობროვე მთავარი, ვისაც ჯერ ვერ დავსახელებთ, ერთთავად მშვიდობისა და ერთგულების აუცილებლობას ღაღადებს, თუმცა როგორც ერთის, ისე მეორის დაუძინებელი მტერი გახდავთ; ისე კი, მართლაც რომ ამ ღალატობდეს არც ერთს, დიდი ხანია დაკარგავდა ძალაუფლებასაც და გავლენასაც...“

დესპოტური რეჟიმი, ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო სიქველეები განავითაროს და საზოგადო სიკეთისადმი სამსახურის სულისკვეთებით აღზრდის მოქალაქეები, მხოლოდ და მხოლოდ მეჩიჩინო�s — სიმდაბეს, სიყალბეს, ანგარებას, პატივმოყვარეობას, ცბიერებას, მზაკვრობას, პირფეშვაობას და თვალთმაქცობას ზრდის მათში, ესე იგი, უკან, პირველყოფილი ბარბაროსობის მდგომარეობისაკენ აბრუნებს ხალხს. სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ მსჯეფრობს და სამსახურს მოითხოვს მოქალაქეებისაგან, არ შეიძლება მათი სიყვარულისა და პატივისცემის საგანი იყოს. იგივე თქმის საზოგადო სიკეთის მომპრალ, რომელიც მოქალაქეთა გონებრივი თუ ზნეობრივი თვალსაწიერის მიღმა ჩრდილა და რომლისადმი სამსახურსაც პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ცვლის, რაც ეგოისტური ინტერესების დაუსრულებელი ანტაგონიზმის წყაროდ იქცევა: ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. ასეთი ფუფუნებაში ჩამხრჩვალი, თვითგანდიდების მანიით შეპყრობილი, უკასუხისმგებლობით გალაღებული და გადაგვარებული იტალიელი მოვაჭრეების ეროვნული უფროსი შედეგი. პოეტური ფანტაზიაც ალიგიერი არავითარ ანგარიშს არ უწევდა ამ მარტო სამართლიანობასა და კანონიერებას, არამედ არც ადამიანის რეალურ ბუნებას.

ამიტომ ყველას, ვინც „მთავრის“ შემთა ცოტორეული სიტყვებში მინნცდამაინც პოლიტიკური ამორალურობის ამოლოგიას და ტირანიასაკენ მოწოდებას ხედავს, ალბათ, ერთხელ კიდევ უნდა შეეახსენოთ, რომ მაკიაველი მხოლოდ და მხოლოდ ერის ცხოვრების კრიზისულ მომენტში ეალიარებს ანსოლუტური ძალაუფლების, დიქტატურის აუცილებლობას. გარდა ამისა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ფლორენციის რესპუბლიკის ეიფილი კანცლერი არა მარტო დიდი პოლიტიკოსია, არამედ, თავისი ეროვნულობისაგან განსხვავებით, დიდი მწერალიც. რომელიც ზედიზედ ეანთ ფლობს ხაზენრული ხელობისა თუ ხელოვნების ყველა საიდუმლოს, აზრის გამოხატვის უსასრულო შესაძლებლობათა ყველა ნიუანსს. მაკიაველი არ თამაშობს არც პოლიტიკაში და არც მწერლობაში. მაგრამ მისთვის სრულიად უცნაა ხზრობა-ზაოვრება. ეგეც არ იყოს, უტოპიური პოლიტიკური ალეო მას ყოველთვის დროულად კარნაბოს, სად შეიძლება იყოს პირდაპირი და სად მხოლოდ ნართაული მინიშნებებით, მხოლოდ მოიარებით თუ შესაძლებ თავები თვალსაზრისის გამოთქმას, თავისი პოზიციის გამომჟღავნებას. ნიდვის წერტილთა მინაცვლეობა მისი ცოცხალი და გამჭრიალი აზრის ერთი ყველაზე ქმედითი იარაღია. სტრიოზულობა მის ნაწერებში მკვეთრი ნაბეჭდმოვნილი კი არა, ძლიეს შესამჩნევი ნაბეჭვარტნებით გადადის შემპარავ იუმორში, ფარულ სარკაზმში, რომელიც მთლიანად გაბნეონის შემთა დამოწმებულ ფრაგმენტებსაც. დ ბოლოს, მაკიაველის კრიტიკოსებს უნდა შეეახსენოთ, რომ ხაჯირია ობიექტურობის ელემენტარულ მოთხოვნათა დაცვა: რომ მისი მხოლოდ მხედველობის კვლევისას საკმარისი არ არის მარტოოდენ „მთავრის“ ცოდნა, და თუ არ ჩაუღრმავდებიან, ზერელედ მაინც უნდა გადაავლონ თვალი „მსჯელობებსაც“.

დიახ, საკმარისია ზერელედ მაინც გადაავლონ თვალი „მსჯელობებს“, რათა სამოოოოდ დარწმუნდნენ, თუ რანაირ სახელმწიფოებრივ წყობილებას აღიარებს მაკიაველი ადამიანთა თანაცხოვრებისა და თანაპარსობის ყველაზე სრულყოფილ, ყველაზე უმჯობეს ფორმად: ეს გამოლავთ რესპუბლიკა. მხოლოდ აქვე უნდა დავაზუსტოთ ამ სიტყვის მაკიაველისეული გაგება. „მსჯელობების“ ავტორი რესპუბლიკას უწოდებს არა სახალხო მმართველობას, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციის შერეულ ფორმას,

სადაც მთელი ძალაუფლება, არჩიეული მთავრის, თავადებისა და ხალხის წარმომადგენლების ხელშია. კერძოდ, აღმასრულებელი ძალაუფლება ერთ პირს, ანუ არჩიეულ მთავარს ეკუთვნის, სათათბირო — თავადებსა და დიდებულებს, ხოლო მაკონსტიტუციონალური ძალაუფლება — ხალხის წარმომადგენლებს. ასე რომ, სახელმწიფოს მართვაში ყველა სოციალური ფენა მონაწილეობს, რაც, მაკიაველის აზრით, მის გარანტიას იძლევა, რომ თავიდან იქნეს აცილებული ძალაუფლების უზურპაციია ან მისი ბოროტად გამოყენება.

რესპუბლიკური წყობილება ყველაზე სრულად სწორედ იმიტომ შეესაბამება ადამიანთა თანამშრომლობისა და თანაარსებობის მოთხოვნებს, რომ სახელმწიფო ძალაუფლება საზოგადოების ყველა ქმედთი ელემენტის ხელშია და მცირერიცხოვან არჩეულთა ან ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა პატივმოყვარული მისწრაფებების, მათი ანგარების დაკმაყოფილებას კი არ ემსახურება, არამედ მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს. მაკიაველი უტოპიაში არ არის, მისთვის სრულიად ზტკნოა იმის სურვილი, რომ რესპუბლიკური წყობილება საზოგადოების სხვადასხვა ფენების, კლასებისა თუ წოდებების ერთგვარ სოციალურ ჰარმონიად წარმოგვიდგენოს. მან კარგად იცის, წინააღმდეგობათა რა გადაულახავი ფუსკრული არსებობს მჩაგვრელებს და ჩაგრულებს შორის, როდესაც შეურიგებელია მათი ინტერესების ანტაგონიზმი: ხალხი „მხოლოდ იმას მიელტვის, რომ არავის დაიჩაგვრინოს თავი, დიდებულებს კი ყველაზე მეტად სწორედ მისი დაჩაგვრა სურთ". ამიტომაც ანაქვეს მაკიაველი ესოდენ დიდ ნნიშვნელობას ხელისუფლების სახალხო ორგანოებს, რომელთა პროტოტიპსაც ძველი რომის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სპეციფიურ ინსტიტუტში — ე. წ. „სახალხო ტრიბუნთა" ინსტიტუტში ხედავს, და რომელსაც დიდებულთა თვითნებობის აღკვეთას და დაბალი სოციალური ფენების უფლებათა დაცვას ავალებს. მაგრამ მისი რეფორმისტული „ჩადგამული ბომბი" ამას იქით ალარ მიდის, ვინაიდან დიდებულებისა და მდაბიორების ანტაგონიზმს ლქმსრავი საზოგადოების მთავარ წინააღმდეგობად კი არა თვლის, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ წინააღმდეგობად ინდივიდუალური თუ კოლექტიური ინტერესების იმ საყოველთაო ჭიდალში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რაც მისი მსოფლმხედველობის ლაკმარიციოლთა და შეზღუდულობით აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ...

ასეა თუ ისე, რესპუბლიკა ტირანიაზე გაცილებით უკეთ უზრუნველყოფს ხალხის უფლებებს, ვინაიდან მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვას მარტოოდენ ხალხს მიმართ რესპუბლიკელ ლონისძიებების განხორციელებით კი არ აღწევს. არამედ. უწინარეს ყოფლისა. იმით, რომ პირში ბურთს არ სჩრის ხალხს და გულის ხმირად ეკიდება მის ინტერესებს. „ხალხისა ბის" ავტორის აზრით, ხალხს ინტერესებად კი უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ, საკუთარი ნება-სურვილით, ბრალი დასდოს და განაჩენი გამოუტანოს ამ ინტერესებს. ეს ინტერესები ერთ-ერთ ძალიან ცალკეულ პოლიტიკურ მოდგაწეთა თვითნებობას, ვინაიდან იქ, სადაც მისი მრისხანება და გულისწყრომა ვერავითარ კანონიერ გამოსავალს ვერ პოულობს, ხასიკეთო არა არის რა მოსალოდნელი: ან შეთქმულებები და აჯანყებები, ან საყოველთაო დთრაგუნვილობა, სრული გულგრილობა და აპათია, ხოლო ერთიც და მეორეც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს არსებული რეეიმისათვის.

მხოლოდ თავისუფალ რესპუბლიკაში ხორცელდება ადამიანთა თანაცხოვრების უპირველესი მიზანი, ვინაიდან სახელმწიფო ორგანულად უხამებს ერთმანეთს საზოგადო სიკეთის მოთხოვნებსა და მოკლაქეთა პირად ინტერესებს. ასეთია, მაკიაველის მიხედვით, როგორც სახელმწიფოს, ისე მოკლაქეთა კეთილდღეობის აუცილებელი პირობა, ვინაიდან ეს, სადაც მოკლაქეთა ინტერესებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ, თავის მხრივ, მოკლაქენიც უგულებელყოფენ სახელმწიფოს ინტერესებსა და საზოგადო სიკეთისათვის ზრუნვას.

ტირანიისგან განსხვავებით, რესპუბლიკა კანონიერი წესრიგის საუფლოა. კანონიერება, რომელიც ისეთსავე როლს ასრულებს სახელმწიფოს ცხოვრებაში, როგორსაც ნერვული სისტემა — ადამიანის ორგანიზმში, მაკიაველის მიხედვით, რესპუბლიკური წყობილების სიმტკიცის ყველაზე სანდო საყრდენად გვევლინება. უწინარეს ყოვლისა, სწორედ კანონიერება უდგეს საფუძვლად ხელისუფლების მოკმედებას და კანონიერება აღკვეთავს როგორც ამა ჭკუენის ძალიერთა, ისე რიგით მოკლაქეთა ყოველგვარ თვითნებობას, რაც შეიძლება სახიანი აღმოჩნდეს საზოგადო სიკეთისათვის. მხოლოდ ეგ კი, რომ კანონთა მოკმედებას მარტოოდენ რეპრესიულ ღონისძიებებად არ უნდა აღიქვამდეს ხალხი, რომელიც კანონში საფრთხობელას კი არ უნდა ხედავდეს, არამედ მეობ და მფარველს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონიერება მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როცა მას მსაზრი უდგას მოკლაქეთა სიკეთე, რომელსაც მაკიაველი სამართლიანობის ისეთსავე ბურჯად თვლის, როგორც კანონებს...

მაკიაველის პოლიტიკურ მოძღვრებას საფუძვლად უდგეს მისი ისტორიული დიალექტიკა: ბორბატებმა, ანუ გარეშემდეგი მტრულ სინამდვილეში ადამიანის უწმენობამ და მისი ვნებებმის ალვარსხსნელობამ, დასაბამი მისცა სიკეთეს — სახელმწიფოს, მორალს, რელიგიას, მაგრამ ეს სიკეთე, თავის მხრივ, ახალი ბორბატების სათავე ხდება: ადამიანები ადვილად ივიწყებენ წარსულის გაკეთილებებს და თვითონვე ანადგურებენ თავიანთ ნაშრომვაჯარს. ხალხელმწი-

ეროვნული

ფოები ისეთივე ხარბნი და უძღებნი არიან, როგორც მათი მოკალაქენი; ისინი გამეფდებით ცდილობენ კიდეც უფრო ზორბ განვარცოს თავიანთი საზღვრები, შემოიმტკიცონ ახალ-ახალი საბუნებისელოები, თანდათანობით ჩაყლაპონ თავიანთი მეზობლები, და მათ ნანგრევებზე დაიფუძნონ საკუთარი ძლიერება, რათა ამ გაუთავებელ ბრძოლებში სისხლდაღრეტილნი, თავის მხრივ, მათზე უფრო ძლიერი მტრების მსხვერპლად იქცეზენ ეგვიპტის, ბაბილონიის თუ რომის მსგავსად. ასე ენაცვლება ერთმანეთს ხალხი-წმენდოთა სისუსტე და ძლიერება და მათი აღზევება ადრე თუ გვიან მათივე დამბობის მიზეზი ხდება. მაგრამ ისინი, უფრო მალე, ზიგნიდანვე იწყებენ ლეჩობის. ცივილიზაციათა საზოგადოების ყველა სიკეთე — კანონიერება, ზნეობა, ხარჯნულება ადამიანებში თანდათანობით იწყვეს კმაყოფილებას. უკვე მიღწეული კეთილდღეობით ტკბობის, მეცნარეობის, უფროსებისას, და ამრიგად ის, რაც თავის დროზე სამოკალაქო სიკეთეთა აღზრდის ძირითადი დაქტორი იყო, ახლა უკვე მოკალაქეთა ბიზეერების მიზეზად გვევლინება.

ისტორიული პროცესის უწყვეტობა, მაკიაველის მიხედვით, ესაა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლი. მათი დაუსრულებელი მონაცვლეობა. მთელი ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა უბედურების, უგულნერებისა და ხაზარელ დანაშაულობათა თანდათანობითი განვითარება, რომელთა ზორისაც ჩვენ ვხედავთ მხოლოდ რამდენიმე ხანმოკლე ბედნიერ ეპოქას, ოპტიმისტივით რომ მიმოფანტულან პირკეზე უდაბნოში. არაფერი ისე მკაფიოდ არ გვიმეღალნეს მაკიაველის ისტორიულ პესიმიზმს, როგორც „ფლორენციის ისტორიის" მეზუთე წიგნის დასაწყისი, სოლო ამ პესიმიზმს ისეც და ისეც ადამიანის ბუნების მისეული გაგება უდევს საფუძვლად. სიკეთისა და ბოროტების, სახელმწიფოთა დაცემისა და აღზევების, ზნეთა სიწმინდისა და გაბრწყინვლების ურთიერთმონაცვლეობა თითქოს ბედისწერის სტიქიონი ძალითაა განსაზღვრული და განპირობებული; მთელი ეს მონაცვლეობა პერიოდულ გადატრიალებათა თუ კატასტროფათა მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც პირშინაგან ანარეკვნ გარდასულ ეპოქათა განვითარების ყველა შედეგს და, ასე განსაკეთ, თვით მათ ხსოვნასაც კი აჭრიან ადამიანთა სულში, რათა მომდევნო თაობებმა ყველაფერი თავიდან დიაწყონ და ხელახლა შეავლონ იმავე შინაარსით ჯერ კიდევ დაუწერელი ისტორიის სუფთა ფურცელში. მაგრამ ამ საყოველთაო ნგრევებსა და დავიწყებას მიუხედავად, ბოროტება კვლავინდებურად შეუმუსარელია და დაუძლეველი, ვინაიდან მას თვით ადამიანის ბუნებაში აქვს ფესვი გადგმული. ასე რომ, თავიდან მეორედან იგივე ბრალეცი, რომელიც ამდენი მსხვერპლის ფასად, ესოდენ უკან მოიტოგა კაცობრიობამ; მეორედან — მესამედან; მანამ, სანამ მთელი სინამდვილეთ ხელმეორედ არ აივსება კაცთა ნიავით და სანამ ახალი კატასტროფა არ გასწმენდს სიბინძურეს ჩამაკუებულსა და ბოროტების მორევში დანთქმულ სამყაროს...

თხუთმეტი წელი ემსახურა მაკიაველი ფლორენციის რესპუბლიკას კანცლერის პოსტზე და, პოლიტიკური სარბიელის დატოვების შემდეგ, თხუთმეტ წელს გაგრძელდა მისი ხამწერლო მოღვაწეობაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის თავგამოდებით ცდილობდა დაბრუნებოდა პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ მხოლოდ სიცოცხლის დამლეგს, როგორც იქნა, ეღირსა ომის, რომ კვლავინდებურად დიენმახურებინა ხელისუფალთა ერთგვარი ნდობა. 1526 წელს მაკიაველი ფაენცაშია, სადაც გვიჩარდინისთან ერთად განიხილავს ქვეითი ლაშქრის ახლებური ორგანიზაციის საკითხს. 1526 წელს, როცა იტალიას ესპანეთის იმპერატორის კარლს V-ის მიერ ხაბლოო დამონების საფრთხე დაეტყო, მაკიაველი ქალაქის გალავნის გამაგრების პროექტს სთავაზობს ფლორენციის მეხეეერთ და თვითონვე უდგება ხათავეში საფორტიფიკაციო სამუშაოებს. 1527 წლის 4 მაისს რომი აიღეს და უღვთოდ დაარბიენს გერმანელმა ლანდსკნეხტებმა, რასაც შედეგად მოჰყვა მედიჩების წინააღმდეგ მიმართული რეაქცია და რესპუბლიკის აღდგენა ფლორენციაში. სამოც წელს მიტანებული მაკიაველი ერთხელ კიდეე ხედავს ბედს და თავის კანდიდატურას წამოაყენებს რესპუბლიკის კანცლერის პოსტზე. მაგრამ აღარც მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ახსოვს ვინმეს და აღარე დიპლომატიურ ხასარეზზე მოპოვებული წარმატებები. ხასაგიერად მისი ლიტერატურული ხაკმიანობა ფლორენციელ დიდებულთა ერთსულოვან აღფრთოვანებას იწვევს. „ხამზმლის კეთილსაამიერო ხალხი ხვირდეა და არა ხწავლულები. მაკიაველი ისტორიო�ა. ის დაგვცინის და ყველაზე მაღლა აყენებს თავს!" — გაიძახიან ერთნი... „ერთთავად დუქანში ეგდო, მტიტე, ბიბლიოთეკაში ძველხმაველი წიგნების ქექვით იქცევდა თავს. არ გვინდა ფილოსოფოსები! ძრის ფილოსოფოსები!" — კეთრს უკარვენ მეორენი. ამ მტკოცედ წინააღმარჩენ კამპანიად თავისი შედეგი გამოიღო: 1527 წლის 10 მაისს რესპუბლიკის „დიდი ხაბჭოს" ხხდომაზე მაკიაველი გაუშვეს: მან მხოლოდ 12 ხმა მიიღო 555-ის წინააღმდეგ. ღირსეულობა ადგილი უღირსმა დაიკავა. ეს არც პირველი შემთხვევა ყოფილა ფლორენციის პოლიტიკურ ისტორიაში და არც უკანასკნელი. 1527 წლის 21 ივნისს მაკიაველი გარდაიცვალა. სხვა ვერცხით, იგი ნელად მოკვეცილი ხაწამალვის მსხვერპლი შეიქმნა. დახაფლავებულია სანტა კროჩეს ეკლესიაში. მაკიაველის ბეგრდილი განისვენებენ მოქელაჭველ და გალლელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში"

ნანა რჩეულიშვილი

„ჭეშმარიტის მეტყველება არს..."

ისტორიული მოვლენებისა თუ ცალკეული ფაქტების ობიექტური აღწერა და შთამომავლობისათვის ამ სახით გადმოცემა ოდიდგანვე უოფილა ჩვენი მეცნიერებისა და მწერალთა დაინტერესების საგანი. ამ მხრივ, განუზომლად დიდი როლი შეასრულა ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ ერის სულიერ ფორმირებაში. წარსულ საუკუნეთა გმირული ცხოვრების გადმოცემა აღვიძებდა ყოველი ახალი თაობის ცნობიერებაში სამშობლოისათვის ღვაწლმოსილების იდეებს. ამ გმირულ ფურცლებს სადღეისოდ კიდეც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ. კარგად შენიშნა თავის დროზე მწერალმა გიორგი ნერეთელმა: „მამა-პაპის ღვაწლმა უნდა ჩაგვიგდოს გულში სამშობლოს სიყვარული, ვისაც ძველი თესლი ხელში არ უჭირავს, ის ახალ ნაშუშვარს ვერ მოიმკის.

ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას ჯეროვან ყურადღებას აქცევდა ივ. ჯავახიშვილი, როდესაც აცხადებდა: „თავის სამშობლოს წარსულის ცოდნა ხომ სახელმწიფოებრივად დაკავსებულისა და კულტურულად დაკვეთიების გზაზე დამდგარი საკართველოს მკვიდრთათვის უაღრესად საჭიროა ეთქვა. ამ საჭიროების გამო დაწერილია მრავალი სახის საისტორიო თხზულება, რომელებშიც ეკვენის ბერ-ვარამზე დაფაქრებულ მამულიშვილებს საკარო განსჯის საგნად უკეთვიათ ერის ფიზიკური დაცემისა თუ ზნეობრივი გადაგვარების მიზეზთა ძიებანი. ეს განსაკუთრებით საგრო ფდებოდა ე. წ. კრიტიკულ ეპოქებში, როცა ყველაზე მწვავედ დგებოდა ერის ეოფნა-არეოფნის საკითხი. მაგ., XVII საუკუნის კრიტიკულმა ხანამ წარმოშვა ქართულ მწერლობაში ნაციონალური კილო. ამის შესახებ გ. წერეთელი ამბობს: „როცა ქაცს სიკვდილს ემუკრნეიან, მაშინ მტარვალის სიმღერა სამარეს აგონებს. როდესაც მტერი ქართლის ერს პირდაპირ უდგა და სიმღერით დასცინიდა ამის ულლურეხას, მაშინ ამას თვალებიდან სასხლეტ-ნარევი ცრემლის მეტი არა გადმოსდიოდა რა. ამისთვის ერმა დაიბრნა გული ამ პოეზიისათვის, ყურები დაიცვა და დაუცხრომელ ბრძოლისთვის გამზადებულმა გამოიძახა ღრმა პატრიოტული საყვირი. ტკბილი ბაიათებისა და სიმღერის მაგიერად იმან დაიყარა ბრძოლის ნაღარა და გული განიმტკიცა თავისი გამოჩენილი კაცების ღვაწლის აღწერითა. ირჩილ მეფემ და იოსეს თანელემა მისცეს პოეზიას ნაციონალური მიმართულება. ეს ბოხდა შეჩვიდმეტე საუკუნეში... და ეს ნაციონალური კილო ბხდება წმინდა წყარად, რომელშიც ერი ბპოვებს დაუშრეტელს ზნეობის ძალას მტრის საწინააღმდეგოდ".

ამ დროიდან ეკრება მტკიცე საუფეველი ისტორიულ-ეროვნულ მოტივს, თუმცა მისი საწყისების მოძებნა არ გაგვიგრძდება მანამდე არსებულ მწერლობაშიც. ისტორიულ-ეროვნული მოტივის ერთი ძირითადი ნიშანია წერილი და აზროვნების რეალისტური მეთოდი, რომელსაც ძალზე მდიდარი ტრადიციები აქვს. რეალისტური მეთოდითაა დაწერილი მთელი ადეოფრავეფიული პროზა, „ვეფხისტყაოსანი", XVII-XVIII საუკუნეების ქართველი პოეტების შემოქმედებაში ეს მეთოდი უმჯობესად განვითარდას აღწევს და იკვეთება „მართლის თქმის" პრინციპად, ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იგი ლიტერატურული მიმართულებად, — რეალიზმად — ჩამოყალიბდა შესანიშნავი ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეთა შემოქმედებაში. ახე რომ, რეალიზმის საძირკველი ცხოვრების დიდი სიმართლეა.

მხატვრული სიმართლისა და ისტორიული სიმართლის ძიებით ერთმანეთს ჰგავს ლიტერა-

ტურულ-ისტორიული თხზულების ავტორისა და მემატიანის შრომა. მათთან ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნული ღირსების საკმეველი, ეროვნული ჯალია ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა თუ ზნეობრივ-მორალური დონის მიღმა მიხი განმაპირობებელი მიზეზების ძიება, განსაკუთრებით ეროვნული ფუძეების მხილება ამ ეპოქის ეროვნული ფეოქტების მხილად შშრალად აღმნუსხველი. მათი ისტორიული ტენდენცია მორალისტური, ისტორიის მსჯელობაში ისინი მორალური კანონები აღნუსხავენ. ამდენად, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ზღვარი მემატიანეს და ლიტერატურულ-ისტორიული თხზულების ავტორს შორის იშლება, როცა მთავარი როდია ავტორის ზნეზედა ლიტერატურული მოწოდება, არამედ ის ზნეობრივ-პოლიტიკური ტენდენცია, რაც ერთნაირად ესმოდათ და წარმოედგინათ მათ, როგორც მამულიშვილებს.

VIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი იოვანე სანანისძე თავის ნაწარმოებში „თხრობაჲ და მოძღვრებაჲ და ახლისა ამის მოწამისა მაჩოსა ხსენებაჲ“, ისე ავკიწერს ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობისა და ხარწმუნოებრივი თვითშეგნების შესუსტება-ვადაგვარებას: „ნაშობნი ქრისტიანეთანანნი გარდაგულარძნნეს, რომელნიმე მძლავრეთ, რომელნიმე შეტაკუეული, „რომელნიმე სიყრმეს შინა უმეცრებთ, რომელნიმე ეხე ვართ მორწმუენენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულეანენითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ბარკსა ქუეშე მთსა გუემენენი და ჭინჭინონნი, ძვირძვირად ზღვეულნი, შიშითა განნილეანიან და ირეკეანან ვითარცა ლერწნენი ქართაგან ალიერთა“. ამბის წამების აღწერისას ავტორის მიზანი იყო დაეზოგავად ემხილებინა ხაზოგადოების შერეული ეროვნული გრძნობები, რადგან ხერხოდა ეს მხილება სინდისს აუფორიაკებდა და ჩაფიქრებდა ხარწმუნოების გადამდგარ ქართველობას. „ეეფხოსტეკოსნნან“ ავტორსაც ხომ მოჩანდა, რომ „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“.

არჩილის მიერ დაფუძნებული სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელები „მარილის თქმის“ პრინციპებით განსხვავებენ აწმყოს. თვით არჩილის თქმით: „კაცი უნდა პირველ იყოს მარილი და ღვთის მოშიში“. მხილება და მარილის თქმა, ანუ რეალისტური მეთოდით წერა იმდენად მაღალ დონეზე დგას XVII-XVIII საუკუნეების პოეტთა შემოქმედებაში, რომ აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ მათ „იდრეული ქართული რეალიზმის წარმომადგენლები“ უწოდა.

წერისა და აზროვნების რეალისტური მეთოდის თავისებური გამოაკუნებით ერთმანეთთან ახლოს დგანან ეკმთაადმწერლის სახელით ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და მე-18 საუკუნის ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელი დავთი გურამიშვილი.

ეკმთაადმწერელი XIV საუკუნეში ... ბევეაფრი მეხოვრები განსხვავდენი ისტორიკოსია. იგი საკმაოდ დაწერილებით აგვიწერს საქართველოს სამეფოს ისტორიას ჯერ კიდევ XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან, ე. ი. თითქმის მთელი საუკუნის მოვლენებს ყვეხბაკეს არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უმძიმეს ხანადაა მიჩნეული, როცა საქართველოს ზედიზედ ეერგო ჯერ ხვარაზმელთა, ხოლო შემდეგ მონღოლ-თათრთა მონობის ძაძის ხვედრი. შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიზეზად მემატიანე მხილოდ გარეშე მტერთა მოძალებას როდი სახავს, არამედ ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში მომხდარ შფოთსა და სოციალურ არეულობას. ეს უკვე თვითკრიტიკულობაა, მორალიზატორული პოზიცია. საკუთარი ბერის მხილებისა „მარილის თქმის“ პრინციპით გაშუქებული. „გარნა ვინათგან წიგნი ესე შეუმდებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთა, შენდობილ იყვნენ სიტკუაანი ჩემნი, რამეთუ ეკმთაადმწერელთა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალსაზრ ვისთვისაც“. (ეკმთაადმწერელი, ქართლის ცხოვრება). აი, ძირითადი ზნეობრივი კრედო მემატიანის შრომისა. შეიძლება ითქვას, რომ ახეთი თეზისურად წარმოდგენილი კონკრეტული დებულება მწერლის ფანდოდებულებაზე მის მიერ აღწერილ ისტორიულ სინამდვილესთან ეკმთაადმწერლამდე არავის მოუცია. შევადაროთ ზემოხსენებულთან დავთი გურამიშვილის შემოკმედების ძირითად თხზეკმეფისტურ პრინციპს:

მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა
მოამბე რად?
ვერას უქმებ საძაგელთა, უფერულთა
პირ-სფერად
მე თუ გინდა, თავიც მომჭრიან, ტანი
გაბდეს
ეინც არა ჰგავს კაბაბერსა, მე ვერ ვიტყვი
კაბაბერად.

ზოგად დონეზე თუ შევადარებთ, ცხადი ხდება, ორივეს ხელში კალამი მხოლოდ „ეეშმარიტის მეტყველებისათვის“ აუღიათ, ისტორიულ პოემაში „ქართლის ჯარი“ დ. გურამიშვილი მიუდგომელი ობიეკტურობით აღწერს XVIII საუკუნის ოცაანი წლების ქართულ-ალეთის ხანმეფოთა პოლიტიკურ-ზნეობრივ დაცემა-ვადაგვარებას, გარეშე მტერთა მომძალებებსა და შინაურ აშლილობას. ეკმთაადმწერელს მსგავსად იგი არა მარტო უბრალო აღმნუსხველია ისტორიული ფაქტებისა, არამედ თავის ეალად თვლის მოეკერძოებლად გიერკვეს ქართლის ჯარის, ეროვნული დეგრადაციის გამოაწვევე მიზეზებზე.

ეკონომიკურ ერთეულე და „ქართლის ჭირის“ ავტორიც კარგად გრძნობენ, თუ რას ნიშნავს ეს უკიმპერიმენო მხილება, რომ საკუთარი უარყოფითი მხარეების საშუალოაზე გამოტანა ძალზე ძნელია. მაგრამ, ამავე დროს, სასარგებლო და აუცილებელი. ზნეობრივი გაჯანსაღების ეს დიალექტიკა, ეს ბრალ — მათ ეთვალვარად, ახლოლავებს. მათ ეკრძალებათ საკუთარი აუგის თქმა: „ეულალდ აჭაკი ვინეზე დუნილი, ვინაოგან შეგუფლების განსაკრთომელისა მოთხრობისა, დადაკოე არა საკადრებელ არის თხრობა მეფეთათვის უშუერსა რასმა“. წერს ეკონომიკმწერელი როდესაც სურს მოგვითხროს მეფე რუსუდანის უკადრესი ქცევის შესახებ ძმისწულის მიმართ.

ეი რა თვალსაზრისს გამოთქვამს დ. გურამიშვილი, როცა სურს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის ობიექტური აღწერა:

ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად
არ მინება,
ბევრი აკი გამოჩნდების ჩვენი,
მაზედ მერცხვინება...
ტყეული ესთქვა, ჩემი თქმელი შეიქნების
რა საგარგი?
მართალი ესთქვა, მეშინიან, ვა თუ გავდე
დასაკარგი.

ხოლო მას შემდეგ, რაც დაგვიხატავს ქვეყნის ჭირ-ვარამს და მის გამომწვევ მიზეზებს, პოეტი კვლავ გვაგრძნობინებს მართლის თქმის სიძნელეს, როდესაც დაიპრიხს გვიმცნოს ოხმალთა ჯართან ქართულ-კახეთის ლაშქრის დამარცხება. გულმოკლული ამბობს: „ვინ მე, ამის სთქმელად პირი გამიხდა ჭალტეკეთაო-ო, რადგანაც „ცაცთაგან ფთილი ჭალტეკეთაო-ო, რადგანაც „ცაცთაგან ფთილი აუგი საზარლად საუბნელია“.

როგორც უკვე ალნიშნეთ, XIII საუკუნეში საქართველომ ზედიზედ განიცადა ზვარაზმელთა და მონღოლთა გამანადგურებელი თავდასხმები. ბანგრძელიგმა აწოოცება-რბევამ სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა საუკუნის განმავლობაში ძლევამოსილი საქართველოს სამეფო. ეკონომიკმწერელი ლაშა-გიორგის მეფობიდან იწყების თხრობას და მიდის ვიდრე გიორგი V ბრწყინვალის მეფობამდე, ე. ი. არაერთი მეტად კრიტიკული ეპოქა აქვს აღწერილი. ისტორიული ფაქტოლოგია აქ მაღალ დონეზე დგას, ამასთან მემატიანე ცდილობს გამოიკვლიოს და ამხილოს ქვეყნის პოლიტიკური წახდენის მიზეზები. მისი აზრით, ლაშას მეფობის დროს მზვიდობიან ქვეყანაში მენოვრენი მიეცნენ უზრუნველ ყოფას, მედონიშმს, სიბარაღეტ დროსტარებას, ამორალურ საქციელს, რამაც გამოიწვია ქვეყნის პოლიტიკური შესუსტება... „...რამეთუ განძლეს და ოფეტნდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვა შინა და მორვალიბათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ეოფენიან-ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი. დაღალე ეკათლეკოსთა ორთავე და თავადთა ამის ხამეფოსთა, და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმეიმდეთ საქმე ესე, არ[illegible] ამის თანა სამარადიოო ყოფა, არ[illegible] რნეს და თვის-თვისად იყოფოდეს. ამისთვის აღმოსცენნეულ მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოთხრებისანი...“ (ეკონომიკმწერელი, „ქართლის ცხოვრება“).

როგორც ჩანს, ჯერ ლაშა-გიორგის, ხოლო შემდეგ რუსუდანის უნებისყოფო, მკაცრ მეთვალყურეობას მოცილებულმა გამგეობამან მოადგენა სამეფოს პოლიტიკური კურსი, მისი ძალაუფლება. სამეფო კარი მისცემია წრეგადასულ ჰედონიზმს, პოლიტიკურ სიბეცეს და რა წინააღდეგობა უნდა გაეწია მას კარსმომდგარი აგრესორისათვის? ეკონომიკმწერელი „ქვეყნის გოთრების მიზეზად საკართველოს მმართველი წრეების უდარდელობასა, უწესოებასა და ერის ზნეობრივ დაცემას აღიარებს, რომ იგი მარტო გარეგან პირობებს მტრების შემოსეულას არ ამარალებს, ყველფერს და ამით არ იკვრეგის დამფიკრრელელ საკითხს, არამედ უმთავრეს მიზეზად თვით ქვეყნის შინაურს მდგომარეობას, თვით ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ გათახსირებულ ცხოვრებას ასახელებს“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VIII, გვ. 253, 1977 წ.).

დ. გურამიშვილის ისტორიული და ეთიკური აზროვნებაც თითქოს ჩვენი მემატიანის კვალდაკვალ მიედინება. ნათესაური მათი აზროვნების მანერა და ზოგჯერ ლექსიკური მასალაც კი ემთხვევა ერთმანეთს. რამდენი სულელური თავსმხვადასხვა, ზნეობრივი აღზრდისეთ ერთნაირობაა ამ ორი ავტორის ქვემოთმოტანილ ადგილებში: „რამეთუ დაუფტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყეარული, სიწყრფოება, სიმშვიდე, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკუა, შური, ხდომა, სიძუღლეთი, ანგარება, მიმძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწესოებანი“ (ეკონომიკმწერელი). ახლა მეორე ავტორს მოვუსმინოთ:

შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის
ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა
პირისა,
ავაზაკობა, ქურდობა, ჯზეებზედ დასხდომა
მზრისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა,
ობოლთა, მწირისა.
(„ქართლის ჭირი“).

დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ მხოლოდ ერთი საუკეთესო ნაწილია მისი მოლიანნაწარმოების „დავითიანისა“. პოეტი მემატიანესავით ზუსტად მიუთითებს ქართულ-კახეთის აწოცების დასაწყისს — 1721 წელს. იგი დაწერილებით აგვიწერს ქართულ-კახეთის მეფეთა ურთიერთობას, მათ შორის პოლიტიკური შფოლის წარმოშობასა და მტერობას. გურამიშვილის აზრით, სწორედ ამ ძმათა შორის ჩამოვარდნილმა სამარცხვინო გაუგებრობამ განაპირობა

ქვეყნის შიდა პოლიტიკური დაუძლურება. პოეტი მიმართავს მკითხველს: აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომმესენელო შემოკრებითი-თ. და დაუფარავად ამბილს შინაურ შფოთსა და უთანხმოებაზა.

კაბელების აღმა ხნული ქართველებმა
დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო
აღარ გარცხეს,
ძმამ ძმას სახრე გადუტია, მტერი კომშალი
თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინეულნი დასცეს
ქვეყანდ, დაანარცხეს!

ძმათა შორის შუღლის გამწყავების უკეთ გადმოსაცემად პოეტი, როგორც წესი, მიმართავს ძმაფრ, მეტყველ, საგნობრივად გამოხატულ მხატვრულ შედარებებს. აქ ერიდება პიპერბოლას, პიპერბორიზებულ სახეებს. მხატვრულ სახეთა მიღმა ცხადად იგრძნობა ავტორის პოლიტიკური პლატფორმა, ზნეობრივი შეშფოთება, ეროვნული მოწოდებები.

დ. გურამიშვილი გახაკიცხავად არ ზოგავს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის არც ერთ წარმომადგენელს, თუნდაც სახელიერო პირებს, რომლებიც პირად გამორჩენაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საკეთილო საქმეებზე. ასევე ობიექტური მიდგომით ახასიათებს თავის საკვალილ მეფეს და უახლოეს პიროვნებას ვახტანგ VI-ს, კახეთის გამამჭვალინებულ მეფეს კონსტანტინეს, ირანის შაჰებს, შაჰთამაზს და ნადირ-შაჰს, რუსეთის სახელოვან მეფეს და მხედართმთავარს — პეტრე პირველს.

ისევე, როგორც ეკათაალმწერლის თხზულება, დ. გურამიშვილის პოემაც ღრმა რელიგიური განწყობილებითაა დაღდასმული. ისინი ბარეულ მტრის მოძალებას მიაწერენ უფლის განრისხებას, რომელსაც განდგომიან ქართველნი. უფალმა კი სამაგიერო მიუზღო მათ. ზნეობრივი კანონი დ. გურამიშვილისათვის რელიგიურ დოგმასთან მტკიცედ იყო დაკავშირებული. ახეთასვე თვალსაზრისს ვხვდებით დიდ ქართველ ისტორიკოსთანაც: განდგეს ხელი ყოველს წარმმართველია. შეავადოოთ „ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან უჯეროდ განეცად და ხოცად წარმართთა მიერ" (ეკათაალმწერელი).

მან ბრძანა ბრძენმა რა ეს სცნა,
ბრძანა ალება ხელისა,
რისხვითი გაშვება მის თემთა,
გარდახდა საფარველისა.
მიუგო: რჯულთა გამყრენელნო
ახალისა და ძველისა!

თქვენცა იხილოთ ამივე მოსაბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი

(„ქართლის ცხოვრება").

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „წინანდელ ქართველი ისტორიკოსის ნაწარმოებში არ მოიპოვება არც ერთი იმგვარი ღრმა სახოწარკვეთილებით გამსჭვალული აზრები, რომელიც გამოთქმული აქვს ჩვენს ეკათაალმწერელს". ი. ჯავახიშვილის აზრით წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრი პოლიტიკურ აზროვნებაში (და არა საეკლესიო) პრივილეგად ეკათაალმწერელს შეუტანია. ეკათაალმწერლის აზრით, ეს ცხოვრება ამაო და წარმავალია, სამარადისო მხოლოდ საიქიო ცხოვრებაა. „ყოველნი ვარ ამაოებასა შინა, ვითარ იტყვის ბრძენი ეკლესიასტე: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს" და მზესა ამას ქვეშე ბილოსა ყოველთა ამაოებასა მისცემს". (ეკათაალმწერელი. „ქართლის ცხოვრება").

დ. გურამიშვილის შემოქმედებაშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი საწუთოროს სამდურავს. პირად ცხოვრებაში უიღბლო პოეტი ორმაგად ემდურის სოფელს, რომელმაც მოაშორა სამშობლოს, მშობლებსა და ახლობლებს. ეხეც არ აკმარა და უნაყოფოდ დაბერა. შეიძენა ოთკვას, რომ თეიმურაზთან შედარებით საწუთოროსადმი მდურვა დ. გურამიშვილის შემოქმედებაში უფრო მძაფრი დრამატულობითაა წარმოდგენილი. „ქართლის ჭირნი" სპეციალური თავიც ეძღვნება ამ თემას — „დავით გურამიშვილისგან საწუთოროს სოფლის სამდურავი". პოეტი არა მარტო სამდურავს უთვლის ამ სოფელს, არამედ მკითხველსაც არიგებს, რომ ამ მიწიდან „მტკუანს" და „უპირო" საწუთოროს, რადგანაც თურმე იგი „არ დაიჭირვის ხელშია".

ე. ი. ეკათაალმწერელს მიეწერება სოფლის სამდურავის დაფუძნება ქართველ ისტორიულ მწერლობაში, ხოლო დ. გურამიშვილს მისი უმაღლეს პოეტურ დონეზე წარმოსახვა. მაგრამ მათი ეთიკურ-ისტორიული შეხედულებები სუბიექტივისტური არ არის. საწუთოროს, ამქვეყნიური ცხოვრების სამდურავი მათ ცხოვრებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ზნეობრივი ვითარების ობიექტურმა განცდამ აოქმედეინა. ამდენად, ისტორიული ობიექტივიზმი თანაბრად ძლიერია ეკათაალმწერელთან და გურამიშვილთან. მათ ერთნაირად აღიქვეს ქვეყნის შინაური პოლიტიკური აღრევა და ერის ზნეობრივი დაქვეითება, რამაც ასეთი შიანი მოუტანა მათ სამშობლოს.

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲘᲙᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ დაიბადა 1954 წ. თბილისში. სწავლობს საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში.
იბეჭდება 1980 წლიდან.

ᲜᲐᲜᲐ ᲠᲘᲥᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ დაიბადა 1949 წელს ქ. თელავში. 1971 წელს დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს თელავის 52-ე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.
„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

მეცხრე ნომერში დაბეჭდილ ბ. ბრეგვაძის წერილში „ნიკოლო მაკიაველი“ 134 გვ. II სვეტის მე-2 სტრიქონში ნაცვლად „მკვეთრად აღმდგარი“ უნდა იყოს „მკვდრეთით აღმდგარი“.

136 გვ. I-სვეტის 31-ე სტრიქონი „კონსტანტინეპოლის დამხობა (1453 წ.) და ბიზანტიის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა“ ასე უნდა იკითხებოდეს: „კონსტანტინეპოლის დამხობა (1453 წ.) და ბიზანტიის იმპერიის ადგილას ოსმალეთის დამკვიდრება, ხოლო დასავლეთ ევროპაში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა...“

138 გვ. I — სვეტის მე-4 სტრიქონში: „იმპერატორია ჰაქსიმილიანე I-სა“ ნაცვლად უნდა იყოს: იმპერატორ მაქსიმილიანე I-სა...“

ამათ გარდა, ნომერში სხვა კორექტურებიც გაიპარა, რის გამოც რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველსა და ავტორებს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲥᲝᲚᲘᲡᲘᲡᲘ, ᲥᲝᲜᲓᲘᲠᲘ, ᲥᲣᲩᲐᲡ Ქ. № 2.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორესპონდენტო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 2. 08. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 09. 83 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-სგ. ოაბაბი 15.85. შეკვ. № 1902. უე 08310. ტირაჟი 56.700.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



„ცოდნის ზარი — დედა ენა“. მოქანდაკე ე. ამაშუკელი.
არქიტექტორი — ნ. მგალობლიშვილი.

მ. ჩაჩუას ფოტო

ფასი 60 კაპ.
ინდექსი 76286
ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ